საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ისტორიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

2

1990

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1990

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. ჟორდანია, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), ო. ცქიტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мусхелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-30 Телефон

გადაეცა წარმოებას 24.V.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.07.90; ანაწყობის ზომა 7X12; ქაღალდის ზომა 70X108 1/16; პირ. ნაბეჭდი თაბახი 16,8; სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 13.31; უე 03639; შეკვეთა № 1400; ტირაჟი 1600;
ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შინაარსი

### წერილები


?. ყიფიანიშვილი, შენიშვნები ჩუქნებისა და ანგუშების ეთნოგენეზის ხასიათისათვის . . 7
?. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის კომუნალური მეურნეობა XIX ს. რეფორმისშემდგომ პერიოდში . . . . . . . . . . . 24
?. ერიაშვილი, ტრადიციული სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები და მიხაილების უძველესი ეთნიკური სტრუქტურა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში . 31


### ახალი წარსულის ფურცლები


ო. ჟორდანია, შესავალი . . . . . . . . . . . . 38
?. ?. განვლილი გზა . . . . . . . . . . . 59


### ცნობები და შენიშვნები


რ. კაჭია, სავაჭრო „ამხანაგობები" XVIII საუკუნის საქართველოში . . . 102
?. ჯავახიძე, იბნ-ქემალის ერთი ცნობა XV საუკუნის საქართველოს შესახებ . . 113
?. ?-ბროსე, ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში გამოყენებული ტერმინების „ერის" და მისგან ნაწარმოები „ერისთავის", „ერისკაცის" და „საერის" სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები . . . . . . . 123
?. ?შვილი, ვინ იყვნენ „აზნაურნი საზეგრელნი" . . . . . . 130
?. ?ძე, წილკნელის მიცემების ტყვის მოსაკუთრობის ისტორიიდან . 148
?. ?შვილი, ამიერკავკასიის ცენტრალურ ევროპასთან კავშირისათვის ადრებრინჯაოს ხანაში . . . . . . . . . . . 156


### ისტორიული დემოგრაფია


დ. კახელიშვილი, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები ძველ საქართველოში . . . . . . . . . . . 162


### ჩვენი არქივი


გამოცხადება მთავრობის საარქივო კომისიის გამგე — მამია ბერიშვილისა . . . 172
ჯ. ოვანია, საქართველოს ისტორიის ახალი მნიშვნელოვანი წყარო . . . . 176


### მწერლის მემკვიდრეობიდან


?. ?ძე, სადღეგრძელო . . . . . . . . . . . 179


### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია


ნ. შენგელაია, ს. არუთინოვი, თამარ დრაგაძე. სოფლის ოჯახი საბჭოთა საქართველოში 181


### ქრონიკა და ინფორმაცია


ლ. ლაზარაშვილი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომის კრება . 187
თამარ ხაჭომია (ნეკროლოგი) . . . . . . . . 189
მ. ?შვილი, მამია დუმბაძის ხსოვნას (ნეკროლოგი) . . . . . . 191

# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ


М. А. ЦИХЕСАШВИЛИ. Замечания к вопросу этногенеза чеченцев и ингушей 7

М. В. НИКОЛЕИШВИЛИ. Кутаисское городское коммунальное хозяйство пореформенного периода XIX века . . . . . 24

Ж. Г. ЭРИАШВИЛИ. Традиционные социально-религиозные институты и древнейшая этническая структура населения горных районов Восточной Грузии . . . . . . . 31


## СТРАНИЦЫ НЕДАВНЕГО ПРОШЛОГО


О. К. ЖОРДАНИА. Предисловие . . . . . . 56

В. ТЕВЗАДЗЕ. Пройденный путь . . 58


## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ


Р. С. КАШИА. Грузинские торговые «товарищества» в XVIII веке . 102

Н. М. ДЖАВЕЛИДЗЕ. Сведение османского летописца Ибн-Кемаля о Грузии 115

Э. В. ХОШТАРИА-БРОССЕ. Социально-правовые аспекты употребляемых в памятниках древнегрузинской литературы терминов «эри» и производных от него «эрисгани», «эрискаци» и «саэро» . 123

Т. Т. МАРГИШВИЛИ. Кто такие «азнаури Сазусрели» 130

Н. Т. ЛОРТКИПАНИДЗЕ. Из истории росписи церкви Спаса в Цаленджиха [illegible]

Г. К. АВАЛИШВИЛИ. К вопросу о связях Закавказья с центральной Европой в раннебронзовом веке . . . [illegible]


## ИСТОРИЧЕСКАЯ ДЕМОГРАФИЯ


Д. Л. МУСХЕЛИШВИЛИ. Социально-экономическое развитие и демографические процессы в древней Грузии . . . . . . 162


## НАШ АРХИВ


Заявление заведующего государственной архивной комиссии — Мамии Беришвили . . . . . . 172

З. Н. ЖВАНИЯ. Новый значительный источник истории Грузии 176


## ИЗ НАСЛЕДИЯ ПИСАТЕЛЯ


И. Г. ЧАВЧАВАДЗЕ. Пасхальная . . . . . . . 179


## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ


Н. МГЕЛАДЗЕ, С. АРУТЮНОВ. Тамар Драгадзе. Деревенская семья в Советской Грузии . . . . . . 181


## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ


Л. И. ЛАЗАРАШВИЛИ. Общее совещание отделения общественных наук 187

Г. Г. ХАЖОМИА (некролог) . . 189

К. А. ЧХАТАРАИШВИЛИ. Памяти М. К. Думбадзе . 191

# CONTENTS

## ARTICLES


M. Tsikhesashvili. Notes on the Question of the ethnogenesis of the Chechens and the Ingushes . . . . . . 7
M. Nikoleishvili. From the history of the municipal economy of Kutaisi the II half of the 19—th c. . . . . . . 24
Zh. Eriashvili. Traditional social-religious institutes and the ancient ethnical districts population . . . . . . 34


## PAGES OF THE TRECENT PAST


O. Jordania Introduction . . . . . . 56
V. Tevzadze. Passing Way . . . . . . 58


## PROCEEDINGS AND NOTES


R. Kashia. Georgian trade „Companies" in the XVII century . . . . . . 102
Z. Djavelidze. Data of the ottoman cronicler Ibn-Kemal about Georgia . . . 115
E. Khoshtaria-Brosse The Social and Legal Meanings of the Term „Eri" and its Derivatives „Erisgani", „Eriskatsi" and „Saero" in Old Georgian Written Sources . . . . . . 123
S. Margishvili. Who Are „aznaurni Saxuercing" . . . . . . 130
J.. Lordkipanidze. From the History of Murals in Church of Saviour in Tsalendjikha . . . . . . 143
G. Avalishvili. On the Question of the Transcaucasus with Central Europe in the Early Bronze Age . . . . . . 156
D. Muskhelishvili Socio-economic Development, and Demographic processes in Ancient Georgia . . . . . . 162


## OUR ARHIVES


The Declaration of the Haao of the Government Archives Committee of Mamia Berishvili . . . . . . 172
Z. Zhvania The New Important Source of Georgian History . . . . . . 176


## FROM A WRITER'S LEGACY


I. Chavchavadze For Easten . . . . . . 179


## CRITICISM AND BIBLIOGRPHY


N. Mgeladze, S. Aruthinov, Tamara Dragadze, Rrural familier in Soviet Georgian . . . . . . 181


## CHRONICLE AND INFORMATION


L. Lazarashvili. The General Meeting of the Social Science Department . . 187
Tamar Khazhomia (Obituary) . . . . . . 189
K. Chkhataraishvili. In Memory of M. Dumbadze (Obituary) . . . . . . 191

მათე ციხისაშვილი

# შენიშვნები ჩეჩნებისა და ინგუშების ეთნოგენეზის საკითხისათვის

ჩეჩნეთ-ინგუშეთი ცენტრალური კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, რომელსაც აღმოსავლეთით დიდოეთ-დაღესტანი ესაზღვრება, ჩრდილოეთით — ყიზლარ-ასტრახანი, დასავლეთით — ოსეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — საქართველო (თუშ-ფშავ-ხევსურეთი). ეს მხარე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ამ აბორიგენი მოსახლეობის გამძლეობისა და გადარჩენის ერთ-ერთი პირობა იყო, რომლებიც უძველესი დროიდან მოყოლებული მნიშვნელოვან პოლიტიკურ, კულტურულ-ეკონომიკურ როლს ასრულებდნენ, როგორც საქართველოს, ასევე ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიაში. მათი განვითარება მიმდინარეობდა იმავე სოციალ-ეკონომიკური კანონების საფუძველზე, როგორც კავკასიის სხვა ხალხებისა.

ვაინახების („ვაინახ“ — ქართულად ნიშნავს „ჩვენ ხალხს“. ასე ეძახიან ჩეჩნები და ინგუშები თავიანთ თავს), ისტორია საქართველოს ისტორიას უნდა დავუკავშიროთ, რადგან ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის სამეფოს სახავს, მისი წარმოქმნის ჟამს ფარნავაზის (ქართლის პირველი მეფე) დროიდან და, აქედან მოყოლებული, განსაკუთრებით მრავლდება ცნობები საქართველოსა და ვაინახებს შორის პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობისა. აღნიშნულ საკითხებზე ჩვენ ყურადღებას არ ვამახვილებთ, რადგან ეს საკითხები კარგადაა განხილული სათანადო ლიტერატურაში, ხოლო რაც შეეხება ვაინახების აღმნიშვნელი ეთნონიმების შესწავლამ (რომლებიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება), ცხადყო, რომ ჩეჩნებისა და ინგუშების შესახებ არსებულ ლიტერატურაში დაშვებული შეცდომები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების არამართებული ანალიზით.

ამიტომ ამ მიმართულებით კვლევა-ძიების წარმოება, ცხადია, გულისხმობს იმ ამოსავალი დებულებით ხელმძღვანელობას, რომ ყოველი ქვეყანა თავისი აღმნიშვნელი ეთნონიმებით, მხოლოდ საზღვრებში წარმოიდგინება, „უსაზღვრო ქვეყანა უაზრობაა“[1], რადგან არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ნებისმიერი ქვეყანა მხოლოდ ზუსტ საზღვრებში, ხოლო ამ ქვეყნების მოსახლეობა ზუსტი ეთნიკური ნომენკლატურით წარმოიდგინება. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად თავს იჩენს სერიოზული დაბნეულობა ამა, თუ იმ „ქვეყნის“ ისტორიული გეოგრაფიისა თუ ეთნონიმიკის საკვანძო საკითხების გაშუქებაში[2].

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 107.

2 ვ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, თბ., 1986, გვ. 3.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საგანგებოდ გვინდა ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე, რომ ჩვენ ძირითადად ქართულ წერილობით წყაროებში (რომელთა განხილვის გარეშეც შეუძლებელია ვაინახთა პოლიტიკურ, თუ სოციალურ-კულტურული საკითხების განხილვა) არსებულ ცნობებსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს ვეფუძნებით (უძველესი დროიდან დაწყებული XVIII ს-ის ჩათვლით), რომელთაც ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდათ და, ასე თუ ისე გვიადვილებდნენ მათ სწორად გაგებას. დავსძენთ, ვაინახთა აღმნიშვნელი ეთნონიმების შესახებ მსჯელობა ცალ-ცალკე გვექნება განხილული.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ე. კრუპნოვის შენიშვნას იმის შესახებ, რომ ვაინახების აღნიშნული დასახელება დურძუკი პირველად მოიხსენიება XI ს-ის ქართულ ქრონიკებში[3], რადგან ჯერ ერთი, ყველაზე ადრინდელ ცნობებს უძველესი ქართული ისტორიული მატიანეებიდან დურძუკების შესახებ (იგულისხმება, როგორც გეოგრაფიული მხარე) გვაძლევს (IX ს.) „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ავტორი, რომელიც VI ს-ის 30—40-იან წლებს უნდა ეხებოდეს (შელიშური ვარიანტი)[4], მეორეც არსებობს ამაზე უფრო ადრინდელი უცხოური წყაროები, სადაც მოხსენიებულნი არიან დურძუკები: „II—I ათასწლეულში ჩვენს ერამდე ურარტული ხანის სევანისპირა მანას გაერთიანებაში არსებობდა კავკასიონის მთიელთა „დურძუკთა"[5] მსგავსი სახელი, აღნიშნავს გ. მელიქიშვილი.

წყაროების ობიექტური შეფასების საფუძველზე ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა დურძუკეთი, როგორც გეოგრაფიული მხარე დავადასტუროთ (III ს-ის დასასრულის და IV ს-ის დასაწყისის) „გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების" არაბულ ვერსიაშიც, რომლის ტექსტიც, ნ. მარის აზრით, IX საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს, სადაც აღწერილია, რომ სრულიად სომხეთის კათალიკოსად გახდომის შემდეგ გრიგოლ განმანათლებელმა „წარავლინა მთელს სომხეთში ეპისკოპოსები, საქართველოში, დურძუკეთში და ალანებთან"-ო[6]. ნ. მარის ამ ტექსტში მოხსენიებული ДРЗКНТ ტერმინის გაანალიზებისას ივ. ჯავახიშვილი არ ეთანხმება, რადგან ნ. მარი საწყის Д — ასოს თვლის წინამდებარე სიტყვის ბოლო ასოს მცდარ გამეორებად და მის ნაცვლად ვარაუდობს „Лвзкнт"[7]-ს. ივ. ჯავახიშვილი, ნ. ადონცზე დაყრდნობით, რომელიც ამ ადგილს თარგმნის, როგორც დურძუკთა ქვეყანას (**в страну дурзуков**)[8] იზიარებს ამ ვერსიას, რომ აღნიშნული დასახელების ქვეშ იგულისხმება ქართული „დურძუკეთი" ან „ძურძუკეთი", ე. ი. ჩეჩნების ქვეყანა.

---

[3] **Крупнов Е. И., Средневековая Ингушетия, М., 1971,** გვ. 30.

[4] „მოქცევაჲ ქართლისაჲ", ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა, **Описание рукописей т. II, вып. III, Тф., 1908,** გვ. 723—724.

[5] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 202.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 188.

[7] **Марр Н. А. Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием. Л., 1905,** გვ. 150—160.

[8] **Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана. Книга XI. 1908,** გვ. 328.

[9] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

დურძუკეთი (როგორც გეოგრაფიული მხარე) მოხსენიებულია აგრეთვე IX ს-ის არაბულ წყაროშიც, არაბი მწერლის იბნ-ალ-ფაკიჰის თხზულებაშიც, სადაც აღწერილია ხოსრო ანუშირვანის (VI ს.) მიერ „დურძუკეთში“ 12 კარისა და ქვის სიმაგრეების აშენების შესახებ[10].

დურძუკებს ვხვდებით აგრეთვე IX ს-ის მეორე არაბ ავტორთან ბალაძორთან. იაკუთი, რომელმაც თავისი „გეოგრაფიული ლექსიკონი“ 1227 წ. დაამთავრა და თავის თხზულებაში იყენებს უფრო ადრეულ არაბულ წყაროთა (IX ს.) ცნობებს ხოსრო ანუშირვანის ამბების მოთხრობასთან დაკავშირებით იმეორებს ზემოაღნიშნულ ფაქტს, რომ ანუშირვანმა „დურძუკეთში“ ააგო 12 კარი[11].

ეთნონიმი „დურძუკი“, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, შემონახული უნდა იყოს VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაშიც (ამ გეოგრაფიის შესახებ საუბარი ჩვენ ქვემოთ გვექნება), კერძოდ ისინი ყურადღებას აქცევენ აქ მოხსენიებულ ხალხს „დურც(ქ)-ს“, რომლებიც ფიგურირებენ გუდამაყრელებსა და დიდოელებს შორის[12]. ი. გაგლოითი აიგივებს სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებულ „დურც(ქ)“-ს ქართულ დურძუკებთან და აღნიშნავს „...დურცების იგივეობა დურძუკებთან არავითარ ეჭვს არ იწვევს“-ო[13].

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებული ტერმინ — „დურც(ქ)“-ის ქართულ დურძუკებთან გაიგივების საკითხი სავსებით სამართლიანადაა მოხსნილი. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1968 წ. რ. ხარაძე და ა. რობაქიძე შენიშნავდნენ: „არც ამ ეთნონიმის ფორმა და არც ამ ხალხის ლოკალიზაცია, რომელიც მის ქვეშაა ნაგულისხმევი არ გვაძლევს საფუძველს ამ უკანასკნელთა იდენტიფიკაციისათვის დურძუკებთან“[14].

რამის კითხვა — საიდან მომდინარეობს ვაინახების აღმნიშვნელი ეთნონიმი დურძუკი (XVIII ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონთან გვხვდება ძურძუკიც)?

ძნელი სათქმელია, რა მონაცემებს ეფუძნება ა. შავხელიშვილი, როცა აღნიშნავს. „ეთნონიმ დურძუკის წარმოშობა გაურკვეველი რჩება. ჩეჩნურ-ინგუშურ და ქართულ ენებში ეს ეთნონიმი თავის ახსნას ვერ ნახულობს და ვაინახებისათვის ის საერთოდ არ არის ცნობილი“[15]. მოყვანილი განმარტებიდან ავტორის ეს აღნიშვნა შეუთავსებელია, მისივე მტკიცებასთან, იმის შესახებ, რომ ქართული წერილობითი ცნობების მიხედვით უძველესი დროიდან (ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში) ჩეჩნეთ-ინგუშეთი ცნობილია ძურძუკეთის, ძურძუკ-ღლიღვეთის..., სახელწოდებით. ჩეჩნეთ-ინგუშეთი ეს ორი გეოგრაფიული სახელი (ხაზგასმა ჩვენია — მ. ც.), იმავე ძურძუკისა და ღლი-

---

[10] Караулов Н. А., Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, СМОМПК, т. XXXI, Тб., 1902, გვ. 15.

[11] თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო (VIII—XI სს.), თბ., 1970, გვ. 82.

[12] Армянская география, VII в., перевод Патканова К. П., СПб., М., 1877, გვ. 37.

[13] Гаглойти Ю. С. Аланы и вопросы этногенеза в Осетии, 1966, გვ. 164—165.

[14] Харадзе Р. Л., Робакидзе А. И. К вопросу о нахском этнониме «Кавказский этнографический сборник», вып. II, Тб., 1968, გვ. 24—25.

[15] Шавхелишвили А. И. Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами, Грозный, 1963, გვ. 40.

ღვის გამომხატველია, ვახუშტისეული „ძურძუკეთის“ დასავლეთი ნაწილი ჩეჩნეთის დასავლეთის დასაწყისია, რომ აქ ძურძუკეთში თანამედროვე ჩეჩნეთის მთიანი ზოლია... ან თუნდაც მისივე დამოწმება — „ძურძუკ-ღლიღვეთი გეოგრაფიულად თანამედროვე ჩეჩნეთ-ინგუშეთია“[16] და ა. შ.

აღნიშნულის გარდა ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული, როგორც უცხოური, ასევე ქართული წერილობითი წყაროების საფუძველზე დგინდება, რომ II—I ათასწლეულიდან დაწყებული (ჯერ ერთი, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩვ. წ. აღრ. XI საუკუნე), რადგან დურძუკებად იწოდებოდნენ ვაინახები საერთოდ (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი), (ხოლო აღნიშნული საუკუნიდან დაწყებული XVIII ს-მდე სხვა ეთნონიმებიც გვხვდება, ვაინახი ხალხის აღმნიშვნელად იხმარება ეთნონიმ „დურძუკი“, „ძურძუკი“)[17], მაშინ რატომ არ უნდა იყოს ის ცნობილი ჩეჩნებისა და ინგუშებისათვის.

ავტორის ამგვარი მიდგომის საფუძველი, როგორც ჩანს, უნდა მომდინარეობდეს შემდეგი გარემოებიდან. ვაინახები ნახურ ენაზე მოლაპარაკე ხალხია და ქართულ წერილობით წყაროებზე მათ ხელი არ მიუწვდებათ (ენის უცოდინარობის გამო) და, ამდენად, ეს ეთნონიმი მათთვის უნდა ყოფილიყო უცნობი. ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე სხვა აზრი არ უნდა არსებობდეს იმის შესახებ, რომ „დურძუკი“ ვაინახებისათვის არ იყოს ცნობილი.

ხსენებული მკვლევრის შეცდომას უფრო ამძიმებს იმის მტკიცება, რომ „ლინგვისტური (ხაზგასმა ჩვენია — მ. ც.) ტოპონიმების შესწავლის შედეგად შეიძლება გაცემულიყო პასუხი „დურძუკის“ წარმოშობის კითხვაზე და უთითებს: „თუშეთის“ ერთ-ერთ კუთხეში ჩალმა არის მდ. დურჯი*, რომელიც ჩაედინება მდ. ალაზანში მარცხენა მხრიდან. ამ მდინარის გარდა არის მეორე მდ. დურუჯი კახეთში, ყვარლის რაიონში. ის მოედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთით და წარმოადგენს მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადს. ეს გვაძლევს იმის საბაბს ვიფიქროთ, რომ ოდესღაც აქ მდ. დურჯის სანაპიროზე ნახური ტომი ცხოვრობდა. ამ მდინარის სახელწოდების მიხედვით შესაძლოა, მათ ეწოდათ დურდზი“. თავისი ამ შეცდომის საარგუმენტაციოდ მკვლევარი იშველიებს ივ. ჯავახიშვილს (თუ რომელი წყარო აქვს მხედველობაში, ჩვენთვის უცნობია), რომ ივ. ჯავახიშვილი აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთის ტოპონიმიკისა და ეთნონიმიკების გულდასმითი შესწავლის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ტერიტორიაზე შორეულ წარსულში ცხოვრობდნენ დაღესტნელი და ჩეჩნურ-ინგუშური ხალხების წინაპრები“[18]. როგორც ვხედავთ ავტორს არამართებული წარმოდგენა აქვს აღნიშნული ეთნონიმის მიმართ და მის ახსნას უკავშირებს კახეთის მთიანეთში არსებულ მდინარეებს.

---

16 ა. შავხელიშვილი, საქართველო ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI—XVIII სს., თბ., 1980, გვ. 5—22.

17 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 651—652.

* უნდა აღინიშნოს, რომ მთხრობელთა გადმოცემით ასეთი მდინარე საერთოდ არ დასტურდება.

18 Шавхелишвили А., Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами, გვ. 40—41.

ეთნონიმმა „დურძუკმა“ მკვლევართა ყურადღება მიიქცია. ა. გენკო შეეცადა აეხსნა ეს ეთნონიმი და დაუკავშირა „ორმო“-ს აღმნიშვნელ ოსურ ლექსემას, რომელიც ბგერობრივად ახლოს დგას საკვლევ ტერმინთან[19]. ა. გენკოსეულ ეთნონიმ „დურძუკის“ ეს ინტერპრეტაცია დღეს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში უარყოფილია. ვ. ვინოგრადოვი და კ. ჩოკაევი აღნიშნულის შესახებ წერენ: „საკმაოდ დიდი რაოდენობის ტოპონიმიკური მასალა მიუთითებს ჩვენთვის საინტერესო ტერმინის არსებობაზე თანამედროვე ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ასე მაგალითად, სოფლის სახელწოდება, რომელიც შეესატყვისება მთის — დურძი-დორძი — სახელს“[20].

აღნიშნული ეთნონიმი, დღევანდელი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე რომ დასტურდება, ერთგვარად ადასტურებს ხ. ოშაევიც, რომელიც წერს, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში (სოფ. ითონკალეში) არის „დურძუკ-ქორთ“, რომელიც აღნიშნავს დურძუკის მწვერვალს[21]. ასევე ივანენკოვთან დაცული თქმულებებიც მოგვითხრობენ, რომ აქ ცხოვრობდნენ „Дардыкоях“, რომლებიც შემდეგში თანამედროვე ჩეჩნების გვარებმა შეცვალეს[22].

აღნიშნული ეთნონიმის შესახებ საინტერესო დასკვნა აქვს გაკეთებული ს. ჯამირზაევს: იგი აღნიშნავს — „Наиболее созвучно с этнонимом Дзурдзукъ название Чеченского общества (тайпа) Дзандакъ-ой//Сандакъой, локализующегося в юго-восточной части Чечни“, საინტერესოა იგი შევადაროთ აულების დასახელებას: — „Дзандакъа, Дзандакъ-Ара „поле, плоскость, равнина“ (в Ножой-Юртовском районе) и Сандакъа. Название горы Сандакъой — лам—гора Сандакойцев (Советского района)[23].

დამოწმებული მასალა გვაიძულებს კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ეთნონიმ დურძუკს. ქვემოთ გარკვევით არის ნაჩვენები, რომ დურძუკეთი წარმოადგენდა თანამედროვე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიას.

ქართლის ცხოვრებაში დაცული ტრადიციით ლეონტი მროველი კავკასიის ხალხთა ისტორიას იმ ხანიდან იწყებს, როდესაც ადგილი ჰქონდა კავკასიის თავდაპირველ დასახელებას. ლეონტი „ცხოვრება ქართველ მეფეთა“-ში წერს: „დურძუკ... უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა მივიდა და დაჯდა ნაპრალს შინა მთისასა, და უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი“[24]. ლეონტის ამ ჩვენების მიხედვით, დურძუკი კავკასოსის შვილად არის მიჩნეული.

ისმის კითხვა — ვინ არის კავკასოსი? ამის შესახებ ცნობებს თვით ლეონტი იძლევა: „ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძმისწული იაფეთისი, ძისა ნოესი და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათა-

---

19 Генко А. Н. Из культурного прошлого Ингушетии и записки общества востоковедов. Т V, Влад. 1930, გვ. 705.

20 Виноградов В. Б., и Чокаев К. З. Древнейшие свидетельства о названиях и размещении нахских племен, Арх.-этног. сбор., Г. 1966, т I

21 Харадзе Р. Л. Робакидзе А. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

22 იქვე.

23 Джамирзаев С. М., К этимологии слова дзурдзуки (дурдзуки). Вопросы Вайнахской лексики, Грозный, 1980, გვ. 85.

24 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქ., ტ. I, თბ., 1955, გვ. 12.

სა ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი, და განეყვნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა..., შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს, ესე რვანი იყვნენ გმირნი“[25].

ლეონტი კავკასიის ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ წერისას ეჭვს გარეშეა, უნდა ემყარებოდეს რაღაც ისტორიულ წყაროთა მონაცემებს, მაგრამ მისი ცნობა კავკასიის ხალხთა თავდაპირველი განსახლების შესახებ ელემენტია იმ რთული კონცეფციისა, რომ კავკასიის ტომები ნოეს ძის იაფეტის შვილიშვილის თარგამოსის შთამომავლები არიან მას შემდეგ, რაც ნებროთმა ბაბილონის გოდოლი ააშენა, იქ ენები გაიყვნენ და განიბნივნენ მთელს ქვეყანაზე[26].

ლეონტი მროველს ერთ სხვა ადგილას იგივე დურძუკი ტირეთის ძედ ჰყავს მოხსენიებული: „ხოლო შვილთა ზედა კავკასისთა იყო უფალ დურძუკ, ძე ტირეთისი“[27].

ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც ლეონტი მროველისეული ეთნოგენეტური კონცეფციიდან გამოდის და მის თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა, ვაინახების (დურძუკების ისტორიას იმ ხანიდან იწყებს, როცა მისი აზრით, ადგილი ჰქონდა კავკასიის თავდაპირველ დასახლებას. იგი გვამცნობს: „კავკასოს დაიპყრა ქუეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პონტოს ზღუამდე, კავკასიის ჩრდილოეთი ველითურთ..., ხოლო ძე ტინენისა დურძუკოს, უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის კავკასიოსთა, შემოივლტო კავკასის მთასა შინა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვსი. ამის გამო უწოდა არაგვს (თერგის — მ. ც.) აღმოსავლის კერძს ლეკეთის საზღვრამდე ძურძუკეთი“[28]. ვახუშტი თავისი ნაშრომის სხვა ადგილას ოდნავ განსხვავებულ ვარიანტს გვაწვდის. „ძურძუკოს ძემან ტინენისამან, რომელ უწარჩინებულეს იყო ძეთა შორის კავკასიოსთა, ჩამოვიდა ესე ძურძუკოს კავკასიასა შინა და პოვა ადგილი ფრიად მაგარი და აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ძურძუკი..., და ეწოდა შემდგომად მისსა ძურძუკეთი ჰევის (ე. ი. თერგის — მ. ც.) აღმოსავლეთთა ჰეობათა, ხევის დასავლეთისათა კავკასნი. ანუ შემდგომად მისა ძურძუკეთი ანუ დუალეთი“[29].

როგორც ლეონტი მროველის, ასევე ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებით, დურძუკი ტირეთის შვილი ყოფილა, მათი ნაშბობიდან არა ჩანს, ტირეთი კავკასოსის შვილად არის ნაგულისხმები, თუ ტირეთი და კავკასოსი ერთი და იმავე ეთნონიმის ორი სხვადასხვა სახელია. ყოველ შემთხვევაში აღ-

---

25 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 3—4.

26 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები ტ. II, თბ., 1952, გვ. 22.

27 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 11.

28 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 632—633.

29 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 654.

შენიშვნა: განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ვახუშტის ეს უკანასკნელი გამოთქმა. ამის შესახებ შეიძლება დაისვას კითხვაც, როგორც უნდა გვესმოდეს ყოველივე ეს. დღეს დუალებისა და დუალთა ვინაობის შესახებ მრავალი გამოკვლევის მიუხედავად ერთი აზრი არ არსებობს. ჩვენი შრომის განსაზღვრული მოცულობის გამო იქ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რომელია სწორი, ამ საკითხს ჩვენ შემდეგში დავუბრუნდებით.

ნიშნულიდან გამომდინარე ერთი რამ ცხადია, რომ ეთნონიმ დურძუკის წარმოშობა ახსნება შემდეგნაირად: ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად (რომელიც ქართლის სამეფოს წარმოქმნას ძვ. წ. — ახ. IV ს. დასასრულიდან იწყებს და დურძუკეთს ამ დროიდან დაწყებული წარმოგვიდგენს, როგორც მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიულ ერთობას ერთნაირი მოსახლეობით). კავკასიოსი იყო თარგამოსის მეშვიდე შვილი და ქართლოსის ძმა. ამ კავკასიოსის შთამომავალი (შვილი) იყო „დურძუკი“. ამიტომ ამ მხარის ლომეკის** (მდ. თერგის — მ. ც.) აღმოსავლეთით მდებარე ადგილს ლეკეთის საზღვრამდე (დაღისტნამდე) მამა-შვილის[30] სახელის მიხედვით მათ შთამომავლებს (ვაინახებს) კავკასიონი და დურძუკები ეწოდათ, რომელიც ცენტრალური კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის ჩრდილოეთ კალთებზე მოსახლე ტომის ეთნიკური სახელია. ვაინახი ტომის სახელწოდება „დურძუკი“ არის ეთნონიმი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში, გამონაკლისის გარეშე, ლოკალიზდება აღმოსავლეთით დაღესტანსა“ და დასავლეთით მდ. თერგს შორის. ამასთან, „კავკასიანნი“ ფართო მცნებაა, ხოლო „დურძუკნი“ — მთლიანი „კავკასიანნის“ მნიშვნელოვან ნაწილს აღნიშნავს[31].

ზემოაღნიშნულის შეჯამების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია ეთნონიმ დურძუკის ახსნა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ვეძიოთ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძვ. წ. — ახ. IV საუკუნის დასასრულიდან დაწყებული ე. ი. ფარნავაზიდან (ქართლის პირველი მეფე). ახ. წ. — ახ. XI ს-მდე „დურძუკებად“ იწოდებოდნენ ვაინახები. საერთოდ, აღნიშნული საუკუნიდან დაწყებული ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში ჩეჩნებისა და ინგუშების აღმნიშვნელ სახელებად დარძუკთან ერთად გვხვდება: ღლიღვი[32], ქისტი[33] და იშვიათად ნოხჩი[34], XVIII ს-მდე.

აქვე შევნიშნავთ: მეტი სიფრთხილე იყო საჭირო, როდესაც ითქვა, ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ადრეფეოდალურ ხანაში (რომელიც IV—X საუკუნეებით იფარგლება) ცნობილი იყო ვაინახური მოდგმის ხალხთა რამდენიმე ტომობრივი გაერთიანება და თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებ-

---

** ერთგვარ ინტერესს იწვევს ქართულ წერილობით წყაროებში არსებული ჰიდრონიმ „თერგის“ (ლომეკი-ს) ახსნის ცდები. ლომეკი-ლომეჩი-ლამხი, შესაძლებელია, ეს სიტყვა ნახურთან იყოს დაკავშირებული (რადგან ლომ-ხი, ლამ-ხი, ნახურ ენაზე ნიშნავს მთის წყალს — მ. ც.). ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ, იმ ავტორების შრომებზე, სადაც აღნიშნულ ჰიდრონიმზეა საუბარი. ეს საკითხი შემდგომი კვლევის საგანია.

30 ცნობილია, რომ ცალკეული ინდივიდის სახელი ზოგადდება, სახელს ძლევს ამა თუ იმ ხალხს და კრებითი მნიშვნელობის ფუნქციასაც ასრულებს ხოლმე (ამაზე ქვემოთ).

31 Гамрекели В. Н. Двали и Двалетия в I—XV вв., Тб., 1961. გვ. 26—27.

32 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 561; იქვე. Джанашвили М., Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, СМОМПК, т. XXII, Тб., 1897, გვ. 31, ნ. ბერძენიშვილის რედ. საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 245; დ. გვრიტიშვილი, ქართლის ბარი.

33 Армянская география VII в. перевод Патканова, გვ. 37; კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. I, თბ., 1956, გვ. 179. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 651—653; დ. გვრიტიშვილი, ქართლის ბარი.

34 Армянская география, გვ. 37; კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. II, თბ., 1945, გვ. 314—315.

ლად მოიშველიეს „სომხური გეოგრაფია“, რომელშიც მოხსენიებულია კავკასიის მთიელთა ჩამოთვლისას: ჩანახატები კუსტები და ცხოვატელები[35].

ღლიღვი შეესატყვისება ინგუშების თვითსახელწოდებას — ღალღას. „ღალღა“-ს უწოდებენ თავიანთ თავს ინგუშები (თუ რამ გამოიწვია დურძუკთან ერთად ამ ეთნონიმის გაჩენა, ამაზე ქვემოთ). ჩვენ ვერ დავეთანხმებით ე. კრუპნოვს, როცა აღნიშნავს, პირველად ღ ლ ი ღ ვ ი მოიხსენიება XI საუკუნის ქართულ ქრონიკებშიო[36], ზემოთ დამოწმებული ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ (XI) ს. ისტორიკოს ლეონტი მროველთან მსგავსი რამ არაა მოხსენიებული. ე კრუპნოვის ამგვარი მიდგომის საფუძველი, ჩანს, უნდა მომდინარეობდეს XVIII ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონიდან, რომელიც თავის ნაშრომში უძველესი დროიდან დაწყებული XVIII ს-მდე ქართველი ისტორიკოსებიდან პირველი იხსენიებს ღლიღვს XI ს-ის ამბებთან დაკავშირებით[37]. მისაღები უნდა იყოს მის მტკიცება, როცა წერს: „შუა საუკუნეებში ამიერკავკასიის ხალხისათვის ჩეჩენთა მოსახლეობა ცნობილი იყო „დურძუკებ“-ის, ხოლო ინგუშები — „ღლიღვებ“-ის სახელწოდებით“[38].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ე. კრუპნოვის იმ მტკიცებასაც, როცა სხვადასხვა წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით ამტკიცებს ინგუშების აღმნიშვნელი ამ ეთნიკური ტერმინის „ღალღასა“ და სტრაბონისეულ „გარგარებს“ შორის არსებულ გენეტურ კავშირზე და წერს; „ამ საკითხის სპეციალური გამოკვლევით მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ სტრაბონისეული გარგარების, ინგუშების ტომობრივი თვითდასახელების ღალღაისთან გაიგივების კანონიერება შეიძლება მივიჩნიოთ სავსებით დაფუძნებულად“[39], ამის დამადასტურებელ მთავარ არგუმენტად მკვლევარს მოაქვს ვაინახებში დღემდე შემონახული სიტყვა „გარგარ ნახ“, რაც ნიშნავს ახლობელ, ნათესავ ხალხს[40].

ვფიქრობთ, განმარტებას არ უნდა საჭიროებდეს ის გარემოება, რომ სტრაბონისეულ გარგართა სამოსახლეო ტერიტორია, როგორც სათანადო ლიტერატურაშია დადგენილი, წარმოადგენდა კავკასიის ალბანეთის ტერიტორიას (და არა ჩრდილო კავკასიის ტერიტორიას, როგორც ამას აღნიშნავდნენ ძველი ბერძენი ავტორები)[41]. მაშინ, როცა ღალღაის ინგუშების ტომის საცხოვრისი უძველეს დროიდანვე ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასია არის და ამასთანავე ვაინახური ეთნოსის კუთვნილებას შეადგენს. ე. ი. გეოგრაფიული მდებარეობა არ იძლევა ამის დაშვებას, მეორეც — ყველა მონაცემით გარგარები წარმოადგენენ კავკასიის ალბანელთა წინაპრებს და არავითარ კავშირში არ არიან სტრაბონისეულ გარგარებთან, რომ გარგართა ენა მიე-

---

35 ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ., 1969, გვ. 60.
36 Крупнов Е. И. Средневековая Ингушетия, გვ. 30.
37 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 361.
38 Крупнов Е. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 30.
39 იქვე, გვ. 25.
40 Крупнов Е. И., Древняя история Северного Кавказа, М., 1960, გვ. 72—74
41 Латышев В. В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе. В. Д. И. 1947, № 3, 1948, № 4, გვ. 222, 296—639.

კუთვნება კავკასიის ალბანეთში შემავალ ტომთა ერთ-ერთ ენას, რომელიც მოიცავს აგრეთვე სამხრეთ დაღესტნის ტომებს[42].

ეს მოსაზრება გვაიძულებს კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ე. კრუპნოვის ცდას სტრაბონისეული გარგარების ვაინახურში არსებულ სიტყვა „გარგარ ნახ“-თან გაიგივების საკითხს.

ა. შავხელიშვილი თავის საკანდიდატო დისერტაციაში აღნიშნავს, „არადროულია იმ დასკვნის გამოტანა, რომ გარგარები წარმოადგენენ წინაპრებს სახელდობრ ინგუშებისა, რადგან ეთნიკური, ენობრივი განსხვავება ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის ადრეულ პერიოდში იყო უფრო ნაკლები, ვიდრე ახლაა“[43]. ინგუშური ენა ეკუთვნის კავკასიურ ენების ნახურ (ვაინახურ) შტოს და განსაკუთრებით ახლოსაა ჩეჩნურთან, ჩეჩნურ და ინგუშურ ენაზე მოლაპარაკენი თავისუფლად უგებენ ერთმანეთს, მაგრამ იქვე მიუთითებს, „რომ ინგუშებისა და ჩეჩნების წინაპრების გარგარებთან გაიგივება (ხაზგასმა ჩვენია — მ. ც.) არ უნდა იყოს მოკლებული მეცნიერულ ღირებულებას“[44]. იგივე ავტორი თავის სხვა ნაშრომში შენიშნავს: ე. კრუპნოვის ზემოთ აღნიშნული მოსაზრება საკამათოდ მიგვაჩნია ორი გარემოების გამო: „ჯერ ერთი, მათი გეოგრაფიული ლოკალიზაცია არ იძლევა ამის თქმის საშუალებას. მეორეც, გარგარები ეთნიკური ნიშნის გამომხატველი ცნებაა, ხოლო „გარგარ“ ვაინახურად ნიშნავს ახლობელს, როგორც ვხედავთ, ეს ორი სიტყვა სემანტიკურად განსხვავებულია..., გარდა ფორმალური დამთხვევისა, დამატებითი წერილობითი, არქეოლოგიური, ტოპონიკური და სხვა სახის მასალები არ გვაგვაჩნია იმისათვის, რომ „გარგარები“ ღლიღველების წინაპრებად გამოვაცხადოთ“[45].

ძნელი სათქმელია, რა მონაცემებს ეფუძნება ა. შავხელიშვილი, როცა ინგუშების აღმნიშვნელ ეთნონიმ „ღლიღვს“ ქართულ სიტყვა გალელილ-დალელილთან აკავშირებს და ამბობს: „ხომ არ არის ღლიღვი ამ ქართულ სიტყვასთან დაკავშირებული“[46], თავისი ამ დებულების საარგუმენტაციოდ იშველიებს ვახუშტის, რომელსაც თავის ნაშრომში ერთ ადგილას ღლიღვთან დაკავშირებით უწერია „... ღლიღოსისაგან, ძურძუკოს ძის-ძისაგან, სახელდებული ანუ უმოსოლობისათვის წოდებული“-ო[47]. მკვლევარი იქვე განმარტავს: ვახუშტის ამ ცნობით, ღლიღვი ძურძუკის ჩამომავალია და ეს სახელი ჩაცმულობის თავისებურებასთან ყოფილა დაკავშირებული[48]. ყოვლად მიუღებელია დამოწმებული ავტორის ეს მტკიცება, რადგან, ჯერ ერთი, ქართული სიტყვა „გალელილი“, „დალელილი“ არის დაკავშირებული სიტყვა

---

43 თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო (VIII—IX სს.) გვ. 87.

44 შენიშვნა: ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორს ამ აღნიშვნაშიც, რადგან ეთნიკურ, ენობრივ განსხვავებაზე ლაპარაკი ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის მიუღებელია. მართალია, დღეს კონსტიტუციით ამ ხალხის მიმართ ცალ-ცალკე აღნიშნება ჩეჩენ-ინგუშეთში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ან ენობრივად ან ეთნიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რაც შეეხება ენას, ადრეც და ახლაც ძალიან კარგად უგებენ ერთმანეთს (დიალექტზე და გრამატიკულ ნიშნებზე არა გვაქვს საუბარი).

44 Шавхелишвили А., Из истории взаимоотношений... გვ. 33.

45 ა. შავხელიშვილი, საქართველოს და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI — XVIII სს. გვ. 7.

46 ა. შავხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

47 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 652.

48 ა. შავხელიშვილი, საქართველოს და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI—XVII სს., გვ. 6.

ლილა-სხაან, მეორეც, როცა საქმე ეხება ხალხის (ტომის) აღმნიშვნელ ეთნონიმს, მის მიმართ ასეთი მიდგომა მეტ სიფრთხილეს მოითხოვს, იმიტომაც, რომ ქეროვანი თვალსაჩინოებისათვის ყოველივე ამის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს მოცემული სათანადო განმარტება და, რაც მთავარია, ლილვი ჩვენ ტოპონიმის სახით გვხვდება, მაგ., ლილუეთი, ლილვის წყალი, ლილვის ქვეყანა და ეთნიკური სახელითაც „ლილოსი"[49]. რაც შეეხება ვაინახი ხალხის აღმნიშვნელ ეთნონიმ „ქისტზე" ადრე ეთნონიმ „ნოხჩი"-ს განხილვას, ჩვენ აქ განვაზ ვუშვებთ.

„ნოხჩი"-ს უწოდებენ ჩეჩნები თავიანთ თავს. საისტორიო წყაროებში ეს ეთნონიმი XVIII ს-მდე ორჯერ გვაქვს დადასტურებული. VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში „ნახჩამატებ"-ის ფორმით[50] და XIV საუკუნით დათარიღებულ ქართულ დოკუმენტში (როგორც გეოგრაფიული მხარე), „ნახჩთა" სახელით[51]. VII ს-ის „სომხურ გეოგრაფიაში" ეთნონიმი ნოხჩი, როგორც აღინიშნა, გვხვდება „ნახჩამატებ"-ის ფორმით. ისმის კითხვა — რამდენად შეესაბამება სინამდვილეს კ. პატკანოვის აზრი, რომელიც პტოლემაიოსის იაქსამატების ნაცვლად VII ს. „სომხური გეოგრაფიის" თარგმანში იყენებს ნახჩამატებს (რომლებიც ლოკალიზდებიან დონის შესართავში და აიგივებს მათ თანამედროვე ჩეჩნებთან?), რომლებიც დღესაც თავიანთ თავს უწოდებენ „ნოხჩი"-ს (ნოხჩუო-ს)[52]. შემდეგში პატკანოვის ეს მოსაზრება ყოველგვარი კომენტარების გარეშე გაიზიარეს სხვა მკვლევრებმაც და აღნიშნეს: „სომხური გადმოცემა ბერძნულ-რომაული ფორმისა ი ა ქ ს ა მ ა ტ ი უახლოვდება ეთნონიმ „ნოხჩი"-ს, როგორც უწოდებენ დღევანდელ დროში ჩეჩნები თავიანთ თავს. VII ს-ის სომეხმა ავტორმა იცოდა რა კარგად კავკასია, სწორედ გადმოსცა ადგილობრივი ეთნიკური „ტერმინი", რადგან სახელწოდება „ნახჩამატიან"-ში ეთნიკური დაბოლოება „იანი". „იანც"-ი დამახასიათებელია სომხებისათვის. ხოლო სიტყვა „მატ"-ს გაუკეთეს ინტერპრეტაცია ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელობით, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს მეორე ფუძეს ისეთი ეთნონიმებისა, როგორიცაა „სარმატ-ი", „იაქსამატ"-ი, რომლებიც ცნობილი არიან ირანულენოვანი ტომებისათვის წინა კავკასიაში, აქედან გამომდინარე დაასკვნეს: კ. პატკანოვმა სრული საფუძვლიანობით თვითონ ძირი განსახილველი „ნახჩა" დაუკავშირა თანამედროვე ჩეჩნებს, რომლებიც ნამდვილად დღეისათვის იწოდებიან „ნახჩო"-დ, „ნოხჩუო"-დ, სალიტერატურო ენაში „ნოხჩო"-დ,[53] ხოლო, ხოლო თავიანთი ამ დებულების საარგუმენტაციოდ[54] მოიშველიეს ნ. მარი, რომელიც აღნიშნავს:

---

[49] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 651—654.

[50] Армянская география,... გვ. 37.

[51] კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. II, გვ. 314—315.

[52] Русско-чеченский словарь. «Русский язык», М., 1978, გვ. 695.

[53] Крупнов Е. М. Средневековая Ингушетия, გვ. 38—39. Очерки истории Чечено-Ингушской АССР. Т. I. Грозный, 1967, გვ. 30.

[54] შენიშვნა: საინტერესოა აღნიშნოს, რომ თავისი დებულების საარგუმენტაციოდ ე. კრუპნოვი ნაწილობრივ იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს და აღნიშნავს: სინამდვილეში სიტყვა „მატი"-ი, სხვადასხვა ვარიაციით, გავრცელებული არის ჩრდილო კავკასიის ფართო ტერიტორიაზე და ჩართული არის სხვადასხვა ეთნონიმში, ჯავახიშვილის დაკვირვებით ის გვხვდება ქართულ ენაშიც (Крупнов Е. Средневековая Ингушетия, გვ. 29). შესაძლებელია, მკვლევარის შეხედულებაში ჰქონდა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, კერძოდ, როცა წერს:

„ამნაირი სატომო სახელების გავრცელების ტერიტორიისდამიხედვით უფრო ბუნებრივი იქნებოდა სიტყვა „მატ“-ი ჩეჩნურსა და მის მონათესავე ენებში გვეძებნა. ამიტომ „მატ“-ი ენის აღმნიშვნელ ჩეჩნურ სიტყვად მიმაჩნია. რომელსაც ეხლაც „მა˘თ“ ინგუშურად „მოთთ“ ეწოდება**, რომელსაც ტომობრივ სახელებში ხალხების მნიშვნელობა ,ენიჭებათ“[55].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ აგრეთვე „ჩეჩნეთ-ინგუშეთის ისტორიის ნარკვევების“ პირველი ტომის ავტორთა იმ თვალსაზრისს, რომლებიც პტოლემაიოსის იაკსამატების ტრანსფორმაციას ნახჩამატებად შემდეგნაირად ხსნიან და აღნიშნავენ: „როგორც ჩანს, ნახჩამატების ლოკალიზაცია დონის შესართავში უნდა იყოს ჩვ. წ. აღ. II ს. ბერძენი გეოგრაფის პტოლემაოსის ცნობის თავისუფალი გამოყენების შედეგი, რომელიც ერთ-ერთი პირველხარისხოვანი წყაროა“ „სომხური გეოგრაფიისა“. პტოლემაოსი იცნობდა ტანაის შესართავთან მახლობლად მცხოვრებ სარმატებს, იაკსამატებს, რომლის ბერძნული დამწერლობა სომეხ ანონიმ ავტორს აგონებდა მისთვის კარგად ცნობილი მთიელი ხალხის ნახჩამატების სახელწოდებას“[56], როგორც ვხედავთ, აქაც ჩვენთვის ცნობილ ზემოთაღნიშნულ უზუსტობასთან გვაქვს საქმე.

მართალია VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში დაცული ცნობები კავკასიის მთიელი ტომების შესახებ ყურადღებას იქცევს, მაგრამ აღნიშნული გეოგრაფიის შესახებ არსებულმა სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ ცხადყო, რომ მას მრავალ სხვა თხზულებასთან ერთად საფუძვლად უდევს პტოლემაიოსის გეოგრაფიაც, რომელიც თავისებურად არის შევსებული სომეხი ანონიმი ავტორის მიერ იმ ნაწილში, სადაც კავკასიაზეა საუბარი, მეორეც, სომეხი გეოგრაფის მიერ კავკასიის მთიელი ტომების აზოვ-სარმატიაში მოთავსება (მაშინ, როდესაც ისინი აშკარად ქართლის სამეფოს ფარგლებში შემოდიან) მიუთითებს მათ ეთნიკურ განსხვავებაზე, ვიდრე პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე[57].

აკად. ი. მანანდიანი სპეციალურად იკვლევდა „სომხური გეოგრაფიის“ ავტორობის საკითხს. იგი აღნიშნავს: „სომხური გეოგრაფია“ სარგებლობდა რა ფართო პოპულარობით სომხეთში, შემონახული გვაქვს მრავალრიცხოვანი ხელნაწერების სახით. ხდებოდა მისი არა ერთხელ ბეჭდვა დაწყებული XVII ს-იდან. ყველაზე უძველესი ხელნაწერი XIII საუკუნეზე იქით აღარ

---

* ...ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია, რომ იმიერკავკასიაში მცხოვრებ ერთ ზოგად სახელებს ბოლოში აქვთ „მალ...“; (იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 98). მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს აღნიშნული ცნებების ერთმანეთთან გაიგივების არამართებულ ანალიზის კვალობაზე შემუშავებულ მოსაზრებასთან და მკითხველს აყენებს ეჭვქვეშ. ასეთ უზუსტობას არ ექნებოდა ადგილი, ე. კრუპნოვს რომ ესარგებლა მის მიერვე დამოწმებული ავტორის სხვა შრომებით.

** აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოდ უნდა ითქვას: როგორც ცნობილია, „მეათი“-„მოთი“ ლეზგიაც წარმოადგენს ჩრდილო კავკასიაში ფართოდ გავრცელებულ სიტყვას და ნიშნავს „ენას“.

55 М а р р Н. Я., Кавказские племенные названия и местные параллели. Петроград, 1922, გვ. 20—21.

56 Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, გვ. 31.

57 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977, გვ. 99—100, 225—226.

მიდის"[58]. ყოველივე აქედან გამომდინარე სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშ-ნა: ერთ-ერთმა გვიანდელმა ინტერპოლატორმა, რომელიც კარგად იცნობდა XIV ს-ის დასაწყისის ქართულ წყაროს, ისესხა მისგან ჩეჩენთა აღმნიშვნელი სახელწოდება „ნოხჩო“ (ნოხჩი), (რადგან ეს სახელწოდება ქართულ წყაროებში აღნიშნულ საუკუნეზე ადრე არ გვხვდება) და შეიტანა იგი სომხური გეოგრაფიის ტექსტში, მაგრამ რადგან მას არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა „ნოხჩო“-ს ტომის ადგილმდებარეობის შესახებ, იგი დაეყრდნო იმ ერთგვარ ბგერობრივ მსგავსებას, რომელიც არსებობდა ტერმინებს — იაქსამატებსა და ნახჩმატებს შორის და ამ სახელის მატარებელი ხალხი მოათავსა იმ ადგილებში, სადაც პტოლემაოსს აღნიშნული ჰყავს იაქსამატები"[59]. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ჩეჩნური მითოლოგიური გადმოცემით ჩეჩნები წარმოიშვნენ „ნაშახ“-ში (ადგილია ჩეჩნეთში), საიდანაც მომდინარეობს „ნოხჩი“ — ჩეჩნების აღმნიშვნელად. ასევე არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც მთელი ჩეჩნები ორ ნაწილად იყოფოდნენ: „ნოხჩი“-დ — „მხვნელ-მთესველებად“ და „ჭაბერლოიდ“ — მეცხვარეებად“. აღნიშნული ორივე გადმოცემა მეურნეობის დარგების: ერთი — მიწათმოქმედების, მეორე — მესაქონლეობის ტრადიციასთანაა დაკავშირებული[60].

ვფიქრობთ, ნათქვამის ერთგვარი დადასტურება უნდა იყოს აკად. ს. ერემიანის მიერ მოსკოვში 1964 წ. „ანთროპოლოგებისა და ეთნოგრაფების“ მე-7 საერთაშორისო კონგრესზე გაკეთებული მოხსენება, რომელიც ეხება „მთიელი ხალხის განსახლების საკითხს კავკასიაში, პტოლემაიოსისა და VII ს. სომხური გეოგრაფიის მიხედვით“ და აღნიშნავს: „შეუძლებელია ჩვ. წ. აღრ. VII ს-ში თანამედროვე ჩეჩნების წინაპრებს, რომ ეცხოვრათ მდ. ტანაისზე — დონზე. ამ პერიოდში მათ უნდა ეცხოვრათ თანამედროვე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (ხაზგასმა ჩვენია — მ. ც.), ხოლო რაც შეეხება მათ ლოკალიზაციას მდ. ტანაის — დონის შენაკადებთან გაკეთებული იქნა პტოლემაოსის გავლენით, რადგან აღნიშნული მონაკვეთი, სადაც დასახელებულნი არიან „ნახჩმატები“ ითვლება თითქმის სიტყვა-სიტყვით ნათარგმნად ბერძენი „გეოგრაფ-კარტოგრაფის“ ტექსტისა[61].

იაქსამატების ტომის ბინადრობის გეოგრაფიული განსაზღვრა ძნელი არ არის, შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, რადგან კლ. პტოლემაოსს ამაზე სრულიად გარკვეული ცნობები მოეპოვება. მისი სიტყვით, ...მდ. დონის აუზის სამხრეთ ნაწილში ყოფილა მათი ბინადრობის ადგილი, რასაც აქ ორი გეოგრაფიული სახელი ამტკიცებს“. ამავე მეცნიერის სიტყვით, წერს ივ. ჯავახიშვილი, მდ. ტანაისის, ანუ დონის, შესართავს შემდგომ აზიის სარმატიაში აქსაბატისია.... ამჟამად ასეთი გეოგრაფიული სახელი ამ ხანახებში აღარ არსებობს, სამაგიეროდ დღევანდელამდეა დაცული დონის შესართავის სახელი „აქსაი“,

---

[58] Манандян Я. А., Когда и кем была составлена «Армянская география», приписываемая Моисею Хоренскому, Византийский временник, т. I (XVI), М., 1947, გვ. 127

[59] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61

[60] ეს ეთნოგრაფიული მასალა მოგვაწოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტ. ბ. გამყრელიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[61] Крупнов Е. И., Средневековая Ингушетия, გვ. 29.

რომლის ნაპირსაც XIX ს. დამდეგს არსებობდა დონის ყაზახთა სოფელი ოქსაისკაია)[62].

ეთნონიმი „ქისტი“ პირველად VII ს. „სომხურ გეოგრაფიაში“ „კუსტი“-ს[63] სახით გვხვდება, ხოლო XIII ს-ით დათარიღებულ დოკუმენტში „ქიშტნი“-ს[64] სახით. აღნიშნულ ეთნონიმის წარმოშობის საკითხი სათანადო ლიტერატურაში განმარტებულია[65].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ა. შავხელიშვილის თვალსაზრის, როცა აღნიშნავს: „წარმოშობით ქისტის სახელწოდება უფრო შორეული ჩანს (ხაზგასმა ჩვენია — მ. ც.), ეს სახელწოდებები (მათ შორის იგულისხმება „ქისტი“-ც) უძველესი დროიდან (ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში) მეტ-ნაკლებად გვხვდება და მოდის თითქმის XX ს-ის პირველ ნახევრამდე“[66]. ძნელი სათქმელია, თუ რა მონაცემებზე დაყრდნობით ასაბუთებს ავტორი ამ დებულებას, შევნიშნავთ — მკვლევარს მკითხველი შეჰყავს შეცდომაში, ჯერ ერთი, თითქოს ეთნონიმი ქისტი, დურძუკსა (ძურძუკს) და ღლიღვზე ადრეული იყოს, — მეორეც, XX ს-ის პირველი ნახევრის შემდეგ ეს ეთნონიმი საერთოდ აღარ იხსენიებოდეს[67]. ასევე მეტი სიფრთხილე იყო საჭირო, როცა ამბობს:

---

62 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 275.

63 Армянская география..., გვ. 37.

64 კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. I, გვ. 179.

65 Шавхелишвили А., Из истории взаимоотношений между грузинами и чечено-ингушскими народами, გვ. 40; там же, Алироев И. Ю. Нахские языки и культура. Грозный, 1979, გვ. 11.

66 ა. შავხელიშვილი, საქართველო ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა (XVI—XVIII სს.), გვ. 5—6.

67 შენიშვნა: დაბეჯითებით თქმა, თუ რომელი საუკუნიდან იხსენიებს ქართული წყაროები ეთნონიმ ქისტს, ძნელია. მკვლევარი თავის ამ დებულებაში თუ ეყრდნობა VII ს. „სომხურ გეოგრაფიას“ (ამ მოსაზრების არგუმენტაციას სომხური გეოგრაფიით იწყებს), ყურადღება უნდა გაემახვილებინა სხვა წყაროებზე და თვით აღნიშნულ გეოგრაფიაში მოცემულ ვაინახების აღმნიშვნელ ეთნონიმებზე. თუ ეყრდნობა ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც ლეონტი მროველისეული ეთნოგენეტიკური კონცეფციიდან გამოდის და [illegible] თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა და ცალ-ცალკე ასახელებს ქისტებს, ძურძუკებს და ღლიღვებს. მისივე მტკიცებით, როგორც ჩანს, ვახუშტის მიხედვით, „ქისტეთში შედიოდა ძურძუკეთი და ღლიღვეთი“ (ა. შავხელიშვილი, საქართველო ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI—XVIII სს., გვ. 6). მაშინ ანგარიში უნდა გაეწია ვახუშტისეულ [illegible]. „ჩვენს მიერ აღწერილი ყველა ხევი წინათ ერთი სახელით იწოდებოდა — ძურძუკეთად, მეორეც დურძუკეთი დაყოფილი რომ ყოფილიყო, ასე ცალ-ცალკე. ეს არც ლეონტი მროველს, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს და არც „[illegible]“ მხედველობიდან არ გამორჩებოდა. აღნიშნულის გარდა, თუ ეყრდნობა „ჩეჩნეთ-ინგუშეთის ისტორიის ნარკვევებს“, მის პირველ ტომში გატარებულ აზრს (Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, გვ. 31), რომელიც მეცნიერულ ლიტერატურაში მოყვანილი „ამგვარად, დაწყებული VII ს-დან ქართულ და სომხურ ისტორიულ და გეოგრაფიულ ლიტერატურაში ჩნდება ცნობები ვაინახურ ტომებზე: დურძუკებზე, ნახჩამატიანებზე და ქისტებზე, რაც გამოხატავს მათ მნიშვნელობას ამ ერის ისტორიაში, [illegible] მოიხსენიებენ ნახჩამატებს „სომხური გეოგრაფიის“ ტექსტში მოწყვეტილი ქისტებისგან? ან კრუპნოვის მიერ აღნიშნულ [illegible] ხანის ქისტ-ებს (Крупнов Е. Средневековая Ингушетия, გვ. 34) — ამიტომ ჯეროვანი თვალსაჩინოებისათვის ყოველივე ამის შესახებ უნდა ყოფილიყო მოცემული სათანადო განმარტება, ხოლო რაც შეეხება ეთნონიმ „ქისტს“, ის დღესაც იხმარება.

„Народности „мелки“. Это очевидно Мелхестинцы (Чеченское название мальхи), живущие бок о бок с хевсурами-шатильцами“ (და XIII ს-ით დათარიღა)[68]. აღნიშნულთან დაკავშირებით შევნიშნავთ: დოკუმენტი ეხება ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხს ძველ ქართულ მწერლობაში, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ბიზანტიასა და მისგან კულტურულად დამოუკიდებელ ქვეყნებში უძველეს დროიდანვე ვამყარდა შეხედულება, რომ წარღვნის შემდეგ კაცობრიობა მომრავლდა ნოეს სამი შვილისაგან... საშუალო საუკუნეების ბიზანტიაში ჩნდებიან მწერლები, რომლებიც არკვევენ იმ დროის ცნობილ ერთა გენეალოგიას.... იყო, თუ არა საქართველოში ამგვარი საკითხებისადმი ინტერესი? ეროვნულ-გენეალოგიური საკითხებით ჩვენშიც ყოფილან დაინტერესებულნი. ამის მაჩვენებელია ლეონტი მროველის საისტორიო შრომა, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“: მაგრამ მას თავისი წინამორბედიც ჰყავდა ექვთიმე ათონელის სახით. დოკუმენტში ჩამოთვლილი სია ექვთიმეს თარგმანში არ შესულა, ეს სია არც მის დედანში მოიპოვება, სამაგიეროდ ასეთი სია ქართულ მწერლობაში სხვა წყაროებიდან შემოსულა. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ამ ხელნაწერში შემონახული სია საკმაოდ ძველი, არაუგვიანეს XIII ს-ის უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ფრაზა „და ესე თათარნი, რომელშიც მონღოლები უნდა იგულისხმებოდნენ და ისიც ახლად გაცნობილნი საქართველოში[69]. დოკუმენტში სიტყვა „მელქნი“ მოხსენიებულია ასურეთის შემდეგ. „მელხი“ დღეს მითხოელებს (მთის ზოლში — მელხისტში მცხოვრებლებს, ადგილია ჩეჩნეთ-ინგუშეთში) ეწოდებათ. არ მიგვაჩნია დასაშვებად ეს სიტყვა „მელხიის“ აღმნიშვნელად XIII ს-ში. ი. ჯავახიშვილი წერს: „კავკასიაში მობინადრე ტომების შთამომავლობის შესახებ საკითხი, რომელსაც ბერძნები ეხებოდნენ ჩვენს მწერლობაში პირველად არსებული წყაროების მიხედვით ექვთიმე ათონელმა წამოაყენა და გადაჭრა მეათე საუკუნის დასულს. მან თარგმნა მაქსიმე აღმსარებლის თხზულება „ნეტარისა თალასეს მიმართ“, რომელიც კითხვა მიგების სახითაა დაწერილი“[70]. მართალია, დოკუმენტში ჩამოთვლილი სია ექვთიმეს თარგმანში არ შესულა, მაგრამ ქართული საისტორიო წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ვაინახების აღმნიშვნელად აღნიშნულ საუკუნეში იხმარებოდა: დურძუკი, ღლიღვი, ქისტი (აქვე უნდა დავძინოთ, რომ XIII ს-ში ქართულ წყაროებში ვაინახების აღმნიშვნელად გვხვდება მხოლოდ დურძუკი — მ. ც.)[71] და რაც მთავარია, XVIII ს-მდე ეს ტერმინი აღნიშნული ხალხის აღნიშვნის მნიშვნელობით, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში არ დასტურდება[72].

---

68 Шавхелишвили А., Из истории..., გვ. 39. Очерки истории Чечено..., т. I, გვ. 42

69 კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. I, გვ. 168—181.

70 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 127.

71 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 183.

72 რაც შეეხება ვაინახთა სხვა თემებს, გოლდენშტედტს 18 აქვს დასახელებული (მათ შორის ყარაბულახი — სიტყვა თურქულია და შავწყაროს ნიშნავს. ინგუშები და თვით ყარაბულახელნი ყარაბულახის თემს არშტე-ს (Arsht-e) უწოდებენ, ჩეჩნები არიშ-ტოიალს (Arisch Tojál). აღნიშნულის შესახებ დაწვრილებითი მასალები იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ. 1937, გვ. 18—20.

ქართულ ისტორიოგრაფიაში XVIII ს-ში ტერმინ „დურძუკის“ (ძურძუკის ეთნიკური შინაარსი XI ს-დან დაწყებული ქართულ წყაროებთან შედარებით, რამდენადმე იცვლება. თუ ძვ. წ. აღრ. IV ს-დან დაწყებული ახ. წ. აღრ. XI ს-მდე „დურძუკებად“ იწოდებოდნენ ვაინახები საერთოდ, აღნიშნული საუკუნიდან დაწყებული XVIII ს-მდე ვაინახი ხალხის აღმნიშვნელად დურძუკთან ერთად გვხვდება ღლიღვი, ქისტი და ნოხჩი, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისიდან, ან შეიძლება უფრო ადრეც, ეთნონიმი დურძუკი ამ საერთო მნიშვნელობით ქრება და ადგილს უთმობს ახალ ეთნიკურ ნომენკლატურას[74]. აღნიშნული საუკუნიდან ეთნონიმი „ქისტი“ უფრო ფართო შინაარსის გამომხატველი ხდება. „ქისტი“ აღნიშნავდა ან ინგუშების ნაწილს, რომელიც ინგუშებთან არის მოხსენიებული (მდ. კისტინკას წყალი და არამხის ხეობის მცხოვრებლებს), ან ჩეჩნების მიმართ იხმარებოდა, რომლებიც არღუნის ზემო წელზე ცხოვრობდნენ[75], ხშირ შემთხვევაში დურძუკისა და ღლიღვის ერთად გამომხატველიც იყო[76], ხოლო დურძუკებად აღინიშნებოდა მხოლოდ ნაწილი ვაინახებისა, სახელდობრ მისი დასავლეთი ეთნიკური ჯგუფი[77].

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა, რამ უნდა გამოიწვია ყოველივე ეს? ქართველებს არ შეიძლება დავიწყებოდათ ვაინახების აღმნიშვნელი სახელი დურძუკი, შემდეგში მასთან ერთად ჩნდება ღლიღვი, ნოხჩი და ბოლოს უკვე „ქისტი“, მით უმეტეს, ისინი ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს საკითხი სათანადოდ არ არის შესწავლილი.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვაინახი ხალხის აღმნიშვნელ კრებით სახელებს — „დურძუკს“ „ღლიღვს“ „ქისტს“ და „ნოხჩის“ — პირველ საწყის საფუძვლად ადრეულ საუკუნეებში სხვაზე მეტად გაძლიერებული და გავლენამოპოვებული ერთ-ერთი ტომის თუ ხალხის სახელი უნდა დადებოდა. კერძოდ, ფაქტია, რომ ეს ყველა სატომო სახელი ერთი ისტორიული ხანის პროდუქტი არ არის. საქმე ისაა, რომ ეს მრავალტომიანობა დამყარებულია არა ტომთა კავშირზე, არამედ წამყვან და სოციალურად თავისთავად რთული ეთნიკური ელემენტის პრიორიტეტზე[77].

ვაინახებში ასეთი წამყვანი ეთნიკური ელემენტი, რომელიც საერთო სახელს აძლევდა ამ ხალხს (რაც ხშირ შემთხვევაში კრებითი მნიშვნელობის ტერმინი ცალკეული ინდივიდის აღნიშვნის ფუნქციასაც ასრულებდა), იყო „დურძუკი“.

ხშირად მოცემულ სტადიაზე სატომო სახელი შეიცავს ადგილის, მიწა-წყლის მნიშვნელობის მომენტსაც. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი გაპიხა-

---

[73] Тогошвили Г., Из истории грузино-вайнахских политических взаимоотношений во второй половине XVII в., ИЧИИЯЛ, т. V, Грозный, 1964, გვ. 40.

[74] Пожидаев В. Горцы Северного Кавказа, Тб., 1926, გვ. 12—13.

[75] მ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII ს-ის მეორე ნახევარში, საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, თბ., 1964, გვ. 257—258.

[76] Волкова Н. Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, გვ. 137.

[77] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 19.

ტება სათანადო ტერმინით, რომელიც სატომო სახელთან საზღვრულის როლში გამოდის. ამ დროს სატომო სახელწოდება გაფორმებული არის ადგილის აღმნიშვნელი საშუალებებით, ესეც თვალნათლივ ჩანს „დურძუკის", „ღლიღვის", „ქისტის" და „ნოხჩის" მაგალითზე[78].

როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, გაძლიერებული ტომი თუ ხალხი ცდილობს თავისი ინტერესები თავს მოახვიოს სხვა უფრო სუსტი ტომის ან თვისტომ ხალხს, რაც იწვევს ტომის აღმნიშვნელი სახელწოდების შეცვლას. რომ ტომს მოეპოვება ყოველთვის ის ორგანო, რომლითაც ხალხი თავის სუვერენულ უფლებებს ახორციელებს[79], ვაინახებში ესეც დადასტურებულია[80].

ჩვენს ხელთ არსებული ზემოთ აღნიშნული ამ ისტორიული მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება დავუშვათ, რომ ასეთი ტომი, თუ ხალხი ვაინახებში იყვნენ: დურძუკები — ღლიღვები — ქისტები — (ნოხჩები), რომლებიც ისტორიის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე წინაურდებიან. ქართველებისათვის ყოველივე ეს არ შეიძლება უცნობი ყოფილიყო, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ვაინახები უძველესი დროიდან მოყოლებული ქართველებთან მჭიდრო კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირში იმყოფებოდნენ.

დღეს „დურძუკის" მაგიერ იხმარება „ჩეჩენი", „ღლიღვის" მაგიერ „ინგუში"[81], ხოლო თვით ეთნონიმი „ქისტი". იხმარება საქართველოში კერძოდ კი ახმეტის რ-ნში, პანკისის ხეობაში მაცხოვრებელი ვაინახების მიმართ, რომლებიც XIX ს-ის მეორე ნახევარში არიან გადმოსახლებულნი"[82] აქვე დავძენთ, რომ ჩეჩენი-ინგუში-ქისტი სხვადასხვა დიალექტის მიუხედავად ერთი მოდგმის ხალხია. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილსაც აქვს აღნიშნული ი. გიულდენშტედთან

---

[78] Харадзе Р., Робакидзе А. К вопросу о нахской этнонимике..., გვ. 12—10; Шавхелишвили А., Из истории взаимоотношений..., გვ. 40 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 651—654. ს. გურამიშვილი, ქართლის ჭირი.

[79] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1937. გვ. 5.

[80] ე. ბორჩაშვილი, საზოგადოებრივი წყობილება და კლასობრივი ურთიერთობა ჩეჩნეთ-ინგუშეთში XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. პირველ ნახევარში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1974; Тотоев Ф. В. Общественно-экономический строй Чечни второй половины XVIII — 40-е годы XIX века (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. М., 1966. Ахриев Ч., Ингуши. Сборник сведений о Кавказских горцах, 1875, გვ. 1—5.

[81] თუ საიდან მომდინარეობს ვაინახი ხალხის აღმნიშვნელი ეთნონიმები ჩეჩენი და ინგუში — სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია და ამდენად, ჩვენ ყურადღებას არ ვამახვილებთ.

[82] ქისტების პანკისის ხეობაში დასახლებას შეეხნენ ლ. მარგოშვილი (პანკისის ქისტები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) საკანდ. დისერტ. 1969), ე. ბორჩაშვილი და მ. ალდამოვი (როდის დასახლდნენ პანკისის ხეობაში ქისტები — გაზ. „ბახტრიონის" 1973—74 წწ. ნომრები), ბ. გამყრელიძე (სამეურნეო ყოფის ზოგიერთი მხარე პანკისის ხეობაში, მაცნე, № 2, 1974). დამოწმებულ ავტორთა ცნობებიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვეყრდნობით ბ. გამყრელიძის შრომას, რომელიც ასკვნის, რომ პანკისის ხეობაში ქისტების დამკვიდრება იწყება 1848 წლიდან და მთავრდება XIX ს-ის 60-იან წლებში, ამდენად, ჩვენს შრომებში ჩვენ [illegible] ვუშვებთ ქისტების პანკისის ხეობაში (ხაზგასმა ჩვენია — მ. ც.) დასახლების თარიღად XIX საუკუნის მეორე ნახევარს.

დაკავშირებით, რომ მასაც „ქისტურის — ჩაჩნურის — ღლიღვურის“ უშუალო ნათესაობა შეუმჩნევია და სამივე ენა სხვადასხვა დიალექტების მიუხედავად ერთ ენად მიუჩნევია[83].

ამრიგად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროების ანალიზი და არსებული ლიტერატურის კრიტიკული განხილვა ნათელყოფს, რომ ვაინახების აღმნიშვნელი ეთნონიმები დასტურდება საკუთრივ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე (რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს მათ აბორიგენობას) და არა გვაქვს საფუძველი ეს ეთნონიმები მის ფარგლებს გარეთ ვეძებოთ.

М. А. ЦИХЕСАШВИЛИ

## ЗАМЕЧАНИЯ К ВОПРОСУ ЭТНОГЕНЕЗА ЧЕЧЕНЦЕВ И ИНГУШЕЙ

Резюме

Изучение этнонимов, обозначающих чеченцев и ингушей (вайнахов), которые в разных интервалах истории встречаются под разными именами (дурдзукя, глигви, кисти, нохчи), показало, что допущенные в существующей литературе ошибки в большинстве случаев обусловлены ненаучным анализом письменных источников и этнографических документов. Поэтому исследование в этом направлении подразумевает руководство тем исходным положением, что каждую страну с обозначающими ее этнонимами можно представить только в ее границах.

M. TSIKHESASHVILI

## NOTES ON THE QUESTION OF THE ETHNOGENESIS OF THE CHECHENS AND THE INGUSHES

Summary

A study of the ethnonyms designating the Chechens and the Ingushes (Vainakhs), appearing under different news at different periods of history (Durdzuks, Glighvis, Kistis, Nokhchis), has shown that the errors found in the available literature are mainly due to the nonscientific analysis of written sources and ethnographic materials.

Therefore, research in this direction clearly implies the adherence to the principle that enemy country should de conceptualized only within the limits of the ethnonyms designatiny it.

წარმოადგინა თსუ საქართველოს ისტორიის კათედრამ

83 ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 23.

მიხეილ ნიკოლეიშვილი

# ქუთაისის კომუნალური მეურნეობა XIX ს. რეფორმისშემდგომ პერიოდში

XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზაზე საქალაქო კომუნალური მეურნეობის საწარმოთა მშენებლობის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ქალაქის საწარმოებისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურება საქალაქო თვითმმართველობის სფეროში შედიოდა და მასაც იმთავითვე გადაუდგამს ნაბიჯი ამ მიმართულებით. ქალაქის ბურჟუაზიული გარდაქმნის კვალობაზე ქალაქის თვითმმართველობა იწყებს ზრუნვას წყალსადენის, ტრამვაის, რკინიგზის ხაზის, ელექტროგანათების და სანტექნიკური კვანძის მოსაწყობად. ქალაქის თვითმმართველობამ ამ საკითხს თავისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო, მაგრამ მიუხედავად ამისა, რევოლუციამდელ პერიოდში, იგი დადებითად მაინც ვერ განხორციელდა. მრავალწლიანმა მცდელობამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, რის გამოც არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგნად პრესის ფურცლებზე ქალაქის გამგეობის მოუქნელი მუშაობა.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქუთაისში აღნიშნული საკითხი დაისვა იმ დროს, როდესაც იწყებოდა ქალაქის თანდათანობითი გარდაქმნა ბურჟუაზიულ ყაიდაზე — ეს იყო სრულიად კანონზომიერი მოვლენა, რადგან ბურჟუაზიული ქალაქის კომუნალური მეურნეობისათვის წყალსადენი, ელექტროგანათება, ტრამვაი და კანალიზაცია აუცილებელი და ძირითადი კომპონენტი იყო.

XIX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში ქალაქის თვითმმართველობაში დასმული იქნა საკითხი ქუთაისში წყალსადენის მშენებლობის შესახებ. ამ დროიდან დაწყებული თითქმის არ ყოფილა ახლად არჩეული არც ერთი საქალაქო საბჭო, რომელსაც ეს საკითხი რამდენიმეჯერ არ განეხილა, მაგრამ იგი საბოლოოდ გადაუწყვეტელი რჩებოდა. წყალსადენთან ერთად ტრამვაის ხაზის, ელექტროსადგურის და სანტექნიკური კვანძის საკითხებიც იხილებოდა, რომელთაც ქალაქის კომუნალური მეურნეობისათვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა. იმის გამო, რომ ქალაქს საამისო სახსრები არ გააჩნდა საქალაქო გამგეობაში შემოდიოდა კერძომფლობელთა წინადადებები ზემოაღნიშნულ საწარმოების მშენებლობის განხორციელების შესახებ.

1884 წელს ადგილობრივმა მცხოვრებმა იაკობ ივანეს ძე კოკოჩაშვილმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა „კონტრაქტის პროექტი" მდ. რიონიდან წყალსადენის გამოყვანის შესახებ, რომელსაც ქალაქისათვის დღე-ღამეში 30 ათასი ვედრო სასმელი წყალი უნდა მიეწოდებინა, კონტრაქტის ვადა 50 წლით იყო განსაზღვრული.

1887 წელს ქალაქის გამგებლობაში შემოვიდა გერმანიის ქვეშევრდომის ინჟ. ფეოდორ განემანისა და თავად დავით ნიჟარაძის საკონცესიო წინადადება მოეწყოთ ქალაქისათვის წყალსადენი დღე-ღამეში 100 ათასი ვედრო წყლის გამტარიანობით, კონცესიის ვადა 40 წლით განისაზღვრებოდა. ორივე წინა-

დადება ვარაუდობდა წყლის გამოყვანას მდ. რიონიდან. მაგრამ გაზეთ „ნოვოეობოზრენიეში" დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ წყალსადენის მშენებლობის დაწყებამდე უმჯობესი იყო გამოკვლეულიყო ქალაქის შემოგარენში არსებული წყაროს წყლები, რომელთაც დიდი უპირატესობა ექნებოდათ მდ. რიონის წყალზე[1].

გაზეთის ზემოხსენებული შენიშვნის შედეგად, 1892 წლიდან დაიწყო ქუთაისის შემოგარენში არსებული წყლების გამოკვლევა, რომელიც გაგრძელდა 1898 წლამდე. ქალაქის საბჭოში იგზავნებოდა წყალსადენისათვის საჭირო წინასწარი გამოკვლევები, გეოლოგიური დასკვნები, თუ რა გზით უნდა მომხდარიყო სასმელი წყლის მიღება. ქალაქის საბჭოში სისტემატურად იხილებოდა ეს საკითხი. ხმოსნების ერთი ნაწილი წინადადებას აყენებდა სასმელი წყალი გამოეყვანათ ისევ მდ. რიონიდან, მეორე ნაწილი აუცილებლად წყაროს წყლის გამოყვანას თვლიდა საჭიროდ. ამ აზრს თავგამოდებით იცავდა ქალაქის საბჭოს ხმოსანი, ექიმი დიმიტრი ნაზარიშვილი[2]. ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნა კავკასიის სამთო სამმართველოს გეოლოგი ს. სიმონოვიჩი. მაგრამ ქალაქის შემოგარენში გამოკვლეული წყაროს წყლების დებეტის სიმცირემ აიძულა ქალაქის გამგეობა ისევ მდინარე რიონის წყლის საკითხს დაბრუნებოდა[3]. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგეები მაინც წყაროს წყლის გამოყვანას მოითხოვდნენ. როგორც კი თვითმმართველობა შეეხებოდა ამ საკითხს, მაშინვე გაიმართებოდა ძველებური სჯა-ბაასი, ხელახლა უბრუნდებოდნენ საკითხს: „რიონი თუ წყაროები" და ამ დავას ბოლო არ უჩანდა.

ეს აზრთა სხვადასხვაობა ხელს უწყობდა ამ საქმის გაჭიანურებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლებოდა რომელიმე მხარეს მინიჭებოდა უპირატესობა და საკითხიც დადებითად გადაწყვეტილიყო. მაგრამ მთავარი დაბრკოლება მაინც სხვა იყო: თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს საქმე, თუ ვის უნდა გაეკეთებია იგი. ქალაქს თავისი სახსრებით, თუ რომელიმე კერძო მეწარმეს, რადგანაც ქალაქის კომუნალური მეურნეობის ძირითადი ობიექტები: წყალსადენი, ტრამვაი, ელექტროსადგური და სანტექნიკური კვანძი ქუთაისის სინამდვილეში თითქმის ერთდროულად დადგა დღის წესრიგში, მათი განხორციელებაც ერთად უნდა მომხდარიყო. მაგრამ რადგანაც ქალაქს მაშინ საამისო სახსრები არ გააჩნდა, ბუნებრივია, რომელიმე კერძო მეწარმესთან უნდა დადებულიყო კონტრაქტი, მაგრამ ქუთაისში მაშინ ასეთი მსხვილი წარმოება და მსხვილი მეწარმეები არ იყვნენ[4]. ამიტომ რჩებოდა ერთადერთი გზა: საქალაქო მმართველობას უნდა დაედო ხელშეკრულება უცხოელ ფირმასთან და კონცესიის გზით გადაეჭრათ ეს რთული პრობლემა. აქ კი ქალაქის საბჭოს ხმოსნებს შორის მუდმივი უთანხმოება სუფევდა, რაც გახდა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ რევოლუციამდელ პერიოდში ქუთაისი დარჩა წყალსადენის, ტრამვაის, ელექტროსადგურის და კანალიზაციის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მათი განხორციელების საკითხი 80-იან წლებიდან დღის წესრიგში იდგა. 1893 წელს გაზეთი „კვალი" წერდა: „ამ ბოლო დროს ქუთაისის ქალაქის გამგეობა, როგორც ეტყობა ძალიან ჩქარობს ერთი რამ საქმე გააკეთოს, რომ კვალი დააჩნიოს ქუთაისის მივიწყებულ კეთილმოწყო-

[1] ცენტრალური სახელმწიფო არქივი ქუთაისში, ფ. 174, ს. 179, ფ. 26.
[2] ი. პ ე რ ა დ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, ხელნაწერი, ქიმ. № 692, გვ. 208.
[3] ცსა (ქუთაისი), ფ. 174, ს. 179, ფურც. 26—27.
[4] გაზ. „ივერია", 1899 წ., № 224.

ნას. იმას უნდა ერთბაშად წყალიც გამოიყვანოს, ცხენის რკინიგზაც გააკეთოს, ქალაქის საავადმყოფოც დააარსოს და ბევრი რამ სხვა ცვლილებაც შემოიღოს"[5]. როგორც ითქვა, წყალსადენთან ერთად ცხენის რკინიგზის („კონკა") მოწყობის საკითხიც დადგა დღის წესრიგში. 80-იან წლებში ვინმე ავალიანმა მისცა ქალაქს წინადადება ცხენის რკინიგზის მოწყობის შესახებ, მაგრამ ეს საქმეც უშედეგოდ მთავრდება.

90-იან წლებში ქალაქის თვითმმართველობამ გამართა მოლაპარაკება ვინმე ყორღანოვთან, ცხენის რკინიგზის მოწყობის შესახებ. მაგრამ ამ მოლაპარაკებასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ამის მიზეზი, როგორც ითქვა, საკითხის ირგვლივ ხმოსნებს შორის არსებულმა უთანხმოებამ განაპირობა. ზოგიერთი ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ „უცხო კაცს რათ ვაძლევთ უფლებას ჩვენს ქალაქში რკინიგზის გაყვანისასო, — იქნებ აქაც მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც იკისრებენ ამ გზის გაკეთებას"[7]. ეს იყო საბჭოს დემოკრატიული მიმართულების ხმოსანთა თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისს ადგა საბჭოს მთელი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, უმთავრესად დემოკრატიული ინტელიგენცია, მაგრამ სხვა აზრისა იყო იმდროინდელი ქალაქის თავი ლ. ლოლუა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა შედარებით მსხვილი მესაკუთრე ხმოსანთა შემადგენლობა. მაგრამ არც ისინი იყვნენ სიძლიერის მქონენი, რომ შეძლებოდათ ამ რთული პრობლემის გადაჭრა. ეს კარგად იცოდა ქალაქის თავმაც და ამიტომ განუცხადებია ზემოხსენებული ხმოსნის საყვედურის საპასუხოდ: „ქუთაისში, ჩვენ არ გვეგულება ისეთი შეძლებული და გამბედავი კაცი, რომ შეძლოს ასეთი დიდი საქმის აღება და გაძღოლა"[8]. ლ. ლოლუას ეს განცხადება საქმის რეალურ ვითარებას ადასტურებს, რომ ქალაქის სინამდვილეში იმდენად სუსტი იყო ადგილობრივი ბურჟუაზია, რომ მათ წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ამ რთული ამოცანის განხორციელება, მაგრამ საკითხი საბოლოოდ უცხო ქვეყნის წარმომადგენლების სასარგებლოდ მაინც არ წყდებოდა. ქალაქის საბჭოს დემოკრატიული მიმართულების ხმოსნებს ერჩივნათ სულაც არ გაკეთებულიყო წყალსადენი და ცხენის რკინიგზა, ვიდრე იგი უცხო ქვეყნის მრეწველებს ჩავარდნოდათ ხელში, რომელთაგან შემდეგ თავის დაღწევა ძალზე ძნელი იქნებოდა. ეს მნიშვნელოვანი მომენტი წითელ ზოლად მიჰყვება აღნიშნულ საკითხს მთელი 30 წლის მანძილზე.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქუთაისში ცხენის რკინიგზის მოწყობის საკითხმა ქალაქის საზოგადოებრიობის დიდი დაინტერესება გამოიწვია: 1898 წელს გაზეთ „კვალის" კორესპონდენტი წერდა: „ქუთაისში დღეს ყველას კონკა აკერია პირზე. საითაც არ გაივლი, ყოველი მხრიდან კონკის შესახებ გესმის საუბარი. ქალაქის საბჭოსაც თითქმის ყველაფერი დაუვიწყნია და მის უკანასკნელ კრებებზე სულ კონკის შესახებაა სჯა-ბაასი"[9]. ამავე წელს ქუთაისში გამოჩნდა ქალაქისათვის მანამდე უცნობი მრეწველი არზუმიანცი, რომელიც ქალაქის გამგეობას სთავაზობს თავის პროექტს ცხენის რკინიგზის გაყვანის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო ხმოსნების ერთმა ნაწილმა არ დაუჭირა მხარი ქალაქის გამგეობას არზუმიანცთან საკონცესიო პირობის

---

[5] გაზ. „კვალი", 1893 წ., № 6.
[6] გაზ. „ივერია", 1898 წ., № 274.
[7] იქვე.
[8] იქვე.
[9] გაზ. „კვალი", 1898, № 47.

დადების შესახებ, მაგრამ საბოლოოდ მასთან მაინც არ მოხერხდა ხელშეკრულების დადება, რადგან მან უარი განუცხადა ქალაქის საბჭოს ცხენის ტრამვაის რკინიგზის ნაცვლად ელექტრორკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ, რომელიც ქალაქის ინჟინრის გრიაზნოვის გამოანგარიშებით 290 ათასი მანეთი ჯდებოდა[10]. როგორც ჩანს, ცხენის რკინიგზის მაგივრად ელექტრორკინიგზის გაყვანის შესაძლებლობას საქალაქო საბჭოს ხმოსანთა მოწონება გამოუწვევია. ამით უნდა აიხსნას ის, რომ 1898 წლის ნოემბერში სამთო ინჟინერმა ა. მიხაილოვმა წინადადებით მიმართა ქალაქის გამგეობას საკონცესიო პირობით ელექტრორკინიგზის გაყვანის შესახებ. 1898 წლის 16 ნოემბერს ქალაქის საბჭომ მოიწონა და შეიწყნარა ინჟინერ რ. მიხაილოვის ხელშეკრულების პროექტი. ქუთაისში ტრამვაის ელექტრორკინიგზის გაყვანისა და ამ გზის კონცესიით გაცემის შესახებ. კონცესიის ვადა 45 წლით განისაზღვრა. ქალაქს შეეძლო გამოესყიდა ეს რკინიგზა 20 წლის შემდეგ. ა. მიხაილოვს უკისრია, აგრეთვე ქალაქში წყალსადენის გაყვანა (350 ათასი ვედრო დღე-ღამეში) და ქუთაისის ელექტროოდენით განათება[11]. 1899 წლის დასაწყისში გაზეთი „ივერია" იტყობინებოდა, რომ ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაამტკიცა საქალაქო საბჭოს 1898 წლის 16 ნოემბრის დადგენილება ინჟ. ა. მიხაილოვის მიერ ქუთაისში ელექტრორკინიგზის გამართვის შესახებ[12]. მაგრამ სულ მალე, ა. მიხაილოვს გამოუჩნდა ამ საქმეში კონკურენტი ბელგიელი ინჟინრის ა. რომბის სახით, რომელიც იმ დროს თბილისის საქალაქო საბჭოსთან აწარმოებდა მოლაპარაკებას ფუნიკულიორის საკონცესიო წესით მოწყობის შესახებ[13]. რომბი მოინდომებს ჩაშალოს მიხაილოვთან დადებული შეთანხმება და თვითონ ჩაიგდოს ხელში ქუთაისში ტრამვაის რკინიგზის გაყვანის კონცესია[14]. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის საქალაქო საბჭოს დამტკიცებული ჰქონდა ა. მიხაილოვის კონცესია ბელგიის საზოგადოების წარმომადგენელმა ალფონს რომბმა მაინც მოახერხა თავისი წინადადების წამოყენება საქალაქო საბჭოზე. ე. ი. საბჭოს თავის გადაწყვეტილებაზე უარი უნდა ეთქვა. როგორც მოსალოდნელი იყო, 1899 წლის 8 თებერვალს სხდომაზე დაძაბული სიტუაცია შექმნა. რომბი შეეცადა თავისი ნაცადი თვალთმაქცური ხერხი გამოეყენებინა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ა. რომბი ისეთსავე ხელშეკრულებას დებდა ქალაქის გამგეობასთან, როგორსაც ა. მიხაილოვი, მაგრამ იგი ცვლიდა ორ მუხლს, რომლითაც ის აპირებდა უპირატესობის მოპოვებას. ერთ მუხლში იგი უთითებდა იმ გადასახადს, რომელსაც პირდებოდა ქალაქს კონცესიის მინიჭების სასყიდლად. მეორე მუხლში აჩვენებდა ხარჯს, რომელიც ამ საქმის გამოსასყიდლად დასჭირდებოდა ქალაქს 20 წლის შემდეგ. პირველ მუხლში იგი აშკარად უჩვენებდა, რომ „ამ 20 წლის განმავლობაში მე მივცემ ქალაქს 120 თუმნით უფრო მეტს, ვიდრე გაძლევთ ჩემი მოწინააღმდეგე. მეორე მუხლში ამბობდა, რომ გამოსყიდვის დროს მე უნდა მომცეთ წლიური შემოსავალ- ხუთი პროცენტის კაპიტალიზაციით და მაშინ თქვენ დაგრჩებათ მთელი ეს საქმეო. აქ რომბი განგებ არ უთითებდა თუ რა განსხვავებაა, როცა

---

10 „ივერია", 1898 წ., № 224.

11 ცსა (ქუთაისი), ფ. 174. ს. 179. ფ. 27; „ივერია", 1899, № 28.

12 „ივერია", 1899, № 60.

13 ა. ბენდიანიშვილი, საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, გვ. 92.

14 „ივერია", 1899, № 28.

კაპიტალიზაციას ანგარიშობენ ხუთის %-დან კი არა 5,5-დან, რომელსაც კისრულობდა მიხაილოვი. თავისი წინადადების თაბაუთობას რობი ასაბუთებდა 10 ათასი მანეთის სარგებლიანობის თავდებობით, მაშინ როდესაც მიხაილოვისათვის საბჭოს მოეთხოვა მხოლოდ 300 თუმანი — ნაღდი ფული, რომელიც უსარგებლოდ უნდა ჰქონოდა ქალაქს კონცესიის დასრულებამდე. ამ მოჩვენებითმა უპირატესობამ კინაღამ ბელგიის საზოგადოების წარმომადგენლის სასარგებლოდ გადაწყვიტა საკითხი, მაგრამ ქალაქის საბჭოში მოხერხდა მისი თვალთმაქცობის გამოაშკარავება. პირველად საბჭოს ხმოსნებს მოეჩვენათ, რომ თითქოს რობის კონცესია უფრო ხელსაყრელი იყო ქალაქისათვის (ხმოსანი დ. ნაზარიშვილი), მაგრამ გამგეობის წევრმა ჩიმაკაძემ შეძლო გამოეაშკარავებინა მისი ხრიკები. კერძოდ, მან განმარტა, რომ, მართალია, რობი 20 წლის განმავლობაში 1200 თუმნით მეტს გვაძლევს, მაგრამ გამოსყიდვის დღეს იგი ამ ფულს ერთი სამად მეტს იბრუნებს უკან და თითქმის 4 ათასი თუმნით მეტს იღებს ვიდრე მიხაილოვიო“[15]. მომდევნო სხდომაზე ქალაქის საბჭომ უარყო რობის წინადადება ტრამვაის გზის გაყვანის შესახებ და შეიწყნარა ინჟ. მიხაილოვის წინადადება. ცხადია, ამ უკანასკნელის შეწყნარება ბელგიელი მრეწველის გამოჩენამ გამოიწვია, თორემ ქალაქის საბჭოს შემადგენლობა არც მიხაილოვისადმი იყო ერთსულოვნად განწყობილი. როგორც აღვნიშნეთ, ქ. მიხაილოვი საკონცესიო ხელშეკრულებას დებს ქალაქის თვითმმართველობასთან, აგრეთვე, წყალსადენის გაყვანის შესახებაც. ეს ხელშეკრულება ასე იყო ჩამოყალიბებული: 1) ა. მიხაილოვი ვალდებულებას კისრულობს თავისი ხარჯით და პასუხისმგებლობით მოაწყოს და ექსპლუატაცია გაუწიოს წყალსადენს. ქალაქს დღეღამეში მიაწოდოს 350 ათასი ვედრო სასმელი წყალი; 2) წყალი გამოყვანილი იქნება მდ. რიონიდან. წყლის გასაწმენდად მოეწყობა აუზები და ფილტრები; 3) წყალსადენის ქსელის სიგრძე იქნება 18 კმ.; 4) კონტრაჰენტი ვალდებულია ყოველწლიურად ქალაქს გადაუხადოს წყალსადენის შემოსავლის 20%; 5) კონცესიის ვადად წესდება 34 წელი, რის შემდეგ წყალსადენი უფასოდ გადადის ქალაქის ხელში; 6) კონცესიის 20 წლის თავზე და მის შემდეგ ქალაქს უფლება აქვს თავის საკუთრებაში გამოისყიდოს წყალსადენი, 7) საგარანტიოდ კონცესიონერმა ქალაქის სალაროში უნდა შეიტანოს 20 ათასი მან.[16]. ეს პროექტი მოიწონა საქალაქო საბჭომ, შემდეგ კი დაამტკიცა შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებმა[17].

საქმის განსახორციელებლად მიხაილოვმა შეადგინა რამდენიმე პირისაგან შემდგარი წინასწარი ამხანაგობა. 1901 წლის 22 ივლისს ამ ამხანაგობამ გააფორმა ხელშეკრულება ქალაქის გამგეობასთან, მაგრამ სექტემბერში მათ შორის ჩამოვარდა უთანხმოება პროექტის ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით, საჭირო შეიქმნა პროექტში შესწორებების შეტანა, რომლებსაც უთითებდნენ ინჟინრები — შტემლერი და შულცი. 1902 წლის 26 ივნისს „ამხანაგობას“ უკვე ჰქონდა დამტკიცებული ტექნიკური პროექტი და მიღებული იქნა დადგენილება მუშაობის დაწყების შესახებ. გადაიდგა ნაბიჯი წყალსადენის შენებლობისათვის. მოზიდული იქნა წყლის მილები, არქიელის გორაზე დაიწყეს

15 „ივერია“, 1899, № 33.
16 „ივერია“, 1899, № 39.
17 ა. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 160—161.

ზიმღები რეზერვუარის აშენება, სადაც ფილტრები უნდა დადგმულიყო. ამასთან ერთად მიხაილოვი შეუდგა საჭირო სახსრების შეგროვებას. გადაწყდა, რომ თბილისსა და ქუთაისში დაარსებულიყო სააქციო საზოგადოება. თანხის შეგროვების მიზნით, ქუთაისში შედგა ე. წ. საინიციატივო კომისია გიორგი ზდანოვიჩ-ის თავმჯდომარეობით. ქალაქის მოსახლეობაც ინტერესს იჩენდა ამ საქმისადმი, იწყება ხელის მოწერა, მაგრამ სულ მალე ისევ დაბრკოლებებმა იჩინა თავი. მიხაილოვს გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ მიხაილოვი ამ საქმეს ვერ შესძლებსო და ეს შეგროვილი თანხა დაიკარგებაო. ამას ზედ დაერთო ის, რომ სამუშაოს მწარმოებელმა კომისიამ საპროექტო მოცემულობას გადაუხვია, რაც საბაბი გახდა ახალი დაბრკოლებისა, 1904 წელს მუშაობა შეჩერებული იქნა, ხოლო 1905 წელს 2 მარტს ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით ხელშეკრულება გაუქმებული იქნა[18]. რაც შეეხება ელექტროტრამვაის რკინიგზის პროექტს მიხაილოვს მ-სი განხორციელება არც კი უცდია.

მას შემდეგ, რაც დარღვეული იქნა ხელშეკრულება ინჟ. მიხაილოვთან, ქალაქის გამგეობამ მიმართა საიმპერატორო ტექნიკურ საზოგადოებას ტრამვაის ხაზისა და ელექტროგანათების მშენებლობის დაპროექტების შესახებ. პროექტების დასამუშავებლად შედგენილი იქნა საგანგებო კომისია საგზაო ინჟინრების პ. დიმიტრენკოს, გ. გრაფტიოს და ინჟინერ-ტექნოლოგის ულმანის შემადგენლობით. ხსენებული ინჟინრების მიერ ადგილზე ჩატარებულ იქნა გამოკვლევა და 1906 წლის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სამი პროექტი: ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობის და საგენერატორო მოწყობილობის (ინჟ. გ. გრაფტიო), ელექტროტრამვაის (ინჟ. პ. დიმიტრენკო) და თბოელექტროსადგურის (ინჟ. ულმანის) პროექტები. მაგრამ ამ პროექტების განსახორციელებლად შემდეგი ნაბიჯი არ გადადგმულა.

1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომდევნო წლებში, რეაქციის გაბატონების შედეგად შექმნილი არახელსაყრელი პირობების მიუხედავად ქუთაისის წყალსადენის მშენებლობის საქმე დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ქალაქის გამგეობა განცდილი წარუმატებლობის შედეგად იძულებული შეიქმნა 1909 წელს გაეფორმებინა შეთანხმება წყალსადენის მშენებლობის შესახებ ბაქოს საზოგადოების წარმომადგენლებთან და ინჟინერ კანცლერთან ი. დადიანთან, კონცესიურ საწყისებზე. გამგეობა ერთგვარად დაიმედებული იყო ამ შეთანხმებით (მეტადრე ნავთის მრეწველ ინჟ. ი. დადიანის იმედი ჰქონდათ) და თითქმის 5 წელი ელოდა მათ მიერ რეალური ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ ეს გარიგებაც უშედეგოდ დამთავრდა. კანცლერ დადიანის პროექტი სამინისტრომ არ დაამტკიცა, იგი პეტერბურგიდან გადასამუშავებლად უკან დაუბრუნეს კონცესიონერებს, მაგრამ მათ გადამუშავებაზე უარი განაცხადეს, ამიტომ 1913 წლის 23 ოქტომბერს ქალაქის გამგეობამ შეწყვიტა მათთან საქმის წარმოება.

მთელს რუსეთის იმპერიაში ძალზე ძნელი იყო სხვა საგუბერნიო ქალაქის დასახელება, რომელშიც რევოლუციამდელ პერიოდში თითქმის ერთდროულად დასმულიყო დღის წესრიგში წყალსადენის, ტრამვაის, ელექტროსადგურის და კანალიზაციის საკითხები, ნახევარი საუკუნის განმავლობაში სის-

---

18 ცსა (ქუთაისი), ფ 174, ს. 177, ფურც. 28 იხ. აგრეთვე ი. პურადაშვილი, „მოგონებანი“, გვ. 209.

ტემატური მსჯელობის საგანი გამხდარიყო, მაგრამ საბოლოოდ, დადებითად, მაინც არც ერთი არ გადაწყვეტილიყო. ასეთი ქალაქი იყო ქუთაისი. ამ კითხვის დასმისას ჩვენ იმას ვითვალისწინებთ, რომ ქალაქის კომუნალური მეურნეობის ზემოხსენებული ობიექტები რევოლუციამდელი პერიოდის ნებისმიერი ქალაქისათვის ითვლებოდა მეტ-ნაკლებად დასაძლევ პრობლემად, რადგან თითოეული მათგანი გარკვეულ მოგებას აძლევდა დამფინანსებელს და განმახორციელებელს. ქალაქის იქნებოდა ეს თუ კერძო კაპიტალისტური ფირმა. ამით აიხსნება ამ საწარმოთა მშენებლობით დაინტერესებულ მსურველთა სიმრავლე, როგორც კერძო მრეწველობის, ასევე ცალკეულ საზოგადოებათა სახითაც. განსაკუთრებით აქტიურად ებმებოდნენ ამ საქმიანობაში უცხოელი კონცესიონერები, რომლებიც თავიანთ მიზანს კიდევაც აღწევდნენ. მაგრამ ქუთაისის საქალაქო საბჭოს შემადგენლობაში უცხოელ კონცესიონერებთან ურთიერთობაში არ იყო ერთსულოვნება. ზოგიერთი ხმოსანი აგრესიულად იყო განწყობილი უცხოელი კონცესიონერებისადმი. ეს მომენტი ნათლად გვიჩვენებს საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიული შემადგენლობის საზოგადოებრივ პოლიტიკურ მიმართულებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უწინარეს ყოვლისა ქუთაისის თვითმმართველობის, მისი ხმოსნების დემოკრატიული ნაწილის ასეთმა ტენდენციურმა დამოკიდებულებამ უცხოელი კონცესიონერებისადმი განაპირობა ეს წარუმატებლობა, რომელიც მოჰყვა ქუთაისში წყალსადენის, ელექტროსადგურის, ტრამვაის ხაზის და სანტექნიკური კვანძის მშენებლობის საქმეს, მიუხედავად 30 წლიანი მცდელობისა. მართალია, ქალაქის თვითმმართველობა უსახსრობის გამო ვერ ახერხებდა საკუთარი ძალებით ამ ობიექტების მშენებლობას, მაგრამ რადიკალურად განწყობილ ხმოსნების ერთ ნაწილს არც ისეთი წყალსადენი, ტრამვაი და ელექტროგანათება უნდოდათ, რომელთა ბატონ-პატრონი მთელი სიცოცხლის მანძილზე უცხოელები უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ ვერ ურიგდებოდნენ კონცესიონერები ქალაქის საბჭოს, რომელშიც კონცესიის მოწინააღმდეგე ხმოსნებიც შედიოდნენ. ეს უკანასკნელნი ალმაცერად უყურებდნენ უცხოელ კაპიტალისტთა საკონცესიო საქმიანობას, რომლებიც მხოლოდ იმის მცდელობაში იყვნენ, რომ რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯათ ქალაქისათვის.

ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობისათვის არ აღმოჩნდა ხელსაყრელი ის პირობები, რომლებსაც უცხოელი კონცესიონერები აყენებდნენ. მათ შორის მოლაპარაკება მეტწილად მწვავე ხასიათს ღებულობდა, რადგან ხმოსანთა გარკვეული ნაწილი გულცივად ხვდებოდა უცხოელ კაპიტალისტთა დაინტერესებას საქალაქო მეურნეობის მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობისადმი, მიაჩნდათ ეს მათი ეროვნული ინტერესების შემლახავად. მათ შორის საკონცესიო ხელშეკრულების გაფორმება, ძალიან ადვილად, საკონფლიქტო სიტუაციებს იწვევდა და იგი უშედეგოდ მთავრდებოდა.

ქალაქის დემოკრატიული ინტელიგენციის შეურიგებელი დამოკიდებულება უცხოელი კონცესიონერების მიმართ, რომლებიც თავიანთ ვარიანტებას მაქსიმალური მოგების მიღებას უდებდნენ საფუძვლად, საქალაქო საბჭოს მთელ შემადგენლობაზე მოახდინა ზეგავლენა. ეს უკანასკნელი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ კონცესიური გზა ეწინააღმდეგება ქალაქის საერთო ინტერესებს და საჭიროა მისგან თავის დაღწევა. ამ დარწმუნებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ 30 წლის განმავლობაში მათ შორის მოლაპარაკება ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა და, აი, 30 წლის შემდეგ ქალაქის თვით-

მმართველობა თვითონ გახდა იძულებული ხელი აეღო საქმის წარმოების საკონცესიო გზაზე და გადასულიყო სამეურნეო წარმოების გზაზე, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან საქალაქო თვითმმართველობის უსახსრობას არახელსაყრელი პოლიტიკური პირობები (პირველი მსოფლიო ომის დაწყება) დაემატა და სამეურნეო გზით ხსენებულ მშენებლობათა განხორციელება კიდევ უფრო ძნელი გახდა.

ქალაქის ხმოსნების ის ნაწილი, რომელიც უცხოელი კონცესიონერების მიმართ უნდობლობას იჩენდნენ, კარგად გრძნობდა, რომ ამ მნიშვნელოვან საწარმოთა უქონლობა ძლიერ აფერხებდა ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მაგრამ როგორც ჩანს, მათი თვალსაზრისით, ეს უფრო მოსათმენი იყო ვიდრე ქალაქში საკონცესიო წესით უცხოელ კაპიტალისტთა მიერ შემოყვანილი წყალსადენის მილები და ელექტროტრამვაის რკინიგზის ხაზები, რომელთა კლანჭებიდან თავის დაღწევა შემდეგ ძალზე ძნელი იყო. აი, ეს აშინებდათ მათ და ამიტომაც ამბობდნენ უარს ამ გზით განმტკიცებულიყო ქალაქის კომუნალური მეურნეობა. ასეთი ტენდენციური დამოკიდებულება უცხოელი კონცესიონერებისადმი ქალაქის ხმოსნების დემოკრატიულ შემადგენლობას იმად დაუჯდა, რომ საქართველოს მეორე საგუბერნიო ქალაქი — ქუთაისი რევოლუციამდელ პერიოდში დარჩა წყალსადენის, ტრამვაის, ელექტროსადგურის და კანალიზაციის გარეშე, რომლებიც იმდროინდელი ქალაქის კომუნალური მეურნეობის ძირითად ატრიბუტებს წარმოადგენდა.

ქუთაისის წყალსადენის, ელექტროსადგურის და ტრამვაის რკინიგზის მშენებლობის გაჭიანურებული ისტორია არის მაჩვენებელი ბურჟუაზიული პერიოდის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობისა ქალაქის კომუნალური მეურნეობის დარგში კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ მმართველობის აპარატი სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მესაკუთრე კლასის, ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი იყო. მაგრამ ეს არაერთგვარი სიძლიერე თავის დაღს ასვამდა თვითმმართველობის საქმიანობას. საქალაქო საბჭოში მოხვედრილი დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენლები თვითმმართველობის საქმიანობას უბიძგებდნენ ადგილობრივი და ეროვნული ინტერესების დაცვისაკენ. სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც ვნახეთ, ეს გამოიხატა უცხოელ კონცესიისადმი უნდობლობის გამოცხადებაში და ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესების დაცვაში. ქალაქის ხმოსნების შორის ალეთი არაერთსულოვანი განწყობილება პოლიტიკურ სფეროშიც მჟღავნდებოდა. ამის დასტური იყო ის, რომ ქალაქის ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ გ. მაიაშვილი, დ. ნაზარიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ოცხელი და სხვები 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს ქვეყანაში გამეფებული სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიდნენ და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო პირობების შეცვლა მოითხოვეს[10].

ეხებოდა რა დემოკრატიულ მოძრაობას დასავლეთ ევროპაში გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1902 წელს წერდა: „ამ მოკლე ხანში პრუსიის ზოგიერთ ქალაქში არჩევნები იყო. არჩევნებში დიდი მონაწილეობა მიიღო დემოკრატიზაციამ. ეხლა პრუსიაში ბევრ საბჭოში დემოკრატებს შესამჩნევი ძალა

---

[10] ქუთაისის ისტორიული არქივი, ფ. 108, ს. 3205, ფურც. 1—4.

აქვთ, რაც თვალსაჩინოდ დაეტყო მუნიციპალიტეტების ნაყოფიერ მოღვაწეობას[20].

საქალაქო საბჭოებში დემოკრატიული მოძრაობის გააქტიურებას უკავშირებს გაზეთის კორესპონდენტი გერმანიაში საკონცესიო წესის მოსპობას და მის მაგივრად ქალაქის მიერ კომუნალური მეურნეობის თავის ხელში აღებას. ცოტა მოგვიანებით კი გაზეთი „იმერეთი“ წერდა იმის შესახებ, რომ საკონცესიო საქმიანობა 30—50 წლის განმავლობაში კერძო კაპიტალისტებს აძლევდა დიდ მოგებას და ქალაქს მხოლოდ ნასუფრალი რჩებოდათ. ასე იყო ევროპაში, მაგალითად. საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ასე არის დღეს რუსეთსა და ჩვენში. ეს კონცესიური ფორმა კარგა ხანია უარყო მთელმა ევროპამ, როგორც ფრიად მავნე და უვარგისი. ამის ნაცვლად კი შემოიღო საოჯახო წესით აშენება და ექსპლუატაცია, როგორც წყალსადენის, ისე ტრამვაის, ელექტროგანათების და სხვა დიდ ნაშენობათა[21].

ქუთაისის რევოლუციამდელი პერიოდის კომუნალური მეურნეობის ისტორია არის მაჩვენებელი იმისა, რომ ქუთაისის საქალაქო საბჭოს დემოკრატიული შემადგენლობა ქალაქის სამეურნეო-ეკონომიკურ საკითხებში ადგილობრივ ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა და მისი ღირსებისათვის იბრძოდა.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს ზემოხსენებულ ხმოსანთა და მათ მიმდევარ მოქალაქეთა დგომა ადგილობრივი ეროვნული ინტერესების დაცვის სადარაჯოზე, ყველაზე მეტად კულტურის სფეროში მჟღავნდებოდა. რადგან ბევრი მათგანი თავად ედგა სათავეში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და მათი დამოკიდებულება მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებისადმი ქალაქის ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით იყო შეპირობებული. თუ აღნიშნულს იმასაც დაუმატებთ, რომ ქუთაისის საქალაქო საბჭოს ეროვნული შემადგენლობა თითქმის ერთგვაროვანი იყო (ხმოსანთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი იყო), მაშინ გასაგები გახდება ის პროცესი, რამაც განსაზღვრა ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ფორმირება ქუთაისის XIX ს-ის II ნახევარში და ის როლი, რომელიც შეასრულა ქუთაისის პროგრესულად განწყობილმა ინტელიგენციამ ქართული ეროვნული კულტურის დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

М. В. НИКОЛАИШВИЛИ

## КУТАИССКОЕ ГОРОДСКОЕ КОММУНАЛЬНОЕ ХОЗЯЙСТВО ПОРЕФОРМЕННОГО ПЕРИОДА XIX ВЕКА

Резюме

В работе рассматривается состояние кутаисского городского коммунального хозяйства пореформенного периода XIX века. Изучение хозяйственной деятельности кутаисского городского самоуправления приводит нас к выводу, что затруднения и перебои в росте и развитии социально-экономической жизни города были обуслов-

---

[20] „ცნობის ფურცელი“, 1902 წ., № 1771, 3 აპრილი.
[21] „იმერეთი“, 1914, № 6, 12 მარტი.

лены не только объективными причинами, но и причинами, носящими субъективный характер. Правда, городское самоуправление, не имеющее средств, не могло заниматься своими силами строительством коммунально-хозяйственных объектов города, но большинство членов городского совета, особенно демократическая его часть, была против осуществления этих проблем путем концессий. Они старались направить усилия городского самоуправления на защиту местного и национального интересов. Такую твердую позицию гласных городского самоуправления обуславливал национальный состав городского совета (абсолютное большинство гласных составляли грузины), отсюда становится ясным и тот процесс, который обуславливал формирование грузинской демократической интеллигенции Кутаиси после 80-х годов XIX века и та роль, которую сыграла прогрессивно настроенная интеллигенция города в деле защиты грузинской национальной культуры и ее дальнейшего развития.

M. NIKOLAISHVILI

# FROM THE HISTORY OF THE MUNICIPAL ECONOMY OF KUTAISI (THE II HALF OF THE 19—TH C.)


Summary

The work deals with the problems of the municipal economy of Kutaisi in the II half of the 19-th century. Based on the existed material the author considers that the reason of the difficulty of the social and economical development of the town had not only the objective, but the subjective characteristics as well. In spite of the fact that the city council because of the deficiency of money had no opportunity to build the ,municipal constructions, the majority of the city council members (chmosnebi-glasnie) especially the democrative part of them, absolutely ignored the way of foreign concession. The activity of the city council served only for the defence of the national interests. The determination of municipality was obliged by the fact that the absolute majority of the council members were Georgians. From that point of view it is understandable that this process, aided the formation of the Georgian democratic intelligentsia in Kutaisi at the end of the 19-th century and the influence of the progressive intelligentsia of town upon the defence and further development of Georgian culture.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

## ᲗᲔᲗᲜᲐ ᲔᲠᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ

## 1. კელ/კალ ფუძიანი სახელწოდების ეთნიკური ელემენტი

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დგინდება ჯვარ-ხატების მსახურთა ზოგადაღმნიშვნელი ოთხი სახელწოდება: ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი, ხ ე ლ ო ს ა ნ ი, მ ა რ ი გ ე ნ ი (მორიგენი/მერიგენი) და დ ე კ ა ნ ო ზ ი. რეგიონალურად ეს სახელწოდებები ასე ნაწილდება: ხევსურეთში ძირითადად იხმარება ხელოსანი და მარიგე; ფშავში — ხევისბერი; თუშეთში — ხელოსანი და დეკანოზი; მთიულეთ-გუდამაყარში — ხევისბერი, დეკანოზი და ზოგჯერ ხელოსანიც; ხევში — ხევისბერი. მიუხედავად სახელწოდებათა განსხვავებული ლექსიკური ფორმებისა, მათ ქვეშ გაერთიანებულია ერთი შინაარსის მქონე კულტის მსახურთა ფენა, რომელიც იმავდროულად თემის საერო ხელისუფლების ფუნქციასაც ტვირთულობს.

ჯვარ-ხატების მსახურთა ინსტიტუტის რეგიონალური შესწავლით, განსხვავებები თავს იჩენს არა მარტო მის სახელდებაში, არამედ განვითარების დონეშიც. დასახელებული ინსტიტუტის განვითარების ადრეული საფეხური შემორჩენილია ხევსურეთსა და ფშავში, უფრო დაწინაურებული კი მთიულეთ-გუდამაყარსა, ხევსა და თუშეთში.

ხევსურეთში ხელოსნით აღინიშნება თემის სრულწლოვანი (15—16 წ.) და სრულუფლებიანი მეთემე მამაკაცი, რომელმაც გადაიხადა „საკელოში ჩადგომის“, ან „ზღუბლის დალაკვის“ წესი. ხელოსნებიდან, ანუ სრულწლოვანი და სრულუფლებიანი მეთემე მამაკაცთა წრიდან დგებიან ჯვარ-ხატების მსახურნი: ხუცესი, ქადაგი, მედროშე, მაგანძური, მეზარე, მესაფუერე. ამიტომ, ისინი იწოდებიან ასეც: მედროშე-ხელოსანი, მეგანძე-ხელოსანი, მეზარე-ხელოსანი, ხუცესი-ხელოსანი, მესაფუვრე-ხელოსანი.

ფშავში ხევისბერი არის ხატის ყველა მსახურის ზოგადაღმნიშვნელი სახელწოდება: მედროშე-ხევისბერი, მეთასგანძე-ხევისბერი, მეზარე-ხევისბერი, მესანთლე-ხევისბერი და ა. შ. ხევისბრად დგებიან სრულწლოვანების ასაკში (15—16 წ.), „კელ-მკრის ნათელის წესის“ შესრულების შემდეგ. ხევისბერი ფშავში ხევსურული ხელოსნის პარალელური ინსტიტუტია, მაგრამ იგი ხელოსნობასთან შედარებით განვითარების უფრო დაწინაურებულ საფეხურს აჩვენებს.

ჯვარ-ხატების მსახურთა ზოგადაღმნიშვნელი მესამე სახელწოდებაა მ ო რ ი გ ე („მარიგენი“/„მერიგენი“/„მორიგენი“). „მორიგენი“ იხმარება კონკრე-

ტულად ხევსურეთის ცენტრალურ სალოცავში — გუდანის ჯვარში და საერთოდ სამაგანძურის თემის სხვა სალოცავებში. საარქივო მასალების პირდაპირი მითითებით „გუდანის ჯვარში ხელოსანი ბევრი იყო და ამათ ყველათ მორიგენი ეწოდებოდათ"[1]. იხმარებოდა ასეც: „კელოსან-მარიგე". მორიგეთა შორის უფროსს „თავ-მორიგე", ანუ „უფროსი მორიგე", ანუ „მთავარი მორიგე" ეწოდებოდა (შდრ., თავ-კევისბერი, უფროსი ხევისბერი, მთავარი ხევისბერი; უფროსი კელოსანი, მთავარი კელოსანი). თავ-მორიგე იყო ხუცესი. იქ, სადაც, ჯვარ-ხატების მსახურთა ზოგადალმნიშვნელი სახელი მორიგე იყო, სრულდებოდა „ზლუბლის დალაკვის" წესი და არა „საკელოში ჩადგომა". თუმცა იყო ისეთი თემებიც, სადაც „ზლუბლდალაკულს" ხელოსანი ეწოდებოდა (მაგ., ბისო-ხახმატის თემში, ლიქოკის თემში)[2].

მსახურთა ზოგადალმნიშვნელი მეოთხე სახელწოდება იყო დეკანოზი, რომელიც საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა რეგიონში იხმარებოდა, თუმცა ძირითადი სახელწოდება იგი არ იყო — მას ხმარობდნენ ზემოჩამოთვლილი სახელწოდებების პარალელურად. დეკანოზს თავისი საკუთარი, დეკანოზად დადგომის რაიმე წესი არ ჰქონდა და არც სხვა რამ წესები, რომლებიც საკუთრივ დეკანოზობასთან იქნებოდა დაკავშირებული.

ამრიგად, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ გარემოში (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი), ერთი და იმავე შინაარსის მქონე მოვლენა (ჯვარ-ხატების მსახურთა ინსტიტუტი) რამოდენიმე სახელწოდებას ატარებდა. ამასთან ირკვევა, რომ ეს სახელწოდებანი დღევანდელი ეთნოგრაფიული ჯგუფების თანხვედრილნი არ არიან. მაგ., ხევისბერის ინსტიტუტი მარტო ფშავში კი არ ფუნქციონირებს, ან, ვთქვათ, ხევში, არამედ რამდენიმე ეთნოგრაფიული ჯგუფისთვისაა ერთდროულად დამახასიათებელი, ე. ი. ხევისბერის გავრცელების არეალი ერთი რომელიმე ეთნოგრაფიული ჯგუფის ტერიტორიულ საზღვრებში არ ჯდება. აუცილებლად სჭირდება ახსნა იმ მოვლენასაც, რომ ერთმანეთის უშუალო და ახლო მეზობლებში — ფშავსა და ხევსურეთში, რომლებიც XV ს-მდე ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის — ფხოვის შემადგენელი ნაწილები იყო, ერთი შინაარსის მქონე, მაგრამ სხვადასხვა სახელწოდების ინსტიტუტები ფიგურირებს — კელოსანი (ხევსურეთი) და ხევისბერი (ფშავი). ახსნა სჭირდება იმასაც, თუ რატომ ამჟღავნებს, ამ მხრივ, კავშირს ხევსურეთი მაინცდამაინც თუშეთთან, სადაც ჯვარ-ხატის მსახურთა ისეთივე სახელწოდება იხმარება.

ყველა ზემოდასახელებული ტერმინები დღევანდელი ქართველისათვის საზოგადოდ, და მთიანეთის მოსახლეობისათვის, კერძოდ, გასაგები, მშობლიური და კეთილხმოვანია. მაგრამ მათი გაჩენისა და ჩამოყალიბების ხანისათვის ეს ლექსიკური სხვაობა უთუოდ ენობრივი სხვაობიდან მომდინარეობდა. თითოეული, ამ ტერმინის მატარებელი ჯგუფი, უეჭველად, განსხვავებულ ენაზე მეტყველებდა; ანდა, თითოეული (ამ ტერმინთაგანი) სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომთა კულტურული კუთვნილება იყო. ამ თვალსაზრისს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ თითოეული ამ ტერმინთაგანის და მათ ქვეშ ნაგუ-

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, რვ. № 1, გვ. 1–9;

[2] დაწვრილებით კულტის მსახურთა ამ ზოგადალმნიშვნელი სახელწოდებისა და მათ ქვეშ გაერთიანებული ინსტიტუტების შესახებ იხ. ჯ. ერიაშვილი, უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში, თბ., 1982.

ლისხმევი ინსტიტუტების გავრცელების არეალი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მკაცრად არის ლოკალიზებული. როგორც ჩანს, ამ ტერმინების და მათ ქვეშ ნაგულისხმები ინსტიტუტების მატარებელ თითოეულ ეთნიკურ ჯგუფს თავისი საკუთარი ტერიტორია ჰქონდა და კომპაქტურად იყო დასახლებული. ამ ტერიტორიის საზღვრები კი, როგორც უკვე ვთქვით, არ ემთხვევა დღევანდელი, რომელიმე ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის ტერიტორიულ საზღვრებს, არამედ, ზოგ შემთხვევაში, ერთბაშად რამდენიმეს მომცველიც კი არის. მაგ., ხელოსნის ინსტიტუტის გავრცელების არეალი მოიცავს ორი ეთნოგრაფიული ჯგუფის — ხევსურეთისა და თუშეთის ტერიტორიას; ხევისბერის — ოთხი ეთნოგრაფიული ჯგუფის — ფშავის, ხევის, მთიულეთისა და გუდამაყრის ტერიტორიას, ხოლო მორიგე/მარიგე/მერიგე გავრცელებულია და ფუნქციონირებს კერძოდ ხევსურეთის სამაგანძუროს თემში და ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ხევისბერის და ხელოსანის ტერმინების პარალელურად. მაშასადამე, ჯვარ-ხატების მსახურთა ინსტიტუტის ამა თუ იმ სახელდების მატარებელი ჯგუფის გავრცელების არეალი უფრო ფართოა, ვიდრე რომელიმე დღევანდელი ეთნოგრაფიული ჯგუფის ტერიტორიული საზღვრებია (ხევისბერი და ხელოსანი) ან, უფრო მცირე, ვიდრე ერთი რომელიმე ეთნოგრაფიული ჯგუფის ტერიტორიული საზღვარი (მორიგე). აშით იმის თქმაც გვინდა, რომ ჯვარ-ხატების მსახურთა ინსტიტუტის ამ სახელწოდებების გაჩენა და ჩამოყალიბება არაა დაკავშირებული ამ ეთნოგრაფიული ჯგუფების წარმოშობა-ჩამოყალიბებასთან და, უეჭველად, უფრო ადრეულია.

განათვლა, მიბარება, საჯელოში ჩადგომა, ზლუბლის დალაჯვა და ჯელძყრის ნათვლა ჩვენ მივიჩნიეთ გენეტურად მრავალეტაპოვანი ინიციაციის სისტემიდან მომდინარე წესებად[3]. როგორც ცნობილია, ინიციაცია წარმოიშობა შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დანაწილებისას, როდესაც საზოგადოება განშრევდება ორ ძირითად ასაკობრივ კლასად: უმცროსებად და უფროსებად. საზოგადოების წევრის უფროსთა კლასში ჩარიცხვა ხდებოდა ინიციაციის წესების შესრულების შემდეგ. ინიციაციის წესები არსებობას წყვეტენ შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისას, ან ტრანსფორმირდებიან — გადაიზრდებიან ახალი სოციალური ბაზის შესატყვის სხვა ხასიათის წესებში, რომლებიც, გენეტურად, რა თქმა უნდა, დაკავშირებულნი არიან ინიციაციასთან. საზოგადოების განვითარების ავაროვნულ საფეხურზე, შრომის ასაკობრივი დანაწილებისას, ინიციაციის წესების შესრულებით ახალგაზრდა ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან (კლასიდან) მეორეში გადადიოდა. საზოგადოების განვითარების მომდევნო საფეხურებზე, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისას, ტრანსფორმირებული ინიციაციის წესების შესრულებით ახალგაზრდა ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორე სოციალურ ჯგუფში გადადიოდა (ჩვენს შემთხვევაში, ის ყმობიდან ხელოსნობაში, ხევისბრობაში გადადიოდა). ასაკზე დაფუძნებული სრულუფლებიანობა (შრომის ასაკობრივი დანაწილებისას) შემდეგში სოციალური სრულუფლებიანობით იცვლება — ასაკობრივი ჯგუფები (კლასები) სოციალურ ჯგუფებში გადაიზრდება. ეს კარგად ჩანს

[3] ქ. ერიაშვილი, ბერის ინსტიტუტის საკითხისათვის საქართველოში 1. განათვლის, ძიბარების, საჯელოში ჩადგომის, ზლუბლის დალაჯვის წესების გენეზისის საკითხისათვის ფშავ-ხევსურეთში, თბ., „მაცნე", ისტორიის... სერია, № 1. 1987, გვ. 118—130.

თვით ამ ტერმინთა მნიშვნელობების ცვალებადობითაც. მაგ., კელი და კელოსანი საქართველოს მთიანეთში (და არა მარტო აქ, არამედ საქართველოს ბარშიც) სოციალური ტერმინებია, მაგრამ ამავე რეგიონში ისეთი ტერმინის არსებობა, როგორიცაა ა კ ა ლ ი, ან ა კ ა ლ-უ კ ა ლ ი — შესაბამისად, ნიშნავს ა ს ა კ ი თ უ მ ც რ ო ს ს, ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა ს — მიგვანიშნებს კელისა და კელოსნის (უფრო კი ხელის) ოდინდელ ასაკობრივ შინაარსზეც. ა-კალ-ი, ან უ-კალ-ი (ანუ უმცროსი) ის უნდა ყოფილიყო, ვინც კელი (//კალი)[4] არ იყო, ანდა ვისაც კელი//კალი არ ჰქონდა ჯერ. ასევე სოციალური ტერმინია ბერი (შემდეგდროინდელი კ ე ვ ი ს ბ ე რ ი; ხევისბერთა ნაცვლად ეხლაც ხშირად ხმარობენ ბერებს, არის ტერმინი ს ა ბ ე რ ო ც, რომელიც ჯვარ-ხატში ხევისბერთა საცხოვრებელი — სადგომი ნაგებობაა), მაგრამ ამავე რეგიონში (და საზოგადოდ ქართულში) ნიშნავს ასაკობრივად და საზოგადოებრივად უფროსსაც. მაგ.:

„ვერც შენ გაგტეხეს ციხეო, ვერც ხეს დაახლეს ხელია,
ალბათ თუ გშველდა ხთიშვილი, კმაყოფ მეფნურია.
ისრის პირდაპირ არ ან დაცარიელებულნ კლდენია,
ბ ე ლ ე ლ ნ ი ე ს ხ დ ე ს უ ფ რ ო ს ნ ი, კ ი ნ ც უ წ ი ნ დ ე ლ ნ ი ბ ე რ ნ ი,
სალაშქრო დროშას ხვაზმევდეს: ბჟენი და კვევისბერნია"[5].

ბერი საქართველოს მთიანეთში უპირისპირდება ახალს: „ბ ე რ ი დ' ა ხ ა ლ ი"[7] — ა ს ა კ ი თ უ ფ რ ო ს ი და ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა, უ ფ რ ო ს ი და უ მ ც რ ო ს ი.

მაგ.:

„ალვის ხე გადააქციეს, ძირ არ გაჭრეს, წვერია.
შიგ გაწყდა ციხე წავიდა, წითლა როგორც გველია.
შენაც გაგტეხეს ციხეო, თავზე დაგხვის მტერია.
მაშინ ბევრ კვესურ გაწყვიტეს, ა ხ ა ლ ა რ დ ა რ ჩ ა, ბ ე რ ი ა"[8].

ზოგადად, ძველ ქართულში ბერს უპირისპირდება ყ მ ა („იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არცა ბერი" და სხვ. — „ვეფხისტყაოსანი"), რომელიც დღეს აგრეთვე სოციალური, მაგრამ ყრმა-ფორმით ოდინდელი ასაკობრივი ტერმინია[9] (ასევე ოდინდელი ასაკობრივი ტერმინებია კ ა ც ი, წ უ ლ ი, რომლებმაც შემდეგ სოციალური შინაარსიც შეიძინეს). ა ხ ა ლ ი საქართველოს მთიანეთში სოციალურ ტერმინად ვერ იქცა, იგი ასაკის აღმნიშვნელ ტერმინად დარჩა, რადგან ა ხ ა ლ ი გამოდევნა ყმამ, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშ-

[4] ქვემოთ ვნახავთ, რომ კ ე ლ ს კ ა ლ ვარიანტიც აქვს.

[5] აღნიშნული ტაეპიდან ირკვევა, რომ ხსოვნა ტრადიციისა — ბერისა, როგორც უ ფ რ ო ს ი ს შესახებ ჯერ კიდევ ცოცხალია.

[6] ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, „მერის ციხე", № 17, 111, 1939.

[7] მაგ.: „სოფლელებო, ძაგლოდასთ ყველას: ვისაც არ მაგდისთ, ეროძანუთს გააკეთეთ. თუ გწყალობსთ არხოტის ჯვარი, ხვალ თავის საქმეზე არცად-ვინ წახვიდეთ, ჯვარის ყანაი იქვნის. ყველამ დაამზადეთ დღეს კარის იარაღი. ხვალ დილას ყველა გამეედით ბ ე რ ი დ' ა ხ ა ლ ი (ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, გვ. 5).

[8] ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, „მერის ციხე", № 17, 111, 1939.

[9] ქ. ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, ბერის ინსტიტუტის... „მაცნე", 1987, № 1; გ. მ ა მ უ ლ ი ა, პატრონყმობა, თბ., 1987.

ნეთ, თავიდან ასევე ასაკობრივი, შემდეგში კი სოციალურში გადაზრდილი ტერმინია[10].

საქართველოს მთიანეთშიც ყმა უკვე სოციალური ტერმინია: ყმა და კევისბერი, ყმა და კელოსანი. კელოსანსა და კევისბერს, ორივეს ერთად, სოციალურად უპირისპირდება ყმა. ყმა — რიგით მეთემეთა აღსანიშნავად ორივე რეგიონში (ფშავ-ხევსურეთში), ხოლო კელოსანი (ხევსურეთი) და კევისბერი (ფშავი) კი სოციალური ინსტიტუტებია, სრულუფლებიანთა ის წრეა, საიდანაც თემის მმართველი ფენა — ჯვარიონ-ხატიონი დგება. ახალი გვაროვნულ საზოგადოებაში (შრომის ასაკობრივი დანაწილებისას), იმ ასაკობრივი ჯგუფის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რომლებსაც ზოგადად უმცროსები ეწოდებოდათ და რომლებიც უპირისპირდებოდნენ კელს — კელოსანს, რომელიც თავის მხრივ, სრულწლოვანთა და სრულუფლებიანთა, ანუ ზოგადად, უფროსთა ჯგუფის სახელწოდება იყო. ორი ეთნიკური ჯგუფის — კელისა და ბერის კულტურის მატარებელი ჯგუფის — შერევა-შერწყმის, კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად, საქართველოს მთიანეთში (ფშავ-ხევსურეთში) ერთმანეთს დაუპირისპირდა ბერი და ახალი ბერი, როგორც ასაკობრივად უფროსთა, ახალი, როგორც ასაკობრივად უმცროსთა აღმნიშვნელი ტერმინები. დღევანდელ ვითარებაში, ტრადიციულად, ფშავ-ხევსურეთში „ბერიდ' ახალი“, შესაბამისად, უფროსების და ახალგაზრდების, უფროსთა და უმცროსთა აღმნიშვნელ ცნებებად დარჩა.

ტერმინი ახალი ახალგაზრდის, ასაკით უმცროსის მნიშვნელობით გვხვდება ქართული ენის აჭარულ დიალექტშიც; კერძოდ: „ახალი (ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა): ახალი ინსანი — ახალგაზრდა (საპირისპირო — ძველი[11]) — „შენ ჯერ ბევრი რამე მოგესტრება, ახალი ინსანი ბ/ბ/ძანდები“[12]. ამავე დიალექტში ინსანი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ადამიანს, კაცს. ასეთივე მნიშვნელობისაა ეს სიტყვა ინგილოურშიც[13] და ბოლოს, თვით ქართულ სალიტერატურო ენაშიც ახალი შესულია სიტყვა „ახალგაზრდაში“.

ცვლილებები ინიციაციის წესებში. ინიციაციაგავლილთა წრის დავიწროებითაც გამოიხატა. იმ მიზეზებზე, თუ რა იწვევდა ამ წრის თანდათანობით დავიწროებას საქართველოს მთიანეთში, უკვე გვქონდა მსჯელობა ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში და აქ მას აღარ გავიმეორებთ[14]. დასახელებულ

---

10 ბერი და ყრმა სწორედ უფროსისა და უმცროსის მნიშვნელობითაა დაცული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ისტორიკოსის ცნობაში („და ვითარ წყობა და რაზმი ერთმანეთს განეწყვნეს, იმათებურეს მოყმეთა თამარისთა: და უსწრობდა ბერი ყმასა და ყრმა ბერსა, პატრონი ყმასა და ყმა პატრონსა“; „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959, გვ. 40), წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ლაშქარში ყრმები — არასრულწლოვანები და ბერები — მოხუცები მონაწილეობდნენ.

11 ძველი აჭარულში კილოკანითი მნიშვნელობით ნიშნავს მოხუცს, უფროსი თაობის წარმომადგენელს, წინაპარს (შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1971, გვ. 409) ე. ი. თუ ფშავ-ხევსურულში ერთმანეთს უპირისპირდება ბერი და ახალი, ძველ ქართულში ბერი და ყმა, აჭარულ დიალექტში ძველი და ახალი. ყველა ესენი ასაკობრივი ტერმინებია.

12 აჭარულში: „ახალობაში — ახალგაზრდობაში“, „ახალპირი — ახალგაზრდა, მოზარდული პირუტყვი, პირველი ხბოს მომგები ფური“ (იქვე, გვ. 97).

13 დასახ. ლექსიკონი, გვ. 216.

რეგიონში სახეზეა ინიციაციის განვითარების (ტრანსფორმაციის) ისეთი საფეხურიც, როდესაც ინიციაციაგავლილთა წრე (ხელოსნები, ხევისბერები) ხდება ის ბირთვი, საიდანაც საზოგადოების მმართველი თეოკრატიული ფენა (ჯვარიონნი, ხატიონნი) დგება. ეს სწორედ ის ცვლილებებია, რამაც გვაროვნული საზოგადოების ასაკობრივი ჯგუფები — შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დანაწილებისას, საზოგადოების განვითარების შემდგომ საფეხურზე — შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისას, სოციალურ ჯგუფებად აქცია. მართალია, საქართველოს მთიანეთში ინიციაციის წესები საერთო, უნივერსალური მოვლენა იყო, მაგრამ სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში ინიციაციაგავლილი ახალგაზრდის ზოგადი სახელწოდება განსხვავებული ლექსიკური ფორმით გამოიხატა.

აქ უნდა შევეხოთ აქამდე ნაკლებად შენიშნულ ინიციაციის ინსტიტუტის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ეთნიკურ ფუნქციას", მის „ეთნიკურ ასპექტს". ეთნოსოციალური ერთობის ისეთ ისტორიულ-სტადიალურ ტიპში, როგორიცაა ტომი, ინიციაციის წესები იყო ეთნიკური თვითშეგნების იმ აუცილებელი კომპონენტის ერთ-ერთი გამოვლენა, რომელსაც ეთნოსის შემადგენელი ყველა წევრის წარმოშობის ერთიანობის შესახებ წარმოდგენა ეწოდება. ჩვენს შემთხვევაში, ჯვარ-ხატის დროს ქვეშ შეგორებით (ჯვარ-ხატში ბავშვის ძიბარების წესი), საყმოში დაბადებულ ბავშვებს, ღვთაების სახით, ერთი საერთო „მშობელი" — წინაპარი უჩნდებოდათ და ამით საერთო წარმოშობა იდეოლოგიურად საბუთდებოდა. სრულწლოვანების ასაკში ინიციაციაგავლილთა ერთი ჯგუფის ყველა წარმომადგენელს კელოსანი (ან მარიგე/მორიგე/მეორიგე) ეწოდებოდა, მეორისას — ბერი (ხევისბერი): ხევსურეთში ყველა სრულწლოვანი და სრულუფლებიანი მამაკაცი კელოსანი, ან მორიგე იყო, ფშავში — ყველა ბერი (ხევისბერი). ე. ი. ტერმინი ხელოსანით (ხევისბერით და მორიგით) გადმოცემული იყო მათი წარმოშობის ერთიანობის წარმოდგენა. ანდა ასე: ინიციაციაგავლილი ყველა მეთემის საერთო სახელწოდება — კელოსანი (კევისბერი, მორიგე) — მათი ოდინდელი საერთო წარმოშობის დღევანდლამდე მოღწეული ექოა. ინიციაციის წესის შესრულებით მიღებული ნათესაობა, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეს იყო ტომის წევრთა არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური ნათესაობა. ჩვენი აზრით, კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალების ჩვენებიდან გამომდინარე, ღვთაებასა და ბავშვს შორის დამყარებული ურთიერთობის გარკვევისას, ბიოლოგიური ნათესაობის საფუძველზე შემუშავებული მოდელიდან უნდა ამოვიდეთ მაინც (მიშველი ბავშვის შეგორება, როგორც შობა-დაბადების სიმულაცია). ამიტომ, ხშირად, ინიციაციაგავლილის სახელწოდება, რელიგიური ასპექტით, ბავშვისა და შვილის მნიშვნელობასაც იტვირთავდა.

ინიციაციის წესების „ეთნიკურ ფუნქციაზე" მიუთითებს ისიც, რომ მისი საშუალებით ხდებოდა პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში ტომის ტრადიციული კულტურის ტრანსმისია თაობიდან თაობაში. ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი თვალსაზრისი:

**«В интересующей нас связи представляется также существенным подчеркнуть внутреннюю однородность культуры отдельных племен. Как свидетельствуют этнографические данные, все члены каждого**

14 ე. ერიაშვილი, უძველესი... გვ. 47—56; გვ. 73—96; გვ. 150—162.

**племени, или по крайней мере составляющих его половозрастных групп обладают в основном стереотипными знаниями, навыками, нормами поведения и т. п. Все их действия четко регламентированы и любое отклонение от стереотипов строго карается. «Как ни импозантно, — писал Энгельс, — выглядят в наших глазах люди этой эпохи, они неотличимы друг от друга». Для обеспечения устойчивой межпоколенной трансмиссии культуры существовал особый институт — так называемые инициации. Инициируемого подростка посвящали в нормативную и религиозно-мифологическую жизнь общины и проверяли его зрелость, обычно испытывая посредством ряда мучительных процедур...[15]»**

ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში კი ჩამოყალიბებულია აზრი, რომ თითოეული ადამიანი წარმოადგენს ეთნიკური იერარქიის მიკროეთნიკურ ელემენტს — ეთნიკური თვისებებისა და ინფორმაციის მატარებელს[16]. ინიციაციაგავლილნი — სრულწლოვანი და სრულუფლებიანი წევრები საზოგადოებისა (ტომის) იყვნენ სწორედ ამ ეთნიკური თვისებებისა და ეთნიკური ინფორმაციის მატარებლები.

შევეხებით ინიციაციის ინსტიტუტის კიდევ ერთ „ეთნიკურ ასპექტს“. საქმე ის არის, რომ ინიციაციაგავლილის სახელწოდება იმეორებს (ზუსტად, ან მიახლოებითი ფორმით) ეთნიკური ერთობის სახელწოდებას — ეთნონიმს, რომელია მათ შორის უძველესი, ანუ ეთნონიმი უდება საფუძვლად ინიციაციაგავლილის სახელს, თუ პირიქით, ინიციაციაგავლილთა სახელწოდება გვაძლევს ეთნონიმს, როგორც საზოგადოების სრულწლოვან, სრულუფლებიან წევრთა ერთობლიობის, ერთიანობის სიტყვიერი, ენობრივი გამოხატულება, თუ სიმბოლო. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ გენეტურად, პირველადია სოციალური ორგანიზმები, ხოლო შესატყვისი ეთნიკოსები — მეორადი[17]. ხომ არ გვაძლევს ეს საფუძველს, რომ საკითხი ინიციაციის წესების სასარგებლოდ გადავწყვიტოთ: ვთქვათ, პირველადია ინიციაციის წესგავლილთა საერთო სახელწოდება და ის საფუძვლად უდევს მათი ერთობის გამომხატველ სახელწოდებას — ეთნონიმს. ცნობილია, რომ უძველესი ეთნონიმების რიცხვს მიაკუთვნებენ შემდეგი მნიშვნელობის მქონე ტერმინებს: „ადამიანი“, „კაცი“, „ხალხი“. ასევე ინიციაციაგავლილთა საერთო, კოლექტიური სახელწოდებაც ხშირად ამ არსებითი სახელებით არის გამოხატული: „ადამიანი“ „ნამდვილი ადამიანი“, „კაცი“, „მამაკაცი“, „ნამდვილი მამაკაცი“ და ა. შ. ამიტომ, ხშირად ეს ძველი ეთნონიმები ხალხის აღმნიშვნელადაც გვევლინებიან და ამ ხალხის შემადგენელი ცალკეული ინდივიდისაც[18] თუ ინიციაციის ინსტიტუტის „ეთნიკურ ფუნქციას“ გავითვალისწინებთ, მაშინ გამოდის, რომ ყველოსანი (ყვევისბერი, მორიგე) სოციალური და ეთნიკური შინაარსის მქონე ტერმინია ერთდროულად, რაც კარგად გამოხატავს სოციალურისა

---

[15] Бромлей Ю. В., Очерки истории этноса, 1983, გვ. 260—261.

[16] მისივე, Современные проблемы этнографии, 1981, გვ. 31.

[17] მისივე, Этнос и этнография, 1973, გვ. 40. ამავე წიგნში—Этнические процессы, გვ. 153—179.

[18] მაგ., ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ ერი ნიშნავდა ხალხს და ცალკეული ინდივიდის აღმნიშვნელიც იყო.

და ეთნიკურის ურთიერთმიმართებასაც, მათ ურთიერთგაპირობებულობას, მათ სინთეზს[19].

კელოსანი (და კევისბერი) რომ სოციალური ინსტიტუტია, ხოლო საქართველოს მთიანეთის (ხევსურეთის) მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში, ჩას, როგორც სოციალურ ფენას, თავისი ადგილი უჭირავს, ვფიქრობთ, ეს დავას და ეჭვს არ იწვევს. მაგრამ არის თუ არა ამ კულტურის (ცელოსნის კულტურის) მატარებელი ჯგუფი ოდინდელი ეთნოსოციალური ერთობა (ტომი), ამის ამოცნობის მეცნიერულ დასაბუთებას შევეცდებით ჩვენ სწორედ წინამდებარე წერილში.

ტერმინ ~~კელოსანის სვანური ვარიანტი კალსუან//კალსვანი~~ მიგვითითებს ჯერ ერთი, კ ე ლ ი ს კ ა ლ ვარიანტზე და, შემდეგ, გვაფიქრებინებს, რომ კ ე ლ ო ს ა ნ შ ი კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი — ო ს ა ნ ი თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით (კალ-სუან-ში/კალ-სვან-ში სუანის/სვანის მსგავსად). შესაძლებელია, ეთნიკური ტერმინი იყოს[20], ყოველ შემთხვევაში, კალსუან/კალსვანში კომპოზიტის მეორე წევრი, ვფიქრობთ, ეთნიკური ტერმინია. სამწუხაროდ, სხვა რაიმე სანდო წყარო კ ე ლ ო ს ა ნ ი ს შესახებ ზემომოტანილი მსჯელობის მეტი საბუთიანობისათვის არ გაგვაჩნია და

19 ეთნიკურისა და სოციალურის ურთიერთმიმართების საკითხი, თვალსაზრისით, საინტერესო მკვლევართა მოსაზრებანი ეთნოსოციალური ორგანიზაციის შესახებ, როგორიცაა ტომი, ანუ სხვანაირად, ეთნიკურისა და სოციალურის ურთიერთმიმართება წინაკლასობრივ და ადრეკლასობრივ საზოგადოებებში (იხ. Этнос в доклассовом и раннеклассовом обществе. 1982 წ.) საგულისხმო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ „Этнический аспект племени... старше его социального аспекта" (იქვე, გვ. 7). მაგრამ ზოგი რიგი ფაქტი და საკითხის გაღრმავებული კვლევა ... ამ მოსაზრებას ... ახლავს: „По-видимому, можно скорее говорить о взаимодействии обоих аспектов. При общей относительной аморфности первобытных этнических образований социально-экономическая и зачаточная потестарная общности стимулировали этнокультурное единство, а последнее в свою очередь способствовало складыванию этносоциальных общностей»

ეთნიკურისა და სოციალურის ურთიერთმიმართების საკითხი არც ქართული ისტორიოგრაფიისათვის არის უცხო. ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, გ. მელიქიშვილის და სხვათა ნაშრომებში გამოთქმულია არაერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოსაზრება ამ საკითხზე. ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება. მას ლოგიკურ სწორად მიაჩნდა, რომ ქართველურ, თუ კავკასიურ ენებში სოციალურ-წოდებრივი ტერმინები ტომთა სახელწოდებისგან იყო ნაწარმოები და მას „მოძმე" ტომებს შორის ... ბრძოლის მიზეზიარებით ხსნიდა, განსაკუთრებით იმ ხანაში, როდესაც კლასობრივი საზოგადოება ყალიბდებოდა ამ ტომებში" (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 364 365) ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ „თუ ... ის დიდ ნაწილში გასაზიარებელია მარის მიერ პირველად გამოთქმული მეცნიერული მოსაზრება, რომ კავკასიაში კლასობრივი საზოგადოების სხვადასხვა წოდების სახელი სხვადასხვა ტომისაგან არის ნაწარმოები..." (იქვე, გვ. 366).

20 ქართული ენის აჭარულ დიალექტში სანი და ისანი ადამიანის ჩამომავლობის და აგრეთვე კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი ს აღმნიშვნელი აფიქსია. ... სახელს: მემედისანი — მემედაანთი, ჭელიძისანი — ჭელიძიანთი (შ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1971, გვ. 210). იმავე აჭარულსა და ინგილოურში ისანი ნიშნავს კ ა ც ს, ა დ ა მ ი ა ნ ს. ეთნონიმიკაში, კვლევის დღევანდელ ეტაპზე, დადგენილია, რომ კ ა ც ი ს და ა დ ა მ ი ა ნ ი ს (აგრეთვე ხალხის) აღმნიშვნელი სიტყვები უძველესი ეთნონიმების რიცხვს განეკუთვნებიან (იხ. Этнонимы, 1970, გვ. 15–17). ხოლო ეს იგივეობა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი ის ტერიტორიაა, სადაც ს ა ნ ე ბ ი ცხოვრობდნენ.

ამდენად, ჩვენი მოსაზრება, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდის ფარგლებში თუ დარჩება; თუმცა ამ საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით, უკვე სხვა მასალების შუქზე.

რაც შეეხება კელ/კალს, ვფიქრობთ, იგი არა მარტო სოციალური, არამედ ეთნიკური ტერმინიც უნდა იყოს. უფრო სწორად, კელ/კალ უნდა ყოფილიყო ეთნოსოციალური ერთობა (ტომი). იმ შემთხვევაში, თუ კი როდისმე დასაბუთდება კელოსანში ოსანი სუფიქსის ოდინდელი ეთნიკური მნიშვნელობა, ასეთ ეთნოსოციალურ ერთობად უკვე წარმოჩნდება კელოსანი, როგორც ორი ეთნოსოციალური ერთობის შერწყმის შედეგი.

თუ კელ/კალ, სოციალურის გარდა, ერთ დროს ეთნიკური ტერმინიც იყო და განსაზღვრულ ეთნოსოციალურ ერთობას გულისხმობდა, მაშინ იგი, საზოგადოებრივი განვითარების ადრეული საფეხურებისათვის, უნდა ასახულიყო არა მარტო საზოგადოების სახელწოდებაში (ეთნონიმში), არამედ ამ საზოგადოების შემადგენელი თითოეული ინდივიდის (პატრიარქალურ-გვაროვნულ საზოგადოებიდან მოყოლებული — ყოველი სრულწლოვანი მამაკაცის) სახელწოდებაშიც. მართლაც, კელოსანი (დღევანდელი გაგებით კელის მქონე, კელის მფლობელი, უფლებამოსილი) ეწოდება სრულწლოვან, სრულუფლებიან მამაკაცს ინიციაციის წესების (განათვლა, მიბარება, საკელოში ჩადგომა, ზღუბლის დალაკვა) შესრულების შემდეგ. ამის მიზეზი იყო ის, რომ საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ საფეხურზე ინდივიდი ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი კოლექტივისგან. სწორედ ეს უკანასკნელი ჰქონდა მხედველობაში ნ. ბერძენიშვილს, როდესაც წერდა: „მაგრამ ასე არ უნდა ყოფილიყო გვარსახელის განვითარების უფრო ძველ საფეხურზე (გორასა და სახლის შეურყვნელობის საფეხურზე). იქ ინდივიდს და კოლექტივს, საფიქრებელია, ერთი სახელი ჰქონოდათ, უფრო სწორად რომ ითქვას, იმ დროს ინდივიდი, როგორც სოციალური ძოვლენა, არც არსებობდა, და ცხადია, არც ინდივიდიალური გვარსახელი არსებობდა. ლომთა გორადან ყველა ლომი იყო, ყორანთადან ყველა ყორანი, წერონიდან ყველა წერო იყო, ურბნიდან ყველა ურბი და ა. შ.[21].

თუ კელ//კალი ეთნიკური ფენომენიც იყო, მაშინ იგი უნდა ასახულიყო ამ ეთნიკური ფენის სადგომის, საცხოვრისის, მიწა-წყლის სახელწოდებაშიც. მართლაც, სახლ-ი და მისი არარედუქცირებული ფორმა სა-ხელ-ი//სა-ხალ-ი[22]

---

[21] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 125. თუ საქართველოს ბარის მასალების რეტროსპექტული გააზრებით შესაძლებელი იყო ასე შორს წასული დასკვნების გაკეთება, ანუ საზოგადოების განვითარების ასე ადრეული საფეხურების წიაღში ჩახედვა, მით უმეტეს, ეს შესაძლებელი უნდა იყოს საქართველოს მთიანეთის მასალების საფუძველზე. იხ. აგრეთვე. ცნობილია სახლისა და სახელის ურთიერთმონაცვლეობა, რომელსაც გ. მამულია ხსნის იმით, რომ სახლში შემავალი წევრები თავის თავს სახლისგან ვერ გამოყოფდნენ და იმავე nomen-ს ატარებდნენ, რასაც თვით სახლი (გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 45).

[22] ვ. თოფურიას გამოკვლევით სახლ- ფუძის რედუქცირებული ხმოვნის აღდგენისას მეგრულ-ჭანური ოხორ-ი სახელ ფუძეს ითხოვს. მაგრამ მეგრულ ო-ს ქართული ე-ც შეესაბამება, ამიტომ სახლ-ის არარედუქცირებული ფორმა სახელ-ი იყო (ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1946, I, გვ. 60. იხ. აგრეთვე ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ

უნდა ნიშნავდეს იმ ნაგებობას, იმ მიწა-წყალს, იმ ქვეყანას[23], რომელიც ხელ//ხალს ეკუთვნის. „ს ა ხ ლ ი" ერთი რომელიმე გარკვეული ტომის შემოტანილად მიაჩნდა ნ. ბერძენიშვილს, ხოლო გ. მელიქიშვილის აზრით, „პირველყოფილი თემური წყობილების დროს სახლი თუ ყ ვ ე ლ გ ა ნ ა რ ა ქ ა რ თ ი ს ტ ო მ ე ბ ი ს ე რ თ ნ ა წ ი ლ შ ი მ ა ი ნ ც, აღნიშნავდა გვარს"[24] (ხაზგასმა ჩვენია — ქ. ე.). ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო, სწორედ კელ//კალ სახელწოდების მქონე ტომი. ამიტომ „საკელოში ჩადგომა" უთუოდ ნიშნავდა სახელში//სახალში//სახლში (სა-კელ-ო — დღევანდელი გაგებით ის, რაც კელისაა, ხელს ეკუთვნის: სა-ხელ-ი//სა-ხლ-ი//სა-ხლ-ი — ასევე ის, რაც ხელისაა, ხელს ეკუთვნის), ანუ იმ გვარის, ტომის, თემის, თუ ქვეყნის მიწა-წყალში „ჩადგომასაც", სადაც ეს წესი სრულდებოდა. ე. ი. სა-კელ-ო სახლი — სახელის, ანუ მიწა-წყლის ცნების შემცველიც იყო.

„ხელოსანი-სახელოსნოს" „სახლი-სახელთან" ურთიერთმიმართების შესახებ აზრი გამოთქმული აქვს აგრეთვე მ. კანდელაკს[25].

ზემოთმოტანილ მსჯელობებს ამაგრებს ის გარემოებაც, რომ ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო, დ ა რ ბ ა ზ ი, და ს ა ბ ე რ ო ურთიერთპარალელურად, ურთიერთმონაცვლეობით ხმარებული ტერმინებია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და, შესაბამისად, პირველი აღნიშნავს ხელოსანთა სამყოფელს, საბერო-ბერების (ხევისბერების), ხოლო დარბაზი — ჯვარ-ხატის მსახურთა — ხუცესის, ქადაგის, მეგანძურის, მედროშის, მესანთლის, მეზარის, მესაფუვრის, ხელოსნების და ა. შ., სადგომი, თავშესაყრელი ადგილია და ამავე დროს, როგორც ცნობილია, ქართულში ადამიანთა საცხოვრებელსაც ეწოდება.

გვაროვნულ საზოგადოებაში, სრულწლოვანი, ინიციაციის წესშემსრულებელი ახალგაზრდა „საკელოში ჩადგებოდა", ანუ ამ მიწა-წყლის სრულუფლებიანი პატრონი და ამ მიწა-წყალზე მოსახლე სოციალური ერთეულის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. როგორც ვიცით კიდეც, საკელოში ჩამდგარის — სახელწოდება კელ-ოსანი, ანუ კელის მქონე, ანუ უფლების მქონე — უფლებამოსილი იყო (ყოველშემთხვევაში, დღეს ქართველს ასეთი მნიშვნელობით ესმის ეს ტერმინი).

თავის (საზოგადოების, თემის, სოფლის) მიწა-წყალში „ჩადგებოდა" ამ მიწა-წყლის მხოლოდ მკვიდრი მცხოვრები, ხოლო უცხო მიწა-წყლიდან მოსულს ეს ეკრძალებოდა. ასევე ეკრძალებოდა ინიციაციის წესის შესრულება მდევრობითი სქესის წარმომადგენელთ, რომელთა ერთი ნაწილი ამ მიწა-

---

ქართულში, თბ., 1957, გვ. 39–40. აქ ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებულია ს ა ხ ე ლ ი ს ა ხ ლ ი ს — ნაცვლად.

[23] სახლი რომ „ძველად მარტო ოჯახის საცხოვრებელ ადგილს კი არ ერქვა, არამედ მიწა-წყლისა და ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა" (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 131—132) და იმ სოციალურ ერთეულსაც ერქვა, რომელიც ამ მიწაზე „იჯდა", ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია და საყოველთაოდ გაზიარებული (იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 162—163; მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, 1975, გ. მ ა მ უ ლ ი ა, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 42—92.

[24] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ. 580—581.

[25] К а н д е л а к и М. Б., Хелосани у горцев Восточной Грузии, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 96, № 3, 1979.

წყალზე დროებით მაცხოვრებელთა რიცხვს ეკუთვნოდა (დები, ქალიშვილები), ხოლო მეორე კი ქორწინებით მოსულთა რიცხვს (ცოლები). ამიტომ მათი სრული ინტეგრაცია და თემის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში სრული ჩართვა არ ხდებოდა: საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ ყოფაში საზოგადოების მდედრობით ნაწილს მიწა-წყალში („წ ი ლ-ნ ა წ ი ლ შ ი“) წილი არ ედო, ანუ „უნაწილო“ იყო. ინიციაციის წესს ვერ შეასრულებდა ა შ ა ნ ა თ ი, უკანონო ბავშვი; საარქივო მასალებიდან ცნობილია, რომ აშანათს და უკანონო ბავშვს ასევე არ ედოთ წილი საზოგადოების „წილ-ნაწილში“. ასევე წილ-ნაწილში წილი არ ედო ქვრივ ქალს, რომელსაც მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა. რაც შეეხება მ ო ს უ ლ ს, იგი ინიციაციის წესებს ასრულებდა მხოლოდ თავის საგვარეულო, თუ მამაშვილობის სალოცავში. სათემო (სასოფლო, რამოდენიმე სოფლის გამაერთიანებელ) სალოცავში ინიციაციის წესს ის ვერ შეასრულებდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მ ო ს უ ლ ს წილი ედო მხოლოდ თავის საგვარეულო წილ-ნაწილში, საერთო, სასოფლო წილ-ნაწილზე კი მას ხელი არ მიუწვდებოდა[26].

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სა-ხლ-ი//სა-ხელ-ი//სახლი ენობრივი და სოციალური შინაარსის თვალსაზრისით, მოგვიანო (ტერიტორიის ცნების გამომხატველი) ფორმაა კელ//კალ ფუძიანი სახელწოდების მქონე ეთნიკური ფენის სადგომის, საცხოვრისის სახელწოდებისაა. ხევსურეთში სახლის აღმნიშვნელი ძველი ტერმინი კოლი უნდა იყოს (შდრ. ო-ხორ-ი, ო-ხოლ-ი, ოხოლიასქირი// //ოხორასკირი — მეგრულში; ოხორასქირი//ოხორასკირი — ლაზურში. ქართულში შეესატყვისება — სახლისშვილი). ამ ტერმინების სოციალურ ბუნებას შეეხნენ: ს. ჯანაშია, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა და სხვ. მაგ., ხევსური ამბობს და განმარტავს: „დევთ ნასახლარები ციხეგორ-ანდრეზი. კოლ-კოლიავ, იტყვიან — სახლებ, სადგომივ“[27]. ნასახლარს (მაგ. დევთა ნასახლარებს) ხევსურეთში ნ ა ხ ო ვ ლ ა რ ი ეწოდება. აღნიშნულ ნასახლარებს ხ ო ვ ლ ე ბ ი ც ეწოდება.

ეს მოვლენა, რომ „ადამიანთა ერთობა — საზოგადოება და მის მიერ ათვისებული მისი სამეურნეო სარბიელი... თავდაპირველად ერთი და იმავე ტერმინით აღინიშნებოდა“. ქართულ ისტორიოგრაფიაში შენიშნულია ნ. ბერძენიშვილის მიერ „ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის“ ცნების წარმოშობის საკითხზე მსჯელობისას. მეცნიერის აზრით, „ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის“ ცნება დამოუკიდებლად არ არსებობდა და ის შედარებით გვიან არის გაჩენილი“. „ორბნი (ორბეთი, ურბნისი), მაგალითად — ახასიათებს ნ. ბერძენიშვილი — ან წეროვანი (წეროვნისი), ისევე, როგორც წობენი ან ფხოვენი (ფხვენისი) არა მარტო „ორბთა“, „წეროთა“, „წოვთა“, ან „ფხოვთა“ სიმრავლეს აღნიშნავდა, არამედ ი მ ა ვ ე დ რ ო ს ა ღ ნ ი შ ნ ა ვ დ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა ა მ კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ს ა მ ყ ო ფ ე ლ ს ა ც. შედარებით გვია-

---

[26] ამის საილუსტრაციოდ შეგვეძლო მოგვეტანა, მაგ., არხოტის თემის მასალა. აქ მ ო ს უ ლ ა დ წოდებული გვარები საკელოში ჩადგომის წესს ასრულებენ მხოლოდ თავის საგვარეულო ჯვარ-ხატებში, საერთო, სათემო სალოცავში წესების შესრულება მათ არ შეეძლოთ. სათემო სალოცავში აღნიშნულ წესს ასრულებდა მხოლოდ უხუცეს, მკვიდრად წოდებული ჭიბუშაურთა გვარი.

[27] იხ. თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 171.

[28] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ.

ნი ხანის მოვლენა იყო და „აზროვნების უფრო მაღალი განვითარების მაჩვენებელი", როდესაც „ამ სახელების შემქმნელი საზოგადოების ცნობიერებაში ერთიმეორეს გამოეყო ადამიანთა კოლექტივი და ამ კოლექტივის სამოსახლო ტერიტორია"[28]. ჩვენი აზრით, ასეთი გამიჯვნა უკვე მომხდარია „სახლის" სახით, კოლი კი, ვარიაციული ფორმით, ჯერ კიდევ ტომის სახელწოდებას უნდა ემთხვეოდეს[29].

კოლ--ისაგან განსხვავებული ფორმის, მაგრამ ასეთივე სემანტიკისაა ხ უ ლ ი, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ნიშნავს ქოხს, ხულას[30]. ა. შანიძეს, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტიდან გამომდინარე, ხული განმარტებული აქვს, როგორც „უბრალო სახლი, ქოხი"[31]. „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი კი საინტერესოა იმით, რომ 1) ურთიერთმიმართებაშია წარმოდგენილი დ ა რ ბ ა ზ ი და ხული: „უმისოდ მყოფსა სწორად მიჩნს, ჩემთვის დარბაზი და ხული"[32]; 2) დარბაზის და ხულის — ორივეს ზოგადაღმნიშვნელ ტერმინად გვევლინება სახლი: „არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა"[33].

არ შეიძლება არ ითქვას ხულას შესახებაც (ხულ-ი და ხულ-ა ერთი ფუძისგან არის შედგენილი). სულხან-საბას განმარტებით, ხულა — სახლი სავაჭრო სადები[34]; ნ. ჩუბინაშვილი — ხულა — ქოხი//ქულბაქი, დუქანი, სავაჭროს სადები სახლი[35]; იმერულ დიალექტში ხულა არის „ნალია, სასიმინდე"[36].

ეს მასალა ერთხელ კიდევ ადასტურებს, ხევსურული მასალის პირდაპირ მითითებას, რომ კოლ-კოლი არის „სახლებ, სადგომიე". მაგრამ იმავე ხევსურული მასალიდან ჩანს, რომ „კოლ-კოლია", ნათქვამია დევთა ნასახლარების შესახებ. ალ. ჭინჭარაულის ცნობით, ხევსურები „ყოველგვარი საცხოვრებელი ნაგებობის ნანგრევს ნ ა შ ა ლ ს (//კ ო ლ ს) ეძახიან"[37]. ამ უკანასკნელით გამოდის, რომ კოლი ნიშნავს ნაშალს, ნანგრევს, მაგრამ არა ყველა ნაშალს და ნანგრევს, არამედ მხოლოდ საცხოვრებელი ნაგებობისას. მაგრამ ჩვენ გვაქვს ცნობაც, რომ კოლი სახლია, სადგომი; გვაქვს აგრეთვე, უთუოდ, კოლის ვარიაციული ფორმის — ხულის და ხულას მნიშვნელობები, გვაქვს ო-ხორი და ო-ხოლი მეგრულსა და ლაზურში, რომლებიც იმავეს ადასტურებენ. როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ეს ორი ცნობა (ალ. ოჩიაურის და ალ. ჭინჭარაულის)? ჩვენი თვალსაზრისი ამ საკითხზე შეიძლება მხოლოდ ასე ჩამოყალიბდეს: კოლი არის სახლის, სადგომის აღმნიშვნელი და მათ შორის

---

29 ასევე გვიან გაჩენილად უნდა ჩავთვალოთ სა-კელ-ო-ც, რომელიც თავის თავში სახლის, ოდა-ოდულის ცნებასაც აერთიანებს.

30 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964.

31 შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", 1957, გვ. 147.

32 იქვე, გვ. 305 (1471).

33 იქვე, გვ. 398.

34 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV₁, თბ., 1966, გვ. 432. ხული ამავე ლექსიკონში განმარტებულია, აგრეთვე, როგორც „ნაჭუჭმაგარი ხილი: ნუში, ნიგოზი, თხილი, წაბლი, ფისტუკი და მისთანანი".

35 ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი.

36 პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა.

37 ა ლ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, არსებობს გეოგრაფიული სახელწოდებაც კოლისყურენიც. იქვე.

დევთა ნასახლარებისაც. მაგრამ რადგან დევთა ეს ნასახლარები ნანგრევების, ნაშალის სახითაა წარმოდგენილი, კოლი ხევსურეთში, ეტყობა, თანდათან იქცა ნაშალის, ნანგრევის აღმნიშვნელადაც. მაგრამ, ამასთან, არა ყველა ნაშალის, არამედ მხოლოდ საცხოვრებელი სახლის ნაშალის აღსანიშნავად.

საინტერესოა კოლის სხვა მნიშვნელობაც ხევსურულ დიალექტში. კერძოდ, ერთი კაცის ტვირთ თივას (შატილურ საწვირთოს) არხოტულში კოლს ეძახიან, უფრო მოზრდილს კი (ორ ტვირთ თივას) — საკარეს[38]. თუ ერთი კაცის ტვირთი თივა კოლია, ხოლო ორი ტვირთი — საკარე, ანუ ის, რაც ხარისათვის არის განკუთვნილი, მაშინ ერთი კაცის ტვირთი თივა კაცისთვის — კოლისთვის ყოფილა განკუთვნილი, ანუ კოლი კაცის. კაც-ერთეულის აღმნიშვნელი სახელწოდებაც გამოდის. ე. ი. აქ ერთ ტერმინში ერთიანდება ინდივიდის — კაც-ერთეულის და სადგომის (აგრეთვე ტომის) სახელწოდება[39].

ყურადღებას იქცევს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული და დადასტურებული ტოპონიმები: ხულო (ხულოს რაიონი აჭარაში), ხულევი, ხულები და ჰიდრონიმი ხულევის წყარო (ბორჯომის რაიონი, ბაკურიანის სადაბო საბჭო[40]), ხალა — სოფელი ქობულეთის რაიონში; აქვე უნდა შევიდეს, უთუოდ, ხოვლეც — ქართლში (ხოვლები ხევსურეთში დევთა ნასახლარებს ეწოდება), ხალები — სოფ. ხაშურის რაიონში, ხალივდონი — სოფ. ჯავის რაიონში; პირიქითი ხევსურეთის არხოტის თემის ერთ-ერთი სოფელი — აჭიელა; აქვე უნდა მოვიხსენიოთ, ალბათ: ხალაწანი — სოფ. ახმეტის რაიონში, ხალაწა — მთა კავკასიონის ქედზე, მდინარე ხალაწის სათავეში; სვანეთის კალდეში; ხალდე — მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ხალდეჭალის (ენგურის შენაკადი) სათავეში; სოფ. ხოლე — გალის რაიონში, ხელედი — ლენტეხის რაიონში, ხელვაჩაური — აჭარაში, ხელთუბანი — გორის რ-ნი, ხელრა — მესტიის რ-ნი, ხელჩუა — ცხინვალის რ-ნი, ხულგუმო — ახალქალაქის რ-ნში და ა. შ.

ტოპონიმების — ხულოს, ხულევის, ხულების და ჰიდრონიმ ხულევის წყაროს შესახებ დამოწმებულია საინტერესო მასალები და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გაკეთებულია შესაბამისი ანალიზი. მხედველობაში გვაქვს ს. მელიქიძის „ეტიმოლოგიური ძიებანი ქართული ტოპონიმიიდან"[41]. ავტორის მიერ მოპოვებული მასალებით ხულევი ეწოდება ადგილს ისტორიული თორის მახლობლად, სადაც გავრცელებულია ბუჩქოვანი და ხე-მცენარეული ჯიშები: თხილი, კაკალი, წიფელი და სხვა; ხულებს კი იმავე ადგილის სათიბებს ეძახიან. ხულევი და ხულები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მაწარმოებლებით. აკ. შანიძეს დადგენილი აქვს, რომ -ებ და -ევ ფორმანტები ისტორიულად ერთმანეთის იდენტურია და ორივე აღნიშნავს მრავლობითობას. მხოლოდ -ევ სუფიქსი არქაულია, -ებ კი მოგვიანო. რაც შეეხება

[38] ალ. ჭინჭარაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

[39] ამ მხრივ, შეიძლება საყურადღებო იყოს ტერმინი ხულგო (ხულუგო B) — ასაკმოლე ეაჲი A; ასაკმოსული ეაჲი B; იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ტ. IV₁, გვ. 432.

[40] ს. მელიქიძე, ეტიმოლოგიური ძიებანი ქართული ტოპონიმიიდან, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978, გვ. 114—119.

[41] იქვე.

ხულოს, ეს ფორმა მეორეული ჩანს, არქაული იქნებოდა ხულა (ტოპონიმებში ბოლოკიდური ა დღევანდელ ქართულში ო-თი შეიცვალა: გონია — გონიო, გოკია — გოკიო, ხოსპია — ხოსპიო, გონდრა — გონდრიო, ეშტია — ეშტიო და სხვ. დღევანდელ აჭარულ მეტყველებაში ხულოს ნაცვლად კამოითქმის ხულა. ითვალისწინებს რა აღნიშნული ტოპონიმების ფუძის მნიშვნელობებს, ავტორი ასკვნის, რომ „ხულო აჭარულში შეიძლება მართლაც სახლთან, ქოხთან ან შენობასთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ბორჯომის ხეობის ხულევი... მცენარეულობას უკავშირდება", რომ „ტოპონიმ ხულევის ფორმა და მნიშვნელობა არქაულია და აღნიშნავს ადგილს, სადაც გავრცელებულია ნაჭუჭმაგარი მცენარეულობა: თხილი, კაკალი, მუხა და სხვ.", თუმცა იქვე გამოთქვამს ეჭვს, რომ „თუ ეს ვარაუდი მაინც საეჭვოა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამორიცხული არაა ოდესღაც ხულევის წარმოქმნა ხულას (ქოხი, ქულბაქი) დაუკავშირდეს, მაგრამ შემდგომ პერიოდში, როცა ეს ნაგებობები აღარ იქნებოდა, ადგილს უნდა მიეღო, როგორც ზემოთ ითქვა, წინა ვითარების აღსანიშნავად, სახელწოდება ნ ა ხ უ ლ ე ვ ი, მაგრამ რადგანაც სიტყვა ხულას ჰქონდა სხვა მნიშვნელობაც — ნაჭუჭმაგარი მცენარეულობა: თხილი, კაკალი, მუხა და მისთ. სიტყვის ფორმა იგივე დარჩა და არ შეიცვალა. რადგან ამჟერად მას სხვა ვითარების აღნიშვნა დაეკისრა"[42].

ჩვენი თვალსაზრისით, რა მიზეზებიც არ უნდა ვეძებოთ ამ ტოპონიმების ასახსნელად — სახლის, სადგომის, ნაჭუჭმაგარი მცენარეულობის სახელწოდება, თუ სხვა, ერთი რამ ნათელია: ეს ტოპონიმები აქ დატოვა განსაზღვრულმა ეთნიკურმა ფენამ, რომლის ენაზეც სახლს — ხული, ხულა, ხოლო ნაჭუჭმაგარ მცენარეულობას — ხული ერქვა.

თუ კელ//კალი ეთნიკური ფენომენია, მაშინ იგი ღვთაების სახელწოდებაშიც უნდა მოწმდებოდეს[43]. ღვთაება, რომელიც ხევსურეთში კ ე ლ ი ს ეპითეტით მოიხსენიება, ესაა ხ ა ხ მ ა ტ ი ს ჯ ვ ა რ ი — ს ა მ ძ ი მ ა რ-კ ე ლ ი. აღნიშნული ღვთაების ბუნებისა და ფუნქციების შესასწავლად, მდიდარი მასალები აქვს დამოწმებული და საინტერესოდ გააზრებული ისტ. მეცნ. დოქტ. თ. ოჩიაურს[44]. ამ მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ ხევსურეთში, ხახმატის ჯვარის ცნებაში ერთიანდება ორი ღვთისშვილი — გიორგი ნალვარმშვენიერი და სამძიმარ — კ ე ლ ი. ამ ორი ღვთიშვილიდან, სამძიმარ-კ ე ლ ი ნაყოფიერების ღვთაებას უნდა ასახიერებდეს: მას შესთხოვენ შვილიერებას, საქონლის გამრავლებას. გიორგის ვერ დაუძლევია სამძიმრის ძლიერი კულტი, შერწყმია მას და მისი ფუნქციები გაუზიარებია. სამძიმარ-კელი, როგორც ნაყოფიერების ღვთაება, სექსუალურ ურთიერთობას ამყარებს ჯვარის „ქელკაცებთან". ნაყოფიერების ღვთაების ასეთი დამოკიდებულება ჩვეულებრივ მოკვდავებთან, რელიგიის ისტორიაში ცნობილი ფაქტია.

---

42 ს. მ ე ლ ი ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—119.

43 როგორც ცნობილია, ასეთივე დასკვნამდე მივიდა ნ. ბერძენიშვილი კ ო რ ი ს, გვარის და ჯვარის კულტებში: „ამრიგად, საცხოვრებელი ერთეული, მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ე რ თ ე ული და ს ა ლ ო ც ა ვ ი ერთი ძირიდან გამომდინარე ტერმინები ჩანს... რაც რელიგიურ-ისტორიულად შესაძლებელია და ბუნებრივი (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975, გვ. 47.

44 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ქადაგობა ხევსურეთში), თბ., 1954, გვ. 41—63; მ ი ს ი ვ ე, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ, 1967.

თ. ოჩიაურის მიკვლევით, სამძიმარ-ჯელი ადგილობრივი, ხევსურული ღვთაება როდია. გადმოცემით, იგი „ღვთისშვილებული ქაჯის ქალია“, რომელიც თავის დობილებთან — მზექალთან და აშექალთან ერთად, ტყვედ წამოუყვანია ხახმატის ჯვარს — გიორგი ნალეარმშვენიერს, ქაჯავეთის ქვეყანაში ლაშქრობისას.

ქაჯეთში ფშავ-ხევსურეთის ღვთაებების ლაშქრობის შესახებ თქმულება ჩვენამდე მოღწეულია პროზაული და პოეტური ვარიანტების სახით[45]. გადმოცემის მიხედვით, ხევსურეთის ღვთაებები, ხახმატის ჯვარის — გიორგი ნალეარმშვენიერის თაოსნობით და ამავე ჯვარის მკადრეს — ხორციელ გახუა მეგრელაურის თანხლებით, აწყობენ ლაშქრობას ქაჯავეთში, „როდესაც ქაჯთა ადგილსამყოფელს მიაღწევენ, გიორგი ნალვარმშვენიერი „საფარეელს იდებს“, ბუზად ან მტერად იქცევა და ისე შედის ქაჯთა სოფელში. არის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ღვთიშვილები აშკარად შედიან სოფელში, ოღონდ თავის ვინაობას მალავენ. ისინი ათვალიერებენ გარემოს, თვალს ავლებენ ჩამწკრივებულ სამჭედლოთა რიგს და როდესაც შესაფერისი მომენტი რჩებათ, მტერს ეკვეთებიან, ნადავლს იტაცებენ. თ. ოჩიაურის დაკვირვებით, „ამ თქმულებაში ძალიან საინტერესო გარემოება იქცევს ყურადღებას. საიდანაც მთავარია თვითონ ქაჯთა რაობა-ვინაობის დადგენა. ამ მიზნით იგი ყურადღებას მიაპყრობს თქმულებაში დაცულ ქაჯთა ყოფის მახასიათებლებს. გადმოცემის მიხედვით ქაჯები მჭედლობით ცნობილი ხალხია. მათი სოფელი სამჭედლოებითაა სავსე. ქაჯთა მჭედელი, რომელსაც გიორგი ნალვარმშვენიერი ეწვია, სინას „აწლთობს“; მჭედლებისა და მემჭედურების სიმრავლეა („მჭედლები, მემჭედურები“ — მრავლობით რიცხვშია ნახმარი). მჭედელს გრდემლი უდგას, ხელკვერითა და მარწუხის დახმარებით ჭედს „გამოწლთობილ“ ს ი ნ ა ს. მათ იმდენი რკინა აქვთ, რომ გავარვარებული სახით ღვთიშვილებს ესვრიან. ადგილზეა დამზადებული სასროლი სამართებელი, ოქროსძალიანი ფანდური, ცხრაენიანი ზარი, მკლავის სიმსხო ჯაჭვის რგოლებიანი საკიდელი, სანაყავი. ხევსურეთის ჯვარ-ხატები იტაცებენ, როგორც ლითონისგან დამზადებულ ნივთებს, ისე ჭედვისათვის საჭირო ხელსაწყოებს (გრდემლი, ხელკვერი, მარწუხი). საყურადღებოა, რომ ხევსურნი ლითონის ჭედვის ხელოვნებას ქაჯებს უკავშირებენ:

„ქაჯება ოქრო სამანქანურა
ქაჯებმ მისხეს თითია“...

ქაჯები ცნობილნი ჩანან მესაქონლეობითაც. ლაშქრობის შედეგად ქაჯეთიდან მორეკილი საქონელი მეტად მრავალრიცხოვანი ყოფილა, ხოლო იქაური ძროხის რქას ისეთი ზომა ჰქონია, რომ შემდეგში ხახმატის ჯვარში გვიანობამდე პურის საწყავად ჰქონიათ შემონახული“. მაგრამ „მთავარი მაინც ლითონის ჭედვა ჩანს და ლაშქრობის ძირითადი მიზანიც ეს უნდა ყოფილიყო (გავიხსენოთ, როგორ მოიტაცეს ღვთიშვილებმა სამჭედლო იარაღებიც სხვა ნივთებთან ერთად)“[46].

---

[45] ლიტერატურა და საკითხის ისტორია იხ. თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81. ს. მაკალათიას მიერ დამოწმებული მასალით „ქ ე ლ ი“ ეწოდება ხახმატის ჯვარში საგანძურო ნიშს, რომლებიც ამ ჯვარის დობილების — სამძიმარის, მზექალის და აშექალის ძღვნილი ყოფილა (იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, გვ. 243).

[46] თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

მაგრამ სად მდებარეობს გეოგრაფიულად ქაჯების ქვეყანა — ქაჯავეთი, სამძიმარ-კელის (აგრეთვე მზექალის და აშექალის) სამშობლო?

საერთოდ, ქაჯებზე და ქაჯების ქვეყნის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი სხვადასხვა, საინტერესო აზრი გამოითქვა[47].

აკაკი შანიძე სახელწოდება ქაჯავეთს უდარებს ქაშუეთს. მისი აზრით, „უეჭველია, ქაჯუეთს მავალი გიორგი ხახმატისა, ხევსურული ვარიანტია ქაშუეთის გიორგისა, რომლის სახელზედაც საქართველოში ეკლესიებია რამდენიმე ადგილას და სხვათა შორის, ტფილისშიც"[48]. კ. კეკელიძე თვლიდა, რომ ქაჯები ზღაპრულ პერსონაჟებად ქცეული, რეალურად არსებული ადამიანები არიან[49], ვ. ბარდაველიძე ფიქრობდა, რომ ხევსურულ თქმულებაში აირეკლა აღმოსავლეთ საქართველოს ტომების მიერ წარმოებული ბრძოლები კაშკებისა და წობენების წინააღმდეგ[50]. ფრიად საინტერესოდ გვეჩვენება ნ. ხოშტარიას მიკვლევა, რომლის მიხედვითაც, „ქაჯების ციხეები, ქაჯების ქალაქები, ქაჯების სახლები ვახუშტისა და ლეონტი მროველის ქართლის ცხოვრების მიხედვით იმყოფება ან ზღვისპირას — ციხის ძირი (ვახუშტი), ან მდინარე მტკვრის სათავეში — არტაანი, წუნდა. ე. ი. ავტორის დასკვნით, „ქაჯებთან დაკავშირებულია საერთოდ იგივე ტერიტორია, სადაც ანტიკური წყაროების მიხედვით, ჰენიოხები ცხოვრობდნენ"[51]. „ვეფხისტყაოსნის" ქაჯების საკითხს რამდენიმე ნაშრომით შეეხო შ. ჩიქავაძე, მისი აზრით, ისინი რეალურად არსებული ტომებია და აფრიკელი, ან ინდოელი ანალოგიური სახელწოდების მქონე ტომები უნდა იყვნენ[52]. თ. ოჩიაურის აზრით, „ხევსურული თქმულება, ჯვარ-ხატების მიერ ქაჯავეთის დალაშქვრაზე, გულისხმობს ხსენებული მხარის მცხოვრებთა მიერ თავისი სალოცავების „ნებით" მოწყობილ დიდ ლაშქრობას ჩრდილო კავკასიის ტომთა, კერძოდ ნახური მოდგმის ხალხთა მიმართ"[53]. ქაჯავეთელებში ნაგულისხმევია მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიის

---

[47] ლიტერატურა და საკითხის ისტორია იხ. თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 91—97.

[48] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 595.

[49] კ. კეკელიძე, ავტორი „ვეფხისტყაოსნისა" და დრო მისი დაწერისა, „მნათობი", 1941, № 7—8.

[50] В. В. Бардавелидзе, О Каджах, გვ. 26—29 (ნაშრომი გამოუქვეყნებელია. ვიმოწმებთ თ. ოჩიაურის დასახელებული ნაშრომის მიხედვით).

[51] ნ. ხოშტარია, ციხის ძირი, თბ., 1962, გვ. 43—44.

[52] შ. ჩიქავაძე, „ვეფხისტყაოსნის" ერთი ტაეპის გაგებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", 1964, თებერვალი; მისივე, „ვეფხისტყაოსნის" სამი ტაეპის გაგებისათვის, „მეცნიერება და ცხოვრება", 1964, № 2; მისივე, ქაჯ პერსონაჟთა საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში", „ლიტერატურული აჭარა", 1964, № 5; მისივე, „ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილის დაზუსტებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", 1964, ივნისი.

[53] ძველაღმოსავლური ტრადიციითაც ხომ ყოველი ახალი ლაშქრობა გაიაზრებოდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ღვთაების გალაშქრება. მაგ., ურარტუს მეფის მენუას (ძვ. წ. IX ს. დასასრული და VIII ს. დასაწყისი) წარწერაში ნათქვამია: „ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით დიაოხის ძლევამოსილი ქვეყნის წინააღმდეგ...", (ნარკვევები, I, გვ. 275;) სინამდვილეში კი ადგილი აქვს ურარტუს მიერ დიაოხის დალაშქვრას, ანდა ასურეთის მეფის თუკულტი-ნინურტა I (1245—1209) წარწერაში ვკითხულობთ: „როდესაც ღვთაება აშურმა ნაირის ქვეყნებზე და ზემო ზღვის ნაპირას (მდებარე) ქვეყნებზე გამგზავნა" (ნარკვევები, I, გვ. 267).

აქვე, ძველაღმოსავლური უძველესი ტრადიციით, ღვთაების, ხალხისა და ქვეყნის სახელწოდებათა ერთმანეთთან დამთხვევა ცნობილი ფაქტია და ამ საკითხზე საგანგებოდ აღარ ვჩერდებით.

ბინადარი ხალხი, რომლებიც მეტალურგიასაც მისდევდნენ და მესაქონლეობითაც ცნობილნი იყვნენ. თავისი ეს მოსაზრება თ. ოჩიაურს კარგად აქვს დასაბუთებული და ეჭვს არ იწვევს, რომ ხევსურულ თქმულებაში მართლაც ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის სურათი უნდა წარმოვიდგინოთ.

ქაჯავეთში ხევსურ ღვთიშვილთა ლაშქრობის თქმულების ანალიზი მოგვცა აგრეთვე ზ. კიკნაძემ თავის წიგნში „ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა" (1985 წ., გვ. 105—169). ზ. კიკნაძის აზრით, ქაჯეთში ლაშქრობა თავისი მიზანდასახულობით განსხვავდება საგმირო-სალაშქრო ეპოსისგან. რეალური სინამდვილიდან აღებულია მხოლოდ მოდელი, შემუშავებული ხევსურთა მიერ ქისტების წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობების მიხედვით. ამ გადმოცემიდან ავტორს აინტერესებს „მხოლოდ ლაშქრობის მიზანი და მისი საბოლოო შედეგი". ღვთიშვილთა მიერ ქაჯეთიდან წამოღებულ „განძს" მკვლევარი საკრალურ სიმბოლოთა სისტემაში აერთიანებს სამი ჯგუფის სახით: I — საკუთრივ საგნები: თასი, საკიდელი, ოქროს ფანდური, ოქროს საცერი, ქურთემული (გრდემლი), ფურის რქა; II — საქონელი: ხარ-ძროხა; III — ქაჯის ქალები — მზე-ქალი, აშექალი, სამძიმარ-კელი. ზ. კიკნაძის თვალსაზრისით, ღვთიშვილებს ამ საგნების სახით საყოფაცხოვრებო კულტურა კი არ მოაქვთ ქაჯავეთიდან, ეს საგნები ყოველდღიური დანიშნულების და მოხმარების საგნები კი არაა, არამედ — საკრალური და საკულტო ფუნქციები აქვთ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ერთმანეთთან მიმართებაში. ამ საკრალური საგნებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია თ ა ს ი, „რომელიც ძევს კულტისა და კულტურის გენეზისში". „როცა კულტი (და კულტურა) ისახება", იქვე ჩნდება თასი, ანდა, როდესაც „თასის ჰიეროფანია ხდება, ანდრეზი გვაუწყებს საკულტო ცხოვრების დასაწყისს", „თასი თავად არის საწყისი საკულტო ცხოვრებისა". „თ ა ს ი  მ ო ა ქ ვ ს  ს ა ყ მ ო ს  ე რ თ  ნ ა წ ი ლ ს, რ ო ც ა  ი ს  ა ხ ა ლ  ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე  ე ს ა ხ ლ ე ბ ა, რომ ახალ ადგილზე ძველი სალოცავი დანერგოს". თასი ჯვარ-ჩენის, ჯვარის დაარსების სიმბოლური საგანია"[34].

ასეთივე საკრალური ფუნქცია აქვს მინიჭებული ქაჯავეთიდან ნადავლის სახით წამოღებულ ფურის რქას. ის ჯვარის დღესასწაულების უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რადგან მისით ხდება ლუდისათვის საჭირო ფორის აწყება. ის ჯვარის განძის ნაწილია. ამ რქასთან, სალუდე ფორის ეტალონთან არის დაკავშირებული საწყისი ეტაპი ლუდის დამზადებისა.

ჯვარის განძის ნაწილია ცხრაძალიანი ოქროს ფანდური. ზ. კიკნაძის აზრით, „თუმცა ფანდურს არ გააჩნია ის საკრალური მუხტი და სიმბოლურობის პოტენცია, როგორსაც აჩენს, მაგ., თასი, მაგრამ განსაკუთრებულ ვითარებაში ის მაინც იტვირთავს ჯვარის საკრალიზმს".

რაც შეეხება საკიდელს, „ეს საგანი არ არის შემთხვევითი ქაჯავეთის განძში". მისი ჩამოხსნა და წამოღება მტრის სახლიდან, უნდა იყოს გამარჯვების ნიშანი. „ქაჯავეთის გატეხა სიმბოლიზებულია ორი წმინდა საგნის — თასისა და საკიდლის მოტაცებით. „საკიდელი უნდა ყოფილიყო ქაჯავეთის მთავარი კულტის ნიშანი, მით უმეტეს, თუ ის დაკავშირებულია მჭედლობის საქმესთან".

---

[34] თასის, როგორც კულტის დამოუკიდებლობისთვის საჭირო ერთ-ერთი ნიშნის შესახებ იხილეთ [illegible] გამოთქვამს ბ. ბ. პ ი ო ტ რ ო ვ ს კ ი, [illegible] „Древнейшие..." თბ., 1977, გვ. 8.

თუ თასი და საკიდელი საყოფაცხოვრებო საგნებიც არის, ზარი (ცხრაენიანი ზარი) თითქმის მხოლოდ საკულტო საგანია. საკულტო ცხოვრებაში ზარს ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორც თასს, საკიდელს და ფანდურს. საზარე ჯვარის დაარსების ნიშნად დგას.

საკრალურ სიმბოლოთა სისტემაში შეჰყავს ზ. კიკნაძეს ნახირიც. მისი აზრით, ის არ იკვლის ყოველდღიურ საკვებად, არამედ ან ლაშქრობის წინ ჯვარში, ან დღესასწაულებზე, ქორწილში და მიცვალებულის ხარჯებში. „საკლავი იკვლის, უნდა დაიკლას ყველას თვალწინ, საჯაროდ, არა ქურდულად და ის პოტენციურად ეკუთვნის ყველას... ეს საჯაროობა რიტუალური ქმედებითურთ ანიჭებს პირუტყვს საკლავის სტატუსს...“

ქაჯავეთიდან „სხვა საკრალურ საგნებთან (თასი, საკიდელი, ზარი...) ერთად წამოსხმული ნახირი საკულტო დანიშნულების არის და ის ეკუთვნის ჯვარს, კერძოდ, ხახმატის ჯვარს, რომელსაც ისტორიულ ხანაში ჰყავდა თავისუფლად გაშვებული კურატები, დაუკოდავნი და ყელში შეუბმელნი ჯვარის საკუთრების ნიშნად“.

რაც შეეხება თქმულებას სამძიმარ-კელის ქაჯავეთიდან გამოტაცებისა, თუ გამოხსნისა, „ეს არის საკრალური თქმულება, რადგან ის ეხება კულტის დაფუძნებას...“ ზ. კიკნაძის აზრით; „სამძიმარის ეპიზოდი ქაჯავეთის თქმულებაში წმინდა გიორგის კლასიკური გმირობის ხევსურული ვარიანტია“. „ხახმატის ჯვარი — ხახმატის წმიდა გიორგი იმეორებს თავის მოსახელე წმინდანის არქეტიპულ ქცევას“. „ქაჯთა ხელმწიფის ასული ხახმატის წმიდა გიორგის წყალობით ღვთისშვილის რანგში ამაღლდა — და სრულიად უნიკალური ადგილი დაიჭირა სხვა ღვთისშვილთა შორის“.

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოთქმული და აქ მოტანილი მოსაზრებების შეჯამების შედეგად, სამძიმარ-კელის კულტთან დაკავშირებით, ხევსურული თქმულებიდან ჩვენთვის ნათელია და საკამათო არაა: ა) ერთ-ერთი ხევსურული ღვთაების სახელში მოწმდება კელი[88]; ბ) ეს ღვთაება არ არის ადგილობრივი, არამედ უცხო ხალხის წარმომადგენელია („ქაჯის ქალია“; ან: „ქაჯავეთის ხელმწიფის ქალია“); გ) ღვთაება სამძიმარ-კელი შერწყმულია ადგილობრივ ღვთაებასთან და ისეთ სიძლიერეს ამჟღავნებს, თავისი კულტით ჯაჭნის კიდეც მის კულტს; დ) სამძიმარ-კელი იმ ხალხის წარმომადგენელია (ღვთაებაა), რომელიც განსაკუთრებით ხელოსნობა-მჭედლობით არის ცნობილი, უფრო მეტიც, სამჭედლო ქაჯებთან სალოცავის რანგშია აყვანილი (ზ. კიკნაძე); ე) ქაჯავეთიდან ღვთიშვილის მიერ წამოღებული ნადავლი საკრალური საგნებისგან შედგება, რომლებიც ასახავს აძლევენ კულტის გენეზისს — ეს საგნები მოაქვთ ხოლმე ახალ ტერიტორიაზე ახალდასახლებულთ ახალ ადგილზე ძველი კულტის დასანერგად; ვ) ქაჯავეთიდან სამძიმარ-კელის (აგრეთვე მზექალის და აშექალის...) გამოტაცების თქმულება საკრალური თქმულებაა, რომელიც კულტის დაფუძნებას ეხება; ზ) ქაჯი უნდა რქმეოდა არა რომელიმე კონკრეტულ, არამედ ეთნიკურად განსხვავებულ ტომს — განსხვავებულს თავისი ზნე-ჩვეულებებით, რწმენა-წარმოდგენებით და სხვ. ქაჯებად „ვეფხისტყაოსანში“ გრძნეულების ხელოვნების მცოდნე რეალურად არსებული ადამიანები, ხალხი უნდა ვიგულისხმოთ.

88 რა შინაარსიც არ უნდა ჩადოს ლევანდელმა მთხრობელმა კელში – ( [illegible] ჭიქა, ლამაზი), ნათელია, რომ იგი ფიქსირებს ღვთაების სახელწოდებაში.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება კელ//კალ ფუძიანი სახელწოდების ეთნიკური ფენის ისტორიულად, საქართველოს მთიანეთში (და არა მარტო აქ) არსებობის შესახებ. კერძოდ, ეს ეთნიკური ფენა ჩანს ხევსურეთსა და თუშეთში, აგრეთვე სვანეთში, სუსტად მთიულეთში (ეს ის კუთხებია, სადაც კელოსანის ინსტიტუტია გავრცელებული).

აშკარაა ხევსურული მონაცემების „გადაძახილი" სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს მონაცემებთან. კელი და მისგან განვითარებული სოციალური ინსტიტუტები ასევე ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან. კერძოდ, ჩეჩენ-ინგუშეთიდან. მაგ., кхел — კიელ — სამართალი, განაჩენი кхелахо — კიელახო — მოსამართლე (ბჰე). халкь — ხალყ — ხალხი (ქვეყნის მოსახლეობის) ნაცრის მნიშვნელობით; შდრ. ქართ. ხალხი და მიაქციეთ ყურადღება. რომ პარალელურად, ყოველდღიურ მეტყველებაში, ჩეჩენ-ინგუშებში ადამიანების აღსანიშნავად იხმარება нах — ნახი; მაგ.: Советский народ — советан халкь; მაგრამ на народе — нахалах — ნახალაჰ; კალა (ლალა, ყალა) — სიმაგრე, ქალაქი, კოშკი, სასახლე; დასახლების სახელწოდებები ითუმ-კალა (ითონ-კალა; გვხვდება ფორმითაც — ითონ-ლალა ითონ-ყალა) კე-კალა; სოფელი ხულო[56]; халкан кхелахой — სახალხო მოსამართლე; пачхьалк (хь — ჰ) — სახელმწიფო[57]. ეს კი ჩვენი ცოდნის დღევანდელ ეტაპზე სწორი ორიენტირების საშუალებას არ გვაძლევს: საით უნდა მივმართოთ იგი, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიმართულებით, თუ ჩრდილო კავკასიისკენ? ან იქნებ ორივესკენ — ჩრდილო კავკასიიდან მოყოლებული, საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი კუთხის ჩათვლით სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მცირე აზიისკენ? ანდა, პირიქით, მცირე აზიიდან მოყოლებული სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მთიანეთის ზოგი კუთხის ჩათვლით ჩრდილო კავკასიისკენ?

გადმოცემებში თითქოს აშკარად ჩანს ჩრდილო კავკასიიდან მომდინარე ნაკადი. როგორც გამორკვეულია კიდეც, ხახმატის ჯვარი გიორგი ნალვარმშვენიერის თაოსნობით ხევსურ ღვთისშვილთა ლაშქრობა მოწყობილია ჩრდილო კავკასიაში[58], მაგრამ, ჩვენი აზრით, იმ ეთნიკური ფენის წინააღმდეგ, რომლის

---

[56] Чечено-русский словарь. М., 1961; А. Шавхелишвили. К вопросу о переселении чечено-ингушских племен с гор на равнину. НЧИИРКМ, вып. 10, Грозный, 1961, გვ. 118; მისივე, Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушским народами, Грозный, 1963, გვ. 41; А. Робакидзе. Жилища и поселения горных ингушей. КЭС, II, 1968, გვ. 48; ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, 1969, გვ. 27.

[57] Русско-чеченский словарь, М., 1978, Русско-чеченско-ингушский словарь, Грозный 1966; ც. ერიაშვილი, პანკისის ხეობაში მიელინების მასალები, 1971 წ., ლ. მარგოშვილი, პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა, 1985, გვ. 32—33, მმართველობა (როგორც დაწესებულება) — урхалла, მმართველი — урхалча, დისს. ლექსიკონი, გვ. 451.

[58] როგორც ზემოთაც უკვე აღინიშნა, ეს მოსაზრება თ. ოჩიაურს კარგად აქვს დასაბუთებული და ეჭვს არ იწვევს, რომ ხევსურულ თქმულებაში, მართლაც ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის სურათი უნდა წარმოვიდგინოთ.

სახელწოდება იქიდან ტყვედ ჩამოყვანილი და შემდეგ ღვთაების რანგში აყვანილი სამძიმრის ეპითეტად აისახა — სამძიმარ კელი. ეს კი კაკმატის ჯვარს, შემდეგში ქართველ მთიელთა და ჩრდილო კავკასიაში მოსახლეთა საერთო სალოცავად, „რჯულიან-ურჯულოთ" სალოცავად, საზიარო სალოცავად ხდის. ცნობილია, რომ ხახმატის ჯვარს ერთნაირად ლოცულობენ როგორც ქართველი მთიელები, ასევე ჩრდილო კავკასიაში მოსახლენი[59], ე. ი. ეს სალოცავი სხვადასხვა ტერიტორიაზე მოსახლე (საქართველოს მთიანეთში და ჩრდილო კავკასიაში) ერთი და იმავე ეთნიკური ფენის საერთო სალოცავად მოჩანს.

„საკელოში ჩადგომის" წესის შესრულების მიხედვით შეიძლება დაზუსტდეს კელ//კალ ფუძიანი სახელწოდების ეთნიკური ფენის თვით ხევსურეთში განსახლების ინტენსიურობის საკითხიც. აღნიშნულ წესს ასრულებდნენ და კელოსნები ხდებოდნენ არხოტისა და შატილის თემებში (ე. ი. პერიფერიის თემებში), ხოლო ე. წ. ბუდე-ხევსურეთში „ზღუბლის დალაკვის" წესი იყო გავრცელებული. მართალია, „ზღუბლდალაკულ „ახალგაზრდას კელოსანიც ეწოდებოდა, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ თემში. „ზღუბლდალაკულს" კელოსანი ეწოდებოდა ლიქოკის თემში, ხახმატის თემში, ხოლო გუდანის ჯვარში და სამაგანძუროს თემებში — მარიგე//მერიგე//მორიგე[60]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩრდილო-კავკასიური ტომების ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტები ამ პერიფერიული თემების ყოფის სხვადასხვა მხარეში უფრო იჩენს ხოლმე თავს, ვიდრე ბუდეხევსურეთში, შესაძლებელია, რომ კელ//კალ ფუძიანი სახელწოდების მქონე ტომით უფრო ინტენსიურად დასახლებულად სწორედ ეს პერიფერიული თემები ვივარაუდოთ, ხოლო ბუდე-ხევსურეთი მეტ-ნაკლებად. ამასვე უნდა ადასტურებდეს არხოტის თემის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებაც — ახიელა[61]. ცნობილია, რომ ენობრივი თვალსაზრისითაც, ხევსურული ენის დიალექტის შიგნით დადასტურებულია სხვაობა: არხოტულ-შატილური მეტყველება ფონეტიკურ-მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებებით და ინტონაციით, რამდენადმე განსხვავდება პირაქეთული ხევსურულისგან. აგრეთვე ცნობილია, სპეციალისტების აზრი იმის შესახებ, თუ რა ახლოს დგას ლინგვისტურად თუშური ხევსურულთან.

კელ//კალი რომ ეთნიკური ტერმინი და ეთნიკური ფენაა, ამასვე უნდა ადასტურებდეს დიდოელთა მიერ თუშების აღსანიშნავად ხმარებული ეთნონიმი -- **qilizi**[62], **kxelizi**[63]. დიდოელთა მიერ ნახმარი ეს სახელწოდება თითქოს

[59] თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[60] მარიგე//მერიგე//მორიგის შესახებ სხვაგან გვექნება საუბარი, აქ კი შევახსენებთ ალ. ოჩიაურის ცნობას: „გუდანის ჯვარში კელოსანი ბევრი იყო და მათ ყუელათ მორიგენი ეწოდებოდათ" (იხ. გ. ერიაშვილი, უძველესი..., გვ. 134).

[61] არხოტში ძველად იყო ასეთი სახელწოდების სოფელიც: თათქელი. მის მოსახლეობას თათქელიონნი ეწოდებოდა. არის კოელ-კარიც, სადაც ჯაბუშანურებს ჰქონდათ „ორი დღის საკიმქნე მამული" (ალ. ოჩიაური, M'.. გვ. 63).

[62] **Марр Н. Я., Кавказские племенные названия и местные параллели. Пг. 1922**, გვ. 36, აქვე, როგორც ზეპირგადმოცემით კრებული, თუშეთში დამოწმებული აქვს მ. კახიძე-ლაქს.

[63] ასეთი სახელწოდება დამოწმებული აქვს ნ. ვოლკოვას. იხ. **Волкова Н. Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа.**

ახლოს მოდის „ილიადის“ ʾΑλιζ-ών-ʿΑλιζ-ών-თან[64] და ურარტული Ḫaliṭu-Haliḳo-სთან. ამასთან დაკავშირებით კვლავ დგება კელოსანი//კალსუანის საკითხიც: ხოლო არ არის იგი ალიძონ (ან ალაძონ), ჰალიძონ, ხალიზონის სახენაცვალი ვარიანტი — ხ ა ლ ი ზ ო ნ ი—ხ ა ლ ი ს ო ნ ი—ხ ა ლ ს უ ა ნ ი = ხ ე ლ ო ს ა ნ ი.

კელ//კალ ფუძიანი სახელწოდების ეთნიკური ფენის რეალურად არსებობის დამადასტურებელია სომხეთის „გეოგრაფიის“ ცნობაც: აღნიშნულ ნაშრომში ჩამოთვლილია კავკასიაში, კერძოდ, ჩრდილო კავკასიაში — სარმატებში — მოსახლე ხალხები, რომელთა შორის დასახელებულია აგრეთვე ასეთი სახელწოდების ტომიც — [illegible] — ხჲელაჲქ (хелы)[65]. ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ სომხური წყაროც ასეთ ფორმას იცნობს: ხჲელ; ასეა ეს სოფლის სახელწოდებაშიც — აკიელა და ჩეჩენ-ინგუშურშიც: კიელსამართალი, განაჩენი. ქართულში და მის დიალექტებში კი გვაქვს კ ე ლ ი, კალი, კოლი, ხული.

აქ კვლავ გვინდა დავუბრუნდეთ ადრე მხოლოდ ვარაუდის სახით ნათქვამს და ახლა უკვე დაბეჯითებით ვთქვათ, რომ კელ-კალ ფუძიანი სახელწოდების ეთნიკური ფენა, რომელიც საქართველოს მთიანეთში (და უთუოდ ბარშიც) ეთნოსოციალური ჯგუფის სახით არსებობს, სრულიად საქართველოს მასშტაბით აქტიურ (ერთ-ერთ მთავარ) მონაწილეობას იღებს ქართული ეთნოსოციალური ორგანიზმის ჩამოყალიბებაში, რაც ტერმინ „ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ი ც“ აისახა. ამ ტერმინში აშკარად ჩანს კელ ფუძიანი სახელწოდების ეთნიკური ელემენტის კონსტრუქციული როლი. კ ე ლ ი (დიალექტებში — კალი, ხოლი, ხული; ჩეჩენ-ინგუშურში — კიელ, კალ, ხულ; დიდოურში — ხილიზი ან კიილიზი; სომხურში — ხჲელაჲქ; შესაძლებლად მიგვაჩნია უძველესი სახელწოდებაც: ალიძონ (ან ალაძონ)//ჰალიძონ//ხალიზონ—ხალისონ—კალსუანი=კელოსანი)[67] სხვა ქართველურ ტომებთან შერწყმისა და გათქვეფის კვალდაკვალ თანდათან კარგავს თავის ეთნიკურ შინაარსსა და მნიშვნელობას. მაგრამ, ეს ეთნოსოციალური ჯგუფი, იყენებს რა ეთნიკურ ფაქტორს, „ინსტიტუტებს“ — ქმნის სოციალურ ინსტიტუტთა მთელ წყებას, კულტურულ, რელიგიურ და თვით ადმინისტრაციული (მმართველობითი) ხასიათის ერთობასაც კი: კ ე ლ//კ ა ლ ი; ხ ა ლ ხ ი; კ ო ლ ი, ხ უ ლ ი, ხ უ ლ ა, ს ა ხ ა ლ ი//ს ა ხ ე ლ ი//ს ა ხ ლ ი, ს ა ხ ლ ი ს წ უ ლ ი, ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ი, ს ა ხ ლ ე უ ლ ი, მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი; კელოსანი, საკელო; შერწყმული — ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ ი, კ ე ლ მ წ ი ფ ე, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო. სხვა ქართველურ ტომებთან ურთიერთობისას ხდება მისი, როგორც ეთნოსოციალური ჯგუფის მათთან შერწყმა და კელის, როგორც ეთნიკური მოვლენის, არსებობის შეწყვეტა.

სხვა უფრო შორსმიმავალი დასკვნის გაკეთება, სანამ სრულად არ იქნება გადმოცემული ჩვენი თვალსაზრისი, ნაადრევად გვეჩვენება.

[64] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტეს „ისტორიის“ I, 2, 3 თავი და ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგი“, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948, გვ. 369—370.

[65] Армянская география, СПб., 1877, გვ. 37. ნიშანდობლივად გვეჩვენება ეს დამთხვევაც სტრაბონის ცნობასთან, რომლის მიხედვითაც, იბერიის მთიელები ენათესავებიან სარმატებს.

[67] აღნიშნულ საკითხზე იხ. შემდგომ წერილში.

Ж. Г ЭРИАШВИЛИ

# ТРАДИЦИОННЫЕ СОЦИАЛЬНО-РЕЛИГИОЗНЫЕ ИНСТИТУТЫ И ДРЕВНЕЙШАЯ ЭТНИЧЕСКАЯ СТРУКТУРА НАСЕЛЕНИЯ ГОРНЫХ РАЙОНОВ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ


## Резюме

На основе анализа и широкого осмысления этнографических, топонимических, лингвистических материалов, а также учитывая результаты исследования специальной научной литературы, в статье дана попытка восстановления древнейшей этнической структуры населения горных районов Восточной Грузии, в частности одного из составных ее элементов — Хели // Хали

Высказано мнение о предположительном ареале расселения этого этнического элемента в названном регионе. Этот ареал не соответствует территориальным границам населяющих его в настоящее время этнографических групп. Он представляется нам более обширным и охватывает территорию Хевсурети, Тушети и частично Мтиулети.


ZH. ERIASHVILI

# TRADITIONAL SOCIAL-RELIGIOUS INSTITUTES AND THE ANCIENT ETHNICAL STRUCTURE OF EASTERN GEORGIAN MOUNTAIN DISTRICTS POPULATION


## Summary

On the basis of analysis and extensive investigation of ethnographic. lingustic data, as well as taking into account results of researching special scientific literature, in article is made an attempt to restore the ancient structure of Eastern Georgia mountain districts population, in particular, one of it's compound elements—(kheli ‖ ხელი ‖ ხალი).

The opinion is expressed about the supposed living area of this ethnical element in the region noticed. This area doesn't correspond to territorial limits of ethnographic groups living there nowadays. From ruo point of view it's more extensive and comprises the territory ob Khevsureti, Tusheti and Mtiuleti in part.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

# ახლო წარსულის ფურცლები

## ქართველი ოფიცრის ჩანაწერები

მკითხველს ვთავაზობთ პოლკოვნიკ ვალერიან თევზაძის ფრიად საინტერესო მოგონებებს „განვლილი გზა“, რომელიც სავსეა ჩვენთვის უაღრესად საინტერესო ეპიზოდების აღწერით. იგი პირველად დაიბეჭდა პარიზში „ივერიაში“ (1988 წლის მაისი, № 32), რომელიც მიხეილ ქავთარაძის რედაქციით გამოდის.

ქართველი ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა თითქმის არ იცნობს ვალერიან თევზაძის სახელს, რომელიც 1921 წლის მარტში, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის უკუღმართობის გამო, იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო.

წინამდებარე პუბლიკაციით საქართველოს 69 წლის შემდეგ უბრუნდება უცხოეთში მოღვაწე მისი ერთ-ერთი შვილის შემოქმედება.

ვალერიან თევზაძე რუსეთის არმიის ოფიცერი იყო. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1918 წლიდან ვალერიან თევზაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიცერია. იმავე წელს მას მიენიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება.

ვალერიან თევზაძე მონაწილეობდა ბევრ სამხედრო ოპერაციაში, რომლებსაც საქართველო აწარმოებდა მომხდურ გარეშე მტრებთან. იგი აქტიურ როლს ასრულებდა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში.

ვალერიან თევზაძე იყო სამხედრო წესდებისა და ინსტრუქციის შემმუშავებელი კომისიის მდივანი. მან თარგმნა ქვეითი ჯარის მოქმედების წესები და სხვ.

ვალერიან თევზაძის ჩანაწერები შეიცავენ საყურადღებო ცნობებს და დეტალებს 1917—1921 წლების საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

ინტერესით იკითხება მოგონებების ის ფურცლები, რომლებიც მიეძღვნა ქართული ჯარის გენერალთა და ოფიცერთა კორპუსის დახასიათებას.

ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს 1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დამდეგის და მომდევნო პერიოდის საქართველოში მომხდარ ისტორიულ მოვლენებზე ავტორისეული დაკვირვებანი.

თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ვალერიან თევზაძემ უცხოეთში გაატარა. იგი იყო პოლონეთის არმიის ოფიცერი. თავი ისახელა მეორე მსოფლიო ომში. პოლონეთის ისტორიაში ვალერიან თევზაძე შევიდა როგორც ვარშავის დაცვის ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი მებრძოლი.

ვალერიან თევზაძეს თავის მოგონებების წერა დაუწყია 80-იანი წლების დასაწყისში პოლონურ ენაზე.

„ჯანყლილი გზა" ქართულ ენაზე აამეტყველა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილმა იუნკერმა ნიკოლოზ მათიკაშვილმა.

როგორც ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, ნიკოლოზ მათიკაშვილმა შესანიშნავი მოგონებები მიუძღვნა სამშობლოდან ჯერ თურქეთში, შემდეგ საბერძნეთში, ბოლოს კი პოლონეთში გადახვეწილ ქართველ იუნკერებს (იხ. ჟურნ. „მაცნე", 1990, № 1).

ოთარ თოიძანია

## განვლილი გზა

სიცოცხლის 70-ე წელს გადავცდი და სულ მოგონებითღა ვცოცხლობ. ეს სიბერის დამახასიათებელი თვისებაა. სიამოვნებით ვუბრუნდები განვლილ გზას. ვიდევაც მშობლიური ოჯახის სიტკბოებას. დედის სიყვარულსა და მის გამუდმებულ ზრუნვას. მან ხომ თავისი ახალგაზრდობა და მთელი სიცოცხლე ჩვენ აღზრდას შეალია. მაგონდებიან მეგობრები და ამხანაგები. გულწრფელი და გულითადი დამოკიდებულება მათთან, ჩვენი აღმზრდელები და მასწავლებლები. მათი ზრუნვა ჩვენზედ. დღეს, როდესაც ცხოვრებაში ახალი განცდა აღარ მომელის, წარსულის მოგონებებით ვტკბები.

ბევრი ვიფიქრე ღირს თუ არა მოგონებათა დაწერა, მივედი დასკვნამდე, რომ ღირს, რადგან ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრი მინახავს, განმიცდია და შევხებივარ ისეთ ღირსშესანიშნავ მოვლენებს, რომლებიც ინტერესმოკლებული არ არიან. ვილოს, იქნება ოდესმე ვინმე ჩემ ნათესავთაგან დაინტერესდეს თუ რამ გამოიწვია, რომ ერთი იმათი წევრთაგანი მოსწყდა სამშობლოს, მეგობრებს და ნახევარი საუკუნეა აღარ ბრუნდება სახლში.

27 წლისამ დავტოვე სამშობლო, მახლობლები და მოვხვდი უცხოეთში. ვფიქრობდი განშორება მოკლე იქნება და ისევ მალე დავბრუნდები-მეთქი სამშობლოში. სინამდვილეში კი უცხოეთში ყოფნა გახანგრძლივდა. ველარ დავუბრუნდი საყვარელ სამშობლოს, ოჯახს, მეგობრებს და მიწერია უცხოეთში სიკვდილი და დასამარება ჩემ წინაპართა საფლავებიდან შორს.

უცხოეთში ყოფნისას სიმართლეს, პოლიტიკურ პროგრამებში კი არა, გულის სიღრმეში დავეძებდი. ჩემი შეგრძნებით ვემსახურებოდი სამშობლოს ისე, როგორც ოჯახის და აღმზრდელთა ზეგავლენა მითითებდა. ბავშვობიდანვე ამაყი, თავისუფლებისმოყვარე და დამოუკიდებელი ხასიათის ვიყავი. არაფერი არა მაქვს სანანებელი ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე. ცოტას თუ მოსძებნით, რომ ჩემოდენა, მართლაც, ძვირფასი და გულითადი ამხანაგები და მეგობრები ჰყოლოდა.

ბედად მეწერა, რომ ორჯერ ჩამოვშორდი მათ ჩემი ცხოვრების გზაზე. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე ცხადი გახდა მეფის რუსეთის ნამდვილი სახე. ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსეთის საფუძვლები ირყეოდა ღალატისა და პროტმოქმედებათა ქსელში.

გერმანელებმა ომის დასაწყისშივე დაამარცხეს სამსონოვის არმია. გენ. რენენკამფის არმიამ კი უბრძოლველად თავს უშველა აღმოსავლეთისკენ დახევით. ფართო წრეებში გენ. რენენკამფს მოღალატედ მიიჩნევდნენ. სამხედრო სამსახურიდან გადააყენეს, სასამართლოში კი არ გადაუციათ. ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ მოხელეთა უმრავლესობა სასახლის კარზე მოსყიდულები იყვნენ და გერმანელთა სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ. ამით ხსნიდნენ, რომ დასაწყისშივე ჯარი აღმოჩნდა ტექნიკურ მოწყობილობასა და

მომარაგებას მოკლებული და როგორც ასეთი, ბრძოლისთვის გამოუსადეგარი. სახელმწიფოს მმართველობის აპარატის გახრწნილება უმაღლეს დონეს აღწევდა. ფაქტობრივად უდიდესი სახელმწიფოს საქმეებს განაგებდა გაუნათლებელი ლოთი, მექრთამე და გახრწნილი რასპუტინი. მას დიდი გავლენა ჰქონდა დედოფალზე და მისი საშუალებით მეფეზე. ის ნიშნავდა მინისტრებს, დიდ ერთეულთა უფროსებს და ეს შეზღუდული, უნიჭო და ლოთი პირბნელა, თავის ნებისამებრ ატრიალებდა რუსეთის საქმეებს.

1916 წლის დეკემბერში თვით მეფის ოჯახის წევრებმა ვერ შეიგუეს ასეთი ვითარება. რასპუტინი შემოიტყუეს თავად იუსუპოვის სასახლეში საქეიფოდ და იქ მეფის ძმისწულის, დიდი მთავრის დიმიტრი პავლეს ძისა და ცნობილი და გავლენიანი მონარქისტის პურიშკევიჩის თანდასწრებით, სიცოცხლეს გამოასალმეს.

ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ სამეფოში და სამეფოს დაცემა დააჩქარა. არსებული რეჟიმის ერთგულნი რუსები არ აღმოჩდნენ, არც სამხედრო წრეებში და არც საზოგადოებაში. მეფის რეჟიმის ბედი გადაწყვეტილი იყო. ყველანი აღელვებით რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენების მოლოდინმა შეიპყრო და ეს, მართლაც მოხდა 1917 წლის რევოლუციის სახით.

ამ დროს განსაკუთრებით კატასტროფული მდგომარეობა იყო სურსათის მომარაგების მხრივ. მათ შევსებასა და დამზადებაზე არავინ ზრუნავდა. ჯარში გაწვეული იყო სხვადასხვა ასაკის ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა. დიდ ქალაქებში მათ, თოფების ნაკლებობის გამო, ჯოხებით ამეცადინებდნენ. სოფელი კი დაცარიელებული იყო მუშახელიდან. ომში წასვლა არავის ეხალისებოდა. იქ მხოლოდ ღალატს ხედავდნენ. ყველა მიიწევდა სახლისაკენ. ეს ვითარება დიდად ხელშემწყობი იყო რევოლუციონური პარტიებისათვის, მათი სახით ჰყავდათ მათ ერთგული და გამგონი მოკავშირენი. ასეთ ვითარებაში, როდესაც თებერვალსა და მარტში მუშებმა მოსკოვსა და პეტროგრადში გაფიცვები დაიწყეს, სამხედრო ნაწილები მიემხრნენ მათ. არ იყო ძალა, რომელიც შეძლებდა ზეგავლენის მოხდენას და ბრძანებათა შესრულების დისციპლინის აღდგენას. მალე გაფიცვები რუსეთის ყველა დიდ ქალაქს მოედო. მათ ადგილობრივი სამხედრო ერთეულები მიემხრნენ და ასე დაიწყო რევოლუცია მთელ რუსეთში.

მოგონებები დავიწყე 1917 წლიდან, რადგან რევოლუციის შედეგად მოხდა დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები არა მხოლოდ ყოფილი რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ეს ხანა მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვისაც, რადგან დაისახა შესაძლებლობანი მისი განთავისუფლებისა 100 წელზე მეტი ჰონობისაგან.

თუ შევძელი და ვიცოცხლე, ვეცდები მოგონებები 1971 წლამდის მივიყვანო. განსაკუთრებით ჩემი ახალგაზრდობის ხნიდან. ჩვენი იმდროინდელი ლტოლვილობიდან, თუ როგორ იკვესებოდა ჩემი პიროვნება და ხასიათი. დაე, ეხლანდელმა ახალგაზრდობამ შეძლოს შეადაროს ჩვენი დროისა და დღევანდელი საზოგადოების სულისკვეთება.

1917 წელს, როგორც ყოველი ოფიცერი რუსეთის ჯარისა, ვმსახურობდი კავკასიის მსროლელთა მე-8 პოლკში და ვიმყოფებოდი ოსმალეთის ფრონტზე ზღვისპირა ხეობაში ბეთლეემის ზღვის ჩრდილოეთით (მოსულის მიმართულებით).

პოლკს ეკავა პოზიციები ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მარკურდვის მთის ფეხთით. 1917 წლის ქრისტეშობისთვეში მივიღე შვებულება და გავემგზავრე სახლში. 10 იანვარს შვებულება მთავრდებოდა და ამ დროისათვის უნდა დავბრუნებულიყავი ფრონტზე. შვებულებას წელიწადში ერთხელ ვღებულობდი, რიგის სასტიკი დაცვით, მხოლოდ შვებულებაში მყოფთა დაბრუნების შემდეგ. ჩემთან ერთად შვებულებით მიდიოდა კიდევ 4 ოფიცერი. მათ შორის პოლკის უფროსი შტაბის პოლკოვნიკი ვასილჩენკო.

რაკი სამგზავრო საშუალებები არ იყო მატარებლამდე, ეტაპიდან ეტაპამდის ცხენდაცხენ მოგვიხდა მგზავრობა, მერე დიდი ვაი-ვაგლახით შეიძლებოდა მატარებლით მგზავრობა. თბილისში ერთმანეთს დავშორდით და ერთად დასაბრუნებლად შეხვედრის დრო დავნიშნეთ თბილისის სადგურზე (პირველი კლასის დასაცდელ ოთახში).

შვებულებაში წასვლამდის წერილი მივწერე ბიძაჩემს ელისეს, რომელიც, როგორც ექიმი, ტრაპეზუნდის ფრონტზე იმყოფებოდა დივიზიაში, რომელსაც გენერალ დოგბურ მუშნიცკი განაგებდა. წერილში ვთხოვდი იმასაც ეღო შვებულება და სახლში ერთმანეთს შევხვედროდით. ბიძამ თხოვნა ამისრულა. ოჯახში და მეგობრებთან გატარებული დროის შემდეგ, დათქმულ ვადაზე ორი დღით ადრე დავბრუნდით თბილისში. გვინდოდა ეს ორი დღე გასართობად და დროს გასატარებლად გამოგვეყენებინა. გავჩერდით სასტუმრო „ნოე"-ში მიხაილოვის პროსპექტზე. თბილისში ჩასვლის მეორე დღეს სასტუმროს სასადილოში შევხვდი ჩვენი პოლკის ოფიცერს, რომელიც ეტაპის უფროსი იყო ჩვენკენ მიმავალ გზაზე. აქ უნდა განვმარტო, როგორ უნდა მიგვეღწია პოლკამდის. მატარებლით ეჩმიაძინში უნდა ჩავსულიყავით (რკინიგზის სადგური ერევნის მახლობლად). აქედან ცხენებით ქალაქ იგდირამდის მდინარე არაქსის გადასვლით. შემდეგ ფურგონით ან პოვოზკით ეტაპიდან ეტაპამდის. იგდირიდან გზით არარატის გვერდით უღელტეხილით, ალაშკერის ხეობაში ჩავდიოდით იმ ადგილას, სადაც სათავე აქვს ევფრატს. ადგილის გადანაცვლება ხდებოდა ეგრეთ წოდებულ ეტაპიდან ეტაპამდის, სადაც განლაგებული იყო კარავები ან ფიცრულები. აქ ფრონტიდან და ფრონტისკენ მიმავალი მგზავრები ვჩერდებოდით დასასვენებლად სანოვაგის და შემდეგი სამგზავრო საშუალების მისაღებად. სწორედ ერთ-ერთი ამნაირი მოწყობილობის უფროსი იყო ეს ჩემი ნაცნობი, თბილისის სასტუმროში რომ შემხვდა.

მისი გვარი დღეს ვერ მომიგონებია. ის კი მახსოვს, რომ დიდი ინტელიგენტი და განათლებული იყო, წარმოშობით მოსკოველი. რაკი სუფრას მარტოკა უჯდა, მოვიწვიე ჩვენ მაგიდაზე. აქ მან გვიამბო, რომ მოემგზავრება მოსკოვიდან და ბევრი საინტერესო ცნობები აქვს იქიდან. რაკი თბილისიდან ჩვენს შემდეგ, ერთი დღით გვიან, აპირებდა გამგზავრებას, გადავწყვიტე ჩვენებს ჩამოვრჩენოდი და მასთან ერთად მემგზავრა. მინდოდა დაწვრილებით გამეგო, რა ხდებოდა მაშინ მოსკოვსა და რუსეთში. ხდებოდა კი ბევრი რამ საყურადღებო. არნახული არევ-დარევა სისწრაფით ვრცელდებოდა და თვით რუსეთის ყოფასა და ბედს ემუქრებოდა.

რუსეთის ჯარი ყველგან მარცხდებოდა. უნუგეშო მდგომარეობა იყო სურსათისა და სამხედრო მარაგის ნაკლებობის გამო. ფართოდ იყო იმ დროს გავრცელებული აზრი, რომ ყველაფერი ეს კატასტროფით დამთავრდებოდა და მეფის დინასტიის დასასრულს მოასწავებდა. გერმანელ შპიონთა თარეშობა

ყველასთვის ცნობილი იყო. მართალია, ოფიცრობა მეფის ერთგულებას ინარჩუნებდა, მაგრამ 1915 წლიდან მოყოლებული მათ წრეებშიც შეიმჩნეოდა მეფისადმი უკმაყოფილება და უპატივცემულობა.

1916 წლის სექტემბერში, იუსუპოვის სასახლეში მოკლეს რასპუტინი; მკვლელთა რიცხვში იყვნენ: ცნობილი მონარქისტი პურიშკევიჩი, მეფის ძმისწული დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე. ცნობა ამის შესახებ მთელ რუსეთს მოედო: საზოგადოების ყველა წარმომადგენელს, ჯარს.

დანიშნულ დროზე თბილისის სადგურზე მივედი. იქ ჩემი ამხანაგი ოფიცრები მიცდიდნენ. პოლკის უფროსთან ერთად. განვუცხადე მას, რომ მათთან ერთად არ ვბრუნდები და თბილისიდან გამოვალ მეორე დღეს. პოლკის უფროსი გაჯავრდა, დამემუქრა, რომ ასეულის უფროსობას ჩამოგართმევდა და პირი იბრუნა ჩემგან. აქ უნდა აღვნიშნო, რომ პოლკის უფროსი გენ. შტაბდამთავრებული უკრაინელი ვასილჩენკო იყო, მონარქიის ერთგული და არარუსთა დიდი მოძულე. დაველშვიდობე მხოლოდ მეგობრებს და წაველ სასადილოში, სადაც ჩემი ნაცნობები და ბიძა მელოდნენ. რომ ჩემი ურთიერთობა პოლკ. ვასილჩენკოსთან კარგად ვერ აეწყობოდა ეს 1916 წელშივე ვიცოდი, ჩვენ პოლკში რომ გამოცხადდა გამოცდილების მასალებად. ის ხომ შვებულებაში იყო და ჩემი გადაყენების უფლება არა ჰქონდა. ჩემთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გზას მიკეტავდა ხარისხის ამაღლებისკენ. ის საღამო და მეორე დღე ბიძაჩემთან და მოსკოველ ნაცნობთან გავატარე. მეორე დღის საღამოს გამოვემგზავრეთ თბილისიდან. ბევრი გულშემზარავი ამბავი მომიყვა თუ რა ხდებოდა რუსეთში, რას განიცდიდა ხალხი, მეფის მმართველობის საათები დათვლილიაო. მეფე იძულებული იქნება ტახტიდან გადადგეს, მაგრამ ვინ შესცვლის მას, მისი ძმა, თუ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე? სულ მოკლე ხანში დაუჯერებელ ამბებს უნდა მოველოდოთო, დაასკვნა ბოლოს.

დავბრუნდი პოლკში. გამოვეცხადე ათასეულის უფროსს დიდად სიმპათიურ პოლკოვნიკ ფიგუროვს. ვუამბე მას თბილისის რკინიგზის სადგურზე მომხდარი ინციდენტი, გაიცინა და მიბრძანა ასეულის უფროსობის შესრულება. თანაც მაცნობა, რომ თბილისის სამხედრო სასწავლებლისათვის მასწავლებელი ოფიცერი მოითხოვეს და შენ დაგნიშნესო. თანაც დაურთო, ალბათ სკოლის უფროსი გენ. ზეგინი (სკოლის კომენდანტი ჩემ იქ ყოფნისას) გაკვირდება, რომ ქართველი დაუნიშნეს, ეს ხომ დიდი დაფასებააო. მადლობა დაფასებისთვის, მე იქ წამსვლელი არა ვარ და სხვა გამონახეთ-მეთქი — მივუგე მაშინათვე გულისწყრომით. ეს ხომ ბრძანების შეუსრულებლობააო, დამემუქრა. ვუპასუხე, რომ საჩივარს შევიტან დივიზიის უფროსთან-მეთქი. დივიზიას უფროსობდა გენ. ნაზარბეკოვი, დიდად სიმპათიური და პატივსაცემი სომეხი. ამნაირად დავრჩი პოლკში. ჩვენი მდგომარეობა კატასტროფიული იყო. ტყვია-წამალი იმდენად გვაკლდა, რომ მტერთან შეხლისას ჯარისკაცს 5 ვაზნის გასროლის მეტის უფლება არა ჰქონდა. ტანსაცმელი ჩამოხეული ეცვათ, კვება და კერძები საძაგელი, თითქმის ყოველდღე წვნიანს აყროლებული ღორის ქონიდან აკეთებდნენ, რაიმეს სყიდვა შეუძლებელი იყო, რადგან მთელი დაკავებული ოსმალეთის ტერიტორია გამოცარიელებული იყო მო-

სახლეთაგან. უმოსახლეო შენობები შეშად იყო გამოყენებული. რამის მოხარშვა დიდი საკითხი იყო. ტყეები იქ არ იყო, ჩაისა და სადილის მოსახარშად ჯარისკაცები წვრილმანი ჯაგების ფესვებს თხრიდნენ, გორახიან ნიადაგში. ტანის დაბანა შეუძლებელი იყო. წარმოსადგენია რას გვიშვრებოდნენ ასეთ პირობებში მკბენარები. ტერიტორია, რომელზედაც ფრონტი გადიოდა ძველად სომხებს ეკუთვნოდათ. მოსახლეობა ოსმალების მიერ მთლად ამოხოცილი იყო. იშვიათად, 3 თვეში ერთხელ, სომეხ ვაჭრებს ვირებითა და ცხენებით მოჰქონდათ გასაყიდად სხვადასხვა საქონელი. ისეთი ცოტა რაოდენობით, რომ რამე საჭირო ნივთის თუ სურსათის შეძენა შეუძლებელი იყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ უხვად იყო მხოლოდ კოლონის სასხური, ჯარისკაცები ყიდულობდნენ მას და სვამდნენ.

თებერვლის ბოლოს, მოაღწია ჩვენამდის მეფის ტახტიდან გადადგომის ცნობამ. მის მიერ დანიშნულმა მემკვიდრემ დიდმა მთავარმა მიხეილმა ტახტის მიღებაზე უარი განაცხადა. დაიწყო რევოლუცია. შეიქმნა დროებითი მთავრობა. ჩემთვის აქ მოულოდნელი არაფერი ყოფილა, ოღონდ რა მოხდებოდა შემდეგ ძნელი განსაჭვრეტი იყო. ყველა დიდ ცვლილებებს მოელოდა, მაგრამ რანაირს არავინ იცოდა. მახსოვს პოლკმა მიიღო დეპეშა მეფის გადადგომისა და მემკვიდრედ მთავარ მიხეილის დანიშვნისა. საჭირო იყო დეპეშის ჯარისკაცებისთვის გაცნობა. იმ დღეს ჩემი ასეული იხევდა და მიწურებში ვიდექით. ვუბრძანე ზემდეგს ასეული შეეკრიბა ტახტიდან გადადგომის ცნობის მისაწოდებლად. ჩემ ხელქვეით ოფიცრებთან ერთად, დეპეშის წაკითხვის წინ ვფიქრობდით, როგორ მიგვეწოდებინა ეს ცნობა. და რა გვეპასუხნა შეკითხვაზედ თუ რატომ მოხდა ეს ცვლილება. მითითებები ამის შესახებ არა გვქონია. ასეული მოაწყვეს. წავუკითხე მათ ტელეგრამა ნიკოლოზ II-ის გადადგომის შესახებ. მემკვიდრედ მისი ძმის მიხეილის დანიშვნისა და მის მიერ ტახტის მიღებაზე უარის თქმაზე. დეპეშის წაკითხვის შემდეგ გავეცი განკარგულება „თავისუფლად“. მეგონა ჯარისკაცებს დააინტერესებდათ ეს ცნობა და შეკითხვებით მომმართავდნენ. არავითარი ამნაირი რამ არ მომხდარა. ჯარისკაცები ერთმანეთს მიწურებიდან ჩამოსვლისკენ მოუწოდებდნენ „ჩანები ჩაინგრევა და შესაკეთებელი მასალა სად ვიშოვნოთო“ — ასეთი იყო ჯარისკაცების მიდგომა ამ სათავბედო ცნობის გაგებისას. მათი ერთი საზრუნავი იყო: თუ როგორ გაეუმჯობესებინათ ცხოვრების პირობები. რა ხდებოდა ირგვლივ მათთვის სულ ერთი იყო. ერთსა ნატრობდნენ ოღონდ: გათავებულიყო ბოლოს ეს საზიზღარი ომი, რომელსაც ყველანი განვიცდიდით და მძიმე ტვირთად გვაწვა. აქ განვმარტავ, რატომ ვღებულობდი გულთან ახლოს მომხდარ მოვლენებს.

კარგად მახსოვს 1905 წლის რევოლუცია. მაშინ 12 წლისა ვიყავი. ბავშვებზე საერთოდ და ჩემზეც დიდად მოქმედებდა მაშინდელი მოვლენები. იმ დროს რუსეთი იაპონიასთან აწარმოებდა ომს, მარცხს მარცხზედ ღებულობდა, რაც დიდად ახარებდა მოსახლეობას, რომლებიც ხელისუფლებისადმი მტრულად იყო განწყობილი. ხალხში დადიოდა სახუმარო და დამცინავი ლექსები და სიმღერები, სადაც რუსები განსაკუთრებით სძულდათ, რევოლუცია დიდად პოპულარული იყო. თითქმის მთელმა დასავლეთმა საქართველომ ჩამოიშორა მეფის ადმინისტრაცია და სრული თავისუფლება დაამყარა, არ დამავიწყდება მიტინგი სამტრედიაში საყდრის მოედანზე, აქ ქუთაისის ოლქის

გუბერნატორი, რომელიც რევოლუციას მიემხრო, ძირს უთხრიდა მეფის ხელისუფლებას. ჩემი ძმები: მექი, არკადი, დიმიტრი, ელისე და ძალუა ტასო ეკუთვნოდნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და აქტიურად მონაწილეობდნენ 1905 წლის რევოლუციაში. მეც, როგორც აღგზნებული ახალგაზრდა ვცდილობდი ჩემი მეჩვენებინა, ვესწრებოდი ყველა კრებას, რომლებიც იმ დროს თითქმის ყოველ დღე იმართებოდა და ყველგან მესმოდა, რომ დადგება ახალი ხანა თავისუფლებისა, მოისპობა შემზარავი მეფის რეჟიმი. რევოლუციის ჩაქრობის შემდეგაც აღელვება არ შემცირებულა. მე სკოლაში დავიწყე სიარული. სწავლება წესიერად არ მიმდინარეობდა. მახსოვს, როდესაც ბათუმში ჩამოასვენეს წითელი ალმებით შემკული ოდესაში მოკლული რევოლუციონერი, ვგონებ იაშვილი, მთელი ჩვენი სასწავლებელი დაუხვდა სადგურზედ და თითქმის მთელი ქუთაისი აცილებდა მას სასაფლაომდის. ყველაფერი ეს ჩემზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. მწამდა ჩემი ხალხისა, მისი მისწრაფებისა უკეთესი მომავლისაკენ. რუს სატრაპთა რეჟიმი ხომ სძულდა ყველას. ქართულად ლაპარაკისთვის სკოლაში დევნილნი ვიყავით ადმინისტრაციისა და ზოგიერთი მასწავლებლისგან, რომლებიც შავრაზმელებს ეკუთვნოდნენ (ჩორნაია სოტნია). სძულდათ და არ სცნობდნენ დამონებულ ერთა უფლებებს. საუბედუროდ, თავისუფლებამ დიდხანს არ გასტანა. რევოლუციის ჩამქრობი ყაზახთა პოლკები მოესია დასავლეთ საქართველოს, სპობდნენ და ცეცხლს აძლევდნენ ყველაფერს, რაც გზაში დახვდათ და ასე მოიწევდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ — შავ ზღვამდე (ბათუმი-ფოთი). ცხადია, ეს უფრო აღვივებდა ქართველთა სიძულვილს რუსებისადმი. ყველა ფიქრობდა საძულველი უღლის მოშორებასა და თავისუფლების მოპოვებას. ამ საერთო სულისკვეთებამ ჩემშიც გამოიწვია პატრიოტული განწყობილება. თავისუფლების მოპოვება ჩემ სანუკვარ ლტოლვად გადაიქცა და ამიტომ როგორც რუსეთის ჯარისკაცს სრულიად არ მწყენია რუსეთში მომხდარი არეულობა. მეფის გადადგომის ამბავი ჩავთვალე ნიშნად მომავალი ცვლილებებისა და ჩემი სამშობლოს მიერ თავისუფლების მოპოვებისა. საყურადღებო იყო ისიც, რომ მომხდარი ამბებით არც პოლკში მყოფი რუსი ოფიცრები შეწუხებულან. რასპუტინის მოკვლა მათ გაუხარდათ. სჯეროდათ, რომ მონარქიული წყობილება რუსეთს კატასტროფისკენ წაიყვანდა. რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ შეიქმნა დროებითი მთავრობა სახელმწიფოს მმართველობისთვის დამფუძნებელი კრებით, რომელიც გადაწყვეტდა სახელმწიფოს საბოლოო სახეს. გავიგეთ ისიც, რომ მთავრობაშიც, ისევე როგორც ჯარის ნაწილებში, იქმნება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. მალე ჩვენამდის ცნობილმა პირველმა ბრძანებამაც მოაღწია, რომლის ძალით უქმდებოდა ჯარისკაცის მიერ ოფიცრისთვის ქუჩაში სალამის მიცემა, აძლევდა მას ჩვეულებრივი მოქალაქის ყველა უფლებას. ყველა ერთეულში ეწყობოდა ჯარისკაცთა საბჭოები, ირჩევდნენ წარმომადგენლებს უმაღლესი საბჭოებისთვის.

ჯარისკაცთა საბჭოებს ენიჭებოდა ფართო უფლებები. შეეძლოთ ყოველი ოფიცრის გადაყენება, თუ კი მას ნდობის ღირსად არა სცნობდნენ. ასეთმა ვითარებამ ბოლო მოუღო ჯარისთვის აუცილებელ საწყისს — დისციპლინას. ცხადი იყო, რომ ამ ახალ დებულებათა შემოღების შემდეგ ჯარი ომის წარმოებისათვის აღარ ივარგებდა, დაფუძნდებოდა ანარქია და ეს მაშინ, როდე-

საც მოპირდაპირე ჯარები პირისპირ იდგნენ და ომს აწარმოებდნენ. დასაწყისში ჯარისკაცები მოვლენათა მიმდინარეობით დაინტერესებულნი არ იყვნენ. საბჭოების წევრებს კი ყველა ერთეულში ირჩევდნენ: ირჩევდნენ მხოლოდ მოქალაქე პიროვნებებს. საერთოდ კი მოვლენათა მსვლელობაში ვერ ერკვეოდნენ. დასაწყისში ჯარის ცხოვრებაში დიდი ცვლილება არ იმჩნეოდა. თავი იჩინა დეზერტირობამ შეზღუდული ფორმით.

ჩვენ პოლკში 300-მდე ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო. მე ქართულ გაზეთებს ვღებულობდი და წაკითხვის შემდეგ მათ მივცემდი ხოლმე. ამ გაზეთებიდან ბევრის ამოკითხვა არ შეიძლებოდა. არ ვიცოდი რა გზას ადგნენ ჩემი მამულიშვილები. მახსოვს პოლკის ჯარისკაცთა საბჭომ პოლკის გამოცვლა და დასასვენებლად გაგზავნა მოითხოვა, რადგან შეუცვლელად 1915 წლიდან ფრონტის პირველ ხაზზედ ვიმყოფებოდით, ჯარისკაცებს ჩაცმულობა აკლდათ, მრავალი მათგანი სკორბუტით დაავადდა არადამაკმაყოფილებელი კვების გამო. მოთხოვნილება დაბეჯითებით იყო და დადებით შედეგს მიაღწია. პოლკი სხვა ერთეულით შეცვალეს და დასასვენებლად და ძალთა აღსადგენად ევფრატის პირზე მდგომ „მელარგეთში" გადაგვიყვანეს. აქ ზომები მიიღეს კვების გაუმჯობესებისათვის, სარეცხის დარეცხვისათვის, მწერების ჩამოსაშორებლად და სკორბუტის მკურნალობისათვის. თადარიგში მყოფი პოლკი არავითარ მეცადინეობას არ აწარმოებდა. ვცხოვრობდით კარვებში, შეშის, ე. ი. ჯაგების და მისი ფესვების მოსათხრელად გავგზავნეთ რაზმები მდინარე მეშარგის ხეობაში.

მომდიოდა გამოწერილი ქართული გაზეთები. ფოსტას ვღებულობდი ორ კვირაში ერთხელ. გაზეთებიდან ამოვიკითხე, რომ ქართველმა სამღვდელოებამ 1917 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა, ე. ი. ჩამოშორდა რუსეთის ეკლესიას, აღიდგინა დამოუკიდებლობა და უზენაეს საფეხურად კონსტანტინოპოლის პატრიარქი სცნო. კათალიკოსად აირჩიეს კირიონი. ეს ფაქტი დიდი მნიშვნელობისა იყო. ახასიათებდა ქართული საზოგადოების განწყობილებასა და საწადელს. პოლიტიკურმა პარტიებმა ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვერ შეძლეს, რადგან იმ დროისთვის ხელის შემწყობი პირობები არ იყო. ქართველი დელეგატები საერთო რუსულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში იყვნენ ჩახერგილნი, სადაც ფედერალისტები იყვნენ — ავტონომიაზე ოცნებობდნენ. მცირერიცხოვან ნაციონალისტებს კი საზოგადოებაზე გავლენა არ ჰქონდა. სამღვდელოების გამოსვლას ამ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათი ღვაწლია, რომ ამ დღიდან საქართველოში დამოუკიდებლობისა და რუსეთიდან განთავისუფლების სურვილმა გაიღვიძა.

ავტოკეფალიის გამოცხადების ამბავი პოლკის ქართველ ჯარისკაცებს გავუზიარე. თანაც რამდენიმე ქართველ ამხანაგთან ერთად გადავწყვიტე ჯარისკაცთათვის წერა-კითხვა მესწავლებინა. მსურველი 300-მდე აღმოჩნდა. დიდად დამეხმარა ამ საქმეში ერთი ქართველი ნაცვალი, რომლის გვარი არ მახსოვს და რომელმაც ამ საქმეში დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა. რამდენიმე დღის განმავლობაში კურსი უკვე მოეწყო. საუბედუროდ არ გვქონდა წიგნები, არც ქაღალდი. ვთხოვე პოლკის უფროსს მეტად სიმპათიურ პიროვნებას, რომელსაც თბილისის სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. იმან ნება მოგვცა სპეციალურად ამ დავალებით თბილისში ქართველი

ნაცვალი გავგზავნე. მივეცი მას ფული და გავატანე წერილი ჩემ ბიძაშვილ პეტრე გელეიშვილთან. სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწესა და პუბლიცისტთან, რომელშიც ვთხოვდი მოეწერა თუ რა უნდა გვეკეთებინა ქართველებს. ეწყობა თუ არა საქართველოში ეროვნული ერთეულები და რა პოლიტიკური ვითარებაა საერთოდ? გაგზავნილი ნაცვალი დაბრუნდა. ჩამოიტანა ქართული ენის სახელმძღვანელოები და შევუდექით წერა-კითხვის სწავლებას. ჩვენდა საუბედუროდ, წერა-კითხვის უცოდინარი ბევრი აღმოჩნდა. სწავლობდნენ და ჰკითხულობდნენ იმაზე, თუ რა მოელის ჩვენს სამშობლოს. ზევით მოხსენიებული ნაცვალი ჯარისკაცობაში თეატრის მოყვარულთა წრეს ეკუთვნოდა. შექმნა მსახიობთა ჯგუფი და მართავდა წარმოდგენებს. წარმოდგენებს თითქმის ყველა პოლკის ჯარისკაცი და ოფიცერი ესწრებოდა. ქართველებმა ამ საქმიანობით დიდი პოპულარობა მოიპოვეს. ამასობაში მოვლენები რუსეთის იმპერიაში დიდი სისწრაფით ვითარდებოდა. არავის შეეძლო წარმოდგენა რით დამთავრდებოდა ყველაფერი ეს. ცნობებს გვაწვდიდნენ კურსებიდან და შვებულებიდან დაბრუნებული ოფიცრები. ჯარის გახრწნილობამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მთავრობას კი სურდა ამ ჯარით ომი გაეგრძელებინა, მაგრამ ვისთან და როგორ? დეზერტირობა მატულობდა. შვებულებაში წასული ჯარისკაცები აღარ ბრუნდებოდნენ. მრავალი სკორბუტით დასნეულებული ევაკუირებული იქნა. პოლკში მეზღვაურთა და ჯარისკაცთა ნაწილებს ხშირად მოჰყავდათ, მოსკოვსა და პეტროგრადიდან აჯანყებული და უდისციპლინო ჯარისკაცთა ნაწილები. ვღებულობდით ცნობებს ოფიცერთა შეურაცხყოფის შესახებაც. ჩვენ კავკასიის ფრონტზედაც ჰქონდა ადგილი ამნაირ შემთხვევებს, განსაკუთრებით მოზრდილ ქალაქებში, როგორც ყარსი ან პლევზანიპისტში (დღევანდელი ლენინაკანი). ამ საკითხზედ ქართველებმა ერთ-ერთ შეკრებაზე გადავწყვიტეთ ჩვენ წრეში ასეთი რამ არ დაგვეშვა და ამნაირი მოვლენებისათვის წინააღმდეგობა გაგვეწია. ქართული გაზეთები, საუბედუროდ, ამ დროს არ იძლეოდნენ ჩვენთვის საჭირო ცნობებს. გავიგეთ იქიდან მხოლოდ, რომ შედგა ქართველ მხედართა კავშირი, მოგვიწოდებდნენ იქ შევსულიყავით. ჩავეწერე წევრად, გავაგზავნე საწევრო გადასახადი და წერილი, სადაც ვატყობინებდი ჩვენ ვითარებას და ვთხოვდი საჭირო მითითებებს. საუბედუროდ, პასუხი არ მიმიღია. გაიარა კიდევ 3 თვემ. პოლკი იხევდა. ბრძანება არ გვქონდა. ომის სურვილი არც ჩვენ ოფიცრობას და არც ოსმალებს არ ჰქონდათ, ჩვენებს იმიტომ, რომ იცოდნენ რა ჯარისკაცებიც ჰყავდათ, ოსმალებს, რადგან ჰქონდათ სწორი ცნობები ჩვენი ჯარის შესახებ, გრძნობდნენ, რომ ყველაფერი ირღვეოდა და იმედოვნებდნენ, უომრადაც დაიბრუნებდნენ დაკარგულ ტერიტორიასა და მეტსაც. გარდა ამისა, მომარაგების ბაზების დაშორება სურსათისა და სამხედრო მასალის ნაკლებობას იწვევდა, რაც მძიმე მდგომარეობას ქმნიდა პოლკში.

მიუღლეთ ბრძანება დაგვეწყო სამხედრო მეცადინეობა. ბრძანებას ხელს აწერდა დივიზიის უფროსი და ჯარისკაცთა საბჭო. პოლკმა სათანადო პროგრამა შეიმუშავა და მეორე დღესვე უნდა შედგომოდა მის შესრულებას. ჯერ ლოკინებიდან არ ავმდგარიყავით, რომ შემოვიდა გუნდის ზემდევი და მაცნობა, რომ გუნდის მეცადინეობაზე არ თანხმდება. ვთხოვე შემდეგს მოეყვანა კარავში გუნდის ჯარისკაცთა საბჭო. საბჭომ განაცხადა, რომ მოელაპარაკებიან გუნდს, ოღონდ რაიმე მეცადინეობის წინააღმდეგი არიან. ვთხოვე შევკრიბათ

გუნდი. რადგან პირადად აგვეხსნა მდგომარეობა. გუნდი მოაწყვეს. ჩემ ოფიცერთან ერთად მივედი მათთან და განვუმარტე, რომ ომის ხანაა და ჩვენ თითქმის ფრონტზე ვართ, ბრძანების შეუსრულებლობა ასეთ შემთხვევაში ომის წესების დარღვევაცაა. ასეთ ვითარებაში ბრძოლების ჩატარებას ვერ შევძლებთ-მეთქი. ჩემმა ლაპარაკმა არ გაჭრა, ჯარისკაცებმა მეცადინეობაზე გასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. ამავე დღეს პოლკის სხვა ნაწილები (სულ 16 ნაწილი იყო) მეცადინეობაზე გავიდნენ.

წავედი პოლკის უფროსთან პოლკოვნიკ გუროვთან. მოვახსენე, რომ ჩემი ერთეული მეცადინეობაზე არ გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის შესახებ ესაუბრა ასეულის ჯარისკაცთა საბჭო და პირადად მეც. მათ თავიანთი გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ. დამპირდა, მომეწყო გუნდი და, რომ ეხლა თვითონ ცდიდა მათთან მოლაპარაკებას.

გუროვი, ვიდრე პოლკის უფროსობას მიიღებდა ათასეულს მეთაურობდა. დიდად პოპულარული იყო ჯარისკაცთა შორის და დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ორდენით. გუნდი მოვაწყვე, მოვიდა პოლკის უფროსი, განუმარტა მეცადინეობის მიზანი, რომ ეს საბრძოლო ბრძანებაა და მისი შესრულება სავალდებულოა. ვერაფერს ვერ მიაღწია, მტკიცედ იდგნენ თავის გადაწყვეტილებაზედ და მეცადინეობაზე გასვლაზე უარი განაცხადეს. გაბრაზებულმა პოლკის უფროსმა აცნობა ჯარისკაცებს, რომ ასეთ ვითარებაში მას აქ გასაკეთებელი არაფერი აქვს და უარს აცხადებს პოლკის უფროსობაზე. სრულიად არ შევწუხდით ამის გამო, — უპასუხეს ჯარისკაცებმა და გასწიეს კარებისაკენ, მათთან ერთად ჩვენც. მეტისმეტად დამაფიქრებელი იყო ეს შემთხვევა და აგვავსო პესიმისტური გრძნობებით.

ვფიქრობდი, რომ ჩვენი გუნდი საერთოდ აღარ აპირებდა მეცადინეობას და დიდად გავკვირდი, როდესაც მეორე დღეს დილით, როდესაც ჯერ კიდევ ლოგინში ვიწექი შემოვიდა ზემდეგი და მომახსენა, რომ გუნდი მზადაა მეცადინეობაზე გასასვლელად. საჩქაროდ წამოვხტით ლოგინებიდან მოვემზადეთ და გავედით გუნდთან.

ჩემ მისალმებაზე ერთხმად მიპასუხეს. რაც ერთადერთი შემთხვევა იყო პოლკში. სხვა ნაწილებში მისალმებაზე სდუმდნენ. იქნება ეს შედეგი გამოიწვია ჩემმა მიმართვამ ჯარისკაცებისადმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა № 1 ბრძანების წაკითხვისას.

მოვაგონე მათ, რომ მუდამ მათთან ვიყავი ომის დაწყების დღიდან. ვიღებდი მონაწილეობას ყველა მათ მოქმედებაში, დამჭრეს, ტიფშეყრილი მწყობრიდან არ გავსულვარ. დავრჩი ერთეულში და ვმონაწილეობდი ყველა მოქმედებაში. ერთმანეთს მივეჩვიეთ და თუ ჩემ მისალმებაზე სიჩუმით მიპასუხებენ უნდა ვიფიქრო, რომ არაფერი გვაკავშირებს და იძულებული ვიქნები გუნდის უფროსობაზე უარი ვთქვა. დამპირდნენ, რომ ამას ადგილი არ ექნებოდა და მისალმებაზე მისალმებით მიპასუხებდნენ.

გუნდი გავიყვანე საწვრთნელად ბანაკიდან 3 კილომეტრის მანძილზე. თოფები [illegible] და [illegible] შემდეგ ირგვლივ შემოვიკრიბე და გუშინდელი ამბის შესახებ საუბარი გავუბი, [illegible]-მეთქი [illegible] უარი თქვით, დღეს კი თვისი ნებით [illegible] წარმომადგენლობა [illegible] [illegible] გასაკუთრებით [illegible]

მოქმედების დროს? ალბათ ელოდნენ ჩემ ამნაირ შეკითხვას. ჯგუფს გამოეყო ერთი ჯარისკაცთაგანი და დიდი დაფიქრების გარეშე ჩემ შეკითხვაზე მკვეთრ განმარტებებს იძლეოდა. გუშინწინ, ჰიამბო მან, როდესაც მეორე დღეს მეცადინეობაზე გამოსვლა გამოგვიცხადეს, შევიკრიბეთ ყველა ნაწილის წარმომადგენლები და გადავწყვიტეთ ამ მეცადინეობაზე არ გამოვსულიყავით. ჩვენ ეს დადგენილება ბოლომდის შევასრულეთ. პოლკის დანარჩენმა ნაწილმა კი ეს დადგენილება გატეხეს და მეცადინეობაზე გავიდნენ. ჩვენ თვალში ისინი მოღალატენი არიან და დაგმობას იმსახურებენ. ბოდიში მოიხადეს გუშინდელი ამბის გამო და დამპირდნენ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა და, რომ ჩემ ბრძანებებს მომავალში ხალისით შეასრულებდნენ. ამაღელვა მათმა დაპირებამ, რომელიც შეასრულეს და პოლკში ყოფნის უკანასკნელ დღემდე ასეთი რამ აღარ განმეორებულა. დიდი სიამოვნებით ვიგონებ დღეს ჩემ ჯარისკაცებს, მართლაც, კეთილი გულისანი იყვნენ და, ვფიქრობ, რომ თუ მათ გულითა და თანაგრძნობით მოუდგებოდნენ, ისეთი საზარელ შემთხვევებს, როგორც ოფიცერთა დახოცვა, ადგილი არ ექნებოდა.

პოლკში 1917 წლის ქრისტეშობისთვემდე ვიყავი. ამ დრომდის არავითარი ექსცესები აქ არ მომხდარა, მხოლოდ ჯარისკაცების რიცხვი მცირდებოდა განუწყვეტლივ. გადიოდა ხანი, ჩვენ კი ცნობები რუსეთიდან ძუნწად მოგვდიოდა. არც ქართველ მხედართა კავშირი გვაცნობდა რამეს. ვიმედოვნებდით, რომ უახლოეს შევბულებაში გავიგებდით ყველაფერს. ამასობაში ქართველების წრე მტკიცდებოდა და, ვფიქრობ, საჭიროებისას თავს არ შევირცხვენდით. ეს კი დიდად გვეხმარებოდა სიმშვიდის შენარჩუნებასა და მომავლისათვის თვალის გასწორებაში.

ჩატარდა წარმომადგენელთა არჩევნები დივიზიის, ლაშქრის შტაბის, საბჭოსა და თბილისში გასაგზავნად. მახსოვს, ერთ-ერთ წარმომადგენლად ჩემი [illegible]უნდის ოფიცერი პოდხორუნჟი რიჟევი იყო, ყოფილი მოსკოველი სტუდენტი და სოციალურ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი. ყრილობიდან დაბრუნებისას იმდენად მოსწონებია გეგეჭკორის გამოსვლა, რომ თავისი პარტია მიატოვა და მენშევიკების პარტიაში გადმოეწერა. დეკემბრის დასაწყისში მივიღე შვებულება. გამომშვიდობებისას ვუთხარი ჩვენებს, რომ შვებულებიდან აღარ დავბრუნდებოდი, რომ ჩვენში დიდი ამბები ხდება და მეც იქ დავრჩები-მეთქი. თუ რამეს გავიგებ გაცნობებთ, თუ არა და სცადეთ დაბრუნდეთ საქართველოში და იქ გამონახეთ თქვენი ადგილი-მეთქი. ცნობები მივიღეთ, რომ პეტროგრადში გადატრიალება მოხდა, დროებითი მთავრობა ჩამოაგდეს და ძალაუფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. საქართველოს ვითარებაზე არაფერი ვიცოდით და ვიმედოვნებდი, რომ იქ ჩასვლისას ყველაფერი გამოირკვეოდა და გავიგებდი რა ბედი ელის საქართველოს; საქართველოში კი ამ დროს ასეთი ვითარება შეიქმნა: დროებითმა მთავრობამ პეტროგრადიდან გამოგზავნა 5 წევრიანი კომისია ამიერკავკასიის საქმეთა გამოსაძიებლად. კომისიაში შედიოდა ერთი რუსი, 2 ქართველი და თითო-თითო სომეხი და აზერბაიჯანელი. თბილისში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატთა საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ე. გეგეჭკორი. ამ საბჭომ [illegible] მოიწონა და დროის შესაფერი საქმიანობა მოაწყო. ადგილი კი [illegible] ფერი [illegible] დასაწყისშივე მთელი რუსული არმი[illegible]

[illegible]

ორგანიზაციული სიმკვრივით ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიამ გამოიჩინა თავი. ისინი სათავეში ჩაუდგნენ მოვლენათა მსვლელობას, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სომხეთსა, აზერბაიჯანსა და მთელ ამიერკავკასიაში. მდგომარეობა მოითხოვდა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს რეალური ძალის შექმნაზე ეზრუნათ მთელი ამიერკავკასიისთვის. დროებითმა მთავრობამ თხოვნაზე, კავკასიაში შემდგარიყო ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა ერთეულები, პასუხი არ გასცა. მდგომარეობა კი რთული იყო.

თბილისი ამიერკავკასიის ცენტრს წარმოადგენდა. იქ იყო შეჯგუფებული ამიერკავკასიის და კავკასიის ფრონტის მთელი მმართველი აპარატი. საწყობები, სამმართველოები. რევოლუციის დასაწყისშივე შეწყდა ამიერკავკასიის და ჯარების რუსეთიდან მომარაგება. კავკასიის მილიონიან ფრონტს და მცხოვრებთ კვება ესაჭიროებოდა. კავკასიის ფრონტის დისციპლინადაკარგულ ერთეულებს, რომლებიც რუსეთისკენ მიისწრაფოდნენ, გზის მიცემა ჭირდებოდა. ყველა მიმართულებიდან გზები თბილისზე გადიოდა, სახელდობრ:

1. თავრიზიდან, ჯულფა, ალექსანდროპოლის, თბილისის და ბაქოს გავლით ჩრდილოეთისკენ; 2. ყარსიდან ალექსანდროპოლის, თბილისის ბაქოს გავლით ჩრდილოეთისაკენ; 3. არდაგანიდან ახალციხე, ბორჯომის, გორის, თბილისის ბაქოს გავლით ჩრდილოეთისკენ; 4. ტრაპეზუნდის ფრონტიდან უგზოობის გამო გემებით ბათუმამდე, შემდეგ ტუაპსესა, ნოვოროსიისკენ და ოდესისკენ.

ამგვარად, როგორც ჩანს, ფრონტიდან რუსეთისკენ გზა უკანასკნელის გამოკლებით თბილისზე გადიოდა. როგორც აღვნიშნე, რევოლუციის დასაწყისიდან იჩინა თავი დეზერტირობის მომრავლებამ, რაც ტრანსპორტის საშუალებებს დამატებით სიძნელეებს უქმნიდა.

რკინიგზამდე საჭირო იყო ფეხით ან ცხენდაცხენ მისვლა. ფრონტის ზურგი თურქეთის ტერიტორიაზე კავკასიის საზღვრამდე სულმთლად განადგურებული იყო. სოფლები გადამწვარი, ჯარის საჭიროებისათვის ყოველ 30 კილომეტრზე მოწყობილი იყო ეტაპები, ანუ რამდენიმე ფიცრული, სადაც შეეძლოთ დაესვენათ, მიეღოთ სურსათი, ოთხთვალათი (პოვოზკით) გამგზავრებულიყვნენ შემდეგ ეტაპამდე. რევოლუციის შემდეგ, როდესაც გახშირდა დეზერტირობა ეტაპებს დააკლდათ სურსათი და სატრანსპორტო საშუალებანი. რკინიგზამდე მისვლა არ ნიშნავდა, რომ გადატვირთულ მატარებელში მოხვდებოდნენ. ვიცოდი ყველაფერი ეს და ვერ წარმომედგინა, როგორ გავივლიდი ამ ჯოჯოხეთს და როგორ მივაღწევდი სამშობლომდე. საბედნიეროდ, ბედმა გამიღიმა. საავადმყოფოდან ბრუნდებოდნენ სახლში ექიმი და ორი მოწყალების და. მატარებლამდე მშვიდობით მივედით, როგორც იქნა ჩავსხედით შიგ და მივაღწიეთ სოფელ ელუხაულამდის, არაქსის პირას. აქ ძლივ-ძლივობით გადავსხედით თავრიზიდან ალექსანდროპოლში მიმავალ მატარებელზე. ალექსანდროპოლში ყარსიდან თბილისისაკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდომა ვერ მოვახერხე. საბედნიეროდ, ამ გაჭირვებაში ხელი გამომიწოდა ქართველმა მემანქანემ. ჩამსვა ორთქლმავალში და თბილისში ჩამიყვანა. აქ სასტუმროში გავჩერდი და მეორე დღეს შევუდექი სამხედრო კავშირის ძებნას. მიმასწავლეს, რომ დგება ქართული კორპუსი და რომ მისი შტაბი იმყოფება ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში, ოპერის გვერდით. აქ შევხვდი ჩვენი პოლკის

ოფიცერს გვარად ცორეიძეს, რომელიც ორი თვის წინათ წამოვიდა შვებულებაში და პოლკში აღარ დაბრუნებულა. მან მითხრა, რომ კორპუსის უფროსმა, გენერალმა ახმეტელმა დამაბარა გადმოგცე, რომ მასთან გამოცხადდეო. გამიკვირდა, რადგან გენ. ახმეტელს არ ვიცნობდი და არც მინახავს ოდესმე. გამოვცხადდი. დიდი სიხარულით და პატივით მიმიღო და შემომთავაზა მის შტაბში დავრჩენილიყავი. რაშია საქმე ვიფიქრე. ვინ მიკეთებს პროტექციას. ალბათ, ჩემი ბიძაშვილის გელეიშვილის საქმეა-მეთქი. და, რაკი პროტექციის დიდი მოძულე ვიყავი, შტაბში გაჩერებაზე კატეგორიულად უარი განვუცხადე და ვთხოვე გავეწესრიგებინე ქუთაისის ქვეითა პოლკში, რადგან მინდა ჩემ ძვირფას დედას, დას და ძმას ვუპატრონო-მეთქი. გენერალს ჩემი პასუხი არ მოეწონა. დანაღვლიანდა და მიპასუხა კარგი, გადავცემ გელეიშვილსო. ამ გვარის ხსენებამ დამარწმუნა ჩემი ვარაუდის სისწორეში.

კორპუსის შტაბიდან გელეიშვილის სანახავად წავედი პროტექციისათვის მადლობის გადასახდელად და მდგომარეობაში გასარკვევად. გამაცნო მან ადგილობრივი პოლიტიკური ვითარება. მარტის რევოლუციის შემდეგ გენერალ-გუბერნატორის ნაცვლად მოავლინეს ამიერკავკასიაში 5 წევრიანი კომისია. ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ამ კომისიამ მნიშვნელობა დაკარგა პეტროგრადთან კავშირის გაწყვეტისა და დროებითი მთავრობის გაძევების გამო. დღეს არსებობს ამიერკავკასიის ფედერაცია და დიდი ხიფათი გველის ოსმალეთის ფრონტზე მყოფი ჯარების მხრიდან. ბოლშევიკებმა თბილისშიც გამოყვეს თავი. ოღონდ ქართველმა მუშებმა, მენშევიკ-სოციალისტ ვალიკო ჯუღელის თაოსნობით, იცოდნენ რა ბოლშევიკთა შეთქმულებაზე, დაიკავეს თბილისის არსენალი და მოაწყვეს სახალხო გვარდია. გაუმართლებელი შეცდომა იყო რომ დააგვიანეს კავკასიაში ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ჯარების შექმნა, რაზედაც დროებითი მთავრობა ნებას არ იძლეოდა. ეხლა შეუდგნენ კორპუსების შედგენას, რომელშიც აგროვებენ ყოველ რუსულ ერთეულთა ოფიცრებს. საუბედუროდ, მათი ნაწილი გაბოლშევიკებულია.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სათავეში ედგა ე. გეგეჭკორი, რომელიც წარმატებით მოქმედებდა.

რომ თბილისისთვის ფრონტიდან მოხსნილ ჯარისკაცთა ტალღები აეცდინათ, საჩქაროდ ააშენეს სადახლოში ხიდი, გაიყვანეს რკინიგზის განშტოება და თბილისის მოვლით მატარებლებს პირდაპირ ბაქოსკენ აგზავნიან. გზადაგზა ეს ჯარები სურსათის უქმარისობის გამო აზერბაიჯანის სოფლებს ესხმიან, ძარცვავენ და ხალხს ხოცავენო. მათ თავის დასაცავად იარაღი დაურიგეს და ეხლა იქ ხშირად აქვს ადგილი თოფების ბათქა-ბუთქსა და შეხლა-შემოხლას. ჯარის ფრონტიდან მოხსნას სხვა საშიშროება მოჰყვებოდა. კავკასიის საზღვრებისკენ უბრძოლველად მოიწევდა ოსმალეთის ჯარი და ხელში იგდებდა ჯარების მიერ მიტოვებულ სამხედრო მოწყობილობას, იარაღსა და ზარბაზნებსო. ამიერკავკასიის კორპუსთა შედგენა იოლად არ მიდიოდა. ჯერ ერთი, რომ ნაკლებობა იყო ტყვია-წამლის, იარაღის, სამხედრო მასალის და მეორეც, რომ ფრონტიდან დაბრუნებულ სამხედრო სამსახურმოძულებული მსედრობა ჯარში შესვლას არ ჩქარობდა და მოახლოებულ საფრთხეს ვერ ხედავენო. ერთი სიტყვით, ის რაც გავიგე სასიკეთოს არაფერს გვიქადდა.

შევეხეთ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს. მივედით დასკვნამდის, რომ საამისო დრო ჯერ არ დამდგარიყო, ფრონტიდან მოვარდნილი ჯარისკაცთა ტალღა წალეკავდა ყველაფერს. მთელი იმედი ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატთა საბჭოზე იყო დამყარებული, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა ე. გეგეჭკორი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები რევოლუციის შემდეგ, როგორც პეტროგრადსა, ისე ყველა დიდ ქალაქში და მთლიანად რუსეთის ტერიტორიაზე, სათავეში უდგნენ მმართველობას. უიმათოდ დროებით მთავრობასაც არ შეეძლო რაიმე ნაბიჯის გადადგმა. პეტროგრადის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს სათავეში ედგა, როგორც თავმჯდომარე, ნიკოლოზ ჩხეიძე, ყოფილი სახელმწიფო საბჭოს წევრი, სოციალ-დემოკრატი მენშევიკი. ფაქტობრივად ძალაუფლება მის ხელთ იყო. ვუთხარი ბიძაშვილს, რომ მსურს თბილისის პოლიტექნიკუმში შესვლა, როდესაც ის გაიხსნება. თუ საჭირო შეიქნა შევალ ჯარში, ჯერჯერობით კი მაქვს შვებულება, მინდა დავისვენო ოჯახის წრეში, შემდეგ წავალ ჩემ პოლკში დოკუმენტების წამოსაღებად, რაც შევასრულე კიდევაც.

1928* წლის იანვარში ჩავედი პოლკის შტაბში ალექსანდროპოლში, მივიღე კუთვნილი ჯამაგირი, დოკუმენტები და პოდპოლკოვნიკის ხარისხზე წარდგენის ქაღალდები, რომელიც შედგენილი იყო ვინაიდან 1 იანვარს მიწევდა ამის უფლება, ოღონდ სამხედრო სამინისტროსთან კავშირის გაწყვეტის გამო ვერ გაეგზავნათ შესასრულებლად. ალექსანდროპოლიდან დაბრუნების შემდეგ, დიდი ვაი-ვაგლახით მივიღე კორპუსის შტაბიდან მივლინება ქუთაისის პოლკში, დავბრუნდი სამხედროში და მეორე დღესვე გამოვცხადდი პოლკში. პოლკის უფროსმა პატივით მიმიღო. მაშინ 24 წლისა ვიყავი, კაპიტნის ხარისხში. ათასეულის უფროსობა შემომთავაზა. ჩემი გვარის, ოღონდ არც ნაცნობი და არც ნათესავი, პორუჩიკის თანხლებით დავათვალიერე ყაზარმა, გავეცანი ჯარისკაცთა ცხოვრების პირობებს.

ლაპარაკის დროს პორუჩიკმა გამიმჟღავნა, რომ ახალგაზრდა დაბალი ხარისხის ოფიცრები, უკმაყოფილონი არიან თქვენი ათასეულის უფროსად დანიშვნის გამო და საერთოდ არ უყვართო უფროსი ოფიცრებიო. მადლობა გადავუხადე ცნობისთვის და ვთხოვე მოეხსენებინა პოლკის უფროსისთვის, რომ მივდივარ სახლში, იქიდან ქუთაისში ჩემი ოჯახისთვის ბინის საძებნელად და შემდეგ გამოვცხადდები-მეთქი პოლკში. დოკუმენტები კანცელარიაში არ გადამიცია, თანაც ამ პორუჩიკს საიდუმლოდ გავანდე, რომ თუ ერთი კვირის განმავლობაში არ გამოვცხადდი, წავალ თბილისში, რადგან არავითარი სურვილი არა მაქვს ვიმსახურო პოლკში, სადაც ოფიცრები მტრულად იქნებიან განწყობილი ჩემდამი, თუმცა არც მიცნობენ და არც ვუნახივარ-მეთქი.

სახლში დაბრუნებისას ვუთხარი დედას, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს ჯარში სამსახურისა, ჩემი მიზანია ინჟინერი გავხდე. დავრჩები რამდენიმე დღე სახლში და შემდეგ წავალ თბილისში პოლიტექნიკუმში შესასვლელად.

გაიარა რამდენიმე დღემ. მოვიდა ამბავი, რომ ოსმალები ტრაპეზუნის ფრონტიდან მოსდევენ ფრონტიდან მოხსნილ რუსულ ჯარს და უახლოვდებიან ბათუმს. ბრესტის კონფერენციაზე ოსმალებს მიაკუთვნეს მთელი არდაგა-

* ასეა ტექსტში.

ნის ოლქი და ნაწილი ბათუმისა. ეს ტერიტორია მუდამ იყო ქართველებით დასახლებული. XVIII ს-ის ომების შემდეგ, ოსმალებმა მცხოვრებლები ძალით გაამაჰმადიანეს, მაგრამ რჯულის გამოცვლას მათთვის ეროვნება არ შეუცვლია. ისინი მუდამ ქართველებად ცნობდნენ თავს. ომის დამთავრებით დაინტერესებული რუსები ყველა დათმობაზე მიდიოდნენ ოსმალებისადმი. ისინი კი სარგებლობდნენ შემთხვევით და ცდილობდნენ მთელი ბათუმის ოლქის დაჭერას ოზურგეთის რაიონის ჩათვლით. გავიგეთ რა ეს ამბავი, მაშინვე პატარა ჩამოდნით დავტოვე სახლი და პირველივე მატარებლით ბათუმში ჩავედი. აქ გამოვეცხადეი ბათუმის ოლქის უფროსის გენ. მდივნის შტაბში. გაუხარდათ ჩემი მისვლა. გენერალმა პროპორშჩიკთა ათასეულის უფროსად დამნიშნა. ათასეულს ჯერ პოზიციები ბათუმის სატვირთო სადგურის ახლოს ნორჩ ტყეში. მოიერიშეს გზის მაჩვენებელი და მაშინათვე გავემგზავრე ათასეულისკენ. ათასეულის უფროსად იყო ვინმე ლეიტენანტი. ადიუტანტი კი ჩვენვე გვარის, უცნობი და უცხო პროპორშჩიკი. სამნეო ნაწილს განაგებდა ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი. 60 წლისა, კაპიტნის ხარისხში. გამეხარდა მისი გაცნობა. ომი წარმოებდა ბათუმთან ახლოს, ისმოდა ტყვიამფრქვევთა და ზარბაზნების სროლა. ყველა ასეული პირველ ხაზზე იყო ჯაგებში გაშლილი. შევაკრებინე გუნდებიდან გზის მაჩვენებელი ჯარისკაცები და შევუდექი ვაშლაკების დათვალიერებას.

გზადაგზა შევამჩნიე, რომ ბათუმი იცლებოდა. დატვირთული ავტომანქანებით და პოვოზკა-ფურგონებით ჩაქვისკენ მიემართებოდნენ. არ შემიძლია აქ არ მოვიგონო უსიამოვნო შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სატვირთო სადგურზე, სადაც გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებელი იდგა. შეხვდა ის ვიღაც ნაცნობს, რომელთანაც ძველად შეხლა-შემოხლა ჰქონია და თოფით სიცოცხლე მოუსპო. ამ შემთხვევამ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის კი, შემდეგში, როგორც გმირის წოდებით მოსილი, თავს იწონებდა და ამაყობდა. ჩემთვის ეს ფაქტი მისი უპასუხისმგებლობის და დაბალი მორალის მაჩვენებელი იყო.

ჯაგებში დავუხვდა ერთი ასეული. პოზიციები ხშირ ტყეში ეპირა. წინ არავითარი ფართობი არ ჰქონდა, რომ სროლა ეწარმოებინა. ვუბრძანე, ხაშტები მაინც ჩამოეცვათ თოფებზე. შემდეგი 2 ასეულის ძებნა უნაყოფოდ დამთავრდა. ერთი ჩამორჩენილი ჯარისკაცის ცნობით, ეს ასეულები წავიდნენ პოზიციების დასაკავებლად ჩაქვის ახლომდებარე მთებზე. დავუბრუნდით მეორე ათასეულის სადგომთან, იქ დამხვდა გენ. მდივნის შიკრიკი ბრძანებით, რომ ათასეულით დავეხია ჩაქვამდის და შემდეგ სამტრედიამდის. სათანადო ბრძანებები გადავეცი ჩემს გვერდით მყოფ ათასეულის უფროსს და ჩემ ხელქვეით გუნდს.

ოფიცრისა და ჯარისკაცის თანხლებით გავემართე ჩაქვისკენ. ვაპირებდი იქ პოზიციის მოწყობას, რადგან შორიდან ამ მიზნისათვის ჩაქთანმდებარე მთები დამაკმაყოფილებლად ჩანდნენ.

მატარებლების ერთიმეორის მოყოლებით საჩქარო მიმდინარეობიდან ვამჩნევდი, რომ ბათუმის ევაკუაცია ხდებოდა. ოფიცრების და შიკრიკის თანხლებით ავედი ჩაქვის ქედზე: ვაპირებდი იქ მოგერიებითი პოზიციის მოწყობას, რადგან იქ საამისო პირობები და, განსაკუთრებით, ღია და შორი ხედი დამაკმაყოფილებელი იყო. დღე მზიანი და უღრუბლო იყო. 2— 3 საათის სია-

რულის შემდეგ მოვაღწიეთ მწვერვალს. საუბედუროდ, იქ ჩემი ათასეულიდან არავინ შემხვედრია. შევკრიბე იქ მყოფ ჯარისკაცთა ჯგუფი და ვუბრძანე მწვერვალი დაეკავებიათ. ვუყურებდი ბათუმის ევაკუაციის მსვლელობას. ფეხოსანთა ერთეულების მოძრაობა არ შემიმჩნევია. საღამო ჟამს ჩემთან მყოფი ოფიცრები და ჯარისკაცები ჩავსხედით მატარებელში, რომელიც ზღაზენით მიემართებოდა და ჩავედით ნატანებში. იქ მოგერიებით პოზიციებს მართავდნენ, მაგრამ ჩემი ათასეულის ჯარისკაცები არ შემიმჩნევია. გავიგე, რომ იქ იმყოფებოდა ჩვენი მთავარსარდლის გენ. გაბაშვილის მატარებელი. გამოვცხადდი იქ და ვუამბე ყველაფერი რაც ვნახე და რაც ვიცოდი. საუბედუროდ შტაბში ცნობები ძუნწად ჰქონდათ და მდგომარეობაში არ ერკვეოდნენ. ამასობაში გენ. მდივნის მატარებელიც ჩამოდგა.

გენ. გაბაშვილის შტაბში მსახურობდა ჩემი ახლო მეგობარი, ჩვენი პოლკელი პოლკოვნიკი ეაგანია. გაიხარა ჩემთან შეხვედრით. წამიყვანა შტაბში და თითქმის ძალით გადმომცა დავალება წავსულიყავი ნატანებში დასაზვერად და გასაგებად თუ რა ძალები მოქმედებდნენ ჩვენ წინააღმდეგ ოსმალების მხრივ. ცნობები უნდა მომეწოდებინა სამტრედიაში. თუ იქიდან გენერალური შტაბი გადაინაცვლებდა თბილისში, მაშინ გამეგზავნა მისამართით: თბილისი, სადგურის ქუჩა, ყოფილი კავკასიის ოლქის შტაბის ბინა. მე შტაბში არ მიმუშავნია. ისეთი გულუბრყვილო ვიყავი, რომ დაზვერვის მისაწყობად საჭირო ფულიც არ გამომირთმევია. მეორე დღეს გავემგზავრე ნატანებში, სადაც მივმართე ზოგიერთ დაწესებულებას დახმარება აღმოეჩინათ ჩემთვის და მიეთითებინათ პიროვნებებზე, რომლებიც გამომადგებოდნენ ოსმალეთის ჯარების რაოდენობისა და განლაგების დასადგენად მათ მიერ ოკუპირებულ ჩვენ ტერიტორიაზე. მირჩიეს ამ საქმისთვის წავსულიყავი ოზურგეთში, სადაც ვიპოვიდი სათანადო პიროვნებებს. ასეც მოვიქეცი. ოზურგეთში მთელი მოსახლეობა აფორიაქებული იყო. ყველა იმის ფიქრსა და ცდაში იყო რამენაირად აეცდინათ საფრთხე და თურქები უკუეგდოთ. თუ არ ვცდები, იქ იმყოფებოდა გენ. მაზნიაშვილის ან გენ. ართმელაძის შტაბი. გამოვცხადდი ქალაქის მმართველობაში და ვთხოვე, რომ მოევლინებინათ ჩემ განკარგულებაში დაზვერვის საქმეში გამოსაყენებელი პიროვნებები, ქართველი მუსულმანები ან ბათუმის მცხოვრებლები. დამინიშნეს 3 თურქული ენისმცოდნე. ერთი მათგანი მეტად ინტელიგენტი, საინტერესო პიროვნება, დიდად აენთო ამ საქმისთვის და დამპირდა, რომ ყველა საჭირო ცნობებს მომაწვდიდა. ავუხსენი, რომ მჭირდება ვიცოდე ჯარების სიმრავლე, ზარბაზანთა რიცხვი, ჯარის ეფროსთა დახასიათება, მომარაგების მდგომარეობა და სხვა. ამნაირად დაიწყო ჩემი სამსახური ჯარში. შეხვედრის ადგილად და ცნობების მოსაწოდებლად ნატანები დავთქვით და წავედი სამტრედიაში. აქ სადგურის ტელეფონი ჩემ განკარგულებაში იყო. ამასობაში დაიწყო მოლაპარაკება თურქებთან. საქართველოდან ამ საქმისთვის გაემგზავრა ტრაპეზუნში დელეგაცია ბ. ნ. ჩხენკელის მეთაურობით. მოლაპარაკება შედეგს არ იძლეოდა. ამავე დროს მიმდინარეობდა სამშვიდობო მოლაპარაკება გერმანელებსა და ოსმალებთან. რუსეთის წარმომადგენლებს ხელმძღვანელობდა ტროცკი, რომელიც ზავის საჩქაროდ მისაღწევად ყველა დათმობაზე მიდიოდა ოსმალეთისადმი. დაუთმო კიდეც მათ დიდი ნაწილი სამხრეთის ტერიტორიისა: ბათუმის ოლქის ნაწილი, არდაგანის რაიონი, სადაც ქართველი მუსულმანები ბინადრობდნენ, რომლებიც საქართველოსკენ ილ-

ტვოდნენ და ოსმალებთან საერთო არაფერი არ ჰქონდათ. ოსმალების მადა იქამდე მიდიოდა, რომ მოითხოვდნენ მთელ ბათუმის ოლქს, არდაგანს და ახალციხის ოლქს.

ამიერკავკასიის უკუდახევრვის ცნობით, რომელსაც გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა, მდგომარეობა კატასტროფული იყო. საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან არამც თუ დადებით შედეგს არ იძლეოდა, პირიქით რთულდებოდა. ოსმალოები მოითხოვდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის ქსელის მათ ხელში გადაცემას. თანაც, განჯაში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თურქული ორიენტაციის აზერბეიჯანლები.

ამიერკავკასიის კონფედერაციამ ნაყოფი ვერ გამოიღო შემდეგი მიზეზებით: დამცხრალი არ იყო ძველისძველი განხეთქილება სომხებს, აზერბაიჯანელებსა და თურქებს შორის. ჯერ კიდევ ომის წინ საყოველთაოდ ცნობილი იყო აზერბაიჯანელთა და სომეხთა სისხლისმღვრელი ბრძოლები და სომეხთა ჟლეტა, რამდენად სძულდათ ოსმალებს სომხები. ჩემი თვალით ვნახე I მსოფლიო ომის დროს რა ბედი ეწიათ სომხებს. განსაკუთრებით მაშკიშკერის და მურსკის ოლქებში. აქ არც ერთი სოფელი არ გადარჩენილა, სომხები ცოლშვილიანად ამოწყვიტეს და ცხედრებით უშველებელი ორმოები ამოავსეს 1916 წელს. დამზვერავი ასეულით ქალაქ მუშაში შევედი. ომის წინ აქ 3000 მცხოვრები იყო, მათგან უმრავლესობა სომხობა. დღეს არც ერთი სომეხი არ გადარჩენილა, გარდა ერთი მოხუცისა, რომელიც სასწაულად გადარჩა და, რომელმაც გვიამბო რა ჯოჯოხეთი დაატრიალეს აქ ოსმალებმა. გვიჩვენა დახრილი გვამებით ამოვსებული გრძელი და ღრმა თხრილი, თოვლი რომ დაეფარა და სიმყრალის გამო ახლოს ვერ დადგებოდი.

სომხეთის ქვეყანა მოქცეულია აზერბაიჯანის, ოსმალეთის და საქართველოს შუა. ოსმალები და აზერბაიჯანელები სომხების მუდმივი მტრები იყვნენ. საქართველოსთან ურთიერთობა ბოლო დროს გაუმჯობესდა. საერთოდ სომხები თავს მუდამ საფრთხეში გრძნობდნენ, ეძებდნენ მძლავრ მფარველს და ქომაგს. ასეთად მათ მუდამ რუსეთი მიაჩნდათ, სულერთია რანაირიც უნდა ყოფილიყო ის. აზერბაიჯანელები, როგორც მუსულმანები, თავის მხრივ, ოსმალეთთან საერთო ენის გამონახვას ლამობდნენ. ამიტომ იყო, რომ ბაქოს დაკავების შემდეგ აზერბაიჯანის მთავრობა განჯაში გადავიდა, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ენვერ ფაშას ძმა. თურქეთს უნდოდა ესარგებლა რუსეთის სისუსტით და მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის კომისარიატი ცნო, იმედოვნებდა თავის ზრახვების განხორციელებასა და ამიერკავკასიაში შემოჭრის შესაძლებლობაზე.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი წარმომადგენლების მოლაპარაკება ტრაპიზონში, რომელსაც აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა, უშედეგოდ მიმდინარეობდა. საჭირო იყო ამ დროს ძალა, რომელიც სიძნელეებს წინ აღუდგებოდა და იყო კიდეც ამ ძალის მოწყობის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ იმდროინდელმა ხელისუფლებამ ეს პირობები არ გამოიყენა, რაც შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ომის წინ, საუბედუროდ, ჩვენი ხალხი დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ არ მიილტვოდა. მიუღწეველ უტოპიად მიაჩნდათ ასეთი შესაძლებლობა განმარტოებულ, პატარა, უმოკავშიროე ერისათვის. მხოლოდ მცირე ნაწილი სა-

ზოგადი მოღვაწეობისა ოცნებობდა ამაზე. ფართო მასშტაბით დამოუკიდებლობის პროპაგანდას ადგილი არ ჰქონდა.

სოციალ-ფედერალისტთა პარტია მიზნად ისახავდა ფედერაციის მოპოვებას რუსეთის ფარგლებში, ყველაზე ძლიერი ქართველ სოციალ-მენშევიკთა პარტია გადაბმული იყო მთელი რუსეთის სოციალისტებთან და რუსეთის იმპერიის ახალ საწყისებზე მოწყობაზე ოცნებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკებს ჰყავდათ მრავალი გავლენიანი პიროვნება რუსეთის სოციალისტურ მმართველთა წრეებში. ნიკოლოზ ჩხეიძე ომამდეც ცნობილი იყო მთელ რუსეთში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ არჩეულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, პეტროგრადში. ამ საბჭომ ცნო პოლონეთის დამოუკიდებლობა, ოღონდ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ხმაც არ ამოუღია. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეძლო ქართველმა სამღვდელოებამ და ეკლესიის დამოუკიდებლობა აღადგინა. გამოეყო რუსეთის ეკლესიას და უშუალოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაუკავშირდა.

არ უფიქრიათ ქართული და კავკასიური ჯარის შედგენაზეც, ერიდებოდათ, ალბათ, ნაციონალური ლტოლვილების გამომჟღავნება. აქ გამოიჩინეს შორს ჭვრეტის სისუსტე, რამაც შემდეგში მეტად გააძნელა კავკასიის ერთა ვითარება. ხომ შეიძლებოდა დასაწყისშიც მოეწვიათ რუსეთის სხვადასხვა ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ამ ერთეულთა მოსაწყობად? ამიერკავკასიის ერთა ვითარებას ართულებდა მილიონზე მეტ ჯარისკაცთა ყოფნა ამიერკავკასიაში, მისი კვება და რუსეთისკენ გამგზავრება, ბოლშევიკთა აგენტები ამასობაში ამოქმედდნენ. სურდათ თბილისში დაგროვილი სამხედრო მარაგი ეგდოთ ხელთ და მდგომარეობას დაპატრონებოდნენ. სურდათ საამისო თბილისში მყოფი ნაწილები გაებოლშევიკებინათ.

თბილისის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭომ ამის ასაცილებლად 1917 წლის დეკემბერში დაიკავა არსენალი, სადაც სამხედრო მასალის და ვაზნების დიდი მარაგი ინახებოდა. შექმნეს მუშათა შემადგენლობის სახალხო გვარდია. ჯერ თბილისში და შემდეგ ყველა სხვა ქალაქში. დადებითი როლი შეასრულეს ადმინისტრაციის მოწყობასა და წესრიგის დაცვაში. ჯარის მხრივ გადაწყდა ქართული, აზერბაიჯანული და სომხური კორპუსების შედგენა. მათ მოწყობას შეუდგნენ 1917 წელს, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ და მიმდინარეობდა სუსტად იარაღისა და ხელსაწყოს ნაკლებობის გამო. ფრონტს მოხსნილი ჯარები მძიმე იარაღს ოსმალებს უტოვებდნენ და სურსათის შოვნის იმედით ანგრევდნენ, ძარცვავდნენ და ანიავებდნენ ქალაქებსა და სოფლებს სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანში.

ოსმალებს რჩებოდათ ჯარის მიერ მიტოვებული სამხედრო მარაგის საწყობები და ფეხდაფეხ მისდევდნენ ფრონტიდან მოხსნილ ჯარს. იკავებდნენ იმაზე მეტს, რაც ბრესტის ხელშეკრულებით მიიღეს, მთელ კავკასიას. მდგომარეობა მძიმე და თითქმის გამოუვალი იყო. არც დასავლეთის ფრონტზე იყო უკეთესი მდგომარეობა. ჯარები უბრძოლველად იხევდნენ. მათ კუდში მისდევდათ პატარ-პატარა ნაწილები. ბოლშევიკები ამასობაში გართული იყვნენ კონტრრევოლუციონერებთან, სხვადასხვა რუსი გენერლების მიერ შექმნილ ნაწილებთან ბრძოლაში. ამ პირობებში გერმანელთა ჯარი უკრაინაში შეიჭრა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომელიც რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ შედგა, გამოცდა ვერ ჩააბა-

რა. სომეხთა და აზერბაიჯანელთა ლტოლვა არ ეთანხმებოდა საქართველოს ინტერესებს. მათ ურთიერთობაში გაჩნდა ბზარი, ქართველ მოღვაწეთაგან ზოგიერთნი იმყოფებოდნენ გერმანიაში და მიილტვოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ. გერმანელები, როგორც ცნობილი სხვისი საკუთრების დაუფლების მიმდევარი ხალხი, ამ ქართველ მოღვაწეებთან შეთანხმებას აპირებდნენ. საქართველოში სამეფოს შექმნა და ტახტზე გერმანეთის მეფე ვილჰელმ II-ის შვილის იოაჰიმის აყვანა სურდათ. ომის დროს შეუდგნენ კიდეც რუსეთის ჯარის ტყვე ქართველთაგან კორპუსისა თუ ათასეულის შედგენას. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვგონებ მეტად მძიმე მდგომარეობის გამო, ჩვენმა წარმომადგენლებმა გააბეს კავშირი ამ ასეულთან და დახმარება სთხოვეს გერმანელებს, თანაც ჩვენი წარმომადგენლების მოლაპარაკება ოსმალებთან ტრაპიზონში შედეგს არ იძლეოდა. პირიქით, მათი მადა იზრდებოდა და უკვე მთელი მესხეთისა და ჯავახეთის გადაცემას მოითხოვდნენ. ბათუმიდან გასვლაზე ხომ ლაპარაკიც არ უნდოდათ. მაისის დასაწყისში გერმანეთიდან ჩამოვიდა წარმომადგენლობა გენ. ფონ ლოსევის თავმჯდომარეობით. მან მიიღო მონაწილეობა საზავო მოლაპარაკებებში; ოსმალთა მოთხოვნები გადაჭარბებულად ცნო და, როგორც თავის მოკავშირეს, უბრძანა მათი შეზღუდვა. შემდეგ უკრაინიდან ჩამოიყვანეს ჯარი ბათუმის ოლქის დასაკავებლად. მათი ნაწილი ქუთაისშიც დაბინავდა. ამით უნდოდათ ოსმალოთა ექსპანსიისთვის ბოლო მოეღოთ. რაკი ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესები ერთმანეთს არ ეთანხმებოდა და მათი პოლიტიკური ორიენტაცია ერთიმეორის საწინააღმდეგო იყო. ასეთ ძნელ პირობებში საქართველოს სახალხო საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ დროს სამტრედიაში ვიყავი. ცნობამ ელვის სისწრაფით მოაღწია. ძნელია აღწერო სიხარული, რომელიც გამოიწვია ამ ცნობამ. საქართველო 117 წლის მონობისა და ჩაგვრისგან თავისუფლდებოდა. საუბედუროდ, თავისუფლების განსამტკიცებლად ჯერ კიდევ ბევრის დაძლევა და გაკეთება იყო საჭირო. ჩრდილოეთიდან დიდი საშიშროება ახლოვდებოდა.

იქ ძმათა ბრძოლები მიმდინარეობდა წითლებსა და თეთრებს შორის. საქართველოს დამოუკიდებლობა ვერც ერთს ვერ წარმოედგინა. ბაქო და ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი ბოლშევიკების ხელში იყო. სოჭსა, ტუაფსესა და ნოვოროსიისკში ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადიოდა. ვინ იყო იქ პატრონ-პატრონი ძნელი გამოსაცნობი იყო. საქართველოს მთავრობას რამიშვილი ჩაუდგა სათავეში. წინ მას ედგა მრავალი მოსაგვარებელი საკითხები. ასეთ პირობებში სახელმწიფოს შექმნა და მისი მოწყობა დიდ და პასუხისმგებელ საქმიანობას მოითხოვდა.

ოსმალები დაჟინებით მოითხოვდნენ მათ განკარგულებაში რკინიგზის გადაცემას ჯარების აზერბაიჯანში გადასაყვანად, რადგან ბოლშევიკების მიერ ბაქოს დაკავების შემდეგ, აზერბაიჯანელები ოსმალებს საამისო დახმარებას სთხოვდნენ. მართალია, გერმანელებმა ოსმალებს მადა შეუმცირეს, მაგრამ მათი საქართველოში ყოფნა საიმედო არ იყო, ოღონდ, რაკი სხვა გამოსავალი არ ჩანდა, უნდა გვეცადა ომის დამთავრებამდე და მოვლენათა მსვლელობას მივნდობოდით. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ადმინისტრაცია სწრაფად და დადებითად მოეწყო, ოღონდ რაც შეეხება ჯარისა და სახელმწიფო მმართველი ორგანოების შექმნას პირობები გაძნელებული იყო. იგრძნობოდა ნაკლებობა მაღალი თანამდებობებისთვის შესატყვისი პიროვნებებისა. მეფის რუ-

სეთი ქართველებს მინისტრის თანამდებობამდის არ უშვებდა. ყველა ამ სიძნელეების მიუხედავად, ჩვენმა მოღვაწეებმა შეძლეს თავის გართმევა: ბათუმი თურქებს ეკავათ, გერმანელები წესიერად იქცეოდნენ და საქართველოს შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ. ბათუმის საოკუპაციო ზონის განსაზღვრის გამო გავემგზავრე თბილისში, თუმცა ჩემი სურვილი იყო უნივერსიტეტში შევსულიყავ, საინჟინრო დარგზე, მაგრამ ჩემი საყვარელი დედის რჩევით, რომელსაც ვუმადლი ყველაფერს რაც ღირსებითაა ჩემში, ჩემი ბედი სხვანაირად წარიმართა. ის მეუბნებოდა: „სამშობლოს ერთგული და გამოცდილი ხალხი სჭირია. კაპიტნის ხარისხი გაქვს, მალე პოლკოვნიკის ჩინსაც მიიღებ. სჯობია, ქართულ ჯარში დარჩე, თორემ იტყვიან მეფის რუსეთს ემსახურებოდა, ქართულ ჯარში დარჩენა კი არ მოისურვაო“. დიდად იმოქმედეს ჩემზე ამ სიტყვებმა. ჩავედი თბილისში გაწეული მუშაობის ჩასაბარებლად, რომელიც მივიღე გენ. გაბაშვილის შტაბიდან სამტრედიაში. შემდეგ გამოვეცხადე გენ. შტაბში, ჩავაბარე დოკუმენტები და გავასწორე ანგარიში. აქ უნდა აღვნიშნო რომ დავალების მიღებისას არავითარი სახსრები არ მიმიღია, დავიწყების გამო. მთელ მუშაობას ვაწარმოებდი საკუთარ ხარჯზე.

შტაბში საორგანიზაციო დარგის უფროსად იყო იოსებ ჩეჩელაშვილი, შტაბის უფროსად გენ. ანდრონიკაშვილი, მეტად ნიჭიერი და გულმოდგინე მუშაკი. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ რუსეთში მსახურობდა ქართულს სრულიად დამაკმაყოფილებლად ფლობდა. მე შტაბში აქამდის არ მიმუშავნია და არ ვიცოდი შევძლებდი თუ არა სარგებლობის მოტანას. მაშინ საჭიროება მოითხოვდა წესდებებისა და სხვადასხვა ინსტრუქციის გამოცემას, ტერმინოლოგიის დამუშავებას. შეიქმნა სამისო კომისია გენ. ოდიშელიძის თავმჯდომარეობით, რომელიც ომის დროს კავკასიის ფრონტის უფროსის თანაშემწე იყო. გარდა ამისა იყვნენ: გენ. არჯევანიძე დამსახურებული მეომარი და ნამდვილი ქართველი, პოლკ. გაგოშვილი, რომელიც პოლიტიკური მიდრეკილებისთვის მეფის დროს მარაგში ჩარიცხეს. მთავარი წევრი ამ კომისიისა იყო პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს და მისი ისტორიის დიდი მცოდნე, ურომლისოდაც კომისიის მუშაობა, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა. მე დამნიშნეს მდივნად, მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობდა. წესდებები მუშავდებოდა აჩქარებული ტემპით, გამოცდილებისა და საჭიროების მიხედვით, რუსულ წესდებებზე დაყრდნობით. წესდების გადასინჯვის და შესწორების შემდეგ საჭირო იყო მათი სასწრაფოდ გადათარგმნა, დაბეჭდვა და ერთეულებში დაგზავნა სამეცადინოდ. ვმუშაობდით მთელი დღეობით, სახლში შებინდებისას ვბრუნდებოდი. პირველმა მე გადავთარგმნე ქვეითა ჯარის მოქმედების წესდება. ეს მუშაობა დიდ კმაყოფილებას მგვრიდა, რომ ასეთ ღირსეულ ადამიანებთან ვთანამშრომლობდი და ჩემი წვლილიც შემქონდა იმ დიდ საქმეში, რომელიც საქართველოს ესაჭიროებოდა. ფეხზე ვაყენებდით ჯარს, რომლის ისტორიული გმირული წარსული კარგად ვიცოდით როგორც ჩვენი ოჯახის წევრებიდან, ასევე ჩვენთვის დაუვიწყარი და ძვირფასი მასწავლებლის კორნელი აღლაძის გაკვეთილებიდან. ქართული ენის ლექციებზე ხშირად მოგვითხრობდა წინაპართა გმირულ ბრძოლებზე მონღოლებთან, თურქებთან, სპარსელებთან, უკიდურესად მძიმე პირობებში დგებოდა ფეხზე დამოუკიდებელი საქართველო. არ იყო სურსათი, გვაკლდა პირველი მოთხოვნილების საქონელი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი. მათი შეძენა უიმედო იყო. რუსეთი ში-

ნაურ საქმეებში იყო გართული. ოსმალები მტრულად განწყობილნი. დასავლეთის სახელმწიფოები ჩვენი ბედით დაინტერესებულნი არ იყვნენ. მძიმე, მეტად მძიმე პირობებში ეწყობოდა სახელმწიფო. გაკვირვებას იწვევს მოგონება, თუ როგორ შეეძლით ამ სიძნელეების გადალახვა და სახელმწიფოს ასე თუ ისე მოწყობა. უსათუოდ ამ საქმის წარმატებას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ ახალგაზრდა, ნიჭიერ და ენერგიულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას საქართველოს ჩრდილოეთით მთიელებიც მიილტვოდნენ დამოუკიდებლობისკენ. სიძნელეები ამის მისაღწევად არც მათ აკლდათ. კავკასიის ფრონტიდან მოხსნილ რუსეთისკენ მიმავალ გაბოლშევიკებულ ჯარს მათ ტერიტორიაზე უნდა გაევლო. შიმშილის დასაძლევად და სურსათის მოსაპოვებლად თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ და ანიავებდნენ მათ ქონებას.

თუ საქართველომ დაძლია ეს პირობები მხოლოდ იმ აღტყინებას მიეწერება, რომელიც გამოიჩინა ქართველმა ერმა დამოუკიდებლობის მოპოვების ფაქტით, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ. გერმანელთა ჯარის გამოჩენამ საქართველოში დააშოშმინა ოსმალები და მათი წინსვლა საქართველოს ტერიტორიაზედ შეაჩერა. უამისოდ ჯარების უქონლობის გამო, ოსმალების წინსვლას ვერ შევაჩერებდით. მათ ეკავათ არდაგანის, ართვინის და ბათუმის ოლქის ნაწილები. იძულებული ვიყავით ამას დროებით შევრიგებოდით. ასე გასტანა ომ-ს დამთავრებამდის ე. ი. 1918 წლის ნოემბრამდის. მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ ოსმალეთი იძულებული იყო ამიერკავკასიიდან გასულიყო 1914 წლის საზღვრამდის. აგრეთვე, გერმანელებს უნდა დაეტოვებინათ ჩვენი ტერიტორია. სამაგიეროდ, კავკასიაში შემოვიდა ინგლისი. დაიკავეს მათ ბათუმის მხარე ნაწილი და ბაქო, სადაც ბოლშევიკთა განდევნის შემდეგ დასადგურა აზერბაიჯანის მთავრობამ. უნდა აღვნიშნო, რომ ოკუპანტთა მოქცევა, როგორც გერმანელების, ისე ინგლისელების სრულიად წესიერი იყო. არავითარ უთანხმოებას მათთან ადგილი არა ჰქონია და ჩვენ შინაურ საქმეებში არ ჩაბმულან. მხოლოდ ბათუმში იდგნენ მაგარი ფეხით. შექმნეს აქ ბაზა თეთრგვარდიელთა დასახმარებლად. არ უწევდნენ ანგარიშს რუსეთში შექმნილ მდგომარეობას, ეგონათ, რომ ეხმარებიან თავის მოკავშირე მეფის რუსეთს ტყუილუბრალოდ აწვდიდნენ სამხედრო მასალას თეთრგვარდიელებს, რომლებიც თავგზააბნეულები იყვნენ და ვერავითარ დადებით შედეგს ვერ აღწევდნენ. მათთვის განკუთვნილი იარაღი კი ბოლშევიკებს უვარდებოდათ ხელთ და მათ აძლიერებდა.

1918 წლის დამდეგს (თარიღი არ მახსოვს) სრულიად მოულოდნელად სომხეთის ჯარი შემოიჭრა ბორჩალოს მაზრაში და დაგვიწყო ომი. ჩვენთვის ეს დიდი მოულოდნელობა იყო. საზღვრებიც სუსტად იყო დაცული. როგორც ზემოთაც მოვახსენეთ სომხეთის მდგომარეობაც კრიტიკული იყო. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ერთმანეთის სიძულვილი სომხების აზერბაიჯანისადმი და ოსმალებისადმი აიძულებდა მათ მჟავრველის ძებნას, ასეთად რუსეთს თვლიდნენ და თავისი ჯარის მოწყობა ყოფილ რუსეთის ოფიცრებს, ტომით რუსებს დააკისრეს. მუდმივ კავშირში იყვნენ კონტრრევოლუციონერ გენერლებთან. ესენი სომხეთის ჯარს თავის გამოყოფილ კორპუსად სთვლიდნენ. რიცხვითაც ბევრნი იყვნენ, რადგან დიდი სიძნელეების გამო ომის შემდეგ რუსეთში დაბრუნებას, სომხეთში დარჩენას არჩევდნენ. სანაინის დაკავების

შემდეგ სომხების ჯარი სადახლოში შეიჭრა. თავდაპირველად მდგომარეობა რთული იყო. ადგილზე მხოლოდ მცირე ნაწილები გვეყენა. საჭირო შეიქნა ხელდახელ მობილიზებული ერთეულების გადასროლა. ფრონტის უფროსად მთავრობამ გენ. გიორგი კვინიტაძე დანიშნა. მთავარმა შტაბმა მისთვის შტაბი შეადგინა, სადაც მე მზვერავის გამგის მოვალეობა დამეკისრა. მალე განსაკუთრებული მატარებლით სადახლოსკენ გავწიეთ, უკან მოგვყვებოდა სამხედრო ნაწილები, ჯავშნოსანი მატარებლები და საომარი მასალა, რამდენიმე დღის შემდეგ გადავედით კონტრიერიშზედ, უკუვაგდეთ სომეხთა ნაწილები, ოღონდ სომხების მიერ დაკავებული ტერიტორია არ დაგვიბრუნებია.

სწორედ ამ დროს ფრონტზე გვეწვია მთავარი შტაბის საშარავო დარგის გამგე, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი წაჩიტიშვილი (?). თან ჩამოიყვანა ინგლისელი პოლკოვნიკი; მისი მოთხოვნილების ძალით გადაწყდა ომები შეგვეჩერებინა, სომხებთან მოლაპარაკება დაგვეწყო ზავის ჩამოსაგდებად. ორივე ეს ოფიცერი ჩვენ მატარებელში დაბინავდა. მეორე დღეს საქართველოს მხრივ ჯარების მოქმედება შეწყდა და მოეწყო ინგლისელი პოლკოვნიკის თანდასწრებით სომეხი და ქართველი სარდლობის შეხვედრა. ძნელი წარმოსადგენია ჩემი განცვიფრება, როდესაც სომეხთა ჯარის მთავარსარდალი გენ. სილიკოვი დავინახე. იგი 1914—1915 წლებში პოლკის მეთაურის უფროსის თანაშემწე იყო კავკასიის მსროლელთა მე-8-ე პოლკში, რომელშიც მეც ვმსახურობდი. ძალიან მაფასებდა და დიდად ვუყვარდი. მისი ადიუტანტი მურადიანი 1916—1918 წლებში უმცროს ოფიცრად იყო ასეულში, რომლის უფროსიც მე ვიყავი. ერთმანეთს გულითადად მივესალმეთ. ორივეს ცრემლი გვადგა თვალში. ნუთუ ჩვენ შორის საბრძოლველი რამე იყო? გვეცხოვრა კეთილმეზობლურად, როგორც ეს წარსულში ყოფილა! წარმომადგენლების მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულთბილი განწყობილებით და სასურველი შედეგის ნიშნებს იძლეოდა. ერთი საათიც არ იყო გასული მოლაპარაკების დაწყებიდან, რომ ცხენდაცხენ მოვიდა სომეხთა გმირი, ძველი პარტიზანი, მასთან ერთად ჩემი მზვერავთა ასეულით ვიბრძოდი ოსმალეთის ფრონტზე 1915—1916 წლებში, დეკემბრიდან თებერვლამდე. ბრძოლებით გავიარეთ ქალ. მუში ადუშკის ხეობა. ქ...-მდის. მივიწევდით წინ და გზას ვუხსნიდით უკან მომავალ კავკასიის მსროლელთა ბრიგადას. დავუახლოვდით ერთმანეთს ამ ბრძოლებში და დავმეგობრდით. მაშინ იყო სწორედ, რომ სიროსთან ერთად ვათვალიერებდით ევფრატის მარცხენა ნაპირს, რომელზედაც მაშინ ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აშენებული დიდებული ხიდი იყო, გრძელ და ტევად თხრილებს რომლებიც თურქთა და ქურთების მიერ სომეხთა დახოცილი გვამებით იყო სავსე. ამ თხრილებს გვიჩვენებდა სასწაულით გადარჩენილი ხნიერი სომეხი. არ იყო სასიამოვნო სანახავი ეს ბარბაროსობა, რომელსაც შემდეგში ევროპის ყველაზე კულტურული ერიც მიმართავდა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ინგლისელი პოლკოვნიკის თანდასწრებით სამხედრო მოქმედებები შეწყდა. დაიწყო მოლაპარაკება საზღვრების საბოლოო სახის დასადგენად.

დავბრუნდით თბილისში. მხედართმთავრის შტაბი დაშლილი იქნა და შევუდექით ისევ ჯარის მოწყობის საქმეს. თეთრგვარდიელებმა ნოვოროსიისკის, ტუაპსისა და სოჭის დაკავების შემდეგ დაიძრნენ [illegible] მიმართულებით. გადმოლახეს საზღვრები და ბიჭვინტასა და [illegible]

და ერანგელის ჯარები საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობდნენ, მეფის რუსეთივით საქართველოს თავის საკუთრებად თვლიდნენ. საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსეთიდან ჩამოშორება შეუძლებლად მიაჩნდათ.

საჭირო იყო ძალების სასწრაფო შეკრება და შემოსეული მტრის ჩვენი ტერიტორიიდან განდევნა. ამ ფრონტის მთავარსარდლად დანიშნულ იქნა მეტად ენერგიული გენერალი მაზნიაშვილი. მის განკარგულებაში გადავიდა ქუთაისის ჯარის და გვარდიის ნაწილები. ამ ჯარებმა ჯერ შეაჩერეს თეთრგვარდიელთა წინსვლა, შემდეგ კონტრიერიშით განდევნეს ისინი ადლერამდის და დაიკავეს პოზიციები მდინარის პირას გაგრასა და ადლერს შუა.

ზევით მოვიხსენიე, რომ სომხებთან ომის დამთავრების და მთავარსარდლის შტაბის დაშლის შემდეგ, დავუბრუნდი ჩემ მუშაობას გენერალურ შტაბში. წესდებათა შედგენა და მათი ნაწილებში დაგზავნა გრძელდებოდა. მუშაობას ხელმძღვანელობდა გენ. ოდიშელიძე. იქვე ვბჭობდით ჯარის შექმნის საკითხებზე. ჩვენი მთავრობა, როგორც მოვიხსენიე, სოციალისტური იყო და დიდ სურვილს არ იჩენდა რეგულარული ჯარის მოწყობისთვის. საკმარისად მიაჩნდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, როგორც შვეიცარიაში იყო ე. ი. მილიციური სისტემა. არ ვიცი თუ ეს მიზანშეწონილი იყო ისე მძიმე პირობებში, როდესაც საქართველო გარსშემორტყმული იყო მტრულად განწყობილი სახელმწიფოებით. მახსოვს, გენ. ოდიშელიძე, დიდად განათლებული და დამსახურებული ოფიცერი მხარს უჭერდა ამ წინადადებას: საჭიროდ არ ცნობდა ოფიცერთა ხარისხებს. მათ მაგიერ უკეთესად მიაჩნდა ოფიცერთა წოდება დაკავებული თანამდებობის თანახმად აღნიშნულიყო, როგორც გუნდის, ათასეულის, პოლკის უფროსი და სხვა. კომისიამ საბოლოოდ გადაწყვიტა შექმნილიყო 3 ქვეითა ბრიგადა, ერთი ცხენოსანი პოლკი და ცალკეული ბრიგადები არტილერიის, საპერთა და სხვა დარგის ჯარების.

ინგლისელების მიერ ბათუმის დაკავებისა და ჩრდილოეთის მხრიდან მშვიდობის დამყარების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ოსმალთა ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან, სახელდობრ არდაგანიდან, განდევნა. სასწრაფოდ ჩატარდა ჯართა კონცენტრაცია ქალაქ ახალციხის რაიონში. მთავარსარდლად დაინიშნა ისევ გენ. კვინიტაძე, რომელმაც დიდებითად დაამთავრა სომხებთან ომი.

მე, გენერლის შტაბში დამნიშნეს და გავემგზავრე ახალციხეში, სადაც იდგა ფრონტის შტაბი. ჯარის კონცენტრაციის დამთავრების შემდეგ გადავედით შეტევაზე და გავწმინდეთ ოსმალებისაგან არდაგანი და ნაწილობრივ ართვინის ოლქი. დამარცხებული ოსმალეთი ამ დროს მძიმე პირობებში იმყოფებოდა, ოსმალეთის სულთანი ტახტიდან ჩამოგდებული იყო; ოსმალეთის ბელადს ქემალ ფაშას სხვა ბევრი საქმეები ჰქონდა გადასაწყვეტი და ჩვენთვის ამიტომ არ ეცალა. არდაგანის ოსმალოთაგან განთავისუფლება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მოქმედების დამთავრების შემდეგ შტაბი თბილისში გააუქმეს.

აქ მინდა აღვნიშნო სამხედრო სამინისტროს და გენერალური შტაბის შემადგენლობა. სამხედრო მინისტრად გიორგაძე იმყოფებოდა; მასთან მიელინებული იყვნენ გენერლები ოდიშელიძე, გედევანიშვილი, ქუთათელაძე, ზაქარიაძე და სხვები. შტაბის უფროსად იყო გენ. ანდრონიკაშვილი, ჭკვიანი, განათლებული, მშრომელი, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ჯარის შედგენაში

კანცელარიის უფროსად იყო პოლკ. პეტრიაშვილი; მის თანაშემწეებად მაიორი გოცაძე და ერთი ჩემი ამხანაგი რუსული პოლკიდან.

პირველი საორგანიზაციო განყოფილების უფროსი იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკი ჩხეიძეშვილი (დაამთავრა შემოკლებული კურსი), თანაშემწეებად პოლკოვნიკი ცაგარეილი და მე. მეორე განყოფილების — დაზვერვის უფროსი იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკი მუსხელიშვილი (დაამთავრა შემოკლებული კურსი), თანაშემწეებად ჭილაშვილი და სიტაშვილი. აქ უნდა აღვნიშნო, რომ გენ. შტაბის პოლკოვნიკი მუსხელიშვილი იყო განსაკუთრებით ნიჭიერი, ზრდილობიანი და მშრომელი ოფიცერი. მას ყველა პატივს სცემდა. დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1924 წლის აჯანყების შემდეგ.

IX განყოფილების (მომარაგების) უფროსად იყო პოლკოვნიკი ივანოვი ერთადერთი ოფიცერი ტომით სომეხი, თბილისში დაბადებული და იქ აღზრდილი (დაამთავრა შემოკლებული კურსი). მისდამი ასეთი ნდობა (მაღალი თანამდებობა მიანდეს) მან ვერ გაამართლა.

გენ. შტაბის უფროსის თანაშემწედ იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი. ომამდე დაამთავრა გენ. შტაბის აკადემია.

ჯარში 3 გედევანიშვილი მსახურობდა: გენერალი ალექსანდრე, რომელიც სამინისტროში მუშაობდა; გენ. იოსები, რომელიც სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო და ომამდე ჯარში არ მსახურობდა. 1918 წ. აღგენდა ფედერალისტურ ლეგიონს და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა ომებში და პოლკ. ნიკოლოზი, რომელიც ზევით მოვიხსენიე. ყველამ დაამთავრა ომის წინ. გენ. შტაბის აკადემია და ყველანი ერთგულად ემსახურებოდნენ დამოუკიდებელ საქართველოს. გენ. შტაბის სამხედრო დარგის უფროსად იყო პოლკ. წაქველიშვილი (ომამდე დაამთავრა გენ. შტაბის აკადემია). გენ. შტაბის პოლკ. ზაქარიაძესთან ერთად. მეტად საქმიანი და ენერგიული პიროვნება. უჭირდა ქართული ლაპარაკი, თუმცა მუდამ საქართველოში მსახურობდა ტრანსპორტის გამგედ. რომან ოვექსიანი, ჩემი კარგი მეგობარი, მშრომელი და კულტურული ოფიცერი. საპიონერთა უფროსად. დიპლომიანი ინჟინერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი (დაამთავრა სამხედრო საინჟინრო აკადემია) ტოპოგრაფიის უფროსად* (დაამთავრა ომის წინ ტოპოგრაფიული აკადემია).

როგორც ზევით მოვიხსენიე, 1918 წელს არ მინდოდა სამხედრო სამსახურში დარჩენა. ვაპირებდი პოლიტექნიკუმში შესვლას საინჟინრო დარგზე. თურქებთან ომის დროს გამოვცხადდი ფრონტზე და დავიწყე სამსახური. ოღონდ 1918 წელს ალექსანდროპოლიდან ჩამოტანილი ჩემი მოწმობები სამინისტროს პირადი შემადგენლობის განყოფილებისათვის არ გადამიცია. მოწმობები არ მოუთხოვნიათ, არც მაშინ როდესაც გამამწესეს საორგანიზაციო დარგის უფროსის თანაშემწედ გენერალურ შტაბში.

მხოლოდ 1918 წლის დამდეგს დამიბარეს პირადი შემადგენლობის განყოფილებაში და მომთხოვეს მოწმობები, გადავეცი ყველა, გარდა იმ მოწმობისა, სადაც აღნიშნული იყო ჩემი მიერ პოდპოლკოვნიკის ხარისხის დამსახურება. ამის შესახებ ველაპარაკე ჩემ ამხანაგ გოცირიძეს, მან გაუზიარა ეს კადრების დარგის უფროს პოდპოლკოვნიკ ხომერიკს. დამიბარეს ისევ კადრების დარგში, მომთხოვეს ის მოწმობა. გადავეცი და ვგონებ, 1918 წლის იან-

* ტექსტში გვარი დაზიანებულია (რ. გ.).

ვარს: თუ თებერვალში ამამაღლეს პოდპოლკოვნიკის ხარისხში. ახალციხიდან დაბრუნების შემდეგ გამოვცხადდი შტაბში. აქ კადრების უფროსის თანაშემწის, პოლკოვნიკ გედევანიშვილისაგან მივიღე ბრძანება წავსულიყავი ბათუმში. სადაც ჩვენ რწმუნებულთან გამოცხადების შემდეგ, უნდა შევხვედროდი ჩვენ ოფიცრებს, ქართველ მუსულმანს, მამედ ბეგსა და მასთან ერთად მონაწილეობა მიმეღო ქართველ ოფიცერთა გამოსვლის მოწყობაში ჩვენი ტერიტორიების ინგლისელთა ოკუპაციიდან განთავისუფლების შემთხვევაში. მამედ ბეგი გამოცდილი, განათლებული, გავლენიანი და პოპულარული პიროვნება იყო ქართველ მუსულმანთა შორის ბათუმსა და ართვინის ოლქებში. ჩვენი ხელმძღვანელობა მას დიდად აფასებდა და ისიც მათთან მუდმივ კავშირში იყო. მუსულმანობა ქართველებმა ამ ოლქებში ოსმალთა ძალდატანებით მიიღეს, თავის თავს მუდამ ქართველებად ცნობდნენ და მისკენ მიილტვოდნენ.

ქართველები მხოლოდ ბათუმსა და ართვინის ოლქში არ ცხოვრობდნენ, არამედ ტრაპიზონამდეც, რომელიც წარსულში აგრეთვე საქართველოს ეკუთვნოდა.

ყოველი ოკუპაცია, თუნდაც მოკავშირე სახელმწიფოს მიერ, მცხოვრებთა სიძულვილს იწვევს. ინგლისელთა მიერ ბათუმის ოკუპაციამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ოფიცერთა შორის. მათ სწადდათ ოკუპაციისგან განთავისუფლება, მით უმეტეს, რომ ინგლისელები ყოველ დახმარებას უწევდნენ თეთრგვარდიელებს, რომლებიც იმ დროს მრავლად და თავისუფლად ლაპარაკობდნენ ბათუმში და არ მალავდნენ მტრობას და სიძულვილს ჩვენი ხალხისადმი. ეს მეტად აღელვებდა მათ და ინგლისელებისადმი წინააღმდეგობის გრძნობას უღვივებდა.

მამედ ბეგის ძმა — ასლან ბეგი ჩვენმა მთავრობამ გენერლის ხარისხში აიყვანა, რადგან მასაც დიდი გავლენა ჰქონდა აჭარლებზე. მას საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციის მოწყობა მიანდეს: შესაფერის მომენტში ოკუპანტთა გაძევება და ქვეყნის განთავისუფლება უცხო ძალებისაგან. ასლან ბეგს შევხვდი ჩვენ წარმომადგენლობაში. დავბინავდი მის ბინაში და შევუდექით ორგანიზაციისა და შეიარაღებას ბათუმის რაიონში.

ეს მუშაობა მეტად მძიმე და სახიფათო იყო, მით უმეტეს, რომ მე ოფიცრის ტანსაცმელში ვიყავი გამოწყობილი, რომელიც არაფრით არ განირჩეოდა მეფისდროინდელი ოფიცერთა ჩაცმულობისაგან. მხოლოდ ქუდებზე გვქონდა ეროვნული ფერების ნიშანი და სამხრეებზე ქართული ასოებით ამოქარგული ნაწილი და უწყება, რომელსაც ვეკუთვნოდით. ასე იყო ქართული ჯარის ორგანიზაციის დამთავრებამდის, რადგან ახლად ფეხზე დამდგარ სახელმწიფოს აკლდა ფინანსური საშუალებანი ჯარის ჩაცმულობისთვის. საქართველოს საკმაოდ ჰქონდა საკუთარი ბამბა, მატყლი და აბრეშუმი, მაგრამ საფეიქრო მრეწველობის უქონლობის გამო მათ ვერ ამუშავებდა. ასე მართავდა მეფის რუსეთი განაპირა ერების ეკონომიკას. საქართველოში ბევრი ნედლი მასალა იყო მძლავრი საფეიქრო ინდუსტრიის შექმნისათვის, მაგრამ ეს ყველაფერი ქართველებისათვის არ იყო დანიშნული. ჩემი ბათუმში ყოფნა სახიფათო იყო. ჩემ გამოჩენას ყურადღება მიაქციეს როგორც ინგლისელებმა, ისე თეთრგვარდიელებმა. დიდი სიფრთხილე მჭირდებოდა. ასლან ბეგის ბინიდან ღლისით იშვიათად გამოვდიოდი, ისიც სამი-ოთხი აჭარელის თანხლებით. სწორად არ მახსოვს, რამდენი ხანი დავყავი ბათუმში. ვგონებ, ერთი თვე. გამომიძახეს გენ.

შტაბში თბილისში და მიმავლინეს გაგრაში, სადაც იმყოფებოდა დენიკინის თეთრგვარდიელებთან მებრძოლი ჯარის შტაბი. ფრონტის სარდლად გენ. ციციშვილი იყო, მეტად თავმდაბალი, სიმპათიური და პატივსაცემი კაცი. მიმიღო მეტად გულითადად და გამაცნო ვითარება. ჩვენ ჯარებს ეკავათ პოზიციები მდინარის ნაპირზე ადლერის სამხრეთით; სადაც იმ დროს გადიოდა საქართველოს საზღვარი. მიდამოები მთაგორიანი იყო. ძნელი იყო სამთო არტილერიის ზარბაზნებისათვის პოზიციის მოძებნა. მიუხედავად ამისა, ხაზი საკმაოდ იყო გამაგრებული. გაგრის რაიონიდან თეთრგვარდიელების განდევნა მოულოდნელად და სწრაფად ჩატარდა. ადგილობრივმა მცხოვრებმა რუსობამ და მათმა ოჯახებმა, რომლებიც ბინადრობდნენ მეფის დროის მდიდრად მოწყობილ სასახლეებსა და დაბებში, გახიზვნა ვერ მოასწრო, ადგილზე დარჩა და ჩვენდამი მტრულ განწყობილებას არ მალავდა. შავი ზღვის სანაპიროებზედ მოტორიანი ნავების დიდი მოძრაობა იყო ჩრდილოეთიდან და ამ გზით ნოვოროსიისკსა, ტუაფსესა და სოჭიდან ხვდებოდა საქართველოში არა ერთი ჯაშუში. ამ ვითარების დაძლევა ადვილი არ იყო. თანაც ვრცელდებოდა ხმები, რომ დენიკინის ჯარი ემზადება საქართველოსაკენ გამოსალაშქრებლად და გაგრისა და სოხუმის დასაჭერადო. ეს ცნობები ხალხს მეტად აშინებდა და აღიზიანებდა.

დავიწყეთ ყველა საქართველოსაკენ მომავალი პიროვნებების მიზეზების და მიზნების გამოკვლევა. ვაკავებდით მათ და უმეტეს შემთხვევაში უკან ვაბრუნებდით. 1918 წლის სექტემბერში ჯარის ნაწილები ჩვენ ფრონტზე სახალხო გვარდიამ შეცვალა. მე შტაბს თბილისში არ გავუძახივარ; დამტოვეს გაგრაში სახალხო გვარდიის შტაბში. უნდა გამოვტყდე, რომ ეს ფაქტი მე არ მომეწონა, რადგან პარტია შედგებოდა პარტიული ხალხისაგან, მენშევიკებისაგან. ყოველ გადაწყვეტილებას იღებდა რამდენიმე პიროვნებისაგან შემდგარი შტაბი, რომელთა შემადგენლობაში რუსებიც ერივნენ. ერთიც ებრაელი იყო რუსეთიდან. ეს პიროვნება მე თავიდანვე არ მომეწონა, საეჭვო გამომეტყველება ჰქონდა და არც შევმცდარვარ, შემდეგში გამოირკვა, რომ ის ბოლშევიკების აგენტი ბრძანდებოდა.

შტაბის ყველა სხდომას უნდა დავსწრებოდი, მომესმინა ხშირად უაზრო წინადადებები პიროვნებებისაგან, რომელთაც სამხედრო საქმეზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ: შტაბის თავმჯდომარედ იყო ძველი მენშევიკური მოღვაწე — ჯიბლაძე. ჩემზე მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, იყო მშვიდი, ჭკვიანი, ენერგიული, აზრიანად უდგებოდა სხვადასხვა სახის ყველა საკითხს.

სახალხო გვარდიის უფროსად გაგრის ფრონტზე იყო გენ. ჯიჯიხია (— გაათავა გენ. შტაბის აკადემია ომამდე), მერყევი ხასიათის, ადვილად იჯერებდა და შიშს გვრიდა თეთგვარდიელების მიერ გავრცელებული ჭორები. გვიან დაბრუნდა საქართველოში და გზაში ბევრი უსიამოვნებაც გადახდა. იქნებ ამისთვის ეშლებოდა ხშირად ნერვები, მასთან მუშაობა სასიამოვნო არ იყო. გაგრაში გავიცანი სიმპათიური პიროვნება. გვარი არ მახსოვს. მამულები ჰქონდა გაგრაში თუ ოჩამჩირეში და სოჭში. ხშირად ვხვდებოდი. სადილობდა დროებით სასტუმროს სასადილოში, სადაც ჩვენი შტაბი იმყოფებოდა. ხშირად თხოულობდა სოჭში წასვლის ნებართვას. უარი არასდროს არ მითქვამს, რადგან სანდო კაცად ვთვლიდი. ერთხელ, ვთხოვე ეპოვნა ვინმე დენიკინის ჯარის ნაწილების შტაბში, რომელიც სოჭში იმყოფებოდა, რომ უტყუარი ცნობები

მოეწოდებინა ჯარების ვინაობაზე მათ განზრახულ მოქმედებებზე, თორემ ყალბი და სენსაციური ცნობების გავრცელებით მეტად აღელვებენ-მეთქი საზოგადოებას. არ გასულა დიდი ხანი და სოჭიდან დაბრუნების შემდეგ მითხრა, რომ სოჭის თეთრგვარდიელთა შტაბში მსახურობს ერთი ქართველი, შტაბის კაპიტანი, რომელიც ყოველი ანაზღაურების გარეშე მოგაწვდით ზუსტ ცნობებსო. ერთს თხოულობს ოღონდ, თუ ჩვენთან გადმოვა ხელი არ შეახოთ და დაჰპირდით ქართულ ჯარში მიღებას. ამასთან ერთად გადმომცა თეთრგვარდიელთა ჯარის განლაგება სოჭის რაიონში. ცნობები ზუსტი იყო, რადგან ეს ოფიცერი მსახურობდა შტაბის საოპერაციო განყოფილებაში. რომ ნაცნობი და მეგობარი ქართველისათვის ხიფათი ამეცილებინა, ვიპოვე ქართველი მუშა, რომელიც საზღვარზე ცხოვრობდა, ყოველ დღე გადადიოდა და ბრუნდებოდა ფრონტის ხაზზე და გადმოჰქონდა იქიდან დაწვრილებითი ცნობები ჯარის განზრახულ მოძრაობაზე.

მახსოვს, ერთხელ დამიბარა გენ. ჯიჯიხიამ და მაცნობა, რომ იყო მასთან გრაფი ზარზიკინი და გაანდო, რომ ხვალ ღამით თეთრგვარდიელები გადმოლახავენ საზღვარს და სოხუმს შეუტევენო. ზარზიკინი მეფე ნიკოლოზ II-ის ოლდენბურგის პრინცის ნათესავი იყო. ცოლად ჰყავდა ქართველი თავადიშვილი. ჰქონდა გაგრაში მოზრდილი დაჩა, სადაც საცხოვრებლად მიიღო პეტროგრადიდან გამოქცეული მაღალი წრის ოჯახი. ესენი საქართველოსადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი და სურდათ, რომ გაგრის რაიონი თეთრგვარდიელებს ჩავარდნოდათ ხელში. სწორედ წინა დღეს მივიღე ცნობა თეთრგვარდიელების შტაბში მომუშავე ქართველი ოფიცრისაგან, რომ თეთრგვარდიელებმა სოჭისა და ტუაფსეს რაიონებთან რამდენიმე ერთეული საპერებისა და არტილერიისა გადაისროლეს სტავროპოლის წინააღმდეგ მოქმედ ჯარებში. გენერალს მოვახსენე, რომ ეს ცნობები ყალბია, გრაფი ზარზიკინი ტყუის. შეუძლებელია აქ შემოტევას აპირებდნენ და ჯარების ნაწილებს კი სტავროპოლის ასაღებად აგზავნიდნენ-მეთქი. საუბარს სუსხიანი ხასიათი ჰქონდა, ცოტა წაულაპარაკდით კიდეც. არა მჯერაო თქვენი ცნობის. დამტოვა შტაბში და თვითონ პალტოთი ხელში ფრონტისკენ გასწია, ღამეს იქ გავათევ საჭირო ბრძანებების გასაცემადო. განკარგულება გავეცით ფრონტის განგაშისა და დაზვერვის გაძლიერების შესახებ. მე შტაბში დავრჩი. არავისგან არავითარი ტელეფონი არ მიმიღია. ღამემ მშვიდობით ჩაიარა და დილით ჩვენი ძილგატეხილი გენერალი გამოცხადდა სასტუმროში. გაბრაზებული იყო ჩემზე. მომავალში არ გაბედოთ ჩემი განკარგულებების წინააღმდეგობაო. ვუპასუხე, რომ თუ კი მე არ შემძლებია გადმოგცეთ ცნობები მტერზედ, რომლებიც შტაბს აქვს, მაშინ ჩემი თქვენთან ყოფნა უაზროა და მოვთხოვოთ გენერალურ შტაბს აქედან გამიწვიონ-მეთქი. ასეც მოვიქეცი, ოღონდ შტაბმა თხოვნაზე უარით მიპასუხა და მიბრძანა დავრჩენილიყავ გაგრის შტაბში. მალე გაგრის ფრონტზე გვარდიელები შეცვალა ჯარმა. ფრონტის უფროსად დაინიშნა გენ. ციციშვილი. ჯარები ქუთაისიდან იყო. მშვენივრად მახსოვს 1919 წლის შემოდგომაზე თეთრგვარდიელების შტაბში მყოფი ოფიცრისგან მივიღე ცნობა, რომ ახლო ხანში ტუაპსიდან უბრალო ნავით წამოვა ოფიცერი [illegible] ბზიფის ხიდის ასაფეთქებლადო. საღამო ხანს გადმოჯდება ბიჭვინთის რაიონში და თან ექნება საკმაო მასალა ხიდის ასაფეთქებლადო. საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება. გენერალთან მოლაპარაკების შემდეგ კალათიანი მოტოციკლით

(მე ვიჯექი კალათაში) გავემგზავრე ქალაქ ოჩამჩირესაკენ. სადაც იმყოფებოდა მოსაზღვრე ჯარის უფროსი, ამ ნავის ხელში ჩაგდების მოსაწყობად. სწორედ ამ დროს არასასიამოვნო მოვლენა შემემთხვა. გზის მოსახვევში მძღოლმა ვერ დაიმორჩილა მოტოციკლეტი, თვითონ გადახტა, მე კი 10 მეტრის სიღრმიდან ხევში გადავვარდი. საბედნიეროდ იოლად გადავრჩი: ვიღრძე მარჯვენა ხელი და დიდ ტკივილებს ვგრძნობდი სხეულის დაბეჟვის და დამტვრევის გამო... მიუხედავად ამ ტკივილებისა გავეცი სათანადო განკარგულება საიდუმლოდ ზღვის ნაპირების შეკვრისა და საამისოდ ყოველ ერთ კილომეტრზე სადარაჯოების მოწყობილობისათვის.

სადარაჯოებს უნდა აღმოეჩინათ ნავის ნაპირთან მიდგომის ადგილი, მიეშვათ ნავიდან გადმოსვლისა და ბარგის გადმოტვირთვამდის და შეეპყროთ ნავიდან გადმომხტარნი. მსგავსი ბრძანებები გაგრის მესაზღვრე ერთეულებსაც გავეცი და ჩემი ნატკენი ხელით, მოტოციკლეტით, რომელიც საბედნიეროდ არ დაზიანებულა, დავბრუნდი გაგრაში, შედეგის მოსაცდელად. რაკი რამდენიმე დღემ უშედეგოდ გაიარა, შევეკითხე ცნობა ყალბი ხომ არ იყო და ექნება თუ არა ამ საპერი ოფიცრის მოსვლას ადგილი? მიპასუხეს, რომ განზრახვა აქტუალურია და მხოლოდ ხელსაყრელ ამინდს ელიან საამისოდ. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ. რომ ბიჭვინთასა და გუდაუთს შორის შეიპყრეს რუსი ოფიცერი, რომელმაც ჩვეულებრივი ნავით მოიტანა მასალა ბზიფის ხიდის ასაფეთქებლად. ძლიერი პატრულის თანხლებით ეს ოფიცერი გადაიგზავნა გაგრის ციხეში გამოძიების ჩასატარებლად. თეთრი ოფიცერი გამოტყდა, რომ მოვიდა ნავით და ჩამოიტანა მასალა ხიდის ასაფეთქებლად. ბრძანებას ვასრულებდი და ქართველები ვერ იქცევიან კარგად. რომ თეთრებს არ ემორჩილებიანო. მე არავითარ დამოუკიდებელ საქართველოს არ ვცნობო. გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმე გადაეცა სამხედრო სასამართლოს. მე ამ სასამართლოს წევრი ვიყავი. ოფიცერი კაპიტანის ხარისხში იყო, ნამდვილი რუსი; მართლაც არ სცნობდნენ არავითარ ნაციას რუსების გარდა. მეფისდროინდელი რუსეთი მიაჩნდა რუსეთის ხელშეუხებელ საკუთრებად და აზრადაც არ მოსვლია არასოდეს, რომ ამ მიწებს რუსებს ვინმე გამოგლეჯდა. იყო განათლებული, ჭკუამახვილი, გამოტყდა, რომ ჩამოვიდა ხიდის ასაფეთქებლად და თავისი საქციელი სრულიად გამართლებულად მიაჩნდა, რაკი მოქმედებდა ერის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთს ღალატობდა. ცხადია, სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა დახვრეტით. გენ. შტაბის განკარგულებით გადაგზავნილ იქნა ქუთაისის ციხეში.

იმ დროს თბილისში მრავლად იყო შემოფარებული სოჭის, ტუაპსის — ნოვოროსიისკის, მაიკოპის და კრასნოდარის ცნობილი მოღვაწეები. მათი წადილი იყო თეთრგვარდიელთა ოკუპაციიდან გაენთავისუფლებინათ თავისი მხარე. ეწეოდნენ სათანადო ორგანიზაციულ მუშაობას აჯანყების მოსაწყობად და შავიზღვისპირეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შესაქმნელად. მახსოვს 1919 წლის დამდეგს, მათ მიერ შექმნილი აჯანყებულთა შტაბი ჩამოვიდა თბილისიდან გაგრაში და მოეწყო დროებით სასტუმროში, სადაც ჩვენი შტაბიც იმყოფებოდა. მათი ხელმძღვანელობით 1919 წლის დასასრულს თუ 1920 წლის დასაწყისში მოეწყო აჯანყება. გაანთავისუფლეს სოჭის და ტუაპსეს რაიონები. მოიწევდნენ მაიკოპის რაიონისკენ. თეთრებმა განიცადეს სასტიკი დამარცხება

და დაფეთებულები იხევდნენ ჩრდილოეთისა და ჩრდილო აღმოსავლეთისკენ. ეს მოვლენა ჩვენთვის დიდად ხელსაყრელი იყო, რადგან სურსათის ნაკლებობის გამო ძნელი იყო ჯარების მუდმივ მობილიზაციაში ყოფნა და ფრონტის ხანგრძლივი არსებობა. საკმარისი იყო დავყრდნობოდით ჩვენდამი კეთილგანწყობილ შავიზღვისპირეთის რესპუბლიკას და გვეზრუნა მხოლოდ ჩვენი ჩრდილოეთის საზღვრის დაცვაზე მოსაზღვრე ერთეულების განლაგებით.

როგორც მოვიხსენიე, თეთრები თავგზააბნეულები იხევდნენ ჩრდილოეთისკენ. ადგილზე ტოვებდნენ იარაღსა და სამხედრო ხელსაწყოებს. მიჰქონდათ ან ზღვაში ყრიდნენ სამთო არტილერიის ზარბაზნების საკეტებს. აჯანყებულებმა გვთხოვეს ამ უსაკეტო ზარბაზნების ასამუშავებლად გვეთხოვებინა მათთვის საკეტები, რაც შევუსრულეთ. აჯანყებულები დატოვებული რამდენიმე ათეული ზარბაზნებიდან ცეცხლს უშენდნენ თეთრებს. ამან გამოიწვია შემდეგში გართულება. თეთრებმა აცნობეს ინგლისელებს ნოვოროსიისკში, რომ ქართველები ეხმარებიან აჯანყებულებს, უსაკეტოდ დატოვებული ზარბაზნებიდან ცეცხლს გვიშენენო. სოჭის დაკავების მესამე დღეს ვაპირებდი გადაცმული ტანსაცმლით ჩავსულიყავი სოჭში და გავრკვეულიყავი მდგომარეობაში. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ინგლისელების უშველებელი დრედნოუტი. ნავთსადგურიდან დაგვირეკეს, რომ ჩამოვიდა ინგლისელი გენერალი და ფრონტის სარდლის ნახვა უნდაო. წავედი ნავთსადგურზე. შევხვდი გენერალს, მის ოფიცერსა და მთარგმნელს. არ მომსალმებიან. გამომიცხადეს, რომ ფრონტის სარდლის ნახვა გვინდაო. სალამი მივეცი და ვთხოვე გამომყოლოდნენ, რადგან გენერალი აქ ახლოს იმყოფება-მეთქი. მივიყვანე შტაბში გენერალთან. მორთო უხეში ყვირილი იმაზედ, რომ ქართველები ეხმარებიან აჯანყებულებს და მათთვის ზარბაზნის საკეტები მოუციათო. ჩვენმა გენერალმა ამას ტყუილი უწოდა, რადგან ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. მე ჩავერთე ლაპარაკში და ვთხოვე წავსულიყავით ნაკვეთზე სიმართლის შესამოწმებლად. წავედი მანქანის მოსაყვანად. თანაც დავურეკე არტილერიის დივიზიონის უფროსს, რომ სასწრაფოდ გზის შორს მდგომი ბატარეებიდან ზარბაზნების საკეტები გზის ახლოს მდებარე ზარბაზნებისათვის გადაეცათ. რადგან თქვენთან მოემგზავრება ინგლისელი გენერალი შესამოწმებლად აქვთ ზარბაზნებს საკეტები თუ არაო? ვუბრძანე სასწრაფოდ და გულისხმიერად მიდგომოდა საქმეს და ყველაფერი წესრიგში მოეყვანა. ამასობაში მოგვადგა ავტომანქანა, პატარა ფორდი. გავწიეთ ფრონტისკენ. გზის პირას მდგომ ზარბაზნებს საკეტები წესრიგში აღმოაჩნდათ. ვთხოვე დანარჩენი ბატარეებიც დაეთვალიერებინათ. გენერალმა თანხმობა განაცხადა. მივიწევდით წინ ისეთ ოღრო-ჩოღრო და ქვებით სავსე გზით, რომ გენერალს მოწყინდა ჯაყჯაყი და უკან დაბრუნება ისურვა. თეთრგვარდიელებზე გაბრაზებულმა ტყუილი ცნობის მოწოდებისთვის.

სწორედ ამ დროს მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენი მინისტრი ნოე რამიშვილი ავტომანქანით სოხუმიდან გაგრისკენ მოემართებოდა. სურს ადგილობრივ გაერკვეს მდგომარეობაში და აჯანყებულთა ხელმძღვანელებს შეხვდესო. გაგრაში მინისტრის ჩამოსვლის ამბავი ჩვენმა გენერალმა ინგლისელ გენერალს გაუზიარა. მან მოისურვა მინისტრთან შეხვედრა: მინისტრის ჩამოსვლა მაცნობეთო. საამისოდ მოტორიანი ნავი დატოვა ნაპირზედ, ნაშუადღევს ჩამოვიდა თუ არა მინისტრი, ვაცნობეთ ინგლისელ გენერალს და ისიც მოვიდა სასტუმროში ჩვენი

გენერლის ოთახში. დასაწყისში ლაპარაკი დაძაბული იყო, ოღონდ თანდათან მშვიდი ხასიათი მიიღო. მინისტრი რამიშვილი ცნობილი ორატორი იყო, მან დააჯერა, რომ გენერალი შეცდომაში შეიყვანეს, რომ მათი წარმომადგენელი თბილისში პატივით არის მიღებული და ისიც არის დაღებითად ჩვენდამი განწყობილი. თეთრგვარდიელები კი დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებენ, იმის ნაცვლად რომ ბოლშევიკებს ეომონ, სხვის ტერიტორიას ეპოტინებიანო. დასასრულს, რაკი საუბარმა სხვა სახე მიიღო, მინისტრმა დაპატიჟა ვახშამზე ჩვენ სასადილოში გენერალი დრედნოუტი ყველა ოფიცრებიანად. გენერალმა თანხმობა გამოაცხადა. ამასობაში თადარიგი დავიჭირეთ ვახშმის მომზადებასა, მომღერალთა და მოცეკვავეთა დასაპატიჟებლად. ვახშამზე ყველა ინგლისელი მოვიდა და შემოუსხედით მდიდრულად გაწყობილ სუფრას.

მინისტრმა რამიშვილმა, ნახევარი საათის შემდეგ ბოდიში მოიხადა გენერლის წინაშე, რომ დაღლილია და დასასვენებლად წავა თავის ოთახში, თქვენ კი ისიამოვნეთ და კეთილად გაატარეთ დრო ჩვენ ოფიცრებთანო. დაიწყო სადღეგრძელოები, ცეკვა-სიმღერები, სასმელები არ გვაკლდა: ზეიმმა გათენებამდის გასტანა, ინგლისელი ოფიცრები კარგა შექეიფდნენ, ცდილობდნენ ლეკური ეცეკვათ, ძალიან მოგვწონსო. ...გათენებისას ნავთსადგურამდე მივაცილეთ: გემის უფროსმა ყველანი საუზმეზე დაგვპატიჟა, ოღონდ ჩვენ სასტუმროში გამოსაფხიზლებლად დატოვეს 3 ინგლისელი ოფიცერი, რომლებიც ვერას გზით ცნობიერებაზე ვერ მოიყვანეს. მიგვიღეს გულითადად. გვაჩვენეს ბურთის თამაში ზღვაში. დრომ სასიამოვნოდ ჩაიარა, გემის დათვალიერების შემდეგ გადმოვსხედით ნაპირზე, გემი ნოვოროსიისკენ გაემართა, სადაც იმყოფებოდა იმ დროს დენიკინის დამხმარე ინგლისელთა მისია, რომელსაც ისინი ეხმარებოდნენ.

იმ დროს მინისტრი რამიშვილი მანქანით ჩავიდა სოჭში მდგომარეობის გასარკვევად. ინგლისელთა წასვლის მეორე დღეს ფოსტის მოხელის ტანსაცმლით გავემგზავრე სოჭში აჯანყებულთა შტაბში. იქ მთხოვეს იეკალებლად დამეტოვებინა ზარბაზნების საკეტები. გამაცნეს დაწვრილებით ფრონტის მდგომარეობა და მთხოვეს დავრჩენილიყავ მათ შტაბში. ეს უკვე ჩემგან არ იყო დამოკიდებული და საჭირო იყო დავბრუნებულიყავი გუნ. შტაბში ახალი თანამდებობის მისაღებად.

1919 წლის შემოდგომაზე დამტკიცებული იქნა ქართული ჯარის ორგანიზაცია. იყო რამდენიმე წინადადება. კამათის შემდეგ მიიღეს პოლკ. ზაქარიაძის წინადადება, რომელსაც მიანიჭეს გენერლის წოდება და დანიშნეს გენერალური შტაბის უფროსად. ოფიცრებს ენიჭებოდათ ხარისხები, დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. ხარისხები ასეთი იყო: უმცროსი ლეიტენანტი — უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი, მაიორი, პოლკოვნიკი და გენერალი. ნაცვლებისთვის: სექციის უფროსი, მწყობრის უფროსი და ზემდეგი.

ჯარი შედგებოდა ქვეითა ჯარის 4 ბრიგადისაგან. ბრიგადა 4 პოლკისაგან (უფრო სწორად ახალი სახის ათასეულებისაგან) სამთო არტილერიის I დივიზიონისგან.

ქვეითა ჯარის პოლკში შედიოდა 5 მსროლელთა ასეული, 1 მძიმე ტყვიამფრქვევი ასეული, მოკავშირეთა, მზვერავთა, ამფეთქებელთა და შტაბის მწყობრები. გარდა ამისა არსებობდა მოსაზღვრეთა პოლკი (დამოუკიდებელი ათასეული) შემდეგი შემადგენლობით: 6 ასეული ქვეითა ჯარისა, 3 დივიზი-

ონიანი საარტილერიო ბრიგადა, ცხენოსანი პოლკი, საპიორთა ათასეული, რადიო-ტელეგრაფის ნაწილი, საავიაციო ესკადრონი, ჯავშნიანი ავტომობილების ნაწილი. ავტომობილების სატრანსპორტო კოლონა და 4 ჯავშნოსანი მატარებელი.

გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო 20 მარაგის ათასეული. ჩვენ პირობებში, როდესაც ყოველი მხრიდან მტერი გვიტევდა მარაგი მუდამ თოფქვეშ იყო. მარაგის ათასეულისთვის არსებობდა მუდმივი კადრი. ჯარისკაცები იყვნენ სახლებში თოფებითა და ტანსაცმლით და საჭიროების შემთხვევაში ცხადდებოდნენ თავთავიანთ ნაწილებში ისე, როგორც ეს შვეიცარიაშია. სახალხო გვარდიაში ოფიცერთა ხარისხები არ იყო. გვარდიას შეადგენდნენ უმთავრესად პარტიის წევრები, მენშევიკები: მხოლოდ ერთი ათასეული იყო შედგენილი სოციალისტ-ფედერალისტების მიერ გენ. იოსებ გედევანიშვილის უფროსობით, რომელიც პირველი ომის წინ, პოლიტიკური საქმიანობისთვის ჯარიდან იყო განთავისუფლებული. გვარდიაში საუკეთესო ოფიცრებს მიავლენდნენ. ეს კი მეტად აძნელებდა ჯარის შექმნას. ჯარსა და გვარდიას შორის ურთიერთობა ვერ იყო იდეალური. გვარდიის ოფიცრებს ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია, რაც მუდმივ ჯარს აღიზიანებდა. უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი საქართველოში არ ყოფილა ფინანსური მოსაზრებით. განზრახულ იყო უმაღლესი ცოდნის მისაღებად ოფიცრების საფრანგეთის აკადემიაში მივლინება.

სამხედრო სამინისტრო შედგებოდა რამდენიმე დეპარტამენტისა — მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არსენალი, რომელიც მიმართავდა სხვადასხვა ხერხს იარაღის, ვაზნების და ჭურვების დასამზადებლად. ამ დეპარტამენტს განაგებდა დიდად გამოცდილი გენ. ქუთათელაძე, რომელიც ომის დროს ასრულებდა მთავარი ინსპექტორისა და მეფის რუსეთის არტილერიის უფროსის თანაშემწის თანამდებობას.

რადგან მდგომარეობა მეტად გართულებული იყო, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა თავდაცვითი საბჭო პრეზიდენტისა და იმავე დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას თაოსნობით. თავდაცვის საბჭოში შედიოდნენ: სამხედრო მინისტრი, გენ. შტაბის უფროსი, მთავარსარდლად დანიშნული გენერალი, სახალხო გვარდიის უფროსი და რამდენიმე ცნობილი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე. ამნაირად გამოიყურებოდა სამხედრო ორგანიზაცია ახალგაზრდა სოციალისტურ რესპუბლიკაში. გასაკეთებელი ბევრი იყო, ეკონომიური ვითარება მძიმე, რაც ზეგავლენას ახდენდა ჩვენი ცხოვრების ყველა დარგზე. გაიგზავნა დელეგაციები უცხო ქვეყნებში სურსათის და საომარი მასალის შესაძენად, რომლის ნაკლებობას განვიცდიდით, მით უმეტეს, რომ გარდა არსენალისა არავითარი ქარხნები არ გვქონია მათ დასამზადებლად, მინდა აქ მოვიხსენიო მაღალი ღირსების პატრიოტები და თავდადებული პიროვნებები იყვნენ ისინი: გენ. ართმელაძე, ქუთაისის ბრიგადის უფროსი, გენ. წულუკიძე, ახალციხის ბრიგადის უფროსი, გენ. თაყაიშვილი ტექნიკური ნაწილების უფროსი. ამათ გარდა, სამხედრო მინისტრის განკარგულებაში იყვნენ: გენ. ოდიშელიძე, ყოფილი თანაშემწე კავკასიის ჯართა უფროსისა, გენერლები მდივანი, ანდრონიკაშვილი და სხვები, რომელთა გვარები საუბედუროდ ვერ მომიგონებია. გენერალურ შტაბში, რომლის უფ-

როსობა გენ. ზაქარიაძეს ხვდა წილად. დიდი პირადი შემადგენლობის ცვლილებები არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ პოლკ. ძაგანიას მაგიერ, რომელიც დაინიშნა გენ. შტაბის უფროსად, დაინიშნა გენ. შტაბის პოლკოვნიკი (აჩქარებული კურსი) ჩეჩელაშვილი. გაგრაში ჩასვლისთანავე შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას დაზვერვის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე.

ამ დარგში, გარდა თურქებთან ომისა 1918 წელს, არასდროს არ მიმუშავნია. გენ. შტაბის უფროსის თანაშემწემ პოლკოვნიკმა ნიკოლოზ გედევანიშვილმა გამაცნო ვითარება და ამიხსნა მოვალეობა.

უნდა გავცნობოდი იმ სახელმწიფოთა სამხედრო ატაშეებს, რომელთაც ჩვენი დამოუკიდებლობა ცნეს: სომხეთის, აზერბაიჯანის, საფრანგეთის, ინგლისის, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების და სხვათა. ამის გარდა, უნდა დამედგინა მდგომარეობა ჩრდილოეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იკრიბებოდნენ ბოლშევიკების მიერ დევნილი თეთრგვარდიელების ნაწილები. ზევითაც ვთქვი, რომ თეთრგვარდიელთა ჯარი, არავითარ ძალას არ წარმოადგენდა. მორალურად დაშლილი, თავგზააბნეული, უდისციპლინო ნაწილებს ვერც ინგლისელთა დახმარება შველოდა, იარაღი, რომელსაც მათ აწვდებდნენ, ხელთ უვარდებოდა ბოლშევიკებს და აძლიერებდა მტერს. ჩრდილოეთი საზღვრების მდგომარეობაში მშვენივრად ვერკვეოდი, რადგან ერთი წელიწადი დავყავი იქ. დაზვერვის აპარატი სამაგალითოდ მოქმედებდა, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთის მცხოვრებთა მიერ თეთრგვარდიელების განდევნის შემდეგ სოჭისა და ტუაპსეს რაიონებიდან. ამასობაში ბოლშევიკებმა წარმატებას მიაღწიეს და ვრანგელის და დენიკინის ჯარი იძულებული იყო თურქეთისკენ დაეხია. ნაწილი იხევდა მაიკოპ-ტუაპსე-სოჭისკენ ან ჩრდილოეთ კავკასიისკენ. მათ საშუალება არ ჰქონდათ ოსმალეთისკენ ევაკუაციისა. დავრწმუნდით, რომ თეთრგვარდიელები მიუახლოვდებიან თუ არა ჩვენ საზღვრებს მაშინ დაგვჭირდება მათთან ბრძოლა ან ტყვედ ჩაგდება განიარაღების შემდეგ. დაიწყო მენშევიკების და თეთრგვარდიელების მოლაპარაკება ამ საკითხზე. გადაწყდა, რომ თუ იარაღს დაყრიან ჩვენი მთავრობა მიიღებს მათ, გადაგზავნის ბათუმსა და ფოთში და იქიდან თურქეთში. თეთრი ჯარის გამოჩენამდე ჩრდილოეთის საზღვარზე გადმოდიოდნენ პეტროგრადიდან და მოსკოვიდან ბოლშევიკების მიერ დევნილი ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების მუშაკები. მათ შორის იყვნენ არტისტები მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან, მოსკოვის დრამატული თეატრისა, პეტროგრადის სატირული თეატრისა: ცნობილი ბალეტმაისტერები მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრისა, რომლებიც თბილისის დრამატული თეატრის შენობაში 1921 წლის თებერვლამდის მშვენიერ წარმოდგენებს მართავდნენ.

შეგვექმნა რთული პოლიტიკური და სამხედრო ვითარება. ინგლისელებმა, რაკი დარწმუნდნენ, რომ თეთრგვარდიელების დახმარება უაზროა, დატოვეს ნოვოროსიისკი და გადმოგვცეს ჩვენ განკარგულებაში ბათუმის ოლქი. ჩვენთვის ეს დიდად სასიხარულო მოვლენა იყო, რომ წინ მოსალოდნელი სიძნელეები არ გვქონოდა და დასაძლევი.

ბოლშევიკებმა დაიკავეს მაიკოპი, ტუაპსე, სოჭი და მოადგნენ ჩვენ საზღვრებს, ჩრდილო დასავლეთის მხრივ ადლერის ჩრდილოეთით.

მდგომარეობა მეტად დაძაბული იყო, არ იყო არავითარი გარანტია, რომ საქართველოში არ შემოიჭრებოდნენ; გამოცხადდა ჯარისა და გვარდიის მო-

ბილიზაცია, რასაც მოჰყვა საზღვრების გამაგრება. აზერბაიჯანისა და სამხრეთის ატაშეები სასოწარკვეთილებამ მოიცვა. აზერბაიჯანის ატაშეს გვარი არ მახსოვს, სომხეთისა — ქიშმიშიანი იყო. მათ დიდი იმედი ჰქონდათ, რომ საქართველო ბოლშევიკების ბრჭყალებიდან განთავისუფლებაში დაეხმარებოდათ; ჩვენ საამისო ძალა სად გვქონდა? გარედან მეშველი არსაიდან არ ჩანდა. ომით მოღლილი ევროპის სახელმწიფოებს საკმაო საკუთარი საფიქრალი ჰქონდათ და კავკასიისთვის საბრძოლველად არ სცალოდათ. ის კი არა და სამხედრო მასალის მოწოდებაც ეძნელებოდათ, მიუხედავად ჩვენი მრავალი ცდებისა, მხოლოდ სტამბოლში ჩამორთმეული იარაღი და ვაზნები [illegible] მოსაყიდად და ისიც სისხლის ფასად, მყარი ვალუტით.

თუ არა ვცდები, ვგონებ, 1920 წლის აპრილში ბოლშევიკები ომის გამოუცხადებლივ შემოიჭრნენ ჩვენ საზღვრებში აზერბაიჯანისა და სომხეთის მხრიდან.

მთავრობამ მაშინათვე დანიშნა მთავარსარდლად გენ. კვინიტაძე და დაიწყო მწვავე ომი ბოლშევიკებთან. საბედნიეროდ ამ ომს ჩვენ კარგად მომზადებული დავხვდით. მობილიზაცია დროზე ჩატარდა. ჯარში შეუპოვარი სულისკვეთება სუფევდა. ბოლშევიკებმა ვერსად ვერ გადმოლახეს ჩვენი საზღვრები. ამ დროს ისინი პოლონელებთან ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი და იმედი, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში მყოფი ჯარებით საქართველოს დაძლევდნენ, არ გაუმართლდათ. სულ მოკლე ხანში ბრძოლები შეწყდა და დაიწყო საზავო მოლაპარაკება. დაისვა საკითხი საქართველოსა და რუსეთის შორის ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისა და ყველა სადავო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შესახებ.

1920 წლის მაისის დასაწყისში დაიდო საზავო ხელშეკრულება. მისი ძალით რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, უარს ამბობდა ყველა უფლებებზე საქართველოსადმი, რომლებიც მეფის რუსეთს ჰქონდა, ცნო ჩვენი საზღვრები საბჭოთა რუსეთთან და პირობას დებდა არ ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში. დანიშნულ იქნენ წარმომადგენლები საქართველოში, მოსკოვში და ბოლშევიკური რუსეთისა თბილისში. ძნელი აღსაწერია ხალხის ენთუზიაზმი, რომელიც გამოიწვია რუსეთის [illegible] საქართველოს საზღვრებიდან და ასეთმა ხელსაყრელმა მისიამ.

თუ არა ვცდები, ჩვენ წარმომადგენლად მოსკოვში დაინიშნა სოსო მდივანი, სამხედრო ატაშედ კი გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ანტონ ნაცვლიშვილი. თბილისში ჩამოვიდა 100 კაცისაგან შემდგარი მისია, [illegible] გვარი არ მახსოვს და შექმნა საქართველოს უკუდაზვერვისა და [illegible] ორგანოებისთვის თავსატეხი ხანა. ჩვენი დამოუკიდებლობა ცნეს [illegible] პირობათა კარნახით. მაშინ ისინი ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი. არსებობა მენშევიკურ საქართველოში, მათი თქმით მიუღებელი იყო, იმის და მიუხედავად, რომ იგი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოში ცნეს სანიმუშოდ.

შეიქნა თუ არა ხელსაყრელი პირობები, ხელახლად შეუდგნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისა და ჩაყლაპვის საქმეს; საამისო მომზადებას აშკარად და მოურიდებლად აწარმოებდნენ ბოლშევიკური წარმომადგენლის თბილისში ჩამოსვლის დღიდანვე.

ეძებდნენ თავიანთ მომხრეებს და იმგვარად მიჰყავდათ საქმიანობა, რომ ხალხის უკმაყოფილება გამოეწვიათ ხელისუფლებისადმი, ეკონომიური სიძნე-

ლეების გამო. ასეთი მათი მოღვაწეობა ხალხზე ზეგავლენას არ ახდენდა. მხოლოდ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში* აიყოლიეს მცირერიცხოვანი გლეხობა. ოსეთში მათ საწინააღმდეგოდ საჩქაროდ გაგზავნილ იქნა გვარდიის ათასეულები და ჯარის ნაწილები გენ. მაზნიაშვილის თაოსნობით. რამდენიმე დღის განმავლობაში აჯანყება ჩაქრობილ იქნა და ისევ მშვიდობა დამკვიდრდა. პოლონეთთან ომის დამთავრებისთანავე მიზნად დაისახეს საქართველოს მოსპობა. დაიწყეს ჯარის დაჯგუფება ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსეთის 100 კაცისგან შემდგარი მისია შეუდგა დივერსიულ მუშაობას: სრულიად აშკარად ამას ხელმძღვანელობდა და ხელს უწყობდა მათი კონტრდაზვერვა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილი განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები. აღსანიშნავია, რომ ინტელიგენტთა და რუსეთში უმაღლეს სასწავლებლებდამთავრებულთა შორის ბოლშევიკებისადმი თანამგრძნობნი მოიპოვებოდა, მათ შორის ბუდუ მდივანი, ნ. ქავთარაძე და სხვანი. მშრომელთა შორის ბოლშევიკების თანამგრძნობი არ აღმოაჩნდათ. საერთოდ საქართველოში პროლეტარმუშათა რიცხვი დიდი არ იყო, რადგან მიუხედავად ნედლი მასალის სიუხვისა მეფის რუსეთი ერიდებოდა განაპირა ქვეყნებში მრეწველობის განვითარებას. ამ ხასიათის მუშათა წრეს ეკუთვნოდნენ ჭიათურის მანგანუმის ამომღები, ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის დამმუშავებელი და რკინიგზის შემკეთებელი სახელოსნოების მუშები: ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, შორაპანში, ხაშურსა და თბილისში. ამ დაწესებულებათა მუშები თითქმის მთლიანად წარმოადგენდნენ მენშევიკური პარტიის წევრებს და არავითარი საერთო ბოლშევიკებთან არ ჰქონდათ და მათთან რაიმე თანამშრომლობაში არ ჩარეულან. მათი რიცხვიდან ივსებოდა გვარდიის ნაწილები და მტრულად შეჰყურებდნენ რუსეთს, მიუხედავად იმისა, მეფისა იყო თუ ბოლშევიკური.

მუშებს ეკუთვნოდნენ აგრეთვე მცირერიცხოვანი მოქალაქენი, რომლებიც შრომობდნენ კერძო წარმოებებში, თუთუნის ქარხანაში, ვენახებში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა ყოველი მხრიდან სალტე შეკრეს საქართველოს ირგვლივ, ცხოვრება ნორმალური წესით მიმდინარეობდა. ყველა თავთავის უბანში ცდილობდა ნაყოფიერი შრომით საქართველოს დამოუკიდებლობა განემტკიცებინა. თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი და პოლიტექნიკუმი, დაენიშნათ ახალგაზრდებს სტიპენდიები და მივლინებულ იქნენ საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში: საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, გერმანიაში. გაიხსნა მრავალი სამკითხველოები და ბიბლიოთეკები, ვცდილობდით გაგვევითარებინა მრეწველობა და ჩავბმულიყავით საერთაშორისო საქონლის ბრუნვაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გამოცხადდა აგრარული რეფორმა ხელს ვუწყობდით კერძო ინიციატივას. დაიწყო კულტურისა და ხელოვნების გაღვიძების ხანა, დაიწერა ახალი ოპერები. საქართველო, როგორც ზევითაც აღვნიშნე, ყველა ზომებს მიმართავდა გაება ერთიანობა მეზობელ და ევროპის ყველა სახელმწიფოებთან. საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო მრავალმა სახელმწიფომ, მათ შორის, რაც აღსანიშნავია, თურქეთმა და 1920 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა, რაც როგორც ბოლოს გამოირკვა, მხოლოდ დროებით ქაღალდზე დაწერილი მოტყუებითი ხერხი იყო იმ დროს გაჭირვებაში მყოფი სულის მოსაბრუნებლად. ქართველები კი ამ დროს ბედნიერად თვლიდნენ თავს, კმაყოფილი იყვნენ ბედით, ხალისით და ენერგიით შე-

უდგნენ შრომას. პარტიათა შეხლა-შემოხლას ადგილი არ ჰქონია. ხალხში სრული ერთსულოვნება სუფევდა.

1920 წლის შემოდგომაზე ხელში ვიგდეთ და ფოტოგრაფზე აღვბეჭდეთ ბოლშევიკური XI ლაშქრის სარდლის ლევანდოვსკის გეგმა დამტკიცებული ჩრდილო კავკასიის, აზერბაიჯანის და სომხეთის ძალთა უფროსის გეკერის მიერ და ამ ტერიტორიათა კომისრის ორჯონიკიძის მიერ. გეგმა ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საქართველოს ლიკვიდაციას, მიმართულებებს და ძალთა შემადგენლობას, რომლითაც უნდა დასცემოდნენ საქართველოს. საჩქაროდ შეიკრიბა თავდაცვის საბჭო. გადაწყდა საჭირო ზომების მიღება აქტიური წინააღმდეგობის გასაწევად, მობილიზაციის მოხდენა ჯარისა და გვარდიის ნაწილებში, დანიშნეს სარდლები ცალ-ცალკე მიმართულებისათვის. მდგომარეობა უღრმესად გამწვავებული იყო. არ ვიცოდით, როდის დაიწყებდნენ მოქმედებას ბოლშევიკთა ჯარები. გეგმაში მოქმედებათა დაწყების დღე დანიშნული არ იყო. მუდმივ კავშირში ვიყავი ჩვენ ქვეყანაში მოვლენილ ატაშეებთან. გერმანიისა და საფრანგეთის ატაშეები გულმხურვალედ თანაგვიგრძნობდნენ. მახსოვს, თურქეთის ატაშეს გენ. შტაბის პოლკოვნიკის, ქემალ ფაშას ენთუზიაზმი, რომელიც ჩემთან მეგობრულ ურთიერთობაში იყო, ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს და საერთოდ კავკასიის ერთა არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოსმალებისათვისო, რადგან წარმოადგენენ ბუფერს რუსეთსა და თურქეთს შორის, რომლის მხრივ თურქეთს არა ერთი სიმწარე უწვნევია და მათთან უშუალო კავშირი ჯობია არ გვქონდესო.

გენ. შტაბის უფროსის განკარგულებით და თავდაცვითი საბჭოს დასტურით, ხელში ჩაგდებული აგრესიის გეგმის რამდენიმე ცალი გადაწერეს და საიდუმლო დოკუმენტის სახით დაურიგეს კეთილად განწყობილ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. ალბათ, ეს დოკუმენტი დღესაცინახება ამ სახელმწიფოთა არქივებში. აი საბუთი, რას ნიშნავს ბოლშევიკების მიერ ხელმოწერილი საზავო დოკუმენტი, რომლითაც ცნობენ დამოუკიდებლობას, საზღვრებს, ამ სახელმწიფოს შინაურ საკითხებში ჩაურევლობის პირობას დებენ და პირდებიან კეთილმეზობლურ ურთიერთობას. მერე კი შთანთქავენ მას ყოველგვარი ეთიკის გარეშე, თითქოს დადებული ხელშეკრულება სრულიადაც არ არსებულიყოს.

ბოლშევიკთა თავდასხმის მოლოდინში განუწყვეტელი მზადება წარმოებდა. დაიწყო საფორტიფიკაციო მშენებლობები ცალ-ცალკე მიმართულებაზე და ჯარების განაწილება. მობილიზებულ ჯართა კვება. მათი დაბინავება მომავალი მოქმედების რაიონებში. დიდ ბრუნვას მოითხოვდა და, ცხადია, მეტად აფერხებდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ნორმალურ ცხოვრებას, რომელსაც უამისოთაც მრავალი სიძნელეების გადალახვა სჭირდებოდა.

მიღებულ იქნა ზომები ბოლშევიკთა მისიის თვალ-ყურის სადევნებლად და მათი წამოწყებების დასაწყისშივე ალსაკვეთად, თანაც სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ბოლშევიკები არ გაგვეღიზიანებია და ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ჩვენ ხელთ იყო მათი დაწვრილებითი გეგმა მომავალი სამხედრო მოქმედებისა.

დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა. დალამებამდის ვისხედით და თვალყურს ვადევნებდით მათ მოქმედებას. საჭირო იყო დროის დადგენა, როდის გადმოვიდოდნენ შეტევაზე. როგორც მახსოვს, საოპერაციო გეგმა ხელთ ვიგ-

დეთ სექტემბერის ბოლოს. დრო გადიოდა და ბოლშევიკების შემოტევაზე არაფერი ისმოდა. დადგა ზამთარი, რომელიც აფერხებს სამხედრო მოქმედებებს; ისიც კი ვიფიქრეთ გეგმა ფიქტიური ხომ არ არისო. ჩვენი ჯარები კი ადგილზე იდგნენ და მზად იყვნენ დარტყმის მისაღებად.

ბოლშევიკთა გეგმა მოქმედების შემდეგ მიმართულებებს ითვალისწინებდა. — ჩრდილო დასავლეთიდან გაგრა-სოხუმისკენ. ამ ფრონტისთვის უფროსად დაინიშნა გენ. ართმელაძე; ჩრდილოეთიდან მამისონის უღელტეხილით, რაკი აქ ვიწრო და ძნელი გამოსავლელი გზა იყო და დიდი ერთეულების მოქმედება მოსალოდნელი არ იყო, ამ მიმართულების დაცვა მიენდო სასაზღვრო ნაწილების უფროსს; ჩრდილოეთიდან ვლადიკავკაზ-დარიალის ხეობის მიმართულებით უფროსად დაინიშნა გენ. წერეთელი: აღმოსავლეთიდან კახეთის მიმართულებით უფროსად დაინიშნა გენ. ახმეტელი; სამხრეთ დასავლეთიდან ბორჩალოს მიმართულებით სომხეთიდან უფროსად დაინიშნა გენ. იოსებ გედევანიშვილი. როგორც ზევით მოვიხსენიე თადარიგში მყოფი და დიდ სამხედრო გამოცდილებას მოკლებული; სამხრეთიდან ახალციხე არდაგანის რაიონში უფროსად დაინიშნა გენ. გულუხიძე: ბათუმის რაიონში უფროსად დაინიშნა გენ. მდივანი.

თუმცა ბოლშევიკების გეგმაში ოსმალეთის შემოტევაზე არაფერი იყო ნათქვამი, გვქონდა ცნობები, რომ საქართველოს მხრივ მძლავრი წინააღმდეგობის მოლოდინში იძულებული იქნებიან შეუთანხმდნენ ოსმალეთის თანამოქმედების შესახებ და სამაგიეროდ თავაზობდნენ არდაგანისა და ბათუმის რაიონებს, რომლებზეც ბოლშევიკებმა უკვე ბრესტის ხელშეკრულებით ცნეს მათი უფლებები.

ამნაირი იყო ჩვენი მდგომარეობა ბოლშევიკების შემოტევის მოლოდინში. სამუშაო ბევრი გვქონდა. მოდიოდა ცნობები რომ ჩვენსა და აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრებთან იკრიბებოდა სამხედრო ერთეულები ცენტრალური რუსეთიდან. ბევრი ცნობა მოგვდიოდა აზერბაიჯანიდან. რომელიც განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ბოლშევიკების ოკუპაციით. რომ ბოლშევიკთა სამზადისი საქართველოზე თავდასასხმელად ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ ცნობებს ვაწვდიდი კეთილად განწყობილ უცხო ქვეყანათა წარმომადგენლებს თბილისში. ვთხოვდით იარაღისა და სამხედრო მასალის მოწოდებას, ჯარის რიცხვის გადიდებისა და საერთო მობილიზაციის ჩასატარებლად.

მახსოვს, ერთ დღეს გენ. შტ. უფროსმა ზაქარიაძემ დამიბარა თავისთან და ამერიკული მანქანით, რომელიც კავკასიის ფრონტის დროიდან გადარჩა, გავემგზავრეთ ფრონტის დასათვალიერებლად ბორჩალოს მიმართულებით, წითელი ხიდისკენ. სადაც გადიოდა მდინარე ხრამის მიდამოებში აზერბაიჯანთან ჩვენი საზღვარი. თავდაცვის პოზიციები მოწყობილი დაგვხვდა ალაგ-ალაგ შიგ ჩაყენებული ჯარებით. ვუმზერდით იქიდან ბოლშევიკების მოდარაჯეთა და ჯართა ნაწილების პოზიციებს. შევიარეთ ჩვენი ოფიცრის არჩილ ედიგარის ბაბის მამულში, რომელიც საზღვრის პირას იყო. გავიგეთ იქ, რომ ჯართა კონცენტრაცია ჩატარებულა განჯასა და სომხეთში ჩვენი და აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრის შესართავთან. ეს ცნობები მაიორ არჩილ ედიგარის მტკიცებით, სრულიად სწორი და მართალი იყო, რომ ეს ცნობები მოაწოდეს მათ ოჯახის გასაფრთხილებლად მრავალმა კეთილგანწყობილმა ნაცნობ-ნათესავმა,

რომლებიც საზღვრის იქით ცხოვრობდნენ. ედიგართა ოჯახი — ქართველ მუსულმანებს ეკუთვნოდა და აზერბაიჯანთა წრეში მრავალი გულშემატკივარი ჰყავდათ. გაიცა ბრძანება საგანგაშო მზადყოფნისა. მობილიზაციის დაჩქარებისა და ასე მიდიოდა დრო. დადგა 1920 წლის ზამთარი. ზოგი ფიქრობდა, რომ ბოლშევიკთა შემოტევას ადგილი არ ექნება. ცნობები კი ვლადიკავკავიდან გვარწმუნებდნენ, რომ ბოლშევიკთა შემოტევა უსათუოდ იქნება და ისიც მოკლე ხანში. დრო მიდიოდა. მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა. ჯაფა ბევრი გვქონდა... ხელში გვივარდებოდა მრავალი ცნობა ბოლშევიკთა საქართველოს დასაპყრობად. მახსოვს, 11 თებერვალს უწყობდნენ ბენეფისს მოსკოვის დრამატული თეატრის ცნობილ არტისტს, გვარი არ მახსოვს, რუსთაველის პროსპექტზე ქართულ დრამატულ თეატრში. მისი არჩევით იდგმებოდა სუმბათაშვილის დრამა „სამშობლო“, რომელიც ქართულ სცენაზე ხშირად იდგმებოდა. დიდად პატრიოტული ნაწარმოებია, მოგვითხრობს სპარსელების მიერ ტყვედ წაყვანილ დედოფალზე და ქართველ გმირზე, რომელიც მტრის ბანაკში გადავიდა. თეატრი სავსე იყო მაყურებლებით, მეც, ნაცნობებთან ერთად, დავესწარი ამ წარმოდგენას. წარმოდგენამ საუცხოოდ ჩაიარა. მშვენივრად შეასრულა თავისი როლი მობენეფისე ქალმა. გაუმართეს დიდი ოვაცია და მიუძღვნეს მრავალი საჩუქარი და ყვავილები. წარმოდგენის შემდეგ ჩემ ნაცნობებთან ერთად წავედით რესტორანში, რომელიც იქვე თეატრის სარდაფში იყო და დავბრუნდი სახლში. გახდაც ვერ მოვასწარი, რომ დამირეკეს ტელეფონით. რეკავდა შტაბის მორიგე ოფიცერი. დაიწყო — ჩემ შეკითხვაზე თუ რაშია საქმე. გიგზავნით მანქანას და ახლავე მობრძანდით შტაბშიო. სახლში აღარ დავბრუნებულვარ თბილისის დატოვებამდის. შტაბში გავიგე, რომ 11/12 თებერვლის ღამეს ბოლშევიკები გადმოვიდნენ შეტევაზე ბორჩალოს რაიონსა და სამხრეთით სანაინის მიმართულებიდან. თავდასხმა სანაინიდან მოხდარა უცაბედად და ჩვენი ჯარები სადახლოსკენ იხევენო. ბორჩალოსთან მოულოდნელობას ადგილი არა ჰქონია და ცხარე ბრძოლები მიმდინარეობსო: სხვა მიმართულებებიდან თავდასხმაზე ცნობები არ მოგვდიოდა, მდგომარეობა სამხრეთით, სადაც ჯართა სარდლად გენ. გედევანიშვილი იყო, გამოურკვეველი იყო. ნაწილი ჩვენი ჯარისა ტყვედ ჩავარდნილიყო. საუბედუროდ, ვერც გენ. გედევანიშვილი და ვერც მისი შტაბის უფროსი ჩემი ამხანაგი გენ. შტაბის პოლკოვნიკი ძაგანია ვერ გამოდგნენ მოვლენების ღირსებაზე მდგარნი. გვაცნობებდნენ, რომ გამოარკვევენ მდგომარეობას და მიიღებენ ზომებს ბოლშევიკთა და სომეხთა თავდასხმის უკუსაგდებად. ოღონდ ეს გამორკვევა დიდხანს გრძელდებოდა. სამხედრო საბჭოს მთავარსარდლად იმ დროს გენ. ოდიშელიძე იმყოფებოდა, გამოცდილი გენერალი, ყოფილი კავკასიის ფრონტის უფროსის თანაშემწე. მისი წამოწყებები ომის დაწყების დღიდანვე არ იყო სწორი და ახლა დაგვიანებით გამოჩნდა. გაება მდგომარეობის გამორკვევასა და ცალ-ცალკე მოქმედებაში შემოსულ მტერთან, სათანადოდ არ შეაფასა მოქმედება სადახლოს მიმართულებით, ეს კი დიდ საფრთხეს ნიშნავდა თბილისისათვის; აკლდა მომთხოვნელობა ცალ-ცალკე უფროსებისადმი და თვით გენ. გედევანიშვილისადმი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სადახლოსა და ბორჩალოს რაიონში შექმნილი მდგომარეობისა. დაკმაყოფილდა ადგილობრივი ნაწილებით მტრის განდევნის მოთხოვნით. მოქმედება წარმოებდა პატარ-პატარა ნაწილებით და ხშირად უშედეგოდ 16 თებერვალს სამხედრო საბჭომ მოხსნა ის თანამდებო-

ბიდან და მთავარსარდლად გენ. კვინიტაძე დანიშნა. მინდა აქ დავახასიათო გენ. კვინიტაძის პიროვნება. პირველად მას გენ. შტაბის კაპიტნის ხარისხში შევხვდი თბილისის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1914 წელს დავამთავრე. ტაქტიკას გვასწავლიდა. ჩემზე მისმა პიროვნებამ დიდებითი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართულად იყო გამოწყობილი ფაფახში, ქართულ წაღებში მოკაკული ხმლით. მეტად ენერგიული, მოხდენილი და სიმპათიური. ტაქტიკას ის ჩვენ კლასს არ ასწავლიდა ოღონ I კურსიდან II-ზე გადასვლისას ჩვენი კლასების ტაქტიკის გამოცდებს ის აწარმოებდა. მე სამხედრო ხელოვნების ენთუზიასტი არ ვყოფილვარ. სკოლაში შემთხვევით მოვხვდი. სამხედრო ხელობაზე წარმოდგენაც არ მქონდა არც ჩემ ნათესავთაგან ყოფილა ვინმე მხედრად. ერთი სიტყვით, სამხედრო ხელობის სრულიად უვიცი ვიყავი. ამ მიზეზების გამო პირველ კურსზე სწავლას უგულოდ ვექცეოდი. ჩემით კმაყოფილნი არ იყვნენ და იმასაც მოველოდი, რომ სკოლიდან გამაგდებდნენ და სადმე პოლკში მიკრავდნენ თავს; ჩემი ბიძაშვილი ალიკ ჩხიკვიშვილი, რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა, მუდამ მარიგებდა ან სუსტი შედეგების გამო შორეულ ჩინეთის საზღვარზე მიგავლენენ ოფიცრად და იქ მისასვლელად ტაშკენტიდან 300—500 ვერსი აქლემზე ჯაყჯაყი დაგჭირდება, იქ კი ველურ გარემოში ან გალოთდები ან თავს მოიკლავო. მე კი სამხედრო ხელობა გულთან არ მიმქონდა და პირველ კურსზე, გარდა ტაქტიკისა, ყველა საგანში სუსტი ნიშანი მქონდა. მხოლოდ ტაქტიკაში, არ ვიცი რატომ 12 ნიშნიანი სისტემით 11 მქონდა.

ტაქტიკას გვასწავლიდა გენ. შტაბის კაპიტანი საველიევი. ნიჭიერი და სიმპათიური ოფიცერი, სიმართლე რომ ვთქვა, არც კი ვიცოდი რაში იყო საქმე, მაგრამ ტაქტიკის ამოცანებს მუდამ წესიერად ვასრულებდი. ტაქტიკის გამოცდაზე გენ. შტაბის კაპიტანმა კვინიტაძემ ამოცანა მომცა რუკაზე. ბევრი დაფიქრება არ დამჭირვებია. სწრაფად წარვუდგინე ჩემი აზრი და განვსაზღვრე დავალებები ცალ-ცალკე ერთეულებისათვის. კვინიტაძე განცვიფრებული იყო ჩემი პასუხით და უმაღლესი შეფასება მომცა. ეს იყო პირველი შეხვედრა კვინიტაძესთან. შემდეგ ერთმანეთს შევხვდით 1919 წ. სომხებთან ომში, როდესაც მის შტაბში ვიყავი ფრონტზე. მასთანავე ვიყავი შტაბში ახალციხეში ოსმალებთან ომის დროს, აგრეთვე 1920 წელს ბოლშევიკებთან პირველი ომის დროს და, ბოლოს, უკანასკნელი ომის დროს ბოლშევიკებთან 1921 წელს.

გენ. კვინიტაძის მთავარსარდლად დანიშვნამ დიდად გამახარა, რადგან მას დიდად ვაფასებდი. სიამოვნებას მგვრიდა მასთან შტაბში მუშაობა.

გენ. კვინიტაძე დიდად პოპულარული იყო საქართველოში. იგი ყველა ომში, რომლებსაც საქართველო მისი მთავარსარდლობით აწარმოებდა (1918—1921 წ.) გამარჯვებული გამოდიოდა. ვახსოვს, როდესაც საბჭოს მოწვევით შემოვიდა შენობაში და მე დავუხვდი შემოსასვლელში, მომესალმა, გამახარა ისევ ერთად ვიმუშავებთო. სახე უბრწყინავდა. ეტყობა კმაყოფილი იყო, რომ მას კვლავ მთავარსარდლად იწვევდნენ ასეთ გადამწყვეტ მომენტში. მდგომარეობა ფრონტებზე მძიმე იყო. ბრძოლები დღე და ღამე მიმდინარეობდა. პირობები მალ-მალე იცვლებოდა. ცნობები დროზე არ მოდიოდა. მსხვერპლი დიდი ვქონდა, ოღონდ არც მოწინააღმდეგეს აკლდა დანაკარგი. მრავალი ტყვე გვივარდებოდა ხელში. გენ. კვინიტაძე ენერგიულად შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. ნაწილების მოწესრიგებას. მისი მიზანი იყო, არ მოეშვა მტერი დედაქალაქამდე. ფრონტი სამ ნაწილად გაანაწილა, ვადააყენა ხოიერ-

თი სარდალი, დანიშნა ახლები, რომლებზედაც იმედს ამყარებდა დანაკარგის დასაბრუნებლად. მარჯვენა ფრთას კოჯრის რაიონში სარდლობდა გენ. ანდრონიკაშვილი. თუ არა ვცდები მის განკარგულებაში იყო ოთხი ჯარის პოლკი, ოთხი გვარდიის ათასეული, საპიორთა ათასეული, შესაბამისი რაოდენობის არტილერია და სამხედრო სკოლა, რომელმაც შემდგომ ბრძოლებში დიდი გმირობა გამოიჩინა და უკვდავყო თავის ღვაწლი ბოლშევიკებთან 1921 წლის ომში. შუა ნაკვეთი სამხრეთით მდინარე მტკვრამდის მიენდო გენ. მაზნიაშვილს, დიდად პოპულარულ, ენერგიულ და გამოცდილ მხედარს. მის განკარგულებაში იყო დაახლოებით სამი ქვეითა პოლკი, სასაზღვრო ათასეული, დედაქალაქის ტყვიამფრქვევთა ათასეული, ორი დივიზიონამდის არტილერია, ჯავშნოსან მანქანათა ნაწილები, ჯავშნოსანი მატარებელი. ფრონტის დანარჩენი მარცხენა ფრთაზე მოყოლებული მტკვრიდან მიენდო გვარდიის გენ. ჯიჯიხიას. მის განკარგულებაში იყო: სამი მძლავრი ათასეული სათანადო არტილერიით და მარცხენა ფრთაზედ გვარდიის ცხენოსანი ესკადრონით. თბილისს მომდგარი მტერი, ჩვენი პოზიციების წინ, სამხრეთით და აღმოსავლეთიდან დიდად აღემატებოდა ჩვენ ძალებს. დაახლოებით შედგებოდა ის 7 ქვეითა ჯარის დივიზიის, 3 ცხენოსანთა დივიზიის, მძლავრი და რიცხობრივი არტილერიის ნაწილებისაგან, ჯავშნოსან მანქანათა ერთეულების, 5 ჯავშნოსანი მატარებლისა და სომეხთა დივიზიისაგან, რომელიც სამხრეთით მოქმედებდა.

მძიმე ბრძოლები თავიდანვე მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით. მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავე მიიღეს მათ 18 თებერვლიდან, როდესაც მტერმა ხელთ იგდო წითელი ხიდი და რკინიგზა მტკვარზედ. ხიდი, მართალია, ჩვენ მიერ აფეთქებული იყო, ოღონდ იმდენად არ იყო დაზიანებული და მტერმა მოახერხა მისი სწრაფი შეკეთება და ჯავშნოსანი მატარებლის გამოყენება.

გამწვავებული ბრძოლები დღე და ღამე მიმდინარეობდა. ხშირად, მიდიოდა ხელჩართულამდის. მტერს ძალთა დიდი უპირატესობა ჰქონდა, დაჟინებით ცდილობდა ფრონტის გარღვევას, მაგრამ ჩვენი ჯარები მედგრად იცავდნენ პოზიციებს და ურყევად იდგნენ ადგილზე. მოგერიებითი პოზიციების დაძლევა მტერმა ვერსად შეძლო. 18-22 თებერვალს მტრის მთავარი შემოტევა შუაში, გენ. მაზნიაშვილის ნაკვეთზე მოჰქონდათ, მუდამ უშედეგოდ. მახსოვს, 11 თუ 23 თებერვალს გამომიძახა გენ. კვინიტაძემ და ღია, ბრეზენტით დახურული მანქანებით გავემართეთ კახეთისაკენ ჩვენი მარცხენა ფრთის დასათვალიერებლად. აქ უფროსად გენ. ჯიჯიხია იყო თავისი გვარდიელებით. წინა დღეს, მტრის ძლიერი შემოტევის შემდეგ, დატოვეს პოზიციები და გადმოინაცვლეს კახეთის რკინიგზის ლიანდაგის სამხრეთით და აღმოსავლეთით. ჯანღიანი დღე იყო. ციოდა. სუსხიანი ქარი ქროდა. გენ. ჯიჯიხიას რკინიგზის ჩიხში მივაგენით. იქვე იყვნენ გვარდიის შტაბის წევრები. მთავარსარდალი გაეცნო მდგომარეობას, გამოიკითხა მიზეზი გუშინდელი უკანდახევისა და შეეკითხა შეძლებს თუ არა ახლად დაჭერილი პოზიციების შენარჩუნებას. პასუხად გენ. ჯიჯიხია დაპირდა, რომ არამც თუ შეინარჩუნებს, შეტევაზედაც გადავა, რადგან ამ ამინდში მათი ჯავშნოსანი მანქანები საშიში არ არიანო. მთავარსარდალმა ნება დართო შეტევაზედ. სწორედ ამ დროს მოგვადგა სატვირთო მატარებელი, რომელიც თბილისში ბრუნდებოდა. კვინიტაძემ გააჩერა მატარებელი. ჩავსხედით სოღანლუღისკენ წასასვლელად. მძღოლს უბრძანა იქ

გამოცხადებულიყო მანქანით. ციოდა, ვიყინებოდით, ბოლთას ვარტყამდით განუწყვეტლივ ვაგონში გასათბობად. გენ. კვინიტაძემ შემომჩივლა: „მეშინია შეტევის მაგიერ ჯიჯიხიამ უკან არ დაიხიოს და არ შეგვიქმნას უხერხული მდგომარეობა“.—ალბათ, კარგად იცნობდა ჯიჯიხიას. მე კი მისი გამბედაობა გაგრის ფრონტზე მქონდა შემოწმებული დენიკინელებთან ომის დროს. გენ. კვინიტაძის ეჭვი გამართლდა. მტერმა მარცხენა ფრთაზე ცხენოსანთა ერთეულებით შეუტია და ამით ავჭალა-მცხეთას დაემუქრა. ეს კი ნიშნავდა ჩვენ ზურგში მოქცევას და დასახევი გზის გადაჭრას.

მდგომარეობის გამოსარკვევად მთავარსარდალმა გენ. შტაბის პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი გაგზავნა მანქანით ლილოში, სადაც ჩვენი ცხენოსანთა ბრიგადაც იდგა. მეორე დღეს 24 თებერვალს პოლკ. გედევანიშვილი დანაღვლიანებული დაბრუნდა. როგორც ჩანდა, ბევრს ვერაფერს მიაღწია და ვერც მდგომარეობა გამოარკვია რიგიანად. მტერი შემოტევას ყველგან განაგრძობდა. საფრთხე გაგვიჩნდა მარჯვენა ფრთაზედაც, კოჯრის მხრიდან. იქაც გამოჩნდა კავალერია. იქ, გენ. ანდრონიკაშვილი ფრთხილობდა, მშვენივრად განაგებდა თავის საქმეს და იოლად უმკლავდებოდა ყველა შემოტევას საიმედო ნაწილების და, განსაკუთრებით, გმირული სამხედრო სკოლის და სამი ნაცვალი ასეულის შემწეობით. არაერთხელ გადასულან ისინი უკუიერიშზედ. უწყვეტად მოებიათ ხელჩართული ბრძოლები და უკუუგდიათ მტრის გამალებული შემოტევა. აღტაცებით და გულის ფანცქალით შეჰყურებდა მათ გმირობას მთელი ქართველი საზოგადოება: 23—25 თებერვალს მწვავე ბრძოლები მიმდინარეობდა. მტერმა უკანასკნელი მარაგი შეიყვანა ბრძოლებში, ბაქოს პოლიტრუკთა და კურსანტთა ჩათვლით. მტერი ჩქარობს თბილისის დაპყრობას, აშინებს მას უკმაყოფილება, რომელიც ჩნდება ოკუპირებულ სომხეთსა და აზერბაიჯანში. მთავარი ცდები ფრონტის გარღვევისა ახლა ჩვენ მარჯვენა ფრთაზე. გენ. ანდრონიკაშვილის ნაკვეთზე გადააქვს. მთელი 24 თებერვლის ღამე და 24-ის დღე გამწარებული ბრძოლები წარმოებს. ოღონდ, შედეგს ვერსად ვერ აღწევს. ერთი ფეხითაც არ იწევენ უკან თავდადებული მებრძოლები. შუა ნაკვეთსაც გენ. მაზნიაშვილისას ცოტა წარუმატებლობა აქვს მარცხენა ფრთაზე, მაგრამ საერთოდ, თავის პოზიციებზე ურყევად დგას. მხოლოდ გენ. ჯიჯიხიას ნაკვეთზე, შეტევის მაგიერ, უკან დახევას აქვს ადგილი.

25 საღამოს ჩვენი მდგომარეობა არ იყო სანუგეშო. მტერი თბილისიდან თითქმის ყველა მიმართულებით 10—12 კმ მანძილზე იმყოფებოდა. მართალია, დაწვრილებითი ცნობების მიღება ნაკვეთის უფროსთაგან ადვილი არ იყო, მაგრამ ცხადად იმჩნეოდა ყველგან მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობა და, რაც მთავარია, მათი 6 დივიზიამდე ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც ორივე მხრიდან მოქმედებდა, გზის ჩაკეტვით გვემუქრებოდა. პოლკ. გედევანიშვილის დაბრუნებამ თებერვლის 25-ში, დიდად დაგვაფიქრა. ის დღისით დანიშნულ იქნა ფრთაზედ მოქმედ ჯართა უფროსად. მისი არასრული შეფასებით მტერი მარცხენა ქვეითა ჯარისა და არტილერიის გარღვევით გვემუქრებოდა. ამას დაერთო გენ. ანდრონიკაშვილის ცნობა, რომ მტრის ცხენოსანთა ჯარი შემჩნეულია კოჯრის მხრიდან და რომ ის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოემართება და ამ მხრიდან თბილისის მოჭრას შეეცდებათ. მთავარსარდალმა მაშინათვე მიიღო ზომები ამ მიმართულებით სინამდვილის გამორ-

კავკასიის გაგზავნილმა მზვერავმა ნაწილებმა ამ მიმართულებით საფრთხე არ დაამტკიცეს. ამ მეტად მძიმე მდგომარეობაში მთავარსარდალს არავითარი მარაგი არ გააჩნდა (რადგან ახალციხიდან მოხსნილმა ორმა ქვეითმა პოლკმა დროზე ვერ მოაღწია), გადაწყვიტა დაეტოვებინა თბილისი, დაეხია მცხეთამდე და იქ ჩაეკეტა მისადგომი აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მიმართულებებიდან (საქართველოს სამხედრო გზაზე). სასწრაფოდ მოიწვიეს თავდაცვის საბჭო თავმჯდომარევ. ნოე ჟორდანიამ შეკითხვაზე, არის თუ არა სხვა გამოსავალი, მთავარსადლისაგან პასუხად მიიღო, რომ არავითარი მარაგი აღარ ჰყავს, ორივე მხრივ გზას გვიჭრიან მტრის ცხენოსანი ერთეულები, იძულებული ვიქნებით ბრძოლა თბილისში ვაწარმოოთ ხალხსა და ქვეყანას მოწყვეტილებმა. ამ ვითარებაში სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ და იძულებული ვარ უკან დახევის ბრძანება გავცეო. თავდაცვის საბჭომ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. აუწერელია მწუხარება, რომელიც ყველა იქ მყოფმა განიცადა. თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა განუწყვეტელი ბრძოლები. მიუხედავად ძალთა უპირატესობისა მტერი წინ ვერ მოიწევდა. გვყავდა მრავალი ტყვე. მტერს ვაყენებდით საგრძნობ ზიანს. საზოგადოების სულისკვეთება სანიმუშო იყო და ასეთ ვითარებაში ვტოვებდით სატახტო ქალაქს. სატახტო ქალაქის დატოვებას ომის დროს, მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, შეუძლია ჩაუკლას საზოგადოებას ბრძოლის ჟინი.

მთავარსარდალს სწადდა ძალები შეეჯგუფებინა მტრის მოქმედების მთავარ მიმართულებაზე. გადაენაცვლა მცხეთისა და ხაშურის რაიონებში და გადასულიყო იქიდან შეტევაზე მტრის ცოცხალი ძალების მოსასპობად. ნაშუადღევს შტაბი ადგილის გადანაცვლებისათვის ემზადებოდა; ღამის 24 საათზე სპეციალური, მთავარსარდლის მატარებლით მცხეთისკენ ან ხაშურისკენ უნდა გავმგზავრებულიყავით. სათანადო განკარგულებები მომავალი გადაჯგუფებისათვის გადაეცათ თბილისის ფრონტზე მოქმედ ჯარსაც.

მახსოვს ეს 24/25 თებერვლის ღამე. ვისარგებლე შემთხვევით და მანქანით სახლში შევიარე, რომ საჭირო ნივთები წამეღო და გამოვმშვიდობებოდი დედას, ბიძას და ჩემ უმცროს ძმას. ნახევარი საათი თუ დავრჩი სახლში; მეტი დრო არა მქონდა. მთავარსარდალი და შტაბის უფროსი 10 საათზე გამგზავრებულიყვნენ სადგურზე. მანქანა მუდმივ მოძრაობაში იყო, სადგურზე ყველა შტაბის ოფიცერი უნდა მიეყვანა. მახსოვს ჩემი მეგობარი მატო გოცირიძე, შტაბის კანცელარიის უფროსი და მე უკანასკნელი მივედით. ჩავედით დაბლა მანქანის მოლოდინში. ჩვენთან 3 ერისკაცი მოვიდა. ერთი მათგანი სერგო ქავთარაძე იყო, ბოლშევიკი. მას მე ვიცნობდი. გაეგო, რომ შტაბს ვტოვებდით. ვუთხარი, რომ შტაბში აღარავინ არის და შეუძლიათ შენობის დაცვაზე იზრუნონ. მადლობა მითხრეს და ჩვენ გავწიეთ სადგურისაკენ. მატარებელში დაღლილს მაშინვე ჩამეძინა. გათენებისას ზარბაზნიდან გასროლილი ყუმბარის ხმამ გამაღვიძა მცხეთის სადგურზე, სადაც ჩვენი მატარებელი გაჩერებულიყო. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს შემთხვევითი გასროლა იყო ჯავშნოსანი მატარებლის ზარბაზნიდან, რომელიც მცხეთა-თბილისის ლიანდაგს ზვერავდა.

ჯართა გადაჯგუფება გრძელდებოდა. მტერი არ აგვდევნებია. ჯარები მშვიდად მოემართებოდნენ. ცნობები, ვითომც მარცხენა და მარჯვენა მხრიდან მტრის კავალერია მოიწევდა, ყალბი გამოდგა. დახევისას ჩვენ ნაწილებს

ბრძოლები არ უწარმოებია. შეიძლება თითო-ოროლა ცხენოსანი თუ შეამჩნიეს, თორემ დიდი ერთეული უბრძოლველად როგორ დატოვებდა უკანდამხევ ჯარს.

მცხეთასთან მთავარსარდალმა არ მოისურვა პოზიციების დაკავება. გადაწყვიტა დაეხია ხაშურამდის და იქ უკეთეს მოგერიებით პირობებში გამაგრებულიყო სურამის უღელტეხილზედ, საიდანაც ხელსაყრელი პირობები იყო მარჯვენა ფრთის მტკვარზე დაყრდნობით. მცხეთიდან ხაშურში მიმავალი მთავარსარდლის მატარებელი გორში გაჩერდა. აქ შევამოწმეთ დამხევი ჯარის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ჯარი იხევდა წესიერად. ნაშუადღევს პოდრიტით შევამჩნიეთ, რომ მთებიდან ეშვებოდა მტრის ერთ ცხენოსან ესკადრონამდის. გორში ცხოვრობდა ბიძაჩემი მეჭი, თავისი ცოლით, ცნობილ მწერალ მართით, რომელიც გამოდიოდა „გარიყულის" ფსევდონიმით. გამოვემშვიდობე იმ იმედით, რომ მოკლე ხანში ისევ შევხვდებოდით. საუბედუროდ, ესე არ მოხდა.

მთავარსარდლის მატარებელი ხაშურის სადგურზე გაჩერდა. ჩვენმა ჯარმა დაიკავა პოზიციები ხაშურსა და სურამის რაიონში. ამასობაში მოვიდა ორი ქვეითა პოლკი თავისი არტილერიით, რომლებიც გარდა ართაჰანსა. მოიჩქანით ოსმალეთის საზღვარს იმ იმედით, რომ ოსმალები არ შემოგვიტევდნენ. მეორე დღეს ჯარები უკუღმა გადადიოდნენ მარჯვენა ფრთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მარცხენასი კავკასიის მთებზე დაყრდნობით. პირობები შეტევისათვის მეტად ხელსაყრელი იყო.

ვმორიგეობდი შტაბში, ვიჯექი მთავარსარდლის სალონში ტელეფონთან. ნაშუაღამევს დარეკა ტელეფონმა. ცნობა მივიღე. ლაპარაკობდა გენ. კონიაშვილი, რომელიც გენ. ჯიჯიხიასთან ერთად გვარდიაში მსახურობდა. მთხოვდა მომეხსენებინა მთავარსარდლისათვის, რომ გვარდიელებმა დაადგინეს არ შეუტიონ, შტაბი და ჯარი იშლება და მათზე ზეგავლენის საშუალება არა მაქვსო. მოახსენეთ ეს მთავარსარდალს და მეც ამ წუთშივე მოვდივარ მასთან პირადად მოსახსენებლადო. მაშინათვე გავაღვიძე შტაბის უფროსი და მთავარსარდალი და მოვახსენე ტელეფონით მიღებული ცნობა. ძნელი აღსაწერია მთავარსარდლის ღელვება. ამ მოულოდნელმა ცნობამ მოთმინებიდან გამოიყვანა. იმდენი შრომა ჩატარდა უკუქცევის მოსამზადებლად; აქ შესანიშნავი გარემოცვის პირობებში გამარჯვება ნათელი იყო, რის შემდეგ თბილისის უკან დაბრუნებას ვეღარაფერი ვერ შეაჩერებდა. გვარდიელების სამარცხვინო გაქცევამ ჩაშალა ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა. სწორედ მათ უნდა მოეხდინათ მთავარი დარტყმა დაჯგუფების მარცხენა მხრიდან.

ცოტა ხნის შემდეგ გენ. ზაქარიაძე თავის ვაგონში წავიდა. გენ. კონიაშვილი ჯერ არ მოსულიყო. მთავარსარდალი მეტად ღელავდა. „ამხ. თევზაძევ, თავის მოკვლა და დამრჩენია, არა? — მომმართა სევდიანი ხმით. შევწუხდი ძალიან. ვგრძნობდი რა აზრები ტრიალებდა ამ დროს თავში სარდალს. ის ხომ სამი წლის განმავლობაში ძლევამოსილად მართავდა საქართველოს ჯარების საქმეს. ზედიზედ მოიგო 3 ომი სამ მეზობელთან — სომხეთთან, თურქეთთან და ბოლშევიკებთან — ახლა კი დამარცხება ელის. ვეცადე დამემშვიდებინა. გვაქვს კიდევ ხელსაყრელი მოგერიებითი პოზიციები, ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული, გამარჯვების იმედი არ უნდა დავკარგოთ-მეთქი. მაგრამ ამის მიღწევა ადვილი აღარ იყო. შავი ზღვის პირდაპირ ასეთი ხელსაყრელი პოზიციები აღარ არსებობდა.

შემოვიდა გენ. კონიაშვილი და დაიწყო სახალხო გვარდიის გინება, რომლის შექმნაზედ ეს ინტრიგანი 1917 წლიდან მოღვაწეობდა. აქ უნდა აღვნიშნო, რომ სახალხო გვარდიას სასახელო წუთებიც ჰქონდა, როგორც მაგ.: თბილისის არსენალის დაკავება 1917 წელს და რამდენიმე მცირე მნიშვნელობის მოქმედება ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში. საერთოდ კი მისი არსებობა აფერხებდა საქართველოს ჯარის მოწყობას. მის რიგებში ჩაინთქა საუკეთესო და გამოცდილი ნაცვლები. მათ ჯარში ჩაწერას უშლიდა ის გარემოება, რომ გვარდიაში ნაცვალთა ჯამაგირები აღემატებოდა ჯარის ნაცვლებისას. უარყოფითი მოვლენა გვარდიაში ისიც იყო, რომ მათი შტაბები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ უფროსის მიერ ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას; ეს კი ეწინააღმდეგებოდა უფროსის მიერ ერთეულთა მართვას ბრძოლის დროს. აქ მოქმედებათა გადამწყვეტი და პასუხისმგებელი მხოლოდ უფროსი უნდა იყოს...

არ იყო სხვა გამოსავალი. საჭირო შეიქნა ჯარების სამტრედიისაკენ დახევა, სადაც ჯვარედინდებოდნენ მამისონის უღელტეხილისა და გაგრა-სოხუმ-ოჩამჩირეს გზები. მტერი აქტივობას არ იჩენდა, ისე რომ ჯარები შეუფერხებლივ იხევდნენ დასავლეთისაკენ.

რაკი დაინახეს ბოლშევიკთა უპირატესობა ქართულ ჯარებზე, თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ ახალციხესა და ბათუმის მიმართულებით. ოსმალებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო მათსა და რუსეთს შუა ბუფერული სახელმწიფოს არსებობა, ოღონდ, თუ რუსები საქართველოს ტერიტორიას დაეუფლებოდნენ, საჭიროდ ცნობდნენ რუსეთთან საზღვარი თავისი ტერიტორიიდან წინ წაეწიათ. მით უმეტეს, რომ ბრესტის ტრაქტატით რუსეთმა ამაზე თანხმობა განაცხადა. მთავარსარდლის მატარებელმა მდ. ძირულასკენ გადაინაცვლა, სადაც უნდა დაეხვედროდნენ ბოლშევიკთა ჯარებს. ოღონდ სურამის ქედის დასავლეთით ნიადაგი არამარტო მთიანი იყო, ხშირი ტყეებითაც იყო დაფარული, ეს კი აძნელებდა ნაწილთა შორის კავშირის გაბმას და მოითხოვდა დიდ ძალებს, რაც ჩვენს განკარგულებაში არ იყო. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის განკარგულებით გვარდია დაშლილ იქნა ხაშურის რაიონში უკუქერიშის ბრძანების შეუსრულებლობის გამო. სურამის მთებიდან გვარდიის დაშლილი ნაწილები უწესრიგოდ მიემართებოდნენ დასავლეთისაკენ. მტერმა მდევარი ნაწილები აამოქმედა აღმოსავლეთიდან სურამის უღელტეხილიდან და ცხენოსანი ნაწილებით ბორჯომ-ახალციხე, ხულო-ბათუმის მიმართულებით. ეს ნიშნავდა ჩვენი მარჯვენა ფრთის შემოვლას და ზურგში მოქცევას. მთავარსარდალმა გადაწყვიტა დაეკავებინა პოზიციები სამტრედიასთან, რიონზე დაყრდნობით. ეს შესაძლებლობას ქმნიდა ჯარების გამოყვანისა მამისონისა და სუხუმ-გაგრის მხრიდან.

მთავარსარდლის მატარებელი გაჩერდა სამტრედიაში. შტაბი ხელმძღვანელობას უწევდა ჯარების გადაჯგუფებასა და პოზიციების დაკავებას. მახსოვს, ვისარგებლე შემთხვევით და ვინახულე ჩემი ოჯახის წევრები, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ. საწყალი დედაჩემი აღშფოთებული იყო. გრძნობდა, რომ ჩვენს სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა ემუქრებოდა. მე ვუთხარი, რომ იძულებული ვიქნები საზღვარგარეთ წავიდე, რადგან ჩემი თანამდებობის გამო გენერალურ შტაბში არ დამინდობენ-მეთქი. გამოვემშვიდობე საყვარელ დედას და ოჯახის წევრებს და დავბრუნდი მატარებელში. მეორე დღესაც სამტრედიაში დავრჩით. ოღონდ მე საშუალება არა მქონდა ოჯახში წასვლისა. ის

რომ ჩემი გამომშვიდობება ოჯახის უკანასკნელი ნახვა იყო. ჩემს დას ნინას გაეგო, რომ ჯერ ისევ სადგურში ვართ. მინახულა. მომიტანა სადილი. ესეც მასთან უკანასკნელი შეხვედრის წუთები იყო. საშუალო ძმა მიხეილი მე-5 ქვეითა პოლკში მსახურობდა, ცნობები მის შესახებ არა მქონია.

სოხუმიდან და გაგრიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ ვიხევდით ბათუმისაკენ. აქ უკვე ხელსაყრელი პირობები პოზიციის დასაკავებლად აღარ იყო. ბათუმში იმ დროს იმყოფებოდა ჩვენი მთავრობა და უმრავლესობა დამფუძნებელი კრების წევრებისა. ამასობაში ოსმალებმა შემოუტიეს ჩვენ მცირე ნაწილებს, დაიკავეს არდაგანის, ახალქალაქის რაიონები და მოიწევდნენ ახალციხისაკენ. ოსმალებმა დაიკავეს აგრეთვე ართვინის რაიონი და მოიწევდნენ ბათუმისაკენ. როდესაც მთავარსარდლის მატარებელი უახლოვდებოდა ბათუმს უკვე ისმოდა არა მარტო ზარბაზნების, არამედ თოფების სროლაც. ბათუმში მოხდა პრეზიდენტ ნოე ჟორდანიასა და მთავარსარდლის გენ. კვინიტაძის შეხვედრა. აქ დადგენილ იქნა შეწყვეტილიყო ბოლშევიკებთან ბრძოლა, (რაკი მათ ვეღარ ვუმკლავდებოდით), დაგვედო მათთან შეთანხმება და საერთო ძალებით გაგვედევნა ოსმალები, რომლებიც უკვე ბათუმს უახლოვდებოდნენ. გაგზავნილ იქნენ ბოლშევიკთა ჯარების სარდლობასთან რწმუნებულები, რომელთაც შეიმუშავეს საერთო მოქმედების გეგმა ოსმალების ასალაგმავად.

მშვენივრად მახსოვს ბოლშევიკების ჯართა წარმომადგენლების ჩამოსვლა ბათუმში. შემიყვანეს მთავარსარდლის ვაგონში საერთო გეგმის შესამუშავებლად ოსმალეთის წინააღმდეგ. მეტისმეტად მწვავე ზეგავლენა მოახდინა ჩემზე ამ წუთმა. მთავრობისა და მთავარსარდლის ეს აქტი გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომ გვსურდა ბოლშევიკებს დაეკავებინათ საქართველოს მთელი ის ტერიტორია, რომელიც მას ეკუთვნოდა ბოლშევიკების შემოსევამდის, ე. ი. 1921 წლის 11 თებერვლამდის და რომელიც ცნობილი იყო როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის მიერ. საუბედუროდ, თურქების მიერ მარტში დაკავებული ქართული მიწები ართვინისა და არდაგანის რაიონებში თურქებმა არ დააბრუნეს და დღესაც მათ უკავიათ.

ამნაირად, ბოლშევიკებმა დაიკავეს მთელი საქართველო. ჩვენმა მთავრობამ წინასწარ შეათანხმა საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლებთან გახიზვნის საკითხი მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრების და ჯარის ნაწილებისა, რომლებიც სახლში ვერ დარჩებოდნენ სამსახურებრივი პირობებისა და ბოლშევიკთა საწინააღმდეგოდ გაწეული მუშაობის გამო.

მთავარსარდალმა და შტაბის უფროსმა გენ. ზაქარიაძემ ერთად შეადგინეს ოფიცერთა და ნაწილთა სია, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა გახიზნულიყვნენ.

მე, ჩემ ამხანაგებთან მაიორ უთნელიშვილთან და პოლკ. ერისთავთან ერთად, წინათვე დანიშნული ვიყავი საფრანგეთში წასასვლელად, იქაური უმაღლესი სამხედრო სკოლის დასამთავრებლად. მე და მაიორ უთნელიშვილს გვეძლეოდა პოლკოვნიკის ხარისხები. საუბედუროდ, ბოლშევიკების მიერ 21. III 21 წლისა საქართველოს დაკავების გამო ყველა ეს გეგმები ჩაიშალა. სამაგიეროდ მთავარსარდლისა და შტ. უფროსის დადგენილებით გათვალისწინებული ვიყავ საზღვარგარეთ წასასვლელად, სადაც მთავრობა აღმომიჩენდა ყოველთვიურ დახმარებას. მიუხედავად ამ დაპირებებისა, ვერ წარმომედგინა ჩემი

სამშობლოს, ჩემი ოჯახის დატოვება. დიდი ყოყმანის შემდეგ, ბოლოსდაბოლოს გადავწყვიტე სამშობლო დამეტოვებინა. ვფიქრობდი, რომ ბოლშევიკთა ძალაუფლება დიდხანს არ გასტანს, ჩემი სამშობლო განთავისუფლდება და დავბრუნდები-მეთქი. ამასობაში ჩვენ ვაგონში ჩემი ძმა მიხეილი შემოვიდა. გამახარა მისმა მოსვლამ. რაკი გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში დარჩენილიყო, ვთხოვე ეზრუნა ჩემ დედასა და ნინოზე გამოვემშვიდობეთ ასე ტრაგიკულად ერთმანეთს და გავწიეთ საფრანგეთის ხომალდზე, რომელსაც ნაპირს მოშორებით ღუზები ჩაეშვა. ამ გემს უნდა ჩავეყვანეთ კონსტანტინოპოლამდეს.

შემდეგში, ემიგრაციაში, არაერთხელ დავფიქრებულვარ მოვიქეცი თუ არა წესიერად, რომ სამშობლოს, მახლობლებს და მეგობრებს ჩამოვშორდი. მუდამ თავს ვინუგეშებდი იმედით, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომლებმაც საქართველოს არსებობა ფაქტობრივად აღიარეს და ერთა ლიგა, რომელიც მზად იყო თავის შემადგენლობაში საქართველოც მიეღო, მიიღებდნენ რამე ზომებს, აიძულებდნენ ბოლშევიკებს საქართველოდან წასვლას და მეც უკან დავბრუნდებოდი. ბოლშევიკები ყოველ ხელსაყრელ მომენტში მუდამ აღიარებდნენ, რომ ერთა თავისუფლება და დაჩაგრულ და ცარიზმის მიერ დაპყრობილ ერთა თავისუფლება, ეს მათი უმთავრესი მიზანია. არ ვიცოდი, რომ მათი თავისუფლება გულისხმობდა ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას ყველა იმ რუსეთში შემავალი ქვეყნისა, რომელიც თავის წეს-წყობილებას თავისებურად და დამოუკიდებლად მოინდომებდა.

გემზე მოთავსდნენ გენ. შტაბის ოფიცრები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები და იუნკერთა სკოლა, რომელიც ასე გმირულად იბრძოდა სატახტო ქალაქის დაცვისას. ჩვენი ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ მათ რომელიმე მეგობრულად განწყობილი სახელმწიფო მიიღებდა სამხედრო სკოლაში და დაბრუნებისას მზად გვეყოლებოდა ევროპულად აღზრდილი ოფიცრები.

ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების მეორე ნაწილი და გულში ჩამწვდომი დარდი მახლობლების, ნათესავ-ნაცნობების და სამშობლოს მოშორების გამო. ჩემი იმედი, რომ ბოლშევიკთა მმართველობა რუსეთში დიდხანს არ გასტანდა — უსაფუძვლო აღმოჩნდა. რუსეთის ხალხი მიჩვეული მონობას ჯერ მონღოლებისას და მერე 100 წლოვან დესპოტურ მეფის რეჟიმს, უყოყმანოდ დაემორჩილა ბოლშევიკურ ხელისუფლებას.

ვერ ვიქნები დამარხული ჩემ სამშობლოში. სანუგეშოდ ისღა დამრჩენია, რომ მიმიღებს სამუდამო განსასვენებლად კეთილშობილი, მედგარი და საქართველოს მეგობრობაში გამოცდილი პოლონელი ხალხის მიწა.

ვალერიან თევზაძე

რუსუდან კაშია

## სავაჭრო „ამხანაგობები“ XVIII საუკუნის საქართველოში

XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლისათვის საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან ქართული სავაჭრო „საამხანაგო“ წიგნები.

„ამხანაგობა“ იყო საქმიანი ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად, განსაზღვრული იყო თითოეული ვაჭრის მიერ ამხანაგობაში შეტანილი თანხის ოდენობა.

სავაჭრო ამხანაგობებზე ცნობას გვაწვდის დავით ბაგრატიონი, რომელიც აღნიშნავს, რომ ამხანაგობა დგებოდა საერთო უფლებებისა და პირობების მიხედვით. სავაჭრო ბრუნვა მიმდინარეობდა საერთო კაპიტალით, ხოლო მოგება თანაბარ ნაწილებად იყოფოდა[1]. ეს განმარტება ზოგადი ხასიათისაა. საამხანაგო საბრუნავი თანხა „საერთო კაპიტალი“ იყო, მაგრამ იგი ყოველთვის საქმეში თანაბარი ოდენობით შეტანილ თანხას არ ნიშნავდა.

ქართული დოკუმენტური მასალა გვიჩვენებს საამხანაგო საქმეში შესული პირების აშკარა ქონებრივ სხვაობას. XVIII ს-ის II ნახევრის საბუთები მიუთითებენ ვაჭართა ფენის შიგნით მკვეთრი დიფერენციაციის არსებობაზე. შედარებით შეძლებულ პირს საქმეში (სავაჭრო, ან სხვა მომგებიანი საქმიანი წამოწყება) შეჰქონდა „თავნი“, ძირითად თანხას ის დებდა, ხოლო ვაჭრობას უფრო წვრილი ვაჭარი აწარმოებდა. რაც შეეხება მოგებასა თუ ზიანს, იგი თანაბრად იყოფოდა ამხანაგებს შორის. საქმის ასეთი განაწილება თანხის მფლობელ და საქმის მკეთებელ წვრილ ვაჭარს შორის სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია ამხანაგობის უმაღლეს ფორმად[2].

თბილისის მოქალაქეები, ხშირ შემთხვევაში, საამხანაგოდ იძენდნენ დუქანს, თითოეული „ამხანაგი“ თავისი წილის შესაბამისად იღებდა დუქნის შემოსავალს[3].

XVIII ს-ის დასაწყისის „საამხანაგო“ წიგნების მიხედვით, ამხანაგობის წევრების მიერ თანაბარი ოდენობით ჩანს საქმეში შეტანილი კაპიტალი. ჩვენთვის საინტერესო, 1719 წ. შედგენილი საამხანაგო წიგნი ძალზე დაზიანებულია და არ ირჩევა ამხანაგობაში შესული პირების ვინაობა. საბუთიდან ვიგებთ, რომ სავაჭრო საქმისათვის ამხანაგებს ჰქონდათ „ასი თუმანი“, ოღონდ არ ჩანს, ეს თანხა მათ თანაბარი ოდენობით აქვთ შეტანილი საქმეში, თუ „თავნი“ ერთ-ერთს ეკუთვნის. რაც შეეხება მოგებასა თუ ზიანს, მას თანაბ-

---

1 დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, თბ., 1959, გვ. 258.

2 კ. კუცია, ამქრები XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, თბ., 1984, გვ. 75.

3 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, თბ., 1962, № 155, გვ. 183—184.

რად იყოფენ ამხანაგობის წევრები. საბუთში ვკითხულობთ: „მერმე ბატონის... თორმეტი თუმანი მისაცემსა ვართ... ერთად უნდა მივცეთ...“ აქედნად, ამხანაგობის წევრები სავაჭრო საქმიანობით ემსახურებიან „კახთ ბატონს“ (როგორც ჩანს, ისინი მეფის სამსახურში დგანან). ამავე დროს საბატონო გადასახადი განსაზღვრულია, ხოლო სარგებელი, ვაჭრობიდან მიღებული მოგება ამხანაგებს რჩებათ[4].

საამხანაგო საქმეში შესულ პირებს, როგორც აღვნიშნეთ, იურიდიულად ერთნაირი უფლებები და ამავე დროს, ერთნაირი ვალდებულებებიც აკისრიათ.

„ყოველი ამხანაგობის და პირობის წიგნი, მოვაჭრე ამხანაგთა, ვექილთა და თირკაშიკთა შორის დადებული, აღსრულდებოდა სრულს ძალსა ზედა და ვერა რომელი მხარე ვერ შეიძლებდა ამის დარღვევას და ყოველთვის მოიქცეოდნენ მათ შორის ქმნილის წერილისამებრ“[5].

1733 წლის საბუთით, ამხანაგობის წევრები: ბაამანი, ვერმანოზი და პაპუა პირობას დებენ ერთად დარხსნან ვალის თამასუქი — „სხვა რაც დარჩეს, ზიანიც და სარგებელიც ერთი იყოს“. მოგებაზე, როგორც წესი, ამხანაგებს თანაბარი უფლებები აქვთ[6].

თანაბრად იყოფენ საქმეს ვაჭრები: პავლე, ბერუკა და ბალდასარი. 1752 წლის საბუთის მიხედვით საგარეჯოში ცვლიან ბამბას და ენდროს ყიდულობენ[7].

XVIII ს-ის II ნახევრის საქართველოში შეიმჩნევა ეკონომიკური გამოცოცხლება, ქართლ-კახეთის გაერთიანება, დასავლეთ საქართველოში სოლომონ I-ის ენერგიული პოლიტიკური მოღვაწეობა რამდენადმე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სასაქონლო წარმოებისა და სოციალ-ეკონომიკური წინსვლისათვის. ბაზრის მოთხოვნილება შესამჩნევად იზრდება, შესაბამისად იზრდება მოთხოვნილება ფულზე. ამ საკითხების მკვლევარი ირ. ანთელავა მიუთითებს, რომ საგლეხო ბეგარაში ფულად გადასახადს XVIII ს. II ნახევარში ეჭირა მეორე ადგილი პროდუქტადი გადასახადის შემდეგ. ამავე დროს განვითარების ტენდენცია ფულადი რენტის სასარგებლოდ იხრებოდა[8].

XVIII ს-ის II ნახევრის „ამხანაგობების“ შიგნით აშკარად გამოხატულია კონკრეტული დიფერენციაცია „თავნის“ მფლობელ საქმოსანსა და მასზე დამოკიდებულ, საქმის მკეთებელ პირს შორის. ძირითადი თანხის — მთავნის მფლობელი მოქალაქე საქმეში მხოლოდ ფულს აბანდებს, იგი ადგილზე (ტფილისში, გორში, ქუთაისში და ა. შ.) იმყოფება, ხოლო სავაჭრო ოპერაციას აწარმოებს პირი, რომელსაც ამხანაგობაში გაცილებით ნაკლები (თითქმის ნახევარი) თანხა შეაქვს და თავისი შრომით ანაზღაურებს თანხის მეორე ნახევარს. ამ ფაქტზე მეტყველებს 1794 წ. დადებული საამხანაგო წიგ-

---

4 საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი (ქვემოთ ხელნაწერთა ინსტ.) Hd 15064.

5 „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებული სჯულნი“ (1810—15 წწ.). ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ. 1965, № 163, გვ. 566.

6 ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ., 1985, № 906, გვ. 889.

7 ხელნაწერთა ინსტ., Hd—172.

8 იხ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XVIII ს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბაზრის საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 141.

ნი, რომელიც გვამცნობს, რომ თბილისელი მოქალაქე ალექსასშვილი არუთინა შეამხანაგებია ოქრომჭედელ დავითისშვილ მელქოას, აუღია მისგან „ას სამოცი თუმანი ქალაქის თეთრი... ოთხმოცი თუმანიც მე მოვიტანე", — წერს არუთინა, — „ამ შენი ოთხმოცი თუმნის მაგიერ ჩემი ოთხმოცი თუმანი და ოთხმოცი თუმნის მაგიერ ჩემი ჯანი. რაც ღმთმა მოგვცა მამცეს, ნახევარი შენ შენის სათავნოთი და ნახევარი მე ჩემი სათავნოთი". ამდენად, როგორც საბუთის მიხედვით ირკვევა, ძირითადი საბრუნავი „თავნ-" მოგებასთან ერთად უბრუნდება მის მფლობელს; ზარალსაც, შესაბამისად თანაბრად იყოფენ ამხანაგობის წევრები[9].

სხვა შემთხვევაში კი (1795 წ.) მელქო დავითაშვილი იღებს „სათავნო" თანხას — 1600 მანეთს ქარტაშიშვილისაგან, თვითონ დებს თანხის ნახევარს — 800 მან. და სამაგიეროდ „თავნის" მფლობელს თავის შრომას თავაზობს[10].

ფულზე მოთხოვნილების ზრდამ გარკვეული გავლენა იქონია თავადაზნაურთა კლასზე. ზოგი მათგანი აქტიურად ჩაება განსახილველი ხანის ეკონომიკურ ცხოვრებაში. სავაჭრო საქმიანობა მათთვის მომგებიანი და შემოსავლის მომტანი საქმე გახდა. ამხანაგდებიან სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომი პირები.

XVIII ს-ის II ნახ. ქართლ-კახეთის ფულად-სასაქონლო წარმოების პროცესში მონაწილეობენ თუმანიშვილთა გვარის წარმომადგენლები: მდივანი გორჯასპი თუმანიშვილი და მისი შვილები. ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესოა 1756 წ. თამასუქი, მიცემული ასატურაშვილ პოლოსას მიერ გორჯასპი მდივნისადმი. საბუთის თანახმად, ალელი ვაჭარი, — ასატურაშვილი პოლოსა გორჯასპი თუმანიშვილისაგან იღებს „ერთ თუმან ახალ თეთრს" სავაჭრო საქმეში დასაბანდებლად, „ამა პირობით, რომ ეს თეთრი თავნათ დავიჭირო და აღებ-მიცემაში ვამუშაო". ამდენად, როგორც საბუთის ანალიზიდან ირკვევა, „თავნის" მფლობელ გორჯასპი თუმანიშვილთან შეამხანაგებული ასატურასშვილი პოლოსა უშუალოდ ვაჭრობს, რაც შეეხება მოგებასა თუ ზიანს, იგი თანაბრად ნაწილდება[11].

XVIII ს-ის II ნახევრის ეკონომიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა გორჯასპი თუმანიშვილის შვილები: ლაშქარნივისის სახელოს მფლობელი მანუჩარ თუმანიშვილი და მისი ძმა სულხან მდივანი. ძმებ თუმანიშვილებთან დაკავშირებულ მსხვილ ვაჭრებს შ. მესხია „სავაჭრო აგენტებს" უწოდებს[12].

სავაჭრო საქმიანობაში დიდგვაროვანთა მონაწილეობაზე მიუთითებს 1787 წლის საბუთი, რომლის თანახმად მირიმანაანთ ავთანდილა და მისი ძმისწული სტეფანა შეამხანაგებულან დარეჯან დედოფლის ამილახვართან, ოსეფა ყორღანაშვილთან, ძირითადი თანხა ამ უკანასკნელს ეკუთვნის. საბუთში ვკითხულობთ: „შენგან სამთავნო ავიღევით, ხუთასი თუმანი ქალაქის ზარაფხანის სირმა აბაზი..., ეს ... სარმია ჩვენ უნდა ჩვენს ხელში ვასაქმოთ და ბედ-

---

9 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (ქვემოთ: სცსსა), 1450, 23—30.

10 Пурцеладзе Д., Грузинские крестьянские грамоты. Тб., 1882, გვ. 61.

11 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, თბ., 1953, № 61, გვ. 40.

12 Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 139.

ნიერს დედოფალს რაც საქონელი მოუნდეს, ჩვენ უნდა ვემსახუროთ“. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ვაჭრები ამილახვრის მეშვეობით უშუალოდ დედოფალს უკავშირდებიან (თავიანთი სავაჭრო საქმიანობით უწევენ სამსახურს): მოგება იყოფა თანაბრად, ამილახვარსა და თბილისელ ვაჭრებს შორის, ამავე დროს, ჩვეულებისამებრ, ამხანაგობაში შეტანილი „თავნი“ სუფთა მოგებასთან ერთად უბრუნდება ოსეფა ყორღანაშვილს: „მოგება რაც ღვთის მოცემით იყოს, ნახევარი... შენის ხუთასის თუმნის სარმაიო შენ, მილახვარმა ოსეფამ უნდა აიღო, ნახევარი მოგება ჩვენ ავთანდილამ და სტეფანამ უნდა ავიღოთ და ჩვენში წორეთ უნდა გავიყოთ... ზიანი და ჯუქამიც მოგების კვალათ უნდა გავიყოთ“... ვკითხულობთ საბუთში[13]. XVIII ს-ის II ნახევარსა და XIX ს-ის ათწლეულის დასავლურ ქართულ დოკუმენტებში გვხვდება ანალოგიური ხასიათის „საამხანაგო“ წიგნები.

„ამხანაგობები“ დგება მსხვილ ვაჭარსა და საქმის მკეთებელ, უშუალო მოვაჭრე მოქალაქეს შორის. ძირითადი თანხის „თავნის“ მფლობელი პირი ქუთაისში იმყოფება და მონაწილეობას არ იღებს სავაჭრო ოპერაციაში. იგი საქმეში მხოლოდ ფულს აბანდებს. ვაჭრობიდან მიღებულ მოგებასა თუ ზიანზე ამხანაგობის წევრები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

ამ ფაქტზე მეტყველებს ქუთაისის მუზეუმში დაცული რამდენიმე „საამხანაგო“ წიგნი: 1807 წელს შემდგარა ამხანაგობა ქუთაისელ ვაჭრებს. ნიკოლოზ ქორქაშვილსა და გუარაშვილ პეტროზას შორის. „სარმია“ ანუ მთავნი „ათას ხუთასი ყურუში“ ნიკ. ქორქაშვილს ეკუთვნის, გუარაშვილ პეტროზას ამხანაგობაში შეაქვს - „ხუთასი ყურუში“ და საქონელიც სავაჭროდ მას მიაქვს — „ამ თეთრით მე პეტროზამ უნდა ვიმგზავრო სიმართლით და სიმართლით გავისარჯო... რაც ღმერთმა მოგება მომცეს, ნახევარი ნიკოლოზისია და ნახევარი ჩემი“[14], ვკითხულობთ საბუთში.

ანალოგიური შინაარსისაა იმავე, 1807 წ. დადებული „აფხანაკობის“ წიგნი ჩიკვაშვილ ისხაკასა და ქორქაშვილ ნიკოლოზს შორის. ამ უკანასკნელს ეკუთვნის სავაჭრო საქმეში დაბანდებული თანხის დიდი ნაწილი — ცხრაას ორმოცი ყურუში“, ვაჭრობის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, მოგების ნახევართან ერთად. მასვე რჩება საქმეში შეტანილი მთავნი — „მოგება საზიაროდ და მთავნი შენი არის... რასაც მოიყვანს ღმერთი, სულყველა ორივესი არის“[15]...

თანხის მფლობელ და მოვაჭრე წვრილ ვაჭარს შორის საქმის ასეთ განაწილებაზე მეტყველებს 1809 წლის საბუთი, ამხანაგობაში შეტანილი თავნი „ხუთი ქისა ოსმალოს თეთრი“ ნ. ქორქაშვილს ეკუთვნის, ხოლო მასთან შეამხანაგებული ნალბანდიანთ ოსეფას ძე სტეფანა საქმეში აბანდებს — ერთ ქისა თეთრს და სავაჭროდ საქონელი მას მიაქვს. ზიანი და სარგებელი ამ შემთხვევაშიც თანაბრად იყოფა[16].

როგორც მოტანილი მასალა გვიჩვენებს, დასავლეთ საქართველოს ამხანაგობაში ხშირად მეორდება ქუთაისელი აზნაურის ნიკოლოზ ქორქაშვილის

---

13 სცსსა, 1450, 24—60.

14 ქუთაისის მუზეუმი — № 1933, საისტორიო კრებული, I, 1920, გვ. 115.

15 ქუთ. მუზ., № 1621, საისტორიო კრებული, I, გვ. 115.

16 ქუთ. მუზ., № 1922, გვ. 116.

სახელი. ამხანაგობაში შეტანილი ძირითადი საბრუნავი თანხა ყოველთვის მას ეკუთვნის.

ქორქაშვილთა საგვარეულო წევრები სამეფო აზნაურების — „ფიცისკაცთა"[17] წრეს ეკუთვნოდნენ ქუთაისის მუზეუმის ერთ-ერთი საბუთით ჩანს, რომ ნიკოლოზს იმერეთის მეფე სოლომონ II-თან ნათლიობა აკავშირებდა[18].

ამდენად, განხილული მასალა ნათელყოფს, რომ როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში თავადაზნაურობის ზოგიერთი წარმომადგენელი აქტიურად ებმებოდა ქვეყნის სასაქონლო-ფულადი წარმოების პროცესში და უშუალო მონაწილეობას იღებდა სავაჭრო ოპერაციებში.

ქართული სავაჭრო ამხანაგობების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან სავალო თამასუქები. სავაჭრო კაპიტალი, განსაკუთრებით თავისი განვითარების პირველ ეტაპზე, როგორც ცნობილია, მჭიდროდ უკავშირდებოდა სავახშო კაპიტალს. ვაჭარი ხშირად მთლიანად იყო დამოკიდებული მდიდარ მევახშეზე. ქართული ისტორიული დოკუმენტები ცნობებს გვაწვდიან იმის შესახებ, რომ სავაჭრო ამხანაგობების წევრები საქმის დაწყებისას ხშირ შემთხვევაში იღებდნენ კრედიტს ან სხვა ამხანაგობის წევრებისაგან ან ვინმე მევახშისაგან. კაპიტალის დაგროვების პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელია სარგებლის დიდი ნორმის დაწესება.

დასტურად მოგვყავს 1800 წ. თამასუქი, რომლის თანახმად „ორმა ამხანაგებმა" ფირალანთ ნიკომ და უდელებიანთ ნიკომ აიღო ვალი ასევე „ორი ამხანაგისაგან": ფირალანთ მელქოასა და გრიგორაშვილ სტეფანასაგან — 1480 ყურუში ოსმალუს თეთრი... ერთი თვის ვადით"[19].

დოკუმენტური მასალა გვამცნობს, რომ სავაჭრო ხელშეკრულებით ზოგჯერ ერთმანეთს უკავშირდებოდნენ სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ვაჭრები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1781 წ. თამასუქი, რომლის თანახმად მოზდოკში მოვაჭრე ქართველს და მის ამხანაგს, ყაბარდოელ უზდენს აუღიათ ვალი მოზდოკში მცხოვრები სომეხი ვაჭრისაგან 660 მანეთის ოდენობით. ვაჭრები იმედოვნებენ, გაყიდული საქონლიდან მიღებული მოგებით გადაიხადონ ვალი[20].

XVIII ს-ის II ნახევრითაა დათარიღებული საბუთი, რომლის თანახმად ორი იმერელი „ამხანაგი", სავაჭრო საქმის დასაწყებად, იღებს ვალს შეძლებული მოქალაქის — მუსტაფა ბარბაქაძისაგან[21].

ამხანაგობის წევრები საქმიანი წამოწყების დროს ხშირად იღებდნენ ვალს მევახშეებისაგან.

XVIII ს-ის II ნახევრის დოკუმენტების განხილვა გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ არა ერთი ამხანაგობა იყო კრედიტით დაკავშირებული ამ პერიოდის ისეთ ცნობილ მევახშეებთან, როგორებიც იყვნენ მანუჩარ და სულხან თუმანიშვილები.

---

17 საქ. ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 589.

18 ქუთ. მუზ. № 116.

19 დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქ. ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 125–126, № 134.

20 Гамрекели В., Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии, т., 1980, № 20, გვ. 55.

21 მსეი, II, № 220, გვ. 159.

ამ ფაქტს გვიდასტურებს 1788 წ. თამასუქი, რომლითაც ორმა ამხანაგმა, რევაზამ და ბეჟანამ აიღეს მანუჩარ მდივნისაგან „თორმეტი თუმანი“. როგორც საბუთის მინაწერი გვაუწყებს, ერევანში ვაჭრობის წარმატებით ჩატარების შემდეგ, ამხანაგობის წევრებმა შეძლეს ვალის გადახდა[22].

1798 წლის საბუთით, მანუჩარ თუმანიშვილისაგან უსესხებიათ საიჯარო თანხა ამხანაგებს: ჩარჩიშვილ შაქარას და ალაპაპაშვილ პაპას, რომელთაც, როგორც საბუთი გვამცნობს, „გორის იჯარა საამხანაგოთ სჭეროდათ. ამ იჯარისთვის თეთრი დასჭირვებიათ. მანუჩარ მდივანს ესესხებინა სიით“, და რადგან ამხანაგებს დაკარგული ჰქონდათ თამასუქები, მათ საქმეს სამართალი არჩევდა[23].

ამრიგად, XVIII ს-ის II ნახევრის ქართული სავაჭრო „ამხანაგობები“ საამხანაგო საქმეში შესულ პირთა მკვეთრი ქონებრივი სხვაობის მაჩვენებელია, რაც მომავალში ქმნიდა მოსალოდნელი სოციალური ცვლილებების საფუძველს.

„საამხანაგო“ საბუთები საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან XVIII ს-ის ქართული სამეფოების საგარეო ვაჭრობის შესახებ. მათში მოცემულია ძირითადად ის გეოგრაფიული არეალი, სადაც ქართველ ვაჭრებს განსახილველ პერიოდში უხდებოდათ ვაჭრობა.

აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები საუკუნის დასაწყისში ძირითადად ირანთან და თურქეთთან ვაჭრობდნენ. XVIII ს-ის II ნახევრიდან ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჩანს რუსეთის ქალაქებთან. ქართველ ვაჭრებს საქონელი გაჰქონდათ მოზდოკში, ასტრახანსა და მაკარიევოს ცნობილ ბაზრობაზე.

ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საყურადღებოა 1784 წ. დაწერილი მიმართვა კავკასიის საქმეთა გამგებელ პ. პოტიომკინისადმი; მოზდოკში მოვაჭრე თბილისელი ვაჭრები სავაჭრო საქმის განხორციელების მიზნით ითხოვენ პასპორტის მიღებას თბილისში დასაბრუნებლად[24].

ანალოგიური შინაარსისაა ოთხი თბილისელი ვაჭრის მიერ იმავე წელს დაწერილი მიმართვა პ. პოტიომკინისადმი[25].

ამ პერიოდის ამხანაგობა ძირითადად დგებოდა საქონლის ერთობლივად გატანის მიზნით.

საბუთების მიხედვით, ქართველ ვაჭრებს ხშირად მეტად საშიშ პირობებში უხდებოდათ სავაჭრო ოპერაციის წარმოება. კავკასიის მთიელთა მხრიდან ხშირი იყო მძარცველური თავდასხმები[26].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეფოს გარეთ საქონელი სავაჭროდ ხშირ შემთხვევაში წვრილ ვაჭარს გაჰქონდა; მიუხედავად იმისა, რომ „ამხანაგობა“ თანაბარ უფლებებს გულისხმობს, ვაჭარი ხშირად, ეკონომიკურად მთლიანად დამოკიდებული იყო ძირითადი შესატანი თანხის — „თავნის“ მფლობელზე. ამ ფაქტის დასტურად მოგვყავს 1779 წელს შედგენილი საამხანაგო წიგნი: ვაჭარი ზურაბა, რომელსაც გააქვს საქონელი სამეფოს ფარგლებს გა-

---

22 დ. უჩანეიშვილი, დოკ. საქ. ეკ. ისტ., № 95, გვ. 95—96.
23 იქვე, № 123, გვ. 116—117.
24 Гамрекели В., Межкавказские политические..., № 99, გვ 197—198.
25 იქვე, გვ. 153, № 67.
26 Гамрекели В., Межкавказские политические..., № 29, გვ. 69—72.

რეთ (ცერძოდ სად — ეს საბუთიდან არ ჩანს), აძლევს პირობას თავის კომპანიონს — სტეფანას (რომელსაც საქმეში დაბანდებული აქვს სამოცი თუმანი) „საითაც ხეირათსა ნახავ და მირჩევ, იქით უნდა წავიდე, უშენ მასლაათოთ ურდუნა არა მაქვს, რომ სადმე წავიდე. რამდენი ხანი ჩემ ხელში ვასაქმო, რაც ღთმა მოგვცეს, მოგება ნახევარი შენი სამოცი თუმანი სარმით, შენ ბატონი სტეფანასია და ნახევარი მოგება მე ჯაფისბასია[27]... გვამცნობს საბუთი.

XVIII ს-ის II ნახევარში რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებას ხელი შეუწყო 1750 წ. ე. წ. „ოსეთის გზის" გახსნამ. რამაც რამდენადმე გამოაცოცხლა ამ რეგიონში მდებარე პუნქტები: ანანური, დუშეთი და ა. შ. (დუშეთი 80-იან წლებში მეფე ერეკლეს ბრძანებით ქალაქად გამოცხადდა)[28]. ამ ფაქტმა თავისი ასახვა პოვა „საამხანაგო" წიგნებში. ამ პერიოდის საბუთში ვხედავთ დუშელ ვაჭარს. 1783 წ. დაიდო საამხანაგო წიგნი „თბილისის მოქალაქე". ტერ-ასატურაშვილ არაქელასა და „დუშეთის მოსახლე" აზიზასშვილ აკოფას შორის: თბილისელ ვაჭარს საქმეში დაბანდებული აქვს 75 თუმანი, ხოლო აზიზასშვილ აკოფას — 50 თუმანი და საქონელიც მოზდოკში სავაჭროდ მას მიაქვს[29].

ამხანაგობის წევრებს შორის ზუსტი ანგარიშით ხდებოდა ვაჭრობის პროცესში დახარჯული თანხისა თუ გაყიდული საქონლის აღნუსხვა. 1789 წელს შემდგარ საამხანაგო წიგნში მოცემულია თითოეული ამხანაგის, ვაჭრების: დავითისა და იოსების მიერ სავაჭრო ოპერაციის დროს დახარჯული პირადი თანხის, ცხენის ფასისა თუ აღებული ვალის ანგარიში და ასეთი კონტროლის საფუძველზე იანგარიშება თითოეული ამხანაგის დანახარჯიცა და სარგებელიც[30].

ასევე ზუსტი საამხანაგო ანგარიშითაა შედგენილი 1797 წლის საბუთი, დადებული ბუყოანთ გიქუას მიერ ნაზარბეგისშვილ გიორგისადმი. ვაჭარი გიქუა თავის ამხანაგს აძლევს პირობას, რომ საქონელს ნისიად არ გასცემს, საბუთში ვკითხულობთ: „ჩვენი მეზობლების ხათრი ჯამის ბაზაზის გარდა არავის მივცე ნისიად, არც საქონელი და არც თეთრი. თუ მივსცე ვისმე... ჩემს სამთავნოში მიანგარიშო..." დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ თავნის მფლობელ ნაზარბეგისშვილ გიორგის საქმეში დაბანდებული აქვს 80 თუმანი, ხოლო საქონელი ერევანში სავაჭროდ გააქვს გიქუას (მას საქმეში შეტანილი აქვს თანხის ნახევარი — 40 თუმანი)[31].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავადაზნაურთა კლასის ზოგიერთი წარმომადგენელი ჩაბმული იყო XVIII ს-ის საქართველოს აღებ-მიცემობაში. აღვნიშნეთ ასევე, ძმები თუმანიშვილების სავაჭრო-სავახშო საქმიანობა და მათი ხვედრითი წონა ფულად-სასაქონლო მიმოქცევის პროცესში. მანუჩარ თუმანიშვილთან შეამხანაგებული ვაჭრები XVIII ს-ის II ნახევარში სხვადასხვა ქალაქში (ერევანი, ბაქო, მოზდოკი, ბაიაზეთი, ასტრახანი) ეწეოდნენ სავაჭრო საქმიანობას.

ასტრახანში ვაჭრობდნენ მანუჩარ თუმანიშვილის მიერ წარგზავნილი

---

27 სცსსა, 1450, 18—21.
28 საქ. ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 541.
29 ქართ. სამ. ძეგლები, VIII, № 930, გვ. 911—912.
30 ხელნაწერთა ინსტ., Qd—1454.
31 სცსსა, 1450, 40—42.

ვაჭრები: გასპარ ნასყიდას ძე ბაღდადოვი[32] და სტეფან ასლანოვი[33]. ჩვენთვის საინტერესო მასალას შეიცავს ასევე მანუჩარ თუმანიშვილის „სავაჭრო-აგენტის"[34] სტეფან ტერ-შამავანოვის წერილები. საბუთების გამომცემელი, ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ მანუჩარი ამ დროს გორში იმყოფება, ხოლო ტერ-შამანოვი თბილისიდან წერს მას წერილებს, რომლებითაც აწვდის ცნობებს ამიერკავკასიის ქალაქებში მოვაჭრე ვაჭართა საქმიანობის შესახებ[35].

მოტანილი მასალა ნათელყოფს, რომ XVIII ს-ის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფო ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული ამიერკავკასიის ქვეყნებთან, ირანთან და ჩრდ. კავკასიაში არსებულ რუსეთის ქალაქებთან.

ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაძლევს 1794 წ.: დაწერილი წერილი მანუჩარ თუმანიშვილისა მერაბ-ალასაღმი.

საბუთის თანახმად, ქართველი ვაჭრების სავაჭრო საქმიანობის არე კავკასიის ქალაქებთან ერთად, თურქეთსა და ასტრახანის მხარეს მოიცავს: „კაკალა რომ აშტრახანიდამ ამდგარა ბაქუს წასასვლელად, აშტრახანიდამ.. სამოცდათორმეტი თუმანი ვალი გაჰყოლია და პირობა ასე მიუცია, რომ ბაქოდამ გამოგიგზავნიო. თავისის ანგარიშით ბაქუს ამდენი ასალები ჰქონია და იმის ასაღებათ წასულა.. სარუბეგანას.., ბუხარის ტყავი ჰქონია... იქ [ასტრახანს] ვერ გაუყიდნია. ისევ საჩქაროდ ამდგარა და წასულა სტამბოლს... ჩვენი აბელა წამოვიდა თავრიზს წასასვლელად. იმას ზოგიერთი რამ დავაბარე, რომ უნდა მიყიდოს"[36] — ვკითხულობთ საბუთში.

XVIII ს-ის II ნახევრის ორი საბუთი გვამცნობს, რომ თბილისელი ვაჭრის — ხალაკოანთ კარაპეტას სამოქმედო არე ძირითადად ქ. ბასრა (სირია) ყოფილა.

1760 წლის პირობის წიგნის თანახმად, კარაპეტამ უნდა აიღოს იოანე მდივანბეგის მოვალის რუსიშვილისაგან თანხა და სავაჭრო საქმეში გამოიყენოს: „რაც თავნიდან ოთხი წილი შენ, მდივანბეგმა უნდა აიღო და სარგებლისა ორი წილი შენია და ერთი წილი მე, კარაპეტამ უნდა ავიღო. რომელსაც ამ საქონელზედ ხარჯი, ქირა ან ბაჯი გავიდეს, სულ შვადამ უნდა ადგეს და დაიხარჯოს"[37] ვკითხულობთ საბუთში.

1782 წ. მინდობილობის წიგნით კარაპეტა კვლავ ქ. ბასრაში მიემგზავრება, თბილისელი მოქალაქის ავთანდილას შვილ ბეჟანას მიერ დაწყებული სავაჭრო საქმეების გასაგრძელებლად[38].

ქართველ ვაჭართა საგარეო-სავაჭრო საქმიანობის გასაცნობად ყურადღებას იპყრობს 1797 წ. საამხანაგო წიგნი. რომლითაც უსტიანესშვილი ნაზარა უამხანაგდება ორ ძმას, მდივნებს ავეტიქასა და იოანეს. საბუთი გვამცნობს. რომ ძმებს აღრე შემახიაში გაუგზავნიათ — „შვილი ურემ ნახევარი

---

32 ხელნაწერთა ინს-ტ., Hd—7660.

33 მსუ, II № 388, გვ. 282—6.

34 Ш. Месхия. დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

35 მსუ, II, № 393, № 395, № 396.

36 დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქ. ეკონომიკური ისტორიისათვის, № 113, გვ. 107—8.

37 მსუ, II, № 378, გვ. 278.

38 Пуцеладзе Д. დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

სპილენძი“, საფიქრებელია, რომ ავეტიქასა და იოანეს იჯარით ჰქონდათ აღებული სპილენძის მადნის წარმოება; მათი სპილენძი შემახიაში წაუღია ოქროზე ან აბრეშუმზე გადასაცვლელად ვინმე ზაქარიას; ჩვენთვის საინტერესო საბუთის მიხედვით უსტიანესშვილი ნაზარა მიემგზავრება შემახიაში სავაჭროდ და ზაქარიასთან შესახვედრად. საბუთში ვკითხულობთ: „შამახიას... ზაქარიასთან ბათმანი [სპილენძი] არის [დარჩენილი]... ამის მისვლის — მოსვლის წიგნი რომ ზაქარიას თითონ მიბარებია, ისიც მე გამატანეთ, რომ ამ მოკითხვის წიგნის ძალით იმის ანგარიში უნდა გამოვართვა, თუ ისევ სპილენძი იყოს, როგორც ხეირათი ენახო, გავყიდო, შარბაზი[39] თუ ვაზი[40] აბრეშუმი ვიყიდო. თუ სპილენძი გასყიდული იყოს და ბაჯაღლუ ან სხვა თეთრი იყო, ის გამოვართო და აბრეშუმი ვიყიდო“. რაც შეეხება საამხანაგო წესებს, საბუთის მიხედვით გასაყიდი სპილენძიცა და „სარმიაც“ (მთავნი) ავეტიქასა და იოანეს კუთვნილებას წარმოადგენენ, ხოლო უსტიანესშვილი ნაზარა მათზე დაქვემდებარებული პირია და უშუალოდ სავაჭრო ოპერაციასაც იგი ატარებს. საამხანაგო წესების შესაბამისად გაიყოფა შემდეგ გაყიდული აბრეშუმიდან მიღებული მოგება. საბუთში ვკითხულობთ: „თუ არც სპილენძი იყოს, არც ოქრო და არც ვერცხლი და აბრეშუმი ეყიდნოს, ეს აბრეშუმი ორი წილი თქვენს ორს ძმათ მოგცეთ თქვენის სარმიით და ერთი წილი მე ნაზარამ ავიღო უსარმიოთ. ღმერთმა ჯუქამი[41] გვაშოროს, ისიც მოგების კვალათ უნდა გავიყოთ“. ამავე დროს, უსტიანესშვილი ნაზარა უთანხმდება ამხანაგებს საქონლის გაყიდვის შემთხვევაში მაკარიევოს ბაზრობაზე გასამგზავრებლად: „მაგრამ იქნება რომ ხელდახელ გაიყიდოს [აბრეშუმი] და მაკარიას მოვასწრობდე, ამისა ურდუნო მქონდეს, რომ მაკარიას წავიდე და უთქვენოთ სხვა თარდუ... არ უნდა მოვინდომო“[42] — ვკითხულობთ საბუთში.

იგივე ვაჭარი — უსტიანესშვილი ნაზარა, გვხვდება მოგვიანებით 1801 წლის საამხანაგო წიგნში. საბუთის მიხედვით არ ჩანს თუ ვის უამხანაგდება, ამ შემთხვევაში, ნაზარა; დოკუმენტი წარმოადგენს საამხანაგო ანგარიშს. საბუთიდან ვიგებთ, რომ უსტიანესშვილი ნაზირას შემახიაში ვაჭრობა მომგებიანად დასრულებულა: „შამახიას რაც ნაზარას მიჰბარებია და აღარხანს გაუყიდია, ხარჯის ქირას გარდა დამდგარა ოქრო (უით)“. ამდენად, მას თავისი საქონელი ოქროდ უქცევია, შემდეგ საბუთს აგრძელებს ნაზარასთან შეამხანაგებული ვაჭრის (მისი ვინაობა, როგორც აღვნიშნეთ, არ ირკვევა, იგი პირველ პირში წერს) მიერ მოზდოკსა და მაკარიევოში წარმოებული სავაჭრო საქმიანობის გრძელი ანგარიშები, ჩამოთვლილია ასევე ის პირები, რომლებთანაც მას დაუდევს სავაჭრო ხელშეკრულება და „თავნის“ სახით აუღია მათგან განსხვავებული ოდენობის თანხები[43].

ჩვენთვის ეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში შემდგარი დავთარი, რომელიც გვაცნობს გორელი ვაჭრების ჯულაბაშვილების რამდენიმე თაობის საქმიანობას.

დავთრის მიხედვით, გორელი ჯულაბაშვილების „სამოქმედო არე საკ-

39 შარბაზი — თხელი ძვირფასი ქსოვილი (სარსული).
40 ვაზი — ფასდაკლებით (სპ.)
41 ჯუქამი — სიშიშროება (სპ.)
42 სცსსა 1448 —5315, სცსსა. 1450. 14—147.
43 სცსსა, 1450, 14—148, სცსსა 1450. 24—1.

მაოდ ფართო ჩანს. ისინი ალებ-მიცემობას აწარმოებდნენ ირანში: ისფაჰანი, თავრიზი, გელანი, მაშათი (მეშჰედი), რეშთი, მთელს კავკასიაში: შემახა, დარუბანდი, ყიზლარი, თურქეთში: სტამბოლი, რუსეთში: ასტრახანი“[44].

„ჯულაბაშვილები ხშირად სავაჭრო ოპერაციებს „ფსონებთან“ და „ამხანაგებთან“ ერთად ატარებენ. მაგ., თუ პაპუნა ჯულაბაშვილი, ერთის მხრივ, თავრიზში „ფსონად“ არის ხოჯაბეგთ დათუნასთან, მეორეს მხრივ, იგი „ქალაქს“ ხოჯაბეგთ დათუნასშვილ იარალისთან საქონელს გზავნის სარეალიზაციოდ. სხვა შემთხვევაში კი თვითონ პაპუნას მიაქვს სხვისი (რომელიმე „ფსონისა“ ან „ამხანაგის“) საქონელი გასასაღებლად და ა. შ.“[45]

საყურადღებო მასალას შეიცავენ ასევე XIX ს-ის დასაწყ-ში ბალდასარ და გოგია ჯულაბაშვილების საქმიანი-სავაჭრო წერილები მანუჩარ თუმანიშვილისადმი[46].

დასავლეთი საქართველო, განსახილველ ხანაში ვაჭრობით ძირითადად კვლავ ოსმალეთთან იყო დაკავშირებული. ამხანაგობები დგებოდა სტამბოლში საქონლის სავაჭროდ გატანის მიზნით. 1807 წლის საამხანაგო წიგნში (ხიკ. ქორქაშვილსა და ნალბანდიანთ ოსეფას ძე სტეფანას შორის) ვკითხულობთ: „ექვსი ქისა.... თეთრი სტამბოლს მიმაქვს, ღმერთმან გვაშოროს ზიანი. ზიანი თუ სარგებელი ორივესია“[47].

XVIII ს-ის II ნახევარში იმერელი ვაჭრები ჩანან სავაჭრო საქონლით ასტრახანსა და მოზდოკში, რასაც გვიდასტურებს 1780 წ. მოზდოკის კანცელარიის უწყისი[48].

განხილული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საამხანაგო ხელშეკრულების დადება ითვალისწინებდა ასევე საამხანაგო წესებისა და ვალდებულებების დაცვას. დ. ბაგრატიონი მიუთითებს, რომ ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის მიერ პირობების დარღვევის შემთხვევაში მასთან შეამხანაგებულ პირს უფლება ჰქონდა ქალაქის მმართველი მოხელეებისათვის მიემართა[49].

1801 წლის დოკუმენტით ირკვევა, რომ თბილისის მოქალაქე მელქოა შეამხანაგებია ქარტაშიშვილ არუთინას, ამ უკანასკნელს ეკუთვნის „სათავნო“ თანხა: „არუთინასთან ამხანაგათ ვიყავი, — ვკითხულობთ საბუთში, — გარეთ ალებ-მიცემაში ერთხელ წაველ თავრიზს, რაც საქონელი მოვიტანე, საამხანაგოდ იმ ჩემის დაგდებულის თანხიდან ზოგიერთი მამცა, ხარჯი ქირისათვის რაც დარჩა, ქალაქის წახდენაში დამეკარგა“. მელქოა უჩივის თავის ამხანაგს თბილისის მელიქ დარჩიასთან და მოითხოვს თავისი წილი „საქონლის თეთრის“ დაბრუნებას[50].

ამგვარად, ქართულ „საამხანაგო“ წიგნებში ნათლად ასახა XVIII ს-ის

---

44 ლ. მეგრელიძე, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (ჯულაბაშვილების დავთარი), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ., 35, თბ., 1963, გვ. 209.

45 იქვე.

46 ლ. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

47 ქუთ. მუზ. № 1922, სასტორიო კრებული, I, — გვ. 116.

48 Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в. Тб., 1968, გვ. 218.

49 დ. ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 258.

50 სცსსა, 1450, 25—49.

II ნახევარში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა მეზობელ სამეფოებთან, საქონელბრუნვისა და საგარეო-სავაჭრო მიმოქცევის გამოცდილება.

„საამხანაგო“ წიგნების განხილვის შედეგად ისმება შემდეგი საინტერესო კითხვა: რა იყო ამ პერიოდში ვაჭრობის საგანი? ძირითადად რომელი საქონელი გაჰქონდათ სამეფოდან სავაჭროდ?

საამხანაგო წიგნები ამ მხრივ ძუნწ ცნობას გვაძლევენ. 1752 წ. პირობის წიგნში საუბარია ბამბის გაცვლასა და ენდროს შესყიდვაზე[51]. ენდრო იმთავითვე აღმ. საქართველოს ექსპორტის საგანი იყო[52]. XVIII ს-შიც ენდროზე მოთხოვნილება დიდია.

ამ პერიოდის ქართული ექსპორტის გასაცნობად მეტად საყურადღებო მასალას შეიცავს 1783 წ. საბუთი. თბილისელი ვაჭარი ავეტიქ შაკაროვი ჩივის პ. პოტიომკინთან, რომ ყაბარდოელებმა გაძარცვეს და დახოცეს თბილისელი ვაჭრები: მისი ძმა სტეფანე შაკაროვი თავის ამხანაგებთან ერთად. ავეტიქ შაკაროვი ითხოვს დახმარებას წართმეული საქონლის დასაბრუნებლად; საბუთს თან ახლავს სავაჭრო საქონლის ნუსხა, ჩამოთვლილია სხვადასხვა დანიშნულების ნივთები—იარაღები: მოვერცხლილი ხანჯლები, ორი ხმალი, ორი მოვერცხლილი დამბაჩა, თოფები, აღმოსავლური მოხმარების საგნები (ჩადრები, 24 ფუნტი ხნა და ა. შ.) ძვირფასი თვლებით შემკული ზარდახშა (ფასი 100 მან.) ძვირფას თვლიანი ბეჭდები (ფასი 280 მან.). ჩამოთვლილია საქონლის სიაში სხვადასხვაგვარი აბრეშუმი და აბრეშუმისაგან ნაკერი ტანსაცმელი (შარვლები, სარტყელი, გადასაფარებლები და ა. შ.)[53].

„როგორც ნუსხიდან ჩანს, თბილისელი ვაჭრები ჩრდ. კავკასიასა და რუსეთის ქალაქებში გასაყიდად ეზიდებოდნენ როგორც ადგილობრივ, ასევე სპარსულ, ინდურ და შემახურ საქონელს“[54].

როგორც ცნობილია, აბრეშუმი XVI—XVII სს-ში ქართული ექსპორტის ძირითად საგანს წარმოადგენდა[55]. ქართული აბრეშუმი მაღალხარისხოვნებით გამოირჩეოდა. რასაც მეტყველებს ის ფაქტი, რომ აბრეშუმის წარმოებით განთქმული ირანი XVII ს-ში საქართველოსაგან ხარკს აბრეშუმის სახით იღებდა.

როგორც ირკვევა, ქართული აბრეშუმი XVIII ს-ის ცხოველი მიმოქცევის საგანი იყო. 1760 წ. მაქსიმე ქუთათელის გადმოცემით დასავლეთ საქართველოში აბრეშუმი, ბამბა და სელი მოჰყავდათ იმდენი, რომ ვაჭრებს სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ გასაყიდად[56].

---

[51] ხელნაწერთა ინსტ., Ad—172.

[52] Ш. Месхиа, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[53] Гамрекели В., Межкавказские политические ..., № 29 გვ. 64—72.

[54] ლ. კაციტაძე, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობანი (XVIII ს. II ნახ.); ისტორია, გეოგრაფია სკოლაში, 1962, № 4, გვ. 55.

[55] ე. ჯიბიშვილი, XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, კრ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 175.

[56] Цагарели А., Грамоты и другие документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, вып. 1. СПб, 1891, გვ. 3.

[57] სცსსა, 1450. 25—49.

1801 წელს თბილისელ ვაჭრებს შორის ამხანაგობა დგება ერევნიდან და თავრიზიდან ბამბის შემოტანის მიზნით[57].

XVIII ს-ის II ნახ. ქართულ დოკუმენტებში აღმოსავლური (ირანული, თურქული...) საქონელი ჭარბობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან XVIII ს-ის დასასრულამდე გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა“[58].

ამდენად, საამხანაგო წიგნები გვიჩვენებენ, რომ XVIII ს-ის საქართველოში მიმოქცევის ძირითად საგნად აბრეშუმისა[59] და ბამბის ნაწარმი რჩებოდა.

ამრიგად, „ამხანაგობა“ იყო გარკვეული იურიდიული სტატუსის მქონე კორპორაცია, რომელსაც სამეფო ხელისუფლება იცავდა. როგორც ვნახეთ, „ამხანაგობაში“ შესული პირების უფლებებს, საამხანაგო პირობების დარღვევის შემთხვევაში, ქალაქის მოხელეები არკვევდნენ.

ზემოთ მოტანილი დოკუმენტური მასალა იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ XVIII ს-ის II ნახევარში სიტყვა „ამხანაგობა“-ს (რაც თანაბარ უფლებებს ნიშნავს) უკვე დაკარგული აქვს თავისი შინაარსი. საამხანაგო საქმეს წარმართავს ძირითადი თანხის — „თავნის“ მფლობელი პირი. ხოლო უშუალოდ სავაჭრო ოპერაციას „მუშა-ვაჭარი“ ეწევა. „ამხანაგობით“ დაკავშირებული პირების მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია ნიადაგს უქმნიდა მოსალოდნელ სოციალურ ცვლილებებს.

Р. С. КАШИА

## ГРУЗИНСКИЕ ТОРГОВЫЕ «ТОВАРИЩЕСТВА» В XVIII ВЕКЕ

**Резюме**

«Товарищеские» книги содержат важные сведения для изучения социально-экономического положения Грузии в XVIII веке.

Торговое «товарищество» позднефеодального периода Грузии представляет собой корпорацию, имеющую определенный юридический статус.

Во второй половине XVIII века слово «товарищество», означающее равенство, теряет свой смысл. Торговыми делами правит лицо, которое кладет в дело основную сумму. Собственно торговую операцию проводит мелкий купец. Имущественная дифференциация среди купцов подготовила основу для социальных изменений.

---

[58] დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[59] Бурнашев. Картина Грузии или описание царств Карталинского и Кахетинского, 1896, გვ. 2.

R. KASHIA

# GEORGIAN TRADE «COMPANIES» IN THE XVIII CENTURY

## Summary

„Company" documents contain important information for the study of Georgia's social—economic state in the XVIII century.

Trade „companies" of late—feudal period in Georgia represent a corporation having a definite juridical status.

In the second half of the XVIII century the word „company" standing for equality loses its meaning. A person who invests the basic sum in the business rules the company. A minor merchant leads the commercial operation proper. Property differentiation among the merchants paved the way for social changes.

• წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ნინო ჯაველიძე

# იბნ-ქემალის ერთი ცნობა XV საუკუნის საქართველოს შესახებ

ოსმალო მემატიანის იბნ-ქემალის (იგივე ქემალ ფაშა-ზადე, ან კიდევ შემსუდდინ აჰმედ-ბენ სულეიმანი) თხზულება „ოსმალთა სახელმწიფოს ისტორია“ (ტ. VII) ჯერ ოსმალურად, ხოლო შემდეგ კი ლათინიზებული შრიფტით 1954 და 1957 წლებში გამოცა თურქმა მკვლევარმა შერაფედდინ თურანმა. ეს წიგნი არის ერთ-ერთი ტომი იმ ვრცელი, 10 დავთრისაგან შემდგარი საისტორიო ნაშრომისა, რომელიც იბნ-ქემალმა დაწერა სულთან ბაიეზიდ II-ის ბრძანებით. ქრონოლოგიურად დადგენილი არ არის, თუ ოსმალეთის ისტორიის რომელ პერიოდს აღწერს მემატიანე თავის თხზულებაში. ასე, მაგ., თურქი მეცნიერი ისმაილ ჰაქი უზუნჩარშილი ვარაუდობს, რომ იბნ-ქემალის თვალსაწიერში ექცევა 1299—1489 წლების ამბები[1], ფ. ბაბინგერის აზრით, „ისტორია“ მოიცავს 1481—1526 წლების მოვლენებს[2], ხოლო წინამდებარე გამოცემის ავტორი შერაფედდინ თურანი კი თვლის, რომ თხზულებაში აღწერილია ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორია მისი დაარსებიდან ვიდრე 1527 წლამდე[3]. შერაფედდინ თურანის აზრით, იბნ-ქემალი თავის თხზულებაზე მუშაობის დროს იყენებდა როგორც ოსმალურ, ასევე სპარსულ და არაბულენოვან წყაროებსაც. თუმცა თავად მემატიანე პირველწყაროდ ასახელებს მხოლოდ ერთ ნაშრომს. ეს არის რაშიდ ად-დინის ცნობილი საისტორიო თხზულება „ჯამი ათ-თავარიხ“.

იბნ-ქემალი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI ს-ის პირველ მესამედში. დაიბადა 1468 წელს სამხედრო მოხელეს ოჯახში. იგი მამამისის კვალს გაჰყვა და მონაწილეობდა ჯერ ბაიეზიდ II-ის (1481—1512), შემდეგ კი სელიმ I-ის (1512—1520) ლაშქრობებში, იყო ანატოლიის ყაზიასქერი. იბნ-ქემალი მრავალმხრივ განსწავლული მოღვაწე იყო. გარდა საისტორიო თხზულებისა, მან დაწერა სხვა ხასიათის არაერთი საყურადღებო ნაშრომიც, კერძოდ, შეადგინა არაბული და სპარსული ლექსიკონები, ითვლებოდა ჩინებულ ლიტერატორად. თურქ მეცნიერთა აზრით, იბნ-ქემალს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. იგი გარდაიცვალა 1534 წელს[4].

---

[1] T e v â r i h i Âl-i O s m a n, VII Defter, Hazırlıyan Dr. Şerafettin Turan, Ankara, 1957, გვ. XXI.

[2] F. B a b i n g e r, Die Geschichtschreiber der Osmanen und ihre Werke, Leipzig, 1927, გვ. 63.

[3] T e v â r i h i Âl-i O s m a n, VII Defter, გვ. XXIII.

[4] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, XV—XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 14—15.

საისტორიო თხზულების წინამდებარე VII ტომი მოიცავს ბაიეზიდ II-ის მოღვაწეობის წლებს და მასში ძირითადად გადმოცემულია XV ს-ის მეორე ნახევრის ოსმალეთის დაპყრობითი ომების ისტორია. მემატიანე იძლევა ცნობებს ოსმალეთის, ირანის, გენუას, როდოსის, ტრაპიზონის, საქართველოს, ჩერქეზეთის და სხვ. შესახებ. ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა როგორც საკუთრივ ოსმალეთის, ასევე მისი მომიჯნავე ქვეყნების — მათ შორის საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლადაც.

იბნ-ქემალი დაწვრილებით აღწერს საქართველოში ოსმალთა ლაშქრობას, რომელიც ჰიჯრის 884 წელს (1479—1480 წ.) მოეწყო უფლისწულ ბაიეზიდის ინიციატივით. ოსმალებმა აიღეს სამი ციხე-სიმაგრე თორული (Torul), ჯეზრე (Cezre), ჯანეჰაჰი (Canehah), დაარბიეს მოსახლეობა, დაასახლებული ზღვის სანაპიროს აღმოსავლეთით და „ყველა, ვინც არ ემორჩილებოდა არც მიწაზე და არც წყალზე, მეომართა ნადავლისამღები ხელით აფორიაქეს“. შემდეგ გეზი ჩერქეზეთის საზღვრებისკენ აიღეს, სადაც შემუსრეს ციხე-სიმაგრე ყუბა (Kuba).

იბნ-ქემალის თხზულებაში დაცული ეს ცნობა გარკვეული კუთხით შუქს ჰფენს ოსმალეთის და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ერთ-ერთ ადრეულ ხანას, კერძოდ, XV ს-ის მეორე ნახევრის მოვლენებს. ეს ის პერიოდია, როდესაც, ერთგვარი შეფერხების შემდეგ, ოსმალეთის სამხედრო-ლენური სისტემა კვლავ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა და იმპერია თავის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას ახალ-ახალი დაპყრობებით განიმტკიცებდა. მართლაც, ამ საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალთა აგრესია მეზობელი ქვეყნების მიმართ შენელდა, რაც თავის მხრივ აიხსნება რთული შინაპოლიტიკური და სოციალური მოვლენებით (1416 წლის გლეხთა დიდი აჯანყება, სეპარატისტული ომები, თემურ-ლენგის შემოსევა და სხვ.). მაგრამ 40-იანი წლებიდან მოყოლებული ოსმალებმა თანდათანობით გააქტიურეს თავიანთი საგარეო პოლიტიკა და ახალი მიწების დაპყრობას შეუდგნენ ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ამ აგრესიას შედეგად ის მოჰყვა, რომ XV ს-ის მიწურულისთვის მათ ევროპის კონტინენტზე დაიკავეს უზარმაზარი ტერიტორია (ბოსნია, ჰერცოგოვინა, საბერძნეთი, სერბია, მორეა, ალბანეთი, ვალახია, მოლდავეთი და სხვ.), განუყოფლად გაბატონდნენ შავი ზღვის აუზში და, გარდა ამისა, შეიერთეს ანატოლიის თითქმის მთელი მიწა-წყალი.

ამავე პერიოდიდან — XV ს-ის მეორე ნახევრიდან — იწყება ოსმალთა პირველი შემოსევები საქართველოში. თავდაპირველად მათი ექსპანსიის ობიექტი ხდება შავი ზღვის სანაპირო. ჩვენს ხელთ არსებული და დღემდე ცნობილი ისტორიული წყაროების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე დამპყრობლებმა პირველად გაილაშქრეს XV ს-ის 50-იან წლებში[5]. ამ ლაშქრო-

---

[5] ვახუშტი. აღწერა სამეფოისა საქართველოისა. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 284; ქართლის ცხოვრებაში ეს ექსპედიცია დათარიღებულია 1451 წლით. მკვლევარმა მ. სვანიძემ ქართული და ევროპული (იტალიური) წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაადგინა, რომ ზემოხსენებული ლაშქრობა ოსმალებს უნდა მოეწყოთ არა 1451 წელს, როგორც ამას ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს, არამედ, თანახმად იტალიელი ავტორებისა, 1454 წლის ივლის-აგვისტოში (იხ.: М. Х. Сванидзе. Из хронологии Вахушти Багратиони. წიგნში: Источниковедческие розыскания, Тб., 1982, გვ. 107—111)

ბის მიზანი იყო გენუელთა სავაჭრო ფაქტორიების (მონკასტრო, სოხუმი, კაფა) აღება[6]. დამპყრობელმა დაარბია სანაპირო ზოლი, გაძარცვა სოხუმის ციხე-პორტი, ტყვედ წაასხა მკვიდრი მოსახლეობა და შემდეგ ჩრდილოეთისკენ გაემართა. ფაქტობრივად ეს იყო ერთ-ერთი საბრძოლო ეპიზოდი იმ დიდი სამხედრო კამპანიისა, რომელიც ოსმალებმა მოაწყვეს ამ რეგიონში განლაგებულ გენუელთა წინააღმდეგ.

მართლაც, თუკი გავითვალისწინებთ იმხანად შავი ზღვის აუზის გამო შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, და აგრეთვე, ძალთა თანაფარდობას ხსენებულ რეგიონში, მაშინ ცხადი გახდება, რომ XV ს-ში ოსმალეთის ექსპანსია ჯერ კიდევ არ ითვალისწინებდა საერთოდ ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიის მიტაცებას. სულთნის ხელისუფლების ყურადღება მიმართული იყო სამხრეთ ევროპის ქვეყნებისკენ. სწორედ ეს იყო იმპერიის საგარეო პოლიტიკის მთავარი საზრუნავი. გაბატონება ევროპის კონტინენტზე — უპირველესად ამას ისახავდნენ მიზნად ოსმალო ხელისუფლანი. ამიერკავკასია კი შედარებით მოგვიანებით, XVI ს-ის დამდეგიდან, ხდება იმპერიისა და ირანს შორის გამუდმებული ომების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ამიტომ XV ს-ის 50-იან წლებში ოსმალთა შემოსევა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაზვერვით ხასიათს ატარებდა. იგი მტრის მარბიელ თარეშს უფრო წააგავდა, ვიდრე ქვეყნის დასაპყრობად გამიზნულ ლაშქრობას.

აქვე უნდა ითქვას შემდეგიც: თუმცა აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევარში არ არსებობდა რაიმე რეალური საშიშროება ოსმალთაგან საქართველოს სამეფო-სამთავროების დაპყრობისა, მაგრამ ქართველი ხელისუფალნი მეზობელი სახელმწიფოს მზარდი აგრესიის პირობებში მაინც ერთიანდებოდნენ და საგარეო მოკავშირეებსაც ეძახდნენ. უპირველესად, აღსანიშნავია ის, რომ 1459 წელს ქართველმა მეფე-მთავრებმა დადეს ხელშეკრულება, რომლითაც პოლიტიკური კავშირი განიმტკიცეს. ამას გარდა, მათ გადაწყვიტეს ერთობლივი მონაწილეობა მიეღოთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინიციატივით ჩამოყალიბებულ ანტიოსმალურ კოალიციაში. ასე, მაგ., XV ს-ის 50-იან წლებში ამ მიზნით ევროპაში გაემგზავრნენ ქართველი ელჩები. მათ მეფე-მთავართა სახელით ევროპელ ხელმწიფეებს აუწყეს, რომ თუკი ისინი ოსმალეთის წინააღმდეგ გააჩაღებდნენ ომს, მაშინ ქართველები მზად იყვნენ საკუთარი ლაშქარი გამოეყვანათ საბრძოლველად და აღმოსავლეთის მხრიდან დასხმოდნენ თავს საერთო მტერს[7]. ოსმალთა შესაძლებელი აგრესიის წინააღმდეგ მოკავშირეებად გვევლინებიან ვენეციის რესპუბლიკა და საქართველო აგრეთვე XV ს-ის 70-იანი წლების დასაწყისშიც[8].

ერთი სიტყვით, XV ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთის ექსპანსია ჯერ კიდევ არ ითვალისწინებდა ომებს აღმოსავლეთის მიმართულებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ამიერკავკასიის ქვეყნების და, კერძოდ, სა-

---

[6] М. Х. Сванидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

[7] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 737—738.

[8] ე. მამისთვალიშვილი, XVI საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1981, გვ. 45.

ქართველოს დაპყრობის საკითხი, როგორც ჩანს, თანდათან აქტუალური ხდებოდა იმპერიის მმართველი წრეებისათვის.

ამგვარი პოლიტიკური ვითარება ნათლად აისახა იბნ-ქემალის წინამდებარე საისტორიო ნაშრომში. მემატიანე გადმოგვცემს ძუნწ, მაგრამ ყურადსაღებ ცნობებს, რომლებიც ჩვენთვის მრავალმხრივაა საინტერესო. მათ საფუძველზე შეგვიძლია გავარკვიოთ ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის რიგი თავისებურებანი წარმოსახულ პერიოდში.

წყაროდან ვგებულობთ, რომ ქართველი მეფე-მთავრები სულთანს არ უგზავნიდნენ არანაირ ხარკს: „...აუგის ჩამდენი და პირშავი ურჯულონი (ე. ი. ქართველები) ჯერაც არ იყვნენ დაბეგრილები და ვალდებული გადაეხადათ ჯიზია, ხარაჯი, საბაჟო საქონელი“[9]... მართლაც ეს ის ხანაა, როცა საქართველოს სამეფო-სამთავროები ჯერ კიდევ არ არიან ოსმალეთის იმპერიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში. ამას გარდა, მემატიანე გვაუწყებს, რომ ოსმალები საგანგებოდ არ მომზადებულან ხსენებული ლაშქრობისათვის, არამედ მათ განუზრახავთ „დახმარებოდნენ“ მუსლიმ ვაჭრებს. ტექსტში აღნიშნულია, რომ: „იმ გაზაფხულზე... სასეირნოდ გაუწია გულმა უფლისწულს და [იგი]მავი ზღვის სანაპიროსკენ დასასვენებლად გაეშურა“[10]. „მოსეირნე“ უფლისწულს ქართველთაგან შევიწროებულმა მუსლიმმა ვაჭრებმა შესჩივლეს თავიანთი გაჭირვება და მანაც გადაწყვიტა შური ეძია ქართველებზე. ცხადია, რომ XV ს-ის 80-იან წლებში ამ სამხედრო ექსპედიციის მოწყობა არ ყოფილა სულთნის დივანის ზრუნვის საგანი, იგი ოსმალთა მარბიელი თარეშების რიგს განეკუთვნებოდა, როცა ისინი „კმაყოფილდებოდნენ“ მხოლოდ ნადავლის აღებით. მეორე მხრივ, იბნ-ქემალის თხზულებაში აისახა ის ცვლილებებიც, რომლებიც დამახასიათებელი იყო იმპერიის საგარეო პოლიტიკისათვის აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ. დამპყრობელმა მოუხშირა თარეშს და იგი ცდილობს ქვეყნის სიღრმეებშიც შეაღწიოს. ეს კი შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1461 წელს ოსმალეთი იპყრობს ტრაპიზონის საკეისროს და აარსებს თავის ადმინისტრაციულტერიტორიულ ერთეულს, სადაც შემდგომ ტრადიციულად უფლისწულები იგზავნებიან ხოლმე მმართველებად. ამიერიდან ეს პროვინცია ხდება პლაცდარმი, საიდანაც ოსმალები მთელი XVI ს-ის განმავლობაში აწყობენ სამხედრო ექსპედიციებს საქართველოში. წყაროში ვკითხულობთ, რომ ოსმალები არა მხოლოდ ზღვის მხრიდან ესხმიან თავს სანაპირო რაიონებს (როგორც წინა წლებში), არამედ მათი ლაშქარი სახმელეთო გზითაც მიიწევს წინ დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიისკენ: „...ქვეყანას ნიაღვარივით მოედნენ. მათ ბეგებს თავთაგან გვირგვინები აჰხადეს და მათი სატახტო ქალაქი გაძარცვეს, გაანიავეს. ლაშქარი მხედართმთავრებითურთ აღმოსავლეთით ხმელეთისაკენ და დასავლეთით ზღვისკენ რაზმებად გაგზავნეს“... ჩვენი აზრით, მემატიანის თხრობა გადაჭარბებულია და იგი არ უნდა ასახავდეს რეალურ ვითარებას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სწორედ ამ დროიდან მზადდება ნიადაგი შემდგომში საქართველოს და, საერთოდ, ამიერკავკასიის დასაპყრობად.

---

[9] Tevârihi Al-i Osman, Defter VII, გვ. 464.

[10] იქვე, გვ. 464.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იბნ-ქემალის თხზულებაში დაცული ფაქტები დასტურდება სხვა წყაროებითაც. საკუთრივ, სპარსელი მემატიანე ჰასან რუმლუ თავის ნაშრომში „აჰსან ათ-თავარიხ" ეხება 1481 წლის ოსმალთა ლაშქრობას, რომლის დროსაც მათ საქართველოს ტერიტორიაზე აიღეს ბათრულის ციხე-სიმაგრე[11]. წინამდებარე წყაროს ღირებულება იზრდება იმის გამოც, რომ დღემდე შემორჩენილ ქართულ საისტორიო წყაროებში ხსენებული ლაშქრობის შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება. ვფიქრობთ, იბნ-ქემალის თხზულებაში დაცული ფაქტები ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის, მით უფრო, რომ ამ პერიოდში მომუშავე მკვლევარს, მიზეზთა გამო „უცხო, თანაც სწორედ მტრისაგან დაწერილი წყაროს გამოყენების გარდა თითქმის აღარავითარი სხვა საშუალება აღარ მოეპოვება". ეს ცნობები გარკვეულად ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის საქმესაც წაადგება.

• •

## ოსმალური ტექსტის ქართული თარგმანი

ტ. VII, გვ. 464—467

მისი უდიდებულესობის, უბრწყინვალესობის წყალობით ბედნიერმა უფლისწულმა სულთანმა ბაიეზიდმა საქართველოში ძლევამოსილი ლაშქარი გაგზავნა, ბოლოს თორული[2], ჯუზრუ[3] და ჯინეკაჰი[4] — ამგვარად რომ იწოდებოდნენ — სამი ძლიერი ციხე-სიმაგრე აიღო და გიაურების ქვეყანა ყირამალა დააყენა — აქ ამაზე იქნება ლაპარაკი.

884 წელს[5] ქვეყნისმპყრობელ სულთანს არსად გაულაშქრია. ციური ტახტის მსგავს სამფლობელოში ვარსკვლავივით მტკიცედ, მყარად დაბრძანება ისურვა და სხვა მხარეში არ წასულა. როდესაც სიცივის ჟამმა გაიარა, გაზაფხულის პირველი თვის ნათებამ დედამიწის პირის ვარდი გაშალა და გაზაფხულის ქარის სიძემ ტიტნარის პატარძალს ცვრის მარგალიტი მოაბნია.

იმ გაზაფხულს მის უდიდებულესობა ხელმწიფე-მბრძანებელს სასიარულოდ, ტრამალზე სასეირნოდ გაუწია გულმა და შავი ზღვის სანაპიროსკენ გაეშურა. ნახატებითა და სურათებით სავსე დედამიწის პირისახე, ქორფად გამწვანებული ბაგე. ნაკადულთა მშვენიერი წყალი, აყვავებული ველის სურნელოვანი ჰავა წინ გადაეშალა. სინამდვილეში, ზურმუხტოვან, მხიარულებით აღსავსე ხალიჩაზე ტიტნარის მსგავსი ლალისფერი კარვები აიგო. როცა ზაფხულის ჟამმა გაიარა და ბალჩა-ბალის დრო გავიდა, იმ სამო ადგილებში შეჩერდნენ. იმ მხარეებში მცხოვრებნი ავბედიანნი, დაცემულნი, ცოდვილნი, ბოროტმოქმედნი, ავგის ჩამდენნი და პირშავნი ურჯულონი ჯერაც არ

---

11 კ. კუციია, „აჰსან ათ-თავარიხის" ცნობები XV საუკუნის საქართველოს შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი II, თბ., 1979, გვ. 85. (მკვლევარის მართებული შენიშვნით, ჰასან რუმლუსა და იბნ-ქემალის თხზულებებში დამოწმებული ციხის სახელები قروط და قورط; ერთი და იმავე პუნქტის აღმნიშვნელია).

იყვნენ დაბეგრილები და ვალდებული ეხადათ ჯიზია, ხარაჯი, საბაჯ — საქონელი. მათი გამგებლები ნაბიჯ-ნაბიჯ დამორჩილების გზას დაადგნენ. ისლამის მფარველი ფადიშაჰის წყალობით და მზრუნველობით აღარ შეუსვენიათ. საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯარს უბრძანა და მათ ქვეყანას ნიაღვარივით მოედნენ. მათ ბეგებს თავთაგან გვირგვინები აჰხადეს და მათი სატახტო ქალაქი გაძარცვეს, გაანიავეს. ლაშქარი მხედართმთავარებითურთ აღმოსავლეთით ხმელეთისაკენ და დასავლეთით ზღვისაკენ გაგზავნეს. ისინი, ვინც არ ემორჩილებოდნენ არც მიწაზე და არც წყალზე, ამ მეომართა ნადავლისაშლები ხელით აფორიაქეს. ჰიზირ ფაშა ოღლუმ მეჰმედ ფაშას უბრძანა, რუმის ჯარით საქართველოსკენ გასწიო.

ზემოაღნიშნული ვეზირი იმ დროს ტახტისა და გვირგვინის მპყრობელის, ქვეშევრდომთ მფარველისა და ჯარის გამგებლის, დიდი უფლისწულის, მისი უდიდებულესობა მაღალი სულთნის — ბაიეზიდ ხანის უმაღლეს დივანში იყო და წყალობის თვალით იმზირებოდა.

ხსენებული ომის მიზეზი, რომელიც უკვე მომხდარი იყო, გახდა ის, რომ ზემოხსენებული უფლისწული ერთ დღეს რუმის მხარეს სანადიროდ წავიდა. სატახტო ქალაქი რომ გაიარა, კარვითა და ჩარდახით სანაპირო ადგილას გამოვიდა, ველზე დაბორიალობდა. უდარდელად როცა დასეირნობდა, მთიანეთის ნაპირას განმარტოვდა. ნადირობისას ვაჭართაგან ერთი ჯგუფი გზაზე შეჩერდა. (მათ) საკუთარი უკმაყოფილება გამოთქვეს და ქართველებს უჩიოდნენ: სპარსეთიდან როცა მოვდიოდით, ჩვენ თორთუმის ციხის მცხოვრებლებმა გაგვძარცვესო. თქვეს და თავგადასავალი მოჰყვეს: მისმა უმაღლესობა სულთანმა, სამართლიანობის კეისარმა მათი დაჩივლისა და ძალადატანების. საქონლის წართმევისა და ჩაგრულთა მდგომარეობის ამბავი როცა შეიტყო, სიბრალულით განიმსჭვალა მათდამი და შეეცადა გულზვიად მჩაგვრელებზე შური ეძია. ქვეყნის მფარველის, მისი უდიდებულესობის, ძალოვანი და ზვიადი ფადიშაჰის, მისი უმაღლესობა ხალიფატის საყრდენის, ქვეყნის სულთნის მეჰმედ ხანის ცის მსგავს სასახლეს ამბავი აუწყა. ნებართვა უნდოდა, რომ იმ მხარეს ლაშქარი გაეგზავნა, და იქით ყოველივე თავდაყირა დაეყენებინა. სასურველ, საოცნებო დედაქალაქში ეს გონიერი ღონისძიება მიიღეს და (ჯარის) მოსალოდნელი გაგზავნა დაასრულეს. აღრეხსენებულ სარდალს თორთუმის ციხეზე პირდაპირ გაემართეო — მაღალღირსეული ფირმანი მიუვიდა. გარდაუვალი, უცილობელი მიზეზის გამო მისმა უმაღლესობამ, უბედნიერესმა, უდიდებულესმა, უფლისწულმა რუმის ქვეყანაში მყოფი ისარივით მფრინავი შევარდნების მზადყოფნა დაარქარა. იმ ხვადი ლომების ხმლისებური ბრჭყალებისა და ისრებისაგან, რომლებიც ბრძოლის მოედნის ვაჟკაცები და ქვეყნისმფარველი მგლები იყვნენ, სიფრთხილე გამოიჩინა. ნაოელგონებიანი ვეზირისკენ გაეშურა და მტრისკენ გაგზავნა.

## ავტორის თურქული ბაითი

რადგანაც იდელვებული ზღვის ის ლაშქარი აბობოქრდა,
დედამიწა შეიძრა და ცას ოხშივარი ეფერდა.

ციხის დაპყრობისათვის საჭირო საჭურველიდან იარაღი და პროვიანტი მოამზადეს და ქარივით სწრაფი ცხენები ჰენებ-ჰენებით, ჯგუფ-ჯგუფად ნიაღვარივით ქვეყანას მოედნენ. თორთუმის ციხესთან, რომელიც განთქმუ-

ლი იყო და ხალხის ენაზე მას თორულს უწოდებენ. შეიჭრნენ და შიგნით მყოფ ურჯულოებს ალყა შემოარტყეს. ვარსკვლავებისდარი ლაშქარი ციხის გალავანს ირგვლივ შემოერტყა, მიცვივდა და იერიში მიიტანა. ციხის შიგნით იმყოფებოდნენ უბედო ვარსკვლავზე გაჩენილთა სულები. მათი არსებობის შესანარჩუნებლად ქვის ზარდახშად გადაიქცა (ეს ციხე). მ-სი (ციხის) წვერი ამაღლებული იყო ცამდე. თითქოს იგი ციური ციხის ბურჯთაგან ერთ-ერთი ბურჯი იყო. ძლევამოსილმა ცხენოსანმა ჯარმა თავზარდამცემი საბრძოლო ზარბაზნებით ციხის კეთილნაშენი კედლების ლაჟვარდოვან თაღებს მიაღწია. ისრების წვიმის ღრუბლებისაგან. შიგნით ვინც იყვნენ, ყველანი დაიხოცნენ. დახოცილები რომ ციხის კედლებზე გადმოეფინენ — ეს დაინახეს.

### სპარსული ბეითი

ფიქრი გახდა გულმძიმე და ფიქრშეკრული
თოფის გრუხუნისაგან ისარი ხტება ადგილიდან,
ღმერთის შემწეობით, ბრძოლის ზარბაზნით
ცას მიაღწია ბურჯის თავთაგან მტვერმა.

ციხის კედელი დაამხეს და ძლიერი დარტყმით ის ციხე აიღეს. იმ ქვეყანაში კიდევ ორი ციხე იყო. მათკენაც გაემართნენ. ერთს ჯეზრეს ეძახდნენ და მეორესაც — ჯანექასს. ეს ციხეებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, შიგნით მყოფ გზასაცდენილთა ხელიდან აიღეს. მეამბოხე მოსახლეობის საცხოვრებლები გაძარცვეს და დიდი ზარალი მიაყენეს (მათ). უმგვანოთა სულებში ტანჯვის ცეცხლი და შიში დაანთეს. მათი ზემოხსენებული ციხეები კი, იმ მხარეში არამზადებისათვის სადგომი და საცხოვრებელი, ხოლო ყაჩაღებისთვის თავშესაფარი და შესაჩერებელი ადგილი რომ იყო, დაანგრიეს. იმ ავისმომასწავებელთა სახლები ბოტთა და ყვავთა სადგომებად აქციეს. იმ ციხე-სიმაგრეთა კოშკები ფერფლის გროვად გადააქციეს.

### სპარსული ბეითი

მოითხარის ის ორი კარგად ნაშენი ციხე,
რომლებიც დედამიწის თვალები იყვნენ.

### შენიშვნები:

1. სულთანი ბაიეზიდი — ბაიეზიდ II. (1481—1512 წ. წ.)
2. თორული (ანუ თოღრული) — ამ ციხის მდებარეობის შესახებ ტექსტში არაფერია ნათქვამი, მაგრამ სხვადასხვა სახის ოსმალურ ისტორიულ დოკუმენტებში არის ერთგზის გვხვდება თორულის სანჯაყი, რომელიც ტრაპიზონის ვილაიეთის შემადგენლობაში შედიოდა. (იხ. ამის შესახებ: ს. შ ე ნ გ ე ლ ი ა, XVI - XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, თბ., 1987 წ, გვ. 23, 26, 62, 63, 65).
3. ჯეზრე — ამ გეოგრაფიული ტერმინის ლოკალიზაცია ვერ მოვახერხეთ.
4. ჯანექას — ოსმალური ისტორიულ საბუთებში ჯანჯა-ჯანექას (იგივე ჩანჩა) ეწოდება გეოგრაფიულ ადგილს გუმუშხანეს, რომელიც ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა.
5. ჰიჯრის 884 წელი 1479—1480 წ.
6. მეჰმედ ხანი — სულთანი მეჰმედ II ფათიჰი (1451—1481 წწ.).

Н. М. ДЖАВЕЛИДЗЕ

## СВЕДЕНИЕ ОСМАНСКОГО ЛЕТОПИСЦА ИБН-КЕМАЛЯ О ГРУЗИИ

Резюме

Сочинение Ибн-Кемаля «История Османского государства» содержит сведения о походе Баязида II (1481—1512) в Грузию во второй половине XV века. Данный исторический факт представляет интерес как с точки зрения изучения конкретных вопросов истории Грузии, так и проблем турецко-грузинских взаимоотношений в средние века.

N. DJAVELIDZE

## DATA OF THE OTTOMAN CHRONICLER IBN-KEMAL ABOUT GEORGIA

Summary

„The History of Ottoman Empire“, the work of Ibn—Kemal includes the data about the invasion of Bayasit II (1481--1512) in Georgia at the second half of the 15th century. This historical fact is interesting as from the point of view of studying the concrete issues of the history of Georgia as well as problems of the Turkish-Georgia relations in middle ages.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ედიშერ ხოშტარია-ბროსე

# ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში გამოყენებული ტერმინების „ერის“ და მისგან ნაწარმოები „ერისაგანის“, „ერისკაცის“ და „საეროს“ სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ხშირად გვხვდება არაერთმნიშვნელოვანი სიტყვები, რომელნიც შინაარსობრივად დროთა განმავლობაშიც სხვადასხვა გაგებით იხმარება. ასეთი სიტყვებია, კერძოდ, „ერი“ და მისგან ნაწარმოები „ერისგანი“, „ერისკაცი“ და „საერო“. დღეს ჩვენი საგანგებო განხილვის საგანია ამ სიტყვების თავდაპირველი მნიშვნელობა და შემდგომში მათი შინაარსის ცვლა.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაადასტურა ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში „ერი-ს“ ერთდროულად ხალხის და ლაშქრის, ჯარის მნიშვნელობით ხმარება, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების წიაღში „ერი“ — მთელი ხალხი ერთდროულად ლაშქარსაც წარმოადგენდა[1]. აკად. ს. ჯანაშიამ გაარკვია, რომ „ერი“ ანუ გვაროვნული წყობილებისდროინდელი მიწისმოქმედი-მოლაშქრე საზოგადოება დროთა ვითარებაში, ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესში, იშლება, ერთი მხრივ, გაბატონებულ უმცირესობად, რომელიც აზნაურთა წოდებად ყალიბდება და უმრავლესობად, „რომელიც ჰქმნის ყმათა ფეოდალური კლასის ძირითად სარეზერვო სოციალურ მასას, წყაროებში „წვრილი ერის“ სახელწოდებით აღნიშნულს“. უკანასკნელის ყმა-გლეხთა კატეგორიაში გადასვლა ნიშნავდა ფეოდალური საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბებას, რასაც ადგილი X—XII სს. ჰქონდა[2].

ჩვენი დაკვირვებით „ერის“, როგორც ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ძირითადი მწარმოებელი საზოგადოების, ანუ „მდაბიორ-მოლაშქრეთა“, იგივე „ერისგან-მოლაშქრეთა“ [ნ. ბერძენიშვილი[3]] ფენის არსებობის დადასტურება არა მარტო ადრეფეოდალურ ხანაში, არამედ XI—XII სს. ვითარების ამსახველ წყაროებშიც [დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსებთან][4] და ამასთან, ერთდროულად, ადრიდანვე „წვრილი ერის“,

---

1 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბ., 1982, გვ. 135, 192—193.

2 ს. ჯანაშია, შრომები I, თბ., 1949, გვ. 161, 171; მისივე, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 383, 420—4[illegible].

3 ნ. ბერძენიშვილის აზრით, „მდაბიორ-მოლაშქრეთა“ ანუ იგივე „ერის გაქრობის ინტენსიური პროცესი მიმდინარეობს [და ძირითადად სრულდება კიდეც] I—II საუკუნეებში. იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 55—60.

4 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., I, 1955, გვ. 328; II, 1959, გვ. 98.

როგორც ამ საზოგადოების დამცრობის გზაზე დამდგარი. თუ რამდენადმე უკვე დეგრადირებული ნაწილის მოხსენიებაც, მოწმობს რომ „წვრილი ერი“ არის ის საზოგადოებრივი ფენა, რომელიც დროთა ვითარებაში მთლიანად კი არ შეენაცვლება და ფარავს „ერს“, ე. ი. აღრიდანვე კი არ იჭერს მის ადგილს, არამედ სოციალური დამცრობის შედეგად გამოეყოფა მას [„ერს“] და თანდათან გადადის გლეხობაში [ე. ი. გარკვეულ დრომდე „ერის“ და „წვრილი ერის“ თანაარსებობაცაა საგულვებელი][5]. თანდათან „ერი“ კარგავს ლაშქრის მნიშვნელობას და XII—XIII საუკუნეებიდან ძირითადად მხოლოდ ხალხის მნიშვნელობით იხმარება [მაგ., „ქართველი ერი“].

რაც შეეხება სიტყვებს „ერისგანს“, „ერისკაცს“, ისინი ადრეული ხანის სასულიერო მწერლობის ნათარგმნ ძეგლებში [ბიბლიური ტექსტები და სხვა] უპირატესად მხედარს, ჯარისკაცს აღნიშნავდა: „ხოლო ერისგანთა მათ... წარიყვანეს პავლე“//„ხოლო სტრატიოტთა მათ... წარიყვანეს პავლე“,... „წარიყვანნა ერის-კაცნი და ერისთავნი“ და სხვა [იხ. შესაბამისი სიტყვები ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, თბ., 1973 წ.].

„ერისგანი“, „ერისკაცი“ მანამდე ატარებდა მხედრის მნიშვნელობას, სანამ არსებობას განაგრძობდა შესაბამისი სოციალური ფენა „ერი“. ირკვევა, რომ „ერისგანნი“, როგორც თავისუფალი მოლაშქრე-მწარმოებელი საზოგადოების წარმომადგენელნი, იმთავითვე იყვნენ დაპირისპირებულნი არათავისუფალ-დაბეგრილ მიწისმოქმედთადმი, რამაც ასევე ასახვა ჰპოვა ბიბლიური ტექსტების ადრინდელ ქართულ თარგმანებში. ამის დამადასტურებელია, მაგალითად, ეზრას მე-4-ე თავის მე-6-ე მუხლი, სადაც დაპირისპირებული არიან ერთმანეთთან ისინი, ვინც მეფის ბრძანებით ომობდა, ე. ი. „ერისგანნი“, იმათთან, ვინც მიწას ამუშავებდა და თავის შრომის ნაყოფს აძლევდა მეფეს: „და არა ხოლო ერისგანნი მოლუაწენი, არამედ მუშაკნიცა, რომელნი ქუეყანასა იქმედ, რაჟამს დასთესიან და მკიან, ნაყოფი იგი თჳსი მიართჳიან მეფესა“ [I ეზრა, 4,6 იერუსალიმის ბიბლია, III ეზრა 4,6 — საბასეული ბიბლია].

ყურადღებას იქცევს ის, რომ მეომრის [ბერძ. „სტრატიოტის“] აღსანიშნავად მთარგმნელი ხმარობს სწორედ ტერმინს „ერისგანი“, ხოლო მიწისმოქმედის აღსანიშნავად „მუშაკს“.

უეჭველია, რომ „ერისგანი“ იმდენადაა მეომარი, რამდენადაც იგი იმ საზოგადოებრივი წრის წარმომადგენელია, რომელსაც ლაშქრობა აკისრია [„ერი“].

მეორე მხრივ, მოცემულ ტექსტში „ერისგანთან“ დაპირისპირებით „მუშაკის“ ხმარება, ვფიქრობთ, ერთხელ კიდევ გვიდასტურებს ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში — სიტყვის „გლეხის“ შემოსვლამდე, დაყმევებულ მიწისმოქმედებს სწორედ ეს ტერმინი — „მუშაკი“ შეესაბამებოდა[6].

---

[5] ე. ხოშტარია-ბროსე, ძველი ქართული საისტორიო წყაროების ტერმინთა „ერის“ და „წვრილი ერის“ მნიშვნელობისა და შესაბამისი სოციალური ფენების ადგილის შესახებ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 120, № 2, 1985, გვ. 433—435.

[6] ე. ხოშტარია-ბროსე, ფეოდალური ხანის საქართველოს მიწისა და მიწის უფლებრიობის საკითხები, ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 1984, გვ. 36—37.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სიტყვა „ერი“ წერილობით ძეგლებში მხედრობასთან ერთად აღნიშნავდა საერთოდ ხალხს. ასე მაგალითად, „შუშანიკის მარტვილობაში“ „ერი“ სწორედ ასეთი ფართო მნიშვნელობითაა ნახმარი: „და მოვიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა, სიმრავლე ერისაჲ... ხოლო წმიდამან შუშანიკ უკუმოხედა ერსა მას“. აქ ნიშანდობლივია სწორედ „ერისა“ და „ამბოხის“ [ხალხი, ბრბო] ერთი მნიშვნელობით ხმარება. ამასთან დაკავშირებით სავსებით კანონზომიერია ჯუანშერთან სიტყვა „ერიდან“ ნაწარმოები „საეროს“ ხმარება ფართო გაგებით — სახალხოს მნიშვნელობით „...ჰქონდა სიტყუა საიდუმლო და კუალად ჰქონდა სიტყუა საერო. და თქუა ცხადად...“ „...ხოლო მისცა ვახტანგ მეფემან პასუხი საეროდ“[8], ე. ი. აქ „საერო“ „საჯაროს“ ნიშნავს მერმინდელი გაგებით და იმავე ნიუანსით („ჯარი“ „საჯარო“), რაც უფრო გვიანდელ ძეგლებშიც გვაქვს დადასტურებული. ასე მაგალითად, XIII საუკუნეში დაბალი ხარისხის ნიადაგსახმარ ხორბლის აღსანიშნავად იხმარებოდა სიტყვა „საერო“ — „წმიდასთან“ [ე. ი. სუფთასთან] დაპირისპირებით: „პატრონისა მწირველსა თხუთმეტი გრიე ხუარბალი ხოდაბუნთაგან მიეცემოდეს, ნახევარი წმიდაი და ნახევარი საეროი“ (1260 წლის დაწერილი კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი“)[9].

მეორე მხრივ, „ერის“ ანუ მოსახლეობის ფართო ფენის, ხალხის მასისაგან გამოყოფილი, სოციალურად დაწინაურებული წრის აღსანიშნავად იქმნება განსაკუთრებული ცნება-ტერმინები: „მდიდარნი ერისანი“, „დარბაზის ერი“. პირველი გვხვდება „ისტორიანი და აზმანში“: „და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა“ — ე. ი. თამარის[10], ხოლო მეორე დასტურდება 1263 წ. საქართველოს საეკლესიო კრების მოხსენებაში მეფე ულუდავითისადმი: „რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზისა ერსა, ანუ გლეხსა აქუს სიგელი...“[11].

„დარბაზის ერი“ ეს იგივე ადრინდელი მეფის ბანაკი, თუ „პალატ-ბანაკია“, ანუ სამეფო კარის დაწინაურებული მსახურეული პერსონალი [ს. ჯანაშია]. მეფის მხლებელ-მრჩეველთა მნიშვნელობით „დარბაზის ერი“ ტრადიციულად ხშირად იხმარება XVII—XVIII სს. დოკუმენტებშიც.

აღსანიშნავია და ძალზე ნიშანდობლივიც, რომ სიტყვა „ერისაგან“ ნაწარმოები სიტყვები „ერისაგანი“, „ერისკაცი“, „საერო“ ადრიდანვე იღებენ საეკლესიო-სასულიეროსთან დაპირისპირებულ მნიშვნელობას. ამისი მაგალითი უკვე „შუშანიკის წამებაში“ გვაქვს, სადაც დაპირისპირებულია „მღვდელთაგანნი“ და „ერისკაცნი“[12]. გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ კი გვაქვს „მონაზონნი“ და „ერისგანნი“[13]. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვხვდება გამოთქმა „მსოფლიონი ერისკაცნი“[14] საერო მოსახლეთა მნიშვნელობით. ხოლო რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში“ გვაქვს

---

[7] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 20.
[8] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 171.
[9] ქართული ისტორიული საბუთები, XII—XIII სს., თბ., 1984, გვ. 149.
[10] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21.
[11] ქართული ისტორიული საბუთები, I—III, გვ. 172.
[12] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., გვ. 16
[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 84
[14] იქვე, I, თბ., 1967, გვ. 237

„მოწესენი“ და „ერისკაცნი“[15]. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი ხმარობს გამოთქმას „ყოველნივე სალმრთონი და საერონი წესნი“[16]. რომელიღაც უცნობ კათალიკოსის მიერ გერგეტელ საყდრისშვილებისადმი მიცემულ განაწესში კი წერია: „იყუენით... მღდელნი-მღდელთა წესითა და ერისგანნი — ერისგანთა წესითა“[17].

სიტყვის „საეროს“ პარალელურად, სასულიეროსთან დაპირისპირებული მნიშვნელობით, ადრე იხმარებოდა „მსოფლიო“. გვიან კი უფრო „საერო“ ჭარბობს, თუმცა „მსოფლიოც“ განაგრძობს არსებობას იმავე მნიშვნელობით [გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიესადაგება სოფლის მცხოვრებს][18], მანამ არ დამკვიდრდა ზოგადად წუთისოფლის ან ქვეყნიერების შინაარსით [თანამედროვე გაგებით].

ბექას სამართლის წიგნში სიტყვა „ერისგანი“ სამჯერ გვხვდება. ერთგან იგი აშკარად ზოგადად საერო პირს აღნიშნავს. კერძოდ, მე-60 მუხლში ლაპარაკია საბუთის დამოწმების წესზე და საჭიროდ არის მიჩნეული მონაზონთა ხელრთვების ჩართვაც „ერისგანთ საჯერობისათვის“ [ე. ი. იმისათვის, რომ საერო პირთა დამოწმება უფრო განმტკიცებული, დამაჯერებელი ყოფილიყო].

41-ე მუხლში ლაპარაკია ხუცესზე, რომელიც წირვას „დააგდებს“ იმისათვის, რომ მის ცოლს ვინმე „უაშიყებს“. თუ ხუცესი ცოლს არ გაუშვებდა, მას სრული სისხლი უნდა დაურვებოდა „წირვისა დაგდებისათვის“ და იგრეთვე ნახევარი სისხლი ცოლის განქიქებისათვის. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ კი მას ცოლს წაგვრიდნენ, მაშინ არა ნახევარი სისხლი, არამედ წაგვრისათვისაც სრული სისხლი უნდა დაურვებოდა „ამდენად რომე ძნელსა ყოფასა დაებმის ანუ ჩოხასა ჩაიცვამს მითა და ანუ ერისგანობითა და კრძალვით [იქნების]“[19]. აქ „ერისგანობა“ აშკარად „წირვადაგდებული“ და „ცოლწაგვრილი“ ხუცესის ახალ გარკვეულად დამძიმებულ, დამცრობილ სტატუსზე მიგვითითებს და არა ზოგადად მის საერო ცხოვრებაზე გადასვლაზე, რადგან „ძნელ ყოფასა დაბმა“ და „კრძალვა“ ერთნაირად იგულისხმება როგორც „ერისგანად“ გახდომისა, ისევე „ჩოხის ჩაცმის“, ე. ი. ბერად აღკვეცის, და, ამდენად, კვლავ სასულიერო წოდებაში დარჩენის შემთხვევაშიც [თუმცა მწირველი ხუცესის მდგომარეობა, ჩანს, ბერის მდგომარეობაზე უფრო სახარბიელო უნდა ყოფილიყო].

ამდენად, „ერისგანობის“ გამო „ძნელსა ყოფასა დაბმა“ უთუოდ შედარებით არასახარბიელო, არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში მოხვედრას გულისხმობდა, რისთვისაც დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაცია იყო დაწესებული [ამ შემთხვევაში ორმაგი სისხლის დაურვება].

---

15 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1970, გვ. 123.

16 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., წიგნი II, თბ., 1959, გვ. 20.

17 ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები [XV—XVIII სს.] მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 285—286.

18 „ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ მჴედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სვლად“ [დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 358].

19 ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 440.

ბექას სამართლის მე-16-ე მუხლით „ერისგანად“ ყოფნას აშკარად უპირისპირდება „მეომრად ყოფნა“. აქ ლაპარაკია გამშველებლის როლში მყოფი მონაზვნის, ხუცესის ან დედაკაცის („დიაცის“) მოკვლის შემთხვევაში მკვლელის მხრივ ორმაგი სისხლის დაურვებაზე, იმ პირობით, თუ კი მოკლული გამშველებელი არ იქნებოდა „მეომარი“, ანუ იარაღი არ აღმოაჩნდებოდა.

ბექასთან პირდაპირ ნათქვამია: გამშველებელი „თუ მეომარი ყოფილიყოს“ — სისხლი არ გარდახდება მის მკვლელს, ხოლო „თუ ერისგანი იყოს“— მისი მოკვლისათვის ორკეცი სისხლი იყო დაწესებული[20].

ბექას სამართლის მე-16-ე მუხლში ნახმარი სიტყვა „ერისგანის“ გაგებისათვის საყურადღებო მონაცემებს გვაწვდის გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ შესაბამისი ადგილი (მუხლი 26). აქაც ლაპარაკია იმაზე, რომ თუ კი „შუად მისული“ [ე. ი. გამშველებელი] დიაცი „მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გაცუდდეს მის დიაცისა სისხლი. და თუ უბრალდ მოკლან, ორი სისხლი დაიურვონ დიაცისათჳს, და გერში ყუელასი სწორე არის: მონაზონთა, ხუცესთა მწირველთა, დიაცისა“[21].

უნდა აღინიშნოს, რომ გამშველებლის როლში მყოფი ყველა პირის მოკვლა კი არ გულისხმობდა ორმაგი სისხლის დაურვებას, არამედ ეს ეხებოდა მხოლოდ ქალს და სასულიერო პირებს (მონაზონს, ხუცესს). ვინმე სხვა გამშველებელი კიდეც რომ მომკვდარიყო, მას ასეთი ანაზღაურება არ ეკუთვნოდა, ვინაიდან ის თავისთავად მეომრად, ე. ი. იარაღის მქონებლად იგულისხმებოდა[22].

პრივილეგია ვრცელდებოდა მხოლოდ იმათზე, ვინც იარაღს არ ატარებდა, ე. ი. მეომარი არ იყო: მაგრამ ასეთს (დიაცს, ხუცესს) რომ აღმოჩენოდა იარაღი, მის მკვლელს აღარაფერი გარდახდებოდა, რადგან იგი „უბრალო“ აღარ იქნებოდა, ე. ი. თანაგანმზრახველობაში დაედებოდა ბრალი[23].

საინტერესო ის არის, რომ ზემოთ მოტანილ ამონაწერში („ძეგლის დადებიდან“) სიტყვა „უბრალო“ მეომართან დაპირისპირებით ჩასმულია ამ კონტექსტში, სადაც ბექასთან ასევე „მეომართან“ დაპირისპირებით გვაქვს „ერისგანი“.

რადგან „მეომრად ყოფნა“ ანუ „აბჯარის ქონება“ ამ შემთხვევაში დანაშაულად ითვლებოდა, ხოლო ვისაც ასეთი არა აქვს „უბრალოა“ („ძეგლის

---

20 ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 430.

21 იქვე, გვ. 412.

22 მხითარ გოშის სამართლის 281-ე მუხლი ითვალისწინებს „შუამავლის“ როლში მხოლოდ ქალის ყოფნას და თუ კი ვინმე მას დაამარცხებდა, დამნაშავისთვის ხელი უნდა მოეკვეთათ (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ის ქალი მომხმარებელი არ იყო). ხოლო თუ კი ის ქალი მომხმარედ გამოდიოდა, თვით იმ დედაკაცისათვის უნდა მოეკვეთათ ხელი.

აქ სასულიერო პირებზე აღარაფერია ნათქვამი, მაგრამ აქედან არ ჩანს რომ ასეთი პრივილეგია ქალის გარდა სხვა საერო პირებზედაც ვრცელდებოდა. ასეთი რამ მხოლოდ გვიან უნდა გაჩენილიყო. მაგალითად, ვახტანგის სამართლის მიხედვით თითქოს ყველა შუამავალი სარგებლობდა ორკეცი სისხლის დაურვების უფლებით: „თუ შუამავალი მოკვდეს, ბერი თუ მონაზონი, ქალი თუ კაცი, მოკითხული უნდა იქნას. თუ მართლის გამოჩენით ჩნდეს, რომე შუამავალი ყოფილიყოს და არც ერთის მომჭმარი არ ყოფილიყოს, სიკვდილისა და ჭრილობისაც ორკეცი სისხლი მისცეს, როგორც სისხლი სდიოდეს...“

23 ვახტანგის კოდექსში შეტანილი ბერძნული სამართლით (მუხლი 388) იარაღის ქონება ნიშნავდა წინასწარგამიზრახველობას (იხ. ქ. ს. ძ. I, გვ. 217); ამასთან აღსანიშნავია, რომ სიტყვა „მეომარი“ არ გულისხმობდა მოჩხუბარს.

დადებით“] ანუ იგივე „ერისგანია“ [ბექას მიხედვით], უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი არა მარტო საერო პირია, არამედ ისეთ კატეგორიას ეკუთვნის, ვინც არ ატარებს აბჯარს, არ ომობს, ე. ი. „ერისგანი“ უკვე არამეომარია.

ჩვენ ზემოთ თვალი გავადევნეთ „ერისგანის“ და „საეროს“ მნიშვნელობის შეცვლას დროთა ვითარებაში. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ცვლა დაკავშირებული იყო XI—XII სს. ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ ძირეულ ძვრებთან — ძველი საზოგადოებრივი ძალების, კერძოდ „ერის“ — ადრეფეოდალური ხანის მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობასთან და ამის შედეგად თვით ამ ტერმინის და მისგან ნაწარმოები ზემოთაღნიშნული სიტყვების ახალი მნიშვნელობით ხმარებასთან. კერძოდ, ჩვენი აზრით, აღნიშნული დროისათვის აღგილი ჰქონდა „ერისგანის“ მიერ მეომრის ფუნქციის დაკარგვას, რაც თვით „ერის“ სოციალური ტრანსფორმაციის შედეგი უნდა ყოფილიყო. აღებულ ხანაში „ერს“ ანუ ძველ „მდაბიორ-მოლაშქრეს“ უკვე ჩამოცილებული აქვს მოლაშქრის ფუნქცია. „ერისგანი“ უკვე მხოლოდ მდაბიორს, მ-წის მუშას, გლეხს გულისხმობს ვიწრო გაგებით, ხოლო ზოგადად კი საერო პირს — ფართო გაგებით. ამასთან, გვიანდელი „ერი“ კი არის საერთოდ, მთელი ხალხიც, მაგრამ უფრო მდაბიო მასას გულისხმობს. რაც შეეხება მეომრებს — „მკედარს“, „მოლაშქრეს“ [ძველ „მეპომეს“] — ისინი უკვე „ერისგანი“, „ერისკაცი“ კი აღარ არიან, არამედ გარკვეულ დროს [XI—XIII სს.] პროფესიონალ მოლაშქრეებად იქცევიან — „ყმის“ სტატუსით [კონკრეტული სოციალური მნიშვნელობით] და „მოლაშქრე“ მსახურებად გაიაზრებიან [ბექასა და აღბუღას სამართლის „მსახურნი“]. უფრო გვიანდელ ხანაში კი ასეთებად ნაწილობრივ მსახურები და აზნაურები გვევლინებიან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ გლეხობა — ე. ი. ხალხის [ძველი „ერის“] დიდი ნაწილი არ ომობდა, მაგრამ გლეხი უკვე იმდენად ითვლებოდა მეომრად, რამდენადაც სამხედრო ბეგარის [„ლაშქარ-ნადირობის“] მომხდელი მიწის მუშაკი იყო, რაც ფუნქციონალურად სულ სხვაა[24].

ამგვარად, თითოეული ზემოთგანხილული ტერმინი „ერი“, „ერისგანი“, „ერისკაცი“ სოციალური შინაარსის მატარებელია და ამიტომ დროთა ვითარებაში წყაროებში მათ გაგებაში ცვლილებების თვალის მიდევნებას და დაზუსტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის ძირეული საკითხების გასარკვევად.

---

24 მაგ. ვახტანგ VI-ის სამართალში: „ერთი ესე რომე ომში ყოველ კაცს შემოაკვდეს ძველითგან მეომარსა“ [მუხლი 42]; „...ფარალის აყრა ერთის მეომარის მოშლა არის... და გარისკაც არ გაიგოს“ [მუხლი 158]. სირესთველის დროშის 1729 წ. განწესებაში წერია: „ერისთვის ... კაცნი და სახლისა შემძლე მეომარნი“ [ქ. ს. ძ. II, გვ. 384].

Э. В. ХОШТАРИЯ-БРОССЕ

# СОЦИАЛЬНО-ПРАВОВЫЕ АСПЕКТЫ УПОТРЕБЛЯЕМЫХ В ПАМЯТНИКАХ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ ТЕРМИНОВ «ЭРИ» И ПРОИЗВОДНЫХ ОТ НЕГО «ЭРИСГАНИ», «ЭРИСКАЦИ» И «САЭРО»

Резюме

В статье прослежено изменение во времени значения употребляемых в древнегрузинских памятниках письменности терминов «эри» (народ, войско) и производных от него «эристани», «эрискаци» (выходец из народа, войн), и «саэро» (народный, публичный). Показано, что эти термины постепенно утрачивают первоначальное значение, проистекающее из тождества народа и войска, и употребляются в более широком понимании, в смысле всего светского, противопоставленного всему церковному.

E. KHOSHTARIA-BROSSE

# THE SOCIAL AND LEGAL MEANINGS OF THE TERM „ERI" AND ITS DERIVATIVES „ERISGANI", „ERISKATSI" AND „SAERO" IN OLD GEORGIAN WRITTEN SOURCES

Summary

The article deals with the change of meaning of the term „eri" (people, army) and its derivatives „erisgani", eriskatsi"—(one of the people, army), „saero„ (public) used in Old Georgian literary soures. It is shown that these terms gradually lose their primary meaning denoting a unity of people and the army (the troops) and later are used in the broader sense of anything 'civil' as opposed to 'ecclesiastic'.

სოსლან ბარლიშვილი

# ვინ იყვნენ „აზნაურნი საზუერელნი“

მატიანე ქართლის ერთი ცნობა იხსენიებს აზნაურებს საზუერელებს. ცნობა შემდეგი შინაარსისაა: „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-ს (922—957 წწ.) ეუჯანყდა მის მიერ ქართლის ერისთავად დანიშნული მისივე შვილი კონსტანტინე. კონსტანტინეს მიემხრო ქართლის აზნაურთა დიდი ნაწილი და მათ შორის ტბელთა ძლიერი საგვარეულო. აჯანყებული უფლისწული თავისი მომხრეებითურთ ქართლის მაშინდელ ცენტრში უფლისციხეში გამაგრდა. გიორგი მეფემ ხანგრძლივი ალყის მიუხედავად ვერ შეძლო უფლისციხის ძალით აღება და ხერხს მიმართა: „აბირნა აზნაურნი საზუერელნი ესრე სახედ: გამოვედ, ჩუენ წარგიყვანოთ აფხაზეთად, შენ დაჯედ მეფედ და მამა შენი დარჩეს გარეგნით“. კონსტანტინე ენდო აზნაურ საზუერელებს და მიუხედავად უფლისციხეში მყოფ ქართლელ აზნაურთა დიდი წინააღმდეგობისა (ისინი უშლიდნენ კონსტანტინეს დაეტოვებინა თავშესაფარი), გამოვიდა უფლისციხიდან და ღამე მტკვარი ტივით გადასცურა, რათა შეხვედროდა საზუერელებს. ამის შემდეგად იგი შეიპყრეს და სასტიკად დასაჯეს[1]. გარდა აქ მოყვანილისა, აზნაურ საზუერელთა შესახებ სხვა არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია.

ცხადია, რომ ამ აზნაურთა გვარი „საზუერელი“ წარმომდგარია „საზუერედან“, ეს ტერმინი ძველად საბაჟო დაწესებულებას ეწოდებოდა. ამ სიტყვას სულხან-საბა ორბელიანი შემდეგნაირად განმარტავს: „საზუერე-ზუერის ადგილი, ზუერი — ხარკი, გინა ბაჟი“[2]. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ აზნაურნი საზუერელნი საბაჟო დაწესებულების მოხელენი იყვნენ[3]. როგორც აღნიშნა ნ. ბერძენიშვილმა ტერმინმა „საზუერემ“ ადრევე დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა, იგი შეცვალა „საბაჟომ“, თუ როდის მოხდა ეს, ახლა ამის გარკვევა ძნელია, მაგრამ X ს-ში, რომ „საზუერის“ მაგივრად უკვე „საბაჟო“ იხმარებოდა ეს აშკარაა. X ს-ის მცხოვრები იოანე ბოლნელი ეპისკოპოსი თვის თანამედროვეებს უმარტავდა „საზუერეს“ შინაარსს: „მეზოკერ იგი არს მებაჟე, ხოლო საზუერ იგი არს ადგილი, სადა იგი ბაჟსა იყვოფედ[4]“. როგორც ვხედავთ, X ს-ის მცხოვრებთ უკვე აღარ ესმით „საზუერის“ შინაარსი, იგი დიდი ხნის დაკარგული სიტყვაა. მაშ საიდან უნდა წარმომდგარიყო გვარი „საზუერელი“? ნ. ბერძენიშვილი ამ კითხვას ასე პასუხობდა: „გამოთქმა „აზნაურნი საზუერელნი“, ბუნებრივია, გავიგოთ როგორც აზნაურნი „საზუერე“-დან (თუ „საზუერეთი“-დან), სადაც „საზუერე“ (თუ „საზუერეთი“)

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 267.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928, გვ. 289, 131.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფილისი, 19[illegible], გვ. 32.

[4] ნ. ბერძენიშვილი, [illegible] სახელის ლოკალიზაციისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, [illegible], თბ., 1964, გვ. 189.

დაწესებულების სახელიდან წარმომდგარი გეოგრაფიული სახელია"[5]. მკვლევარმა „საზუერე"-დ (თუ „საზუერეთად") ოდესღაც წოდებული ტერიტორია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, შემდეგდროინდელ საციციანოში მდებარედ მიიჩნია[6]. „საზუერეს" ასევე გვიანდელ საციციანოში მდებარედ მიიჩნევდა დ. გვრიტიშვილი[7]. „საზუერე" გეოგრაფიულ სახელად ჩათვალა ს. ჯანაშიამაც, მაგრამ მისი აზრით, „საზუერე" მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ალის მიდამოებში მდებარეობდა[8]. ამასთანავე ს. ჯანაშიამ აზნაურნი საზუერელნი გააიგივა ჩიჯავაძეთა საგვარეულოსთან[9]. მკვლევარს ამ დასკვნის საფუძველს აძლევდა ძველად ალში საბაჟოს არსებობა, ჩიჯავაძეთა გვარში გავრცელებული საკუთარი სახელი „საზუერელი" და ჩიჯავაძეთა გვარის ბინადრობა ქართლში. ამგვარად, ს. ჯანაშიას „საზუერელ-ჩიჯავაძეები" მიაჩნდა ალის მიდამოების მკვიდრად. აზნაური საზუერლები და ჩიჯავაძეები ერთ საგვარეულოს წარმომადგენლებად მიიჩნია თ. სოსელიამაც, ოღონდ ს. ჯანაშიასგან განსხვავებით მან ჩათვალა, რომ „საზუერელ-ჩიჯავაძეთა" სამკვიდრო იყო არა ალში, არამედ „გაღმა მხარში", იქ სადაც „საზუერეს" უთითებდნენ ნ. ბერძენიშვილი და დ. გვრიტიშვილი[10] („გაღმა მხარში" — ყოველთვის ვგულისხმობთ გვიანფეოდალური ხანის საციციანოს ტერიტორიებს — ხ. მ.). ს. ჯანაშიას მიხედვით, „საზუერელ-ჩიჯავაძეები" ქართლში მკვიდრდებიან „აფხაზთა სამეფოს" წარმოქმნის პერიოდში, ე. ი. VIII—IX სს-ში[11]. თ. სოსელია კი აზუსტებს „საზუერელ-ჩიჯავაძეთა" ქართლში ბინადრობის ზედა თარიღს, XV ს-ის შუა ხანებში: „უეჭველია, რომ XV ს-ის დამდეგშიც „გაღმა მხრის" გარკვეული ნაწილი ჩიჯავაძეებს უპირავთ. კახბერ ამირეჯიბის შვილი საზუერელ ჩიჯავაძე ამ დროს აქ ხვედურეთს ფლობს. ხოლო აღნიშნული საუკუნის 40—50-იან წლებში ჩიჯავასძენი" „გაღმა მხარს" საერთოდ, და ატენის მოურაობას, კერძოდ, ეცილებიან ამ მხარეში ახლად ფეხმოკიდებულ ციციშვილებს.

ამგვარად, აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პერიოდში, თუ უფრო ადრე არა, გვიან... „გაღმა მხარში" დამკვიდრებული ჩიჯავაძეები რჩებიან აქ XV ს-ის შუა წლებამდე, სანამ ტაოდან მოსული ციციშვილები არ დაისაკუთრებენ „გაღმა მხარს" და არ გამოაძევებენ მათ იქედან"[12] — წერს მკვლევარი.

მოსაზრებას აზნაურ საზუერელთა და ჩიჯავაძეთა საერთო წარმომავლობის შესახებ დასაშვებად თვლიდა ნ. ბერძენიშვილიც, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადებითი პასუხი იქნებოდა კითხვაზე, რომ ჩიჯავაძენი „ძველად მთლად ან უმთავრესად გაღმა მხარში მკვიდრობდნენ"[13].

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში „საზუერეს", „აზნაურ

---

[5] ნ. ბერძენიშვილი, ერთი ძველი სიგლის ადგილმდებარეობისათვის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 109.

[6] იქვე.

[7] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 126.

[8] ნ. ბერძენიშვილი, ერთი ძველი სიგლის..., გვ. 188.

[9] ს. ჯანაშია, ბორჩალოელთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 478.

[10] თ. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, თბ., 1981, გვ. 10

[11] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 478.

[12] თ. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[13] ნ. ბერძენიშვილი, ერთი ძველი სიგლის... გვ. 192.

საზუერელთა“ და მათთან დაკავშირებით ჩიჯავაძეთა გვარის შესახებ არსებობს შემდეგი მოსაზრებანი:

1) გეოგრაფიული ტერიტორია „საზუერე“ (ან „საზუერეთი“) მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, შემდეგი დროის საციციანოში. ამ ტერიტორიის სახელიდან ნაწარმოები იყო აქ მკვიდრ აზნაურთა გვარი „საზუერელი“ (ნ. ბერძენიშვილი); 2) „საზუერე“ მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ალის მიდამოებში და აზნაურნი საზუერელნიც ამ მხარის მკვიდრნი იყვნენ (ს. ჯანაშია); 3) აზნაურნი საზუერელნი და ჩიჯავაძენი ერთი საგვარეულოს წარმომადგენლები არიან და VIII—IX სს.-დან (თუ უფრო გვიან) — XV ს-ის შუახანებამდის „გაღმა მხარში“ მკვიდრობენ (ო. სოსელია).

ამ მოსაზრებებიდან მართებულად მიგვაჩნია პირველი, რომელიც ნ. ბერძენიშვილმა ქართლის ცხოვრების ზემოთ მოყვანილი ცნობის გამოყენებით შესანიშნავად დაასაბუთა: „აშკარაა, აზნაურნი საზუერელნი მტკვრის მარჯვენა მხრიდან არიან მომდგარნი და აქეთ ეპატიჟებიან კონსტანტინეს (რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე უფლისციხეს აფარებდა თავს — ს. მ.) უკანასკნელს სწამს, რომ თუ მტკვრის მარჯვენა ნაპირს გავა და აზნაურნი საზუერელნი მოისურვებენ, ისინი შეძლებენ მის უვნებლად „აფხაზეთში“ გადაყვანას. თუ ეს იმედი არა ის, რა თქმა უნდა, მათ არ ენდობოდა. ამიტომაც იყო, რომ სწორედ აზნაურნი საზუერელნი და არა სხვა ვინმე აბირნა გიორგი მეფემ. ასე, რომ, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს აზნაურნი საზუერელნი უნდა იყვნენ „გაღმა მხარის“ ანუ შემდეგი დროის საციციანოს აზნაურნი და ეს „საზუერე“ (ანუ „საზუერეთი“) ამ მხარის მთავარი პუნქტი იყო“[14]. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა 1543 წლის ბრეთის ეტრატის ოთხთავის წარწერაზე, სადაც იხსენიება საზუერის ღვთისმშობელი, რომელიც ფარსადან ფანასკერტელ-ციციშვილის მამულში (ე. ი. საციციანოში) ყოფილა[15]. XVII ს-ის დასასრულს საციციანოში მდებარე საზუერის ღვთისმშობელს უთითებს დ. გვრიტიშვილიც[16]. საზუერის ღვთისმშობელი ანარეკლი უნდა იყოს იმ „საზუერის“ (თუ „საზუერეთისა“), რომელსაც საციციანოში მდებარე გარკვეული გეოგრაფიული ტერიტორია ოდესღაც სახელად ატარებდა. „უძველეს დროს, როცა ჯერ კიდევ ტერმინები „ბაყი“, „საბაყო“ არ შემოსულიყო, „გაღმა მხარეში“, ანუ შემდეგი დროის საციციანოში არსებობდა საბაყო დაწესებულება, რომელსაც „საზუერე“ ერქვა. X ს-ში „საზუერე“ აქ კარგა ხნის გეოგრაფიული ტერმინია (რა თქმა უნდა, საბაყო დაწესებულება ამით არ გაუქმებულა და საბაყოს სახელით ის შემდეგ დროშიც არსებობდა). ამ ტერმინიდანაა ნაწარმოები ძლიერ აზნაურთა გვარი საზუერელი. ამ გვარის ძირეული მამული სწორედ ეს „საზუერე“ („საზუერეთი“) უნდა ყოფილიყო. ამ ტერმინის გადმონაშთია „საზუერის ღვთისმშობელი“[17] — შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი. მისი მსჯელობის მიხედვით, ვფიქრობთ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ „საზუერე“ მდებარეობდა „გაღმა მხარში“ და სწორედ ამ „საზუერეს“ მკვიდრნი იყვნენ აზნაურნი საზუერელნი. ასე, რომ მოსაზრე-

---

[14] ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაყოს... გვ. 190.
[15] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 386.
[16] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.
[17] ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაყოს..., გვ. 192.

ბა გეოგრაფიულ სახელ „საზუერესა“ და აზნაურ საზუერელთა ალის მიდამოებთან დაკავშირების შესახებ თავისთავად იხსნება. ნ. ბერძენიშვილმა „გაღმა მხარში“ „საზუერეს“ („საზუერეთის“) მდებარეობა უფრო დეტალურად დააზუსტა: „მაინც სად უნდა ყოფილიყო ეს „გაღმა მხრის“ „საზუერე“. ხაგვიანევ ხანაში „გაღმა მხარში“ ცნობილი იყო „ზოვრეთის საბაჟო“. ზოვრეთი ძველი ქალაქი ჩანს და ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ძამის ხეობით მომავალ გზაზედ გამართული ეს მძოვრეთის საბაჟო აქ ნაგვიანევად გადმოტანილად ვივარაუდოთ[18]. ე. ი. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ ძველი „საზუერე“ (როგორც საბაჟო დაწესებულება, ასევე ამ სახელის მატარებელი გეოგრაფიული ერთეული) მდებარეობდა ძამის ხეობაში, გვიანშუასაუკუნეების დროინდელ მძორეთის ტერიტორიებზე. მისი ეს მოსაზრება სრულიად მართებულია და სხვაგვარი შეხედულებისთვის არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია. უნდა ჩავთვალოთ, რომ აზნაურ საზუერელთა ძირითად სამკვიდროს „გაღმა მხარი“, კერძოდ კი ძამის ხეობა წარმოადგენდა, ხოლო მათი რეზიდენცია მოთავსებული უნდა ყოფილიყო გვიანდელ მძორეთის (თან სოფ. ორთუბანი) ტერიტორიებზე. ნიშანდობლივია, რომ „გაღმა მხრის“ შემდგომ მფლობელთა, ციციშვილთა რეზიდენციასაც სწორედ აქ ვხედავთ.

მოსაზრება აზნაურ საზუერელთა და ჩიჯავაძეთა საერთო წარმომავლობის შესახებ, ჩვენი აზრით, დამაჯერებლობას მოკლებულია. მისი მხარის დამჯერი პირველი არგუმენტია აზნაურთა გვარი „საზუერელი“ და ჩიჯავაძეთა საგვარეულოში დამკვიდრებული საკუთარი სახელი „საზუერელი“. ვფიქრობთ, ეს დამთხვევა არ გვაძლევს იმის მყარ საფუძველს, რომ ჩიჯავაძენი — საზუერელებს დავუკავშიროთ. არც იმ ვარაუდის მტკიცე საფუძველი უნდა გვქონდეს, თითქოს ჩიჯავაძეებმა ეს სახელი მაინცდამაინც ძამის ხეობის „საზუერიდან“ მიიღეს. ჯერ ერთი ჩვენთვის უცნობია თუ როდის იქცა „საზუერელი“ ჩიჯავაძეთა საგვარეულო სახელად — ადრეულ ხანებში, თუ XIV—XV სს-თა მიჯნაზე, როდესაც ამ გვარში პირველად ეხვდებით მას[19], ხომ შესაძლებელია, ჩიჯავაძეებს სახელი „საზუერელი“ მიეღოთ სხვა „საზუერიდან“ (თუნდაც ალის საბაჟოდან, ყოველ შემთხვევაში ჩიჯავაძე-ამირეჯიბთა ალის მფლობელობა ამ ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა. ს. ჯანაშია სწორედ ამიტომ მიიჩნევდა საზუერელებს ალის მიდამოების მკვიდრად, რომ ჩიჯავაძეთა სამყოფელი აქ ეგულებოდა[20]), ან სულაც სხვა გზით (ამას დასაშვებად თვლიდა ნ. ბერძენიშილი[21]). მით უმეტეს, რომ საკუთარი სახელი „საზუერელი“ გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ საგვარეულოებშიც (რომელთაც არასოდეს საერთო არ ქონიათ ძამის ხეობასთან და მის „საზუერესთან“): „საზუერელი“ ერქვა სამცხის ათაბაგ ყვარყვარე IV-ის ვაჟს. იგი იხსენიება 1520 წლით დათარიღებულ სიგელში[22]. XVII ს. II ნახევარში ამავე სახელს ატარებდა კახეთში ჩოლოყაშვილთა გვარის წარმომადგენელი[23]. XVIII ს-ის

---

18 ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაჟოს..., გვ. 193.

19 თ. ჟორდანია, ქრ., II, გვ. 213.

20 იხ. იქვე, გვ. 212, ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაჟოს..., გვ. 188.

21 იხ. იქვე, გვ. 191.

22 თ. ჟორდანია, ქრ., II, გვ. 347.

23 იხ. იქვე, გვ. 513.

ნახევარში კახეთშივე მოღვაწეობდა სახლთუხუცესი საზვერელი[24]. XVIII ს-ის შუა ხანებისთვის ქართლში გვხვდება გვარი საზვერლიშვილი[25]. ამრიგად, სახელი „საზუერელი" მარტო ჩიჯავაძეთა „კუთვნილება" არაა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (სამცხე, კახეთი, ქართლი) მასთან შეხვედრა უნდა უთითებდეს თვითონ ტერმინ „საზუერის" გავრცელებაზე, საიდანაცაა ნაწარმოები საკუთარი სახელი „საზუერელი".

გარდა ამისა, აზნაურ საზუერელთა და ჩიჯავაძეთა ერთმანეთთან დაკავშირებას სხვა დიდი წინააღმდეგობაც ახლავს თან. აზნაური საზუერელნი „გაღმა მხარში" ფიგურირებენ X ს-ის I ნახევარში. ჩიჯავაძეთა პირველი მოხსენიება კი „გაღმა მხარში" განეკუთვნება XV ს-ის დასაწყისს[26]. შეუძლებელია, რომ XI—XIV სს-თა სიგრძეზე საზუერელ-ჩიჯავაძეებს ერთად თუ ცალ-ცალკე „გაღმა მხარში" ეცხოვრათ და მათ შესახებ რაიმე, თუნდაც არაპირდაპირი ცნობა არ შემონახულიყო. მით უმეტეს, რომ წყაროებში ვხვდებით ამ საუკუნეთა მანძილზე „გაღმა მხრის" სხვადასხვა მფლობელთა ვინაობებს. ესენი არიან: 1): X ს. II ნახევარში ადარნერსე ძამელი მთავარი[27] (ეს ადარნერსე ჩვენ საზუერელთა გვარის წარმომადგენელი გვგონია. ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით); 2) XI—XV სს-თა სიგრძეზე ეკლესიას, რომელიც „გაღმა მხრის" საკმაოდ მსხვილი მფლობელია[28]; 3) XII—XIII სს-თათვის „გაღმა მხარში" ჩანს სამეფო კარის მფლობელობაც. ამ საუკუნეთა მიჯნაზე ძამის ხეობაში თამარ მეფის პირველი ვეზირი ანტონ ღლონისთავიძე აგებს ყინცვისის განთქულ მონასტრის მთავარ ტაძარს[29]. ტაძრის აშენებაში მეფის ვეზირის ქტიტორობა და ფრესკებზე სამეფო ოჯახის გამოხატვა მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ ყინცვისი სამეფო მონასტერია; 4) XIII—XIV სს. მიჯნაზე ჩანან თორელები, ისინი ფლობენ ძამის ციხეს[30]; 5) XIII ს-ის შუახანებიდან XIV ს-ის II ნახევარში ორბოძლელები[31]; 6) XIV ს-ის II ნახევრიდან აქ მკვიდრდებიან ფანასკერტელები[32], ისინი საბუთების მიხედვით „გაღმა მხარში" მამულთა უცილობელ მფლობელებად XV ს-ის დასაწყისიდან ჩანან[33]. მათ შორის ვერსად ვერ ვხედავთ X ს-ის შემდეგ საზუერელებს და XV ს-ის ადრე ჩიჯავაძეებს.

თ. სოსელიას აზრით, აზნაურ საზუერლებთან ჩიჯავაძეთა საგვარეულოს დაკავშირების ერთ-ერთი არგუმენტია XV ს-ის დასაწყისისათვის ჩიჯავაძეთა მფლობელობა „გაღმა მხარში" და კიდევ ის ფაქტი, რომ XV ს. შუა ხანებში ჩიჯავაძენი აქტიურად იბრძვიან „გაღმა მხარში" ფანასკერტელ-ციციშვილთა

---

24 ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 622.

25 პაატა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 139.

26 თ. ჟორდანია, ქრ., II, გვ. 213.

27 „ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 271.

28 იხ. იქვე, გვ. 293, თ. ჟორდანია, ქრ. II, გვ. 184–185, 320.

29 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 273.

30 ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქ., თბ., 1959, გვ. 317.

31 ს. მარგიშვილი, ორბოძლელთა ფეოდალური საგვარეულო, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982, გვ. 59.

32 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127; დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 104.

33 თ. ჟორდანია, ქრ., II, გვ. 223.

ციხისა და მამულის ხელში ჩასაგდებად[34]. XV ს-ის დასაწყისისათვის ჩიჯავაძეებს მართლაც მიუწვდებათ ხელი „გაღმა მხარზე“, კერძოდ კი, ხვედურეთის ხეობაზე. 1401—1407 წწ-ში კახაბერ ამირეჯიბის სულის მოსახსენიებლად ეკლესიას ხვედურეთში ბუკისძისეულ მამულს სწირავენ: კახაბერის ქვრივი, მეფე გიორგი VII-ის და ულუმპია და მისი ვაჟი საზუერელ ჩიჯავაძე[35]. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ფაქტი არ გამოდგება იმის მყარ არგუმენტად, რომ ჩიჯავაძენი უმთავრესად „გაღმა მხარში“ მკვიდრობდნენ ჯერ კიდევ აზნაურ საზუერელთა დროიდან. ჯერ ერთი, „გაღმა მხარში“ გარდა ხვედურეთისა ჩიჯავაძეთა მფლობელობა არსად არ დასტურდება. მეორე, თვით ხვედურეთშიც არ უნდა ჰქონოდათ მათ ისე ფართო სამფლობელოები, რომ „გაღმა მხარში“ ძირეულ სამკვიდროდ გაჰხსდგომოდათ. ხვედურეთის ხეობა ტერიტორიულად მცირეა (დაახ. 10—15 კმ-ს სიგრძის). ჩვენთვის ცნობილია, რომ უკვე XI ს-დან აქ უმთავრეს მფლობელს ეკლესია (მცხეთის საკათალიკოსო, რუისის საეპისკოპოსო) წარმოადგენდა[36]. ეკლესიამ ხვედურეთის მამულები დაკარგა XIII ს-ის შუახანებიდან 1355 წლამდე. ამ ხნის მანძილზე ამ მამულებს ფლობდნენ ორბოძელები[37]. მაგრამ 1355 წელს ხვედურეთის მამულები ეკლესიამ კვლავ დაიბრუნა და მათ XVI ს-ის დასაწყისისთვისაც ისევ მის ხელში ვხედავთ[38]. რასაკვირველია, ხვედურეთში ჩიჯავაძეთათვის ფართო ტერიტორიები აღარ დარჩებოდა. ეკლესია მათ არაფერს დაუთმობდა. ამასთან ერთად ულუმპიასა და საზუერელ ჩიჯავაძის სიგელში ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა: ეკლესიისთვის ხვედურეთში მამულის შეწირვის ინიციატორი ჩანს კახაბერის ქვრივი ულუმპია და არა მისი ვაჟი საზუერელი. ყურადღება მივაქციოთ საბუთის ერთ ფრაზას: „მე დედაბერსა ულუმპიას და ჩემს შვილს საზუერელს ჩემითა ნდომითა... (შემიწირავს) და საქმითა გამთავებელ ვარ ნებითა ღმრთისათა“. როგორც ვხედავთ, მამულის შეწირვა აშკარად ულუმპიას ნებით და სურვილით ხდება. იქნებ ხვედურეთს არსებული სამფლობელოები ჩიჯავაძეთა ხელში მოექცა ულუმპიას მზითევის მხრიდან. ულუმპია მეფის ასული იყო და მზითვიც შესაფერისი ექნებოდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ XV ს-ში მტკვრის მარჯვენა სანაპირო („გაღმა მხარი“) ბატონიშვილთა საბატონო ერთეულად ჩანს[39].

არც ის ფაქტი, რომ XV ს-ის შუა ხანებში ჩიჯავაძენი ცდილობენ „გაღმა მხარში“ ფანასკერტელ-ციციშვილთა სამფლობელოების ხელში ჩაგდებას, არ უნდა მეტყველებდეს აქ ჩიჯავაძეთა ძველად მკვიდრობის სასარგებლოდ. ჩიჯავაძენი ფანასკერტელთა მამულის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ ვახტანგ IV-ის მმართველობის წლებში (1442—1446 წწ.). როდესაც ვახტანგი გამეფდა მან „გაღმა მხარი“ თაყა ფანასკერტელის მამულის გამოკლებით თავის ძმა

---

[34] ი. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[35] თ. ჟორდანია, ქრ. II, გვ. 213.

[36] გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წ., საშენებლო წარწერა თრელის ქვაბებიდან. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 1, თბ., 1961, გვ. 240.

[37] ს. მარლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[38] თ. ჟორდანია, ქრ., II, გვ. 320.

[39] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124, ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბ., 1937, გვ. 25.

დემეტრეს მიანება. ხოლო „თაყა ამისთუის არ მიანება, რომე მისი მამული და ციხე ჩიჯავას ძისთუის უნდოდა“. მაგრამ თაყა დემეტრეს ყმა შეიქმნა და მამულის ჩამორთმევას გადარჩა. როგორც ჩანს, ამით უკმაყოფილო ჩიჯავაძენი თავს დაესხნენ თაყას სამფლობელოს და აოხრეს, მაგრამ ფანასკერტელთა მამული მათთვის მაინც ხელმიუწვდომელი დარჩა[40]. წყაროდან არ ჩანს თუ რატომ მაინცდამაინც ჩიჯავაძისთვის უნდოდა მეფეს თაყას მამული. სამაგიეროდ, ამავე წყაროდან ნათლად ჩანს, რომ მეფის ძირითადი მიზანი არა თაყას მამულის ჩიჯავაძის ხელში გადასვლა იყო, არამედ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო თაყას დამცრობა, შეპყრობა და დასჯა. ჩიჯავაძის თავდასხმის შემდეგაც არ მოუშლია მეფეს თაყა ფანასკერტელისადმი მტრობა. „მეფესა ვახტანგს აბჯარი შეეცო და ზედ დასხმასა და (თაყას — ს. მ.) ხელთ შეპყრობასა აპირობდა“. თაყა ჯავახიშვილთა წყალობით გადარჩენილა მეფისგან დატყვევებას. „თუ არა შეიპყრობდეს ხელთა, და რაცა უარესი იყო, მას უზამდეს“[41]. ამ შემთხვევაში ჩიჯავაძენი არ ჩანან სამოქმედო ასპარეზზე, მეფე მათ გარეშე მოქმედებს თაყას წინააღმდეგ. ვფიქრობთ, უფრო დამაჯერებელი იქნება თუ ჩავთვლით, რომ ვახტანგ მეფე თაყა ფანასკერტელის წინააღმდეგ მოქმედებდა საკუთარი ინტერესებით და არა იმ მიზნით, რომ აღედგინა ჩიჯავაძეთა ძველი მფლობელობა „გაღმა მხარში“, რომელიც წყაროში არსად არ ჩანს. ხოლო ჩიჯავაძეთა სურვილი ხელში ჩაეგდოთ ციციშვილთა სამფლობელო არაა იმის არგუმენტი, რომ ოდესღაც ეს ტერიტორიები მათ ეკუთვნოდათ, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული. XV საუკუნის დამახასიათებელი ნიშანია ახალი ფეოდალური საგვარეულოების გამოსვლა ასპარეზზე, მამულების გადანაწილების საფუძველზე ახალი სენიორიების შექმნა. ამ ახალმა „სახლებმა“ დაიკავეს ძველი, XIII—XIV საუკუნეთა ძნელბედობის დროს დამცრობილი და ისტორიული სცენიდან ჩამოსული „სახლების“ადგილი[42]. ფანასკერტელ-ციციშვილთა და ჩიჯავაძეთა საგვარეულოებში ჩვენ ქართლის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულ იმ ახალ „სახლებს“ ვხედავთ, რომელნიც ცდილობენ „გაღმა მხარში“ დაიკავონ XIV ს-ში დამცრობილ ფეოდალთა (ამ შემთხვევაში ორბოძლელების[43]) ადგილი. ჩიჯავაძეთა „გაღმა მხარში“ ფიგურირება ჩვენ შემდეგნაირად წარმოგვიდგება. XIV ს-ის II ნახევარში ჩიჯავაძეებმა შეაღწიეს „გაღმა მხარში“, კერძოდ კი ხვედურეთის ხეობაში. უფრო ადრე ისინი აქ სავარაუდებელნი არ არიან, რადგანაც მანამდე ამ ხეობის მფლობელნი ეკლესია და ორბოძლელთა საგვარეულო იყო[44]. ჩიჯავაძეთა სამფლობელო ამ რეგიონში ტერიტორიულად მცირე იყო და მათ დაიწყეს ბრძოლა მამულის გაფართოებისათვის. იმ ხანად (XV ს-ის I ნახევარი და შუა ხანები) „გაღმა მხარზე“ ძირითად პრეტენზიას ფანასკერტელ-ციციშვილები აცხადებდნენ და ბუნებრივია, რომ ჩიჯავაძენი „გაღმა მხრის“ ხელახლა გადანაწილებისათვის ბრძოლაში სწორედ მათ დაუპირისპირდნენ. მათი ბრძოლა მარცხით

---

40 ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან..., გვ. 30.

41 იქვე.

42 ილ. ანთელავა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 43—44.

43 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127; დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105, ს. მარგიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

44 ს. მარგიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

დამთავრდა და ისინიც იძულებულნი გახდნენ გასცლოდნენ „გალმა მხარს" და ახალი სამკვიდრო სხვაგან ეძებნათ. ჩიჯავაძეთა ქართლში მოღვაწეობის მანძილზე ჩვენ ვერსად ვხედავთ უმნიშვნელო დადასტურებასაც კი, რომ ისინი ადრეულ საუკუნეებში „გალმა მხარში" მკვიდრობდნენ. მათი კავშირი „გალმა მხარეთან" ზოგადად XIV ს-ის II ნახევრითა და XV ს-ის I ნახევრით უნდა განისაზღვროს[45].

ჩიჯავაძეთა შესახებ ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნით, რომ ჩიჯავაძეთა გვარს არავითარი კავშირი არა ჰქონია X ს-ში მცხოვრებ აზნაურ საზუერლებთან და არც „გალმა მხარეთან" XIV—XV სს-მდე.

როგორც აღნიშნული იყო „მატიანე ქართლისა"-ს დასაწყისში მოტანილი ცნობის გარდა აზნაურ საზუერელთა შესახებ სხვა არავითარი მონაცემი არ მოგვეპოვება. ამ ცნობიდან შესაძლებელი გახდა გარკვეულიყო: 1) აზნაური საზუერლები „გალმა მხრის" მკვიდრნი არიან, მათ ძირითად სამფლობელოდ ძამის ხეობა ჩანს; 2) მათი რეზიდენცია კი გვიანდელი მძორეთის მიდამოებშია საგულვებელი. ამავე ცნობიდან ირკვევა, რომ აზნაური საზუერლები ფეოდალთა კლასის უმაღლესი ფენის წარმომადგენლები არიან. ისინი თამამად ერევიან სამეფო ტახტის გარშემო ატეხილ ბრძოლაში და მეფენიც დიდ ანგარიშს უწევენ მათ ძალასა და გავლენას. აზნაური საზუერლნი პირდებიან აჯანყებულ კონსტანტინეს „აფხაზეთში" ჩაყვანას და იქ გამეფებას. კონსტანტინე უჯერებს მათ, გამოდის უფლისციხიდან, ტოვებს საიმედო თავშესაფარსა და ერთგულ მოკავშირეებს (ქართლელ აზნაურებს, რომელთა შორის ტბელთა ძლიერ გვარსაც ვხედავთ) და მიემართება საზუერლებისკენ იმ იმედით, რომ ისინი დაპირებებს ასრულებენ. რასაკვირველია, ქართლის ერისთავმა კონსტანტინემ კარგად იცოდა ქართველ აზნაურთა ძალა და შესაძლებლობანი, აგრეთვე. აზნაურ საზუერელთა ვინაობა და დარწმუნებული იყო, რომ მათ ქადილის ასრულების ძალა შესწევდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავის თავს ბრმა ბედს არ მიანდობდა. კონსტანტინემ ვერ გაითვალისწინა მხოლოდ ერთი რამ: აზნაური საზუერლები, მამამისის, გიორგი მეფის დავალებით მოქმედებდნენ. მას ქართლელ აზნაურთა და ეგრის-აფხაზეთის მეფის მოკავშირეობა დაუშვებლად მიაჩნდა. გიორგი მეფის მიერ აზნაურ საზუერელთა გამოყენებაც კონსტანტინეს წინააღმდეგ ბრძოლაში ნათელი მაჩვენებელია საზუერელთა საგვარეულოს მაშინდელ ძალასა და მდგომარეობაზე. ჩანს, ეგრის-აფხაზეთის მეფემაც შესანიშნავად იცოდა ამ საგვარეულოს შესაძლებლობანი და ისიც, რომ მათი საშუალებით შესძლებდა კონსტანტინეს ხელში ჩაგდებას. ცხადია, რომ საზუერლები დიდაზნაურები არიან და შესწევთ ძალა პოლიტიკურ მოვლენებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ.

კონსტანტინეს აჯანყება 926 ან 927 წ. უნდა მომხდარიყო (კონსტანტინე

---

45 დ. გვრიტიშვილი, დასაშვებად თვლიდა, რომ ჩიჯავაძენი ორბოძლელთა სახლის წარმომადგენლები იყვნენ (დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127). რადგანაც როგორც ერთნი, ისე მეორენი ფლობდნენ მამულებს ხეედურეთში. ეს არგუმენტი წინააღმდეგობრივია, ორბოძლელებმა ხეედურეთის მამულები XIV ს-ის II ნახევარში დაკარგეს. ჩიჯავაძენი კი XV ს-ის დასაწყისში ხეედურეთში ეკლესიას სწირავენ მამულს. რასაკვირველია, ისინი ერთი სახლის წევრები რომ ყოფილიყვნენ მაშინ ჩიჯავაძენი უკვე დაკარგული მამულების შეწირვას ველარ შეძლებდნენ. ორბოძლელ-ჩიჯავაძეთა საერთო წარმომავლობას უარყოფს ო. სოსელიაც (ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 7, შენ. 1).

აჯანყდა ქართლის ერისთავობის მიღებიდან 3 წლის შემდეგ. მისი ერისთავად დანიშვნა კი 923—924 წწ-ში ივარაუდება[46]). ამ ამბებიდან დაახლოებით 40—50 წლის შემდეგ ვხედავთ ძამის ხეობაში მომხდარ მეტად საინტერესო ისტორიულ ფაქტს, რომელიც შეიძლება აზნაურ საზუერლებს დავუკავშიროთ. ეგრის-აფხაზეთის მეფე დემეტრე III-ის (967—975 წწ.) ტახტის ხელში ჩასაგდებად იბრძვის მისი ძმა თეოდოსი. იგი მესხი აზნაურების მხარდაჭერით აპირებდა მეფის წინააღმდეგ გალაშქრებას, მაგრამ მეფემ დაასწრო და მესხეთში შეკრებილი თეოდოსის ჯარი გაანადგურა. დამარცხებულმა თეოდოსიმ მესხეთიდან თავი ქართლს შეაფარა: „წარვიდა ქართლს და მიმართა ადარნასეს ძამელსა მთავარსა, შეიყვანეს იგი ძამისა ციხესა და მუნით გამოღმართ ეძიებდა საქმესა თჳსსა. მაშინ დემეტრე მეფემან მიგზავნა ლაშქარი თვისი, მოადგეს ციხე ძამისასა და ჰბრძოდეს სამ თუე ოდენ. და ციხის გამოღმართ ევნებოდეს ფრიად. და ვითარცა მისჭირდა ციხოვანთა, ითხოვეს ფიცი და სიმტკიცე, რათა განუტეონ თეოდოსი და წარვიდეს მშჳდობით. და მათ მიიწოდეს იგი, და გაგზავნეს მშვიდობით. წარვიდა წინაშე დავით კურაპალატისა და მუნ დაყო წელიწადი ერთი“[47]. ვინ არის ძამელი მთავარი ადარნასე. იგი დიდაზნაურია, რეალური ძალის მქონე ფეოდალი. იბრძვის ეგრის-აფხაზეთის მეფის წინააღმდეგ და საკმაო წარმატებითაც. მოყვანილი ცნობიდან უცნაურად გამოიყურება შემდეგი ფაქტი: დემეტრე მეფე ყოველნაირად ცდილობს ხელში ჩაიგდოს მისი ტახტის მოსურნე თეოდოსი. ებრძვის მას მესხეთში. ლაშქარს ადევნებს ძამის ხეობაშიც. ძამის ციხესთან თეოდოსის ხელში ჩასაგდებად წარმოებული სამი თვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში მიღებული დიდი ზარალის („ციხის გამოღმართ ევნებოდეს ფრიად“) მიუხედავად, დემეტრე მეფემ მაინც კომპრომისული შეთანხმებით დაამთავრა საქმე ძამელ მთავართან. თვითონ ადარნასე დაუსჯელი დარჩა, ხოლო თეოდოსი უვნებელი წავიდა ძამის ციხიდან ტაო-კლარჯეთში დავით კურაპალატის წინაშე. ცხადია, მეფე რაღაც მიზეზების გამო იძულებული იყო თავისუფლებაში დაეტოვებინა ტახტის საშიში მოცილე. მართალია, მან ფიცი მისცა ადარნასეს ძამის ციხიდან თეოდოსის უვნებლად წასვლაზე, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეფენი არად დაგიდევდნენ არავითარ ფიცსა თუ პირობას, როცა საქმე საკუთარ ძალაუფლებას ეხებოდა. მეფეთა პირობა თუ ფიცი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მაშინ სრულდებოდა, როცა პირობის დარღვევის შემთხვევაში სერიოზულ ძალასთან უხდებოდათ შეჯახება. რით უნდა აიხსნას დემეტრე მეფის მიერ თეოდოსის უვნებლად გაშვება, რომლის მხრიდანაც საშიშროება ყოველთვის იარსებებდა? ვფიქრობთ, ძამელი მთავრის ძალითა და გავლენით. როგორც ჩანს, მეფემ ამჯობინა დროებით გადაედო თეოდოსის დასჯა, ვიდრე უკიდურესად გაემწვავებინა ურთიერთობა ადარნასე ძამელ მთავართან, რომლის შესაძლებლობებსაც და კეთილგანწყობასაც, ჩანს, იგი დიდად აფასებდა. ყოველივე ეს გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ ხანად ქართლის პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე ძამელ ფეოდალთა შესახებ.

ადარნასეს ტიტული გვიჩვენებს, რომ იგი ძამის ხეობის მფლობელია. მისი უმთავრესი სიმაგრე და რეზიდენცია — ძამის ციხეა. ვფიქრობთ, პარა-

---

[46] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 321.

[47] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 271.

ღელების გავლება ადარნასე ძამელ მთავარსა და აზნაურ საზუერლებს შორის საკმაოდ ადვილია: 1) ორივე X ს. მოღვაწენი არიან. მათ უმნიშვნელო დრო, დაახლოებით 40—50 წ., აშორებთ ერთმანეთს. აზნაური საზუერლები ჩანან X ს-ის 20—30-იან, ხოლო ადარნასე X ს-ის 60—70-იან წლებში; 2) ორივენი ფეოდალთა კლასის უმაღლესი წრის წარმომადგენლები არიან და საკუთარ ძლიერებაში დარწმუნებულნი თამამად ერევიან ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტახტის გარშემო ატეხილ ბრძოლებში; 3) აზნაური საზუერელნი ძამის ხეობის მფლობელებად ჩანან, მათი რეზიდენცია კი გვიანდელი მძორეთის მიდამოებშია საგულვებელი. ადარნასე ძამელი მთავარი უცილობლად ძამის ხეობის პატრონია. მისი რეზიდენცია ძამის ციხეა. ძამის ციხეს კი ვახუშტი სწორედ მძორეთის მიდამოებში უთითებს[48], აქვე უთითებს მას ნ. ბერძენიშვილიც[49]. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ადარნასე ძამელი მთავარი აზნაურ საზუერელთა საგვარეულოს წარმომადგენელია. საფიქრებელია, რომ ამ საგვარეულომ სწორედ ადარნასეს დროს მიაღწია ყველაზე დიდ სიძლიერეს და ეს ფაქტი აისახა ადარნასეს განსხვავებულ „ძამელი მთავრის", ტიტულატურაში. IX—X სს-ით დათარიღებულ ატენის სიონის პილიგრიმული წარწერებიდან ერთი იხსენიებს იოვანე ძამელსა და კვირიკეს[50] (კვირიკეს ძამელობა აქ არ ჩანს, მაგრამ იოვანესთან ერთად მისი მოხსენიება შესაძლოა სწორედ მისი ძამელობის მანიშნებელი იყო). ალბათ, არ შევცდებით თუ იოვანე ძამელს ჩვენთვის საინტერესო საგვარეულოს წარმომადგენლად მივიჩნევთ. ამას მხარს უჭერს იოვანეს ძამელობა და წარწერის თარიღი IX—X სს. ზემოთქმულზე დაყრდნობით, უფრო მართებულად მიგვაჩნია ჩვენთვის საინტერესო აზნაურთა გვარს ვუწოდოთ „ძამელ-საზუერელთა" საგვარეულო.

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ ძამელ-საზუერელთა საგვარეულოს მოღვაწეობის ზოგადი თარიღი, უნდა გადავხედოთ მაშინდელ შიდა-ქართლის პოლიტიკურ სურათს. IX—X სს-ში საქართველოში მზადდება ნიადაგი ცალკეულ ქართულ სამეფო-სამთავროთა გასაერთიანებლად. ამ დროს შიდა-ქართლი როგორღაც ცალკეა დარჩენილი. იგი ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის წარმოებული ბრძოლის უმთავრესი მიზანია. ყოველი ქართული სამეფო თუ სამთავრო. ეს იქნებოდა ეგრის-აფხაზეთის სამეფო. ქართველთა საკურაპალატო თუ კახეთის სამთავრო, აქტიურად ცდილობდა ხელში ჩაეგდო შიდა-ქართლი. შიდა-ქართლის მიერთება ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლაში უდიდეს უპირატესობას ქმნიდა[51].

---

48 ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ს. ყაუხჩიშვილის რედ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 344.

49 ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბუთი... გვ. 193. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია, რომ ძამის ციხე მდებარეობდა არა მძორეთთან, არამედ მდ. ძამის სათავეებთან სოფ. ციცაგვერდის მიდამოებში (იხ. ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბ., 1961, გვ. 32, 41). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადარნასეს დროინდელი ძამის ციხე არის მძორეთის მიდამოებში საძიებელი სიმაგრე, მაგრამ ამაზე მსჯელობისგან თავს ვიკავებთ, რადგან მისი დაზუსტება ჩვენი საკითხის სფეროს სცილდება. მით უმეტეს, რომ საზუერელთა და ადარნასე ძამელი მთავრის დაკავშირების თვალსაზრისით, ამ ფაქტს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ორივე ციხე ძამის ხეობაშია და, ამდენად, საზუერელ-ძამელთა სამფლობელოს ფარგლებს არ სცილდება.

50 ლაპიდარული წარწერები, I, თბ., 1980, გვ. 212.

51 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 513—530.

შიდა-ქართლისთვის ენერგიულად იბრძოდნენ საკუთრივ ქართლელი აზნაურებიც. რასაკვირველია, მათ ხელს არ აძლევდათ ქართლში რომელიმე სამეფო ხელისუფლების გამტკიცება, რადგანაც ისინი „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“[52]. ქართლელმა აზნაურებმა ყველაზე დიდ წარმატებას შიდა-ქართლისთვის ბრძოლაში IX—X სს-თა მიჯნაზე მიაღწიეს, მაშინ „იპყრობდეს ქართლს აზნაურნი“[53], ხოლო X ს-ის დასაწყისში ქართლის ერისთავებად ადგილობრივ საგვარეულოს, ტბელებს ვხედავთ[54]. მაგრამ სხვა შემთხვევებში შიდა-ქართლისთვის ბრძოლაში სხვადასხვა დროს წარმატებას სხვადასხვა ქართული სამეფო-სამთავროები აღწევენ. ამის მიხედვით, ქართლელი აზნაურები იბრძვიან იმათ წინააღმდეგ, ვინც ყველაზე რეალურ პრეტენზიას აცხადებს შიდა-ქართლზე. დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ საქართველოს გამაერთიანებელ მეფე ბაგრატ III-ს (975—1014 წწ.). ამ ხანად „ნომინალურად შიდა-ქართლს ბაგრატის დედა გურანდუხტი განაგებდა, რომელიც უფლისციხეში იჯდა, ხოლო რეალურად ქართლის მიწა-წყალი ტბელებს, ძამელებს, ფავნელებს, კორინთელებს, ფხვენელებს და სხვა დიდ აზნაურებს ჰქონდათ ურთიერთშორის დანაწილებული“[55]. შიდაქართლისათვის ბრძოლაში ქართლელ აზნაურთა მისწრაფებებს ბოლო ბაგრატ III-მ მოუღო. მან 980 წ. მოღრისთან გამართულ ბრძოლაში გაანადგურა აზნაურთა ლაშქარი და მტკიცედ და საბოლოოდ დაეპატრონა შიდა-ქართლს[56].

ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის გაერთიანებისათვის მიმდინარე ბრძოლის დროს, IX—X სს-ში, მრავალი დიდაზნაურული გვარი დაწინაურდა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადრეფეოდალურ ხანაში, IX—X სს აზნაურთა განსაკუთრებული სიძლიერის პერიოდია. ამ პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულმა მრავალმა საგვარეულომ დატოვა შესამჩნევი კვალი იმდროინდელ მოვლენებზე. მაგალითად, ასეთი იყო IX ს-ის 80-იან წლებში დაწინაურებული, თრიალეთს დაპატრონებული ბაღვაშთა გვარი[57], რომელიც საუკუნეთა მანძილზე ქედს არ უხრიდა სამეფო ხელისუფლებას და რომლის საბოლოო დამორჩილებაც მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შეძლო[58]. IX—X სს-ში, კახეთში ასეთსავე ძლიერ აზნაურებად ჩანან გარუჯაბანელნი[59]. საკუთრივ შიდა-ქართლში მრავალი დიდაზნაურული გვარი (ტბელები, კორინთელები, ფავნელები და სხვა) წინაურდება. ქართლელ აზნაურთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ტბელთა საგვარეულო, რომლის ისტორიაც, წყაროების შედარებით სიუხვის წყალობით, სხვა ქართულ აზნაურულ საგვარეულოებზე უკეთ შეგვიძლია აღვადგინოთ. ტბელთა და სხვა აზნაურთა აღზევების ხანის დასაწყისიდან ქართლში ერისმთავრობის გაუქმება შეიძლება ჩავთვალოთ

---

[52] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 276.
[53] იხ. იქვე, გვ. 262.
[54] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 525.
[55] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 154.
[56] იხ. იქვე, გვ. 155.
[57] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 464, 515.
[58] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 213.
[59] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 254, 256, 257, 262.

(IX ს. დასაწყისში). სწორედ ამ დროიდან ივარაუდება ტბელთა ფეოდალური სახლის გაძლიერება[60]. X ს-ის დასაწყისში ტბელები ქართლის ერისთავები არიან[61]. ტბელებს (ასევე სხვა ქართველ აზნაურებსაც) X ს-ის სიგრძეზე თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ქართლის პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ ხანებში ქართველი აზნაურები სწორედ ტბელთა წინამძღოლობით იბრძვიან ეგრის-აფხაზეთის მეფეთა წინააღმდეგ. ასევე ამ საგვარეულოს წარმომადგენელი ჯავთარ ტბელი მეთაურობს ქართველ აზნაურთა ბრძოლას ბაგრატ III-ის წინააღმდეგ[62]. თუ IX საუკუნე აზნაურთა სიძლიერის დასაწყისად ჩანს, X ს-ის დასასრულს ქართველ აზნაურთა დამოუკიდებლობას ბოლო ედება. XI ს-ის 80-იან წლებში დაიწყო სამეფო ხელისუფლების შეტევა დიდაზნაურთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში ბაგრატ III ედგა. ქართველ აზნაურებზე ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ბაგრატი მათ დაუნდობლად გაუსწორდა: „რომელნიმე დახოცნეს, რომელნიმე დაიპყრეს და სხუანი კუალად მეოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს"[63]. დიდაზნაურთა დამარცხებას მათ მიერ მიტაცებული მამულების ჩამორთმევაც მოჰყვებოდა. „ამ უძლიერეს ფეოდალთა ხარჯზე (ტაოს ხეობა — კახას ჩამომავალნი, ძამის ხეობა — ძამელი მთავრები, თრიალეთ-მანგლისი — ბაღვაშნი, მუხრან-ზედაზენი — აბულეთისძენი, ქსანლიახვი — აბაზაძენი) სამეფო დომენი შეუდარებლად გაიზარდა"[64]. 980 წ. მოღრილთან გამართული ბრძოლის შემდეგ მრავალი აზნაურული გვარი გაქრა, ან თითქმის გაქრა ასპარეზიდან (ტბელები, კორინთელები, ფავნელები, ფხვნელები და სხვა).

ზემოთ მიმოხილულის ფონზე რა შეიძლება ითქვას ძამელ-საზუერელთა საგვარეულოს შესახებ. ჩვენი აზრით, საგვარეულოს ისტორია მსგავსი უნდა იყოს ტბელთა ისტორიისა, რადგანაც პირობები რომელთაც ტბელების დაწინაურება გამოიწვიეს (უმეფობა შიდა-ქართლში, ხშირი პოლიტიკური ცვლილებანი, ხელსაყრელი გზათა ქონა და სხვა) ანალოგიური იქნებოდა ძამელ-საზუერელთათვისაც. საფიქრებელია, რომ: 1) ძამელ-საზუერელთა საგვარეულო, ისევე როგორც ტბელებისა, დაწინაურდა IX ს-ში; 2) X საუკუნე ამ გვარის სიძლიერის ხანაა: ისინი ქართლის პოლიტიკურ ასპარეზზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ; 3) X ს-ის 60—70-იან წლებში საგვარეულომ, ადარნასე ძამელი მთავრის მეთაურობისას, თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია; 4) ს-ის 80-იან წლებში ძამელ-საზუერელთა ფეოდალური სახლი სამეფო ხელისუფლების მიერ დამცრობილი აღმოჩნდა; 5) X ს-ის შემდეგ ძამელ-საზუერელთა საგვარეულოს არსებობა სავარაუდებელი აღარაა.

---

60 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 528.
61 იხ. იქვე. ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 172, 176.
62 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 153.
63 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 276.
64 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური... საკითხები, ტ. I, გვ. 32.

С. МАРГИШВИЛИ

## КТО ТАКИЕ «АЗНАУРНИ САЗУЕРЕЛНИ»


Резюме

«Летопись Грузии («Матиане Картлисай») под 926 (или 927) годом упоминает род дворян (азнауров) Сазуерелни. Как выяснил акад. Н. А. Бердзенишвили, Сазуерелни владели Дзамским ущельем. Выяснилось также, что этот род принадлежал к высшему феодальному слою и имел большое влияние на политические события того времени.

Спустя 40—50 лет та же «Летопись Грузии» владетелем Дзамского ущелья называет Адарнерсе—дзамского «мтавара», как и Сазуерелни — большого вельможу, активно участвовавшего в политической жизни. По нашему мнению, Адарнерсе дзамский «мтавар», подобно упомянутому в надписи Атенского Сиони Иоване Дзамели, должен быть представителем рода Сазуерелни.

Этот большой дворянский род, который правильней было бы называть Дзамел-Сазуерелни, владел Дзамским ущельем в IX—X вв., вплоть до 80-ых гг. X века. Когда объединитель Грузии царь Баграт III разгромил множество больших дворянских родов Картли (Тбели, Павнели и др.), среди них, видимо, был и род Дзамел-Сазуерелни, существование которого маловероятно после X века.


S. MARGISHVILI

## WHO ARE «AZNAURNI SAZUERELNY»


Summary

In Chroniklcs of Georgia (Matiane Cartlisai) under 926 (or 927) year is mentioned a stock of nobles (aznaures)—Sazuerelny. Acad. N. A. Berdzenishvili acsertained that Sazuerelny owned the Dzamy Canyon. Besides it turned cut, that this stock belonged to the highest feudal layer and had a great influence on the political events of that time.

After 40—50 years, again Chronicles or Georgia mentiones Adarnerce. Dzamy Mtavar as the owner of the Dzamy Canyon, like Sazuerelny—the great noble, who took an active part in the political life. We think that this Adarnerse, as well as Ioane Dzamely, mentioned in the inscription of the Ateni Sioni, must be representatives of Sazuerelny stock.

This great noble stock which is more correct to call Dzamel—Sazuerelny. Owned the Dzamy Canyon in the IX—X centuries and have lost it after 80th years of the X century. when unifier of Georgia, King Bagrat the III routed most of the great noble stocks of Kartly (Tbeli, Pavnely, etc.) may be between them was the stock of Dzamel—Sazuerelny too. At least their existence doesn't sum possible after the Xth century.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის [illegible]
[illegible]

И. Г. ЛОРДКИПАНИДЗЕ

# ИЗ ИСТОРИИ РОСПИСИ ЦЕРКВИ СПАСА В ЦАЛЕНДЖИХА

Среди многочисленных росписей, сохранившихся в Грузии, особое место занимает роспись купольного храма, воздвигнутого во имя Спаса в Цаленджиха, в Западной Грузии, в исторической провинции Одиши—Самегрело. В греческой и грузинских надписях, помещенных на западных подкупольных устоях храма, указано, что правитель Одиши Вамек Дадиани (1384—1396 гг.) направил в Константинополь двух монахов, Андронике Габисулава и Махаребели Квабалия, которые привезли оттуда художника Мануила Евгеникоса, расписавшего храм. Таким образом, роспись в Цаленджиха равным образом интересна для исследователей как византийской, так и грузинской средневековой монументальной живописи. Она фактически является единственным сохранившимся точно датированным и подписанным художником произведением константинопольской школы живописи конца XIV века. Поэтому каждый исследователь, восстанавливая общую картину развития константинопольской школы, среди других памятников обращается и к цаленджихской росписи, как к одному из ярких творений этой школы. Вместе с тем, созданная на грузинской земле, по воле заказчика-грузина, отражая в какой-то мере вкусы и воззрения местного передового общества — как светского, так и церковного, роспись эта является неотъемлемой частью грузинской культуры также. Тем более, что ввиду своих высоких художественных достоинств — как иконографических, так и стилистических, она в дальнейшем сыграла значительную роль в эволюции грузинской средневековой живописи: на протяжении конца того же XIV, а также XV, XVI и даже XVII веков создавались росписи, стилистические и иконографические особенности которых обнаруживают большую близость к росписи Евгеникоса. Это роспись усыпальницы Вамека Дадиани в Хоби (Западная Грузия, Одиши—Самегрело, также датированная годами правления Вамека Дадиани, 1384—1396); роспись небольшой зальной церкви в Набахтеви в Восточной Грузии, в ущелье реки Алис-цкали (1412—1431 гг.); а также росписи церкви св. Георгия в Гелатском монастыре (XVI в.) и церкви в селении Корцхели, вблизи Цаленджиха (XVII в.).

Цаленджихский храм и его росписи (расписан не только храм, но и его многочисленные притворы, росписи которых датируются более поздними веками) в научной литературе известны уже с середины XIX века. Но они упоминаются и ранее в трудах иностранных путешественников и ученых, посещавших Грузию. Первые важные шаги в изучении цаленджихского памятника были сделаны известным исследователем грузинской культуры и истории Мари Броссе — Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Armenie, exécuté en 1847—1848. St.-Pétersbourg, 1850; а позже, более чем полвека спустя —

Екатиме Такаишвили (Из археологического путешествия по Самегрело, в сборнике «Дзвели Сакартвело», Тифлис, 1913—1914). Они оставили нам описание храма и его фресок, опубликовали многочисленные надписи, по которым датировали роспись храма и притворов, выдвинули свои предположения о дате построения храма. Впервые в специальной искусствоведческой литературе краткая характеристика цаленджихской росписи встречается в альбоме Ш. Я. Амиранашвили, посвященном Убиси (1930). Впоследствии Ш. Амиранашвили не раз возвращался к росписи в Цаленджиха как в своих общих трудах по грузинскому искусству, так и в отдельных статьях. В «Истории грузинского искусства» (Москва, 1963, изданной также на грузинском языке, Тбилиси, 1971), касаясь росписи в Цаленджиха, он различает в ее исполнении руку трех мастеров: основного мастера — грека и двух других, которые по его предположению были грузинами, ездившими за Евгеникосом в Константинополь. Он высказывает также мнение, что в качестве образца для Богородичного цикла и цикла святого Николая, представленных в программе росписи, были использованы миниатюры лицевых рукописей. Важным является и его наблюдение о том, что ктиторские изображения в этой росписи «написаны в византийской манере, которая коренным образом отличается от традиционной манеры грузинского ктиторского портрета». Специально росписи Кира Мануила Евгеникоса в Цаленджиха был посвящен доклад Ш. Амиранашвили на Всесоюзной конференции византинистов в Тбилиси (1965) — «Византийская монументальная живопись эпохи палеологов и «национальные школы» (Кир Мануил Евгеник)». Ученый справедливо считает, что Евгеникос, как приглашенный мастер, должен был учитывать и вкусы местных заказчиков и местные художественные традиции. Далее, отмечая разнообразный характер памятников палеологовского искусства в Грузии, он указывает на стилистическую близость росписей Хоби и Набахтеви к росписи в Цаленджиха: в последней он распределяет сцены по манере письма ликов. Н. Толмачевская в книге «Фрески древней Грузии» (1931) описывает расположение основных сцен и дает общую характеристику росписи.

Цаленджихскую роспись рассматривает В. Н. Лазарев в «Истории византийской живописи» (1948, второе русское издание — 1986). Он также предполагает, что приезжему греческому мастеру «помогали местные силы во главе с... Квабалия и Габисулава». В. Н. Лазарев описывает расположение сцен, дает краткую стилистическую характеристику росписи, отнеся ее к «графическому стилю», который заменил живописный стиль первой половины XIV века. Ученый совершенно справедливо считает характерной чертой этой росписи «академическую сдержанность» (по его мнению в Цаленджиха работало не менее четырех художников) и дает предположительную разгруппировку сцен по манере исполнявших их мастеров, хотя следует отметить, что и эта разгруппировка также не всегда бывает точной. К Цаленджихской росписи обращается, как к параллельному материалу, Г. И. Вздорнов в книге «Фрески Феофана Грека в церкви Спаса Преображения в Новгороде» (1976). Т. Вельманс дает краткое описание росписи в книге «La peinture murale byzantine à la fin du Moyen Age», t. I, Paris, 1977, стр. 37, 217. Жаклин Лафонтен Дозонь в большой работе, посвященной грузинской монументальной живописи в книге «Art and architecture in medieval Georgia» (Лувен ла нев, 1980),

анализируя программу росписи, находит в ней следы определенного влияния исихазма. Отто Демус в четвертом томе исследований, посвященных Кахрие Джами — The Kariye Djami, vol. 4, Princeton, 1975 — пишет, что «классицизирующий элемент, всегда скрыто существующий в Константинополе, кажется, приходит вновь...». Художники вновь возвращаются к неоклассическим идеалам, почти на столетие более ранним. Датированным примером этого нового стиля он приводит цаленджихскую роспись. Цаленджихскую роспись рассматривают Т. Б. Вирсаладзе в работе «Основные этапы развития грузинской монументальной живописи» (доклад, прочитанный на II Международном симпозиуме по грузинскому искусству, Тбилиси, 1977) и Г. В. Алибегашвили в исследовании, посвященном грузинскому историческому портрету («Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи», Тбилиси, 1979); представлена она также в главе о монументальной живописи в коллективном труде, посвященном грузинскому средневековому искусству (статья А. И. Вольской «Tesori della Georgia», Milano, 1984).

Цикл святого Николая в жертвеннике цаленджихского храма привлечен в работе Ненси Шевченко The Life of Saint Nicholas in Byzantine art, Torino, 1983.

აღსდგა იგი მეუფეთა-მეუფე, რომელმანც აღადგინა ღირსება ადამიანისა და ჰრქვა მონებით შეგინებულს ქვეყნიერობას: „არღა გეტყვით თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის, რასა იქმნ უფალი მისი; ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქვენ".

აღსდგა იგი ნუგეშმცემელი ღმერთი, რომელმან ჰსცა ნუგეში სასოწარკვეთილს კაცობრიობის ამ სიტყვით: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა".

აღსდგა იგი ყოველთა შემწყნარებელი ღმერთი, რომელმანც უპრძანა ჩაგრულთა, სოფლისაგან ძლეულთა და დევნულთა: „მოვედით ჩემთან, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე განგისვენოთ თქვენ".

აღსდგა იგი ღმერთი მადლისა, სიყვარულისა და გაჭირვებულთა განკითხვისა, რომელმანც სიმშილი, წყურვილი, სიშიშვლედ, სნეულ-ყოფად, პყრობილებად მიითვალა და ჰრქვა წყალობით გამკითხველს ადამიანს: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისათ, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი. მწყუროდა და მასვუთ მე. უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე. შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე. სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე. საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა... ამინ. გეტყვით თქვენ: რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ!"

აღსდგა იგი სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველი ღმერთი, რომელმანც, რა მოიწია ჟამი მისი ვნებისა, აღიხილნა თვალნი თვისნი ზეცად და სთქვა: „მამაო, მოიწია ჟამი ჩემი! ადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ. მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო. წმინდა ჰყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყვა შენი ჭეშმარიტ არს; რათა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარც შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამო. მე დიდებაი, რომელიც მომეც მე, მივეც მათ, რათა იყვნენ ერთ,

ვითარცა ჩვენ ერთ ვართ, მე მათ შორის და შენთანა; რათა იყვნენ სრულ ერთობითა და რათა უწყოდეს სოფელმან, რამეთუ შენ მე მომავლინე, შეიყვარენ იგინი, ვითარცა მე შემიყვარე".

აღსდგა იგი კაცთა-მხსნელი ღმერთი, რომელიც მის მიერ ხსნილთა კაცთავე „განჰსძარცვეს და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს; შესთხზეს გვირგვინი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლელწამი მისცეს მარჯვენასა ხელსა მისსა და მუხლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ. მეუფეო ურიათაო! და ჰნერწყვიდეს მას და მოიღეს ლელწამი და სცემდეს თავსა მისსა".

აღსდგა იგი ჯვარცმული კაცთაგან კაცთმოყვარე ღმერთი, ღმერთი ყოვლადმხსნელის სიყვარულისა, შენდობისა და მიტევებისა, რომელიც ნამეტნაობისაგან მოწყალებისა, სიბრალულისა და შეწყნარებისა იტყოდა მტერთათვის: „მიუტევე, მამაო, რამეთუ არ იციან, რას იქმან".

„და აჰა ძვრა იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისა გარდმოჰხდა ზეცით" და აღსდგა ქრისტე მაცხოვარი ჩვენი!...

აღსდგა იგი ღმერთი მკვდრეთით, რომელმანცა სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და განახლებულს კაცობრიობას ახალი ცხოვრება მიანიჭა.

ქრისტე აღსდგა!..

ილია ბაკაკაძე

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## Tamara Dragadze, Rural families in Soviet Georgia (a case study in Ratcha Province) London and New York 1988—226 p.

## თამარ დრაგაძე, სოფლის ოჯახი საბჭოთა საქართველოში. ლონდონი, ნიუ-იორკი, 1988 — 226 გვ.

რაჭა საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონია, რომელიც დასახლებულია რაჭველებით, ქართველური წარმოშობის ეთნოგრაფიული ჯგუფით.

რაჭის საერისთაოს ერთი ნაწილი (ე. წ. მთის რაჭა) XV ს-ის პირველ ნახევარში დაკავშირებული იყო სვანეთთან, შემდეგში კი რაჭის ტერიტორიულ-პოლიტიკურ ფარგლებში მოექცა, რამაც ბუნებრივია სათანადო ასახვა პოვა დასახლების მორფოლოგიაში. რაჭის მოსახლეობასთან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიგრაციის საფუძველზე ჩამოსახლებული ოჯახების ურთიერთშერწყმის პროცესმა კულტურის ზოგიერთი ლოკალური ელემენტის გვერდით განაპირობა კულტურის ორიგინალური ზოგადქართული ტრადიციული ფორმების ჩამოყალიბება. კულტურის ელემენტთა ზოგადქართული თავისებურებები თვალნათლივ აისახა სამეურნეო ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში (საცხოვრებელ კომპლექსში, სამეურნეო ნაგებობებში, საკულტო რიტუალებში), სოციალურ ურთიერთობათა სფეროში. მიუხედავად ფეოდალური პარტიკულარიზმისა, რაც საქართველოს ცალკეულ სამთავრო-სათავადოებს შორის გამუდმებულ ბრძოლებში იყო გამოხატული, პერიოდული სეპარატისტული განწყობილების გვერდით რაჭის საერისთავო გვიანფეოდალურ ხანაში მუდამ ინარჩუნებდა ორგანულ კავშირს, ერთი მხრივ, სვანეთის, ხოლო მეორე მხრივ, იმერეთისა და სამეგრელოს ფეოდალურ სახლებთან და მოსახლეობასთან. ძველი რაჭველები მჭიდრო კულტურულ-ისტორიულ კონტაქტებში იმყოფებოდნენ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან, განსაკუთრებით რაჭის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ დიგორელ ოსებთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანამედროვე რაჭული სოფლის ყოფა-ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. სწორედ ამ პრობლემის კვლევას მიეძღვნა თავისი მონოგრაფია თამარ დრაგაძემ, რომლის თავდაპირველი ტექსტი წარმოდგენილი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტში დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თ. დრაგაძეს აღნიშნულ ნაშრომში მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

თ. დრაგაძის განხილული მონოგრაფია შედგება 6 თავისა და დასკვნისაგან. მას თან ერთვის სათანადო მეცნიერული აპარატურა: ფოტოილუსტრაციები, დასახლების გეგმები, ჩანახატები, გენეალოგიური სქემები, ცხრილები, ბიბლიოგრაფია და ტერმინთა საძიებელი. მონოგრაფიის ძირითად წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს საველე-ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც ავტორის მიერ შეკრებილი და გამოვლენილია რაჭაში საექსპედიციო მუშაობის პერიოდში.

თ. დრაგაძის მონოგრაფიაში განხილულია ეთნოგრაფიული მეცნიერებისთვის ტრადიციული რიგი პრობლემა. კერძოდ, დახასიათებულია ქართული სოფელი საბჭოთა წყობილების ფონზე, ოჯახის ფორმები და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში საოჯახო ცხოვრების ტრადიციულ კომპლექსთა როლი, ნათესაობა და ქორწინების ინსტიტუტი, გვარის თავისებურებები, სოციალური ორგანიზაციის წევრთა ქცევის ჩვეულებითი ნორმები. მოცემულია საქართველოს რუსეთთან შეერთების ზოგიერთი ისტორიული ფაქტის ანალიზი, რაჭის ქუთაისის გუბერნიაში გაერთიანების მიზეზები. დახასიათებულია აღნიშნული რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, მომიჯნავე კუთხეებთან ტერიტორიული საზღვრები, რაჭის საერთო ფართობის სტატისტიკა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია თბილისთან და ქუთაისთან რაჭის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთკავშირის საკითხზე, სამიწათმოქმედო კულტურების როლზე სამეურნეო ყოფაში, მიგრაციის პროცესზე, დემოგრაფიულ სტრუქტურაზე, რომლის ამსახველი შესაბამისი სტატისტიკური მასალა თავ-

მოყრილია სათანადო ტაბულებსა და ცხრილებში.

თ. ღრაგაძის მიერ რაჭული სოფელი შესწავლილია მოცემული რეგიონის ისტორიული წარსულის ფონზე. კულტუროლოგიურ ასპექტში ნაშრომში განსაზღვრულია ფეოდალური რაჭის ადგილი და როლი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში, დადგენილია რაჭული სოფლის განვითარების თანამედროვე გზები და ტენდენციები. ყოფასა და კულტურაზე სოციონორმატიული კულტურის უცხო ელემენტთა ზემოქმედების მექანიზმი. ავტორის დაკვირვებით, რაჭის რეგიონალურმა ტრადიციულმა კულტურამ, მიუხედავად საბჭოთა იდეოლოგიის, პოლიტიკისა და ეკონომიკის ზემოქმედებისა, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს, შეძლო შეენარჩუნებინა მისთვის დამახასიათებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები. ავტორის ღრმა რწმენით, სწორ კავშირში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები უშუალოდ აისახება საოჯახო ტიპის მიკროუჯრედებში. ოჯახი წარმოადგენს იმ ფონს, სადაც სახელმწიფოებრივი ხასიათის ცვლილებები მიმდინარეობს და რეფორმის შედეგები მჟღავნდება. ამდენად, სავსებით მართებულია მონოგრაფიაში გატარებული აზრი იმის თაობაზე, რომ ოჯახი წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წყაროს გარეგან ზეგავლენათა განსაზღვრაში.

თ. ღრაგაძე ბრიტანელი ანთროპოლოგიისათვის ნიშანდობლივი ტრადიციების კვალდაკვალ რაჭაში კვლევის ობიექტად ღებულობს ლოკალურ ერთეულს და კონკრეტული სოფლის მაგალითზე გვისურათებს რაჭის თანამედროვე მდგომარეობას. ამ მხრივ მონოგრაფიაში ავტორი განსაკუთრებით გამოყოფს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით, რაჭაში მდებარე სოფ. აბარის, რომელიც მდ. ლუხუნიდან 700 მეტრით დაცილებული პატარა სოფელია. აღნიშნულ სოფელში თ. ღრაგაძემ სპეციალური საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება აწარმოა, რის საფუძველზეც ნაშრომში დაწვრილებით მიმოიხილა მისი ადგილმდებარეობის თავისებურებები, საზღვრები, საბადოები და სამადნოთა გადამამუშავებელი ქარხნის მნიშვნელობა მოსახლეობის დემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების სფეროზე. მომსახურების ფორმები. დახასიათა სოფლის ელექტროფიკაციით, სატელეფონო ქსელით, ბიბლიოთეკით, სამედიცინო მომსახურებით, კოოპერატიული მაღაზიით, კინო კლუბით (სადაც ფილმებს თვეში ერთხელ აჩვენებენ) უზრუნველყოფის საკითხები, საკოლმეურნეო სისტემის სტრუქტურისა და მმართველობის ფორმები.

ნაშრომში მოცემულია 1970 წლისათვის სამი სოფლის (ურავი, ღებეთი, აბარი) მოსახლეობის სულადობრივი და კომლთა რაოდენობრივი სტატისტიკა, განსაზღვრულია დასახელებულ სოფელთა საკოლმეურნეო სახმარ ნაკვეთთა (სახნავი, საძოვარი) ფართობის მოცულობა, გარკვეულია შრომისუნარიან მამაკაცთა და ქალთა თანაფარდობის საკითხი და სხვ.

როგორც ვხედავთ, თ. ღრაგაძის მიერ აღნიშნულ სოფელთა მაგალითზე გაშუქებულია პრობლემათა საკმაოდ ფართო წრე. მათგან, ტრადიციული ეთნოგრაფიული პრობლემატიკის თვალსაზრისით განსაკუთრებით ინტერესშემცველი დემოგრაფიული სტრუქტურის, ოჯახთა და საგვარეულოთა განსახლების კანონზომიერებათა სპეციფიკის ჩვენება. ავტორის თანახმად, დასახელებულ დასახლებაში დაფიქსირებულია 78 ოჯახი, რომელთაგან 51 ლობჟანიძის გვარეულობის წარმომადგენელია. 51-დან 18-ს ჰქონდა წინაპრის ზედმეტი სახელისაგან ნაწარმოები საგვარეულო შტო-სახელწოდება. ისინი ერთმანეთში იმყოფებოდნენ საქორწინო ურთიერთკავშირში და ითვლებოდნენ ნათესავებად. ეთნოგრაფიული წყაროებით დადგენილია, რომ საქართველოს სოფლის საზოგადოება ტრადიციულად ეგზოგამიური იყო, თუმცა მოგვიანო პერიოდში სისხლით ნათესაური კავშირების შესუსტებასთან ერთად ცალკეული საგვარეულოს ეგზოგამიურობა დაირღვა, რასაც უშუალოდ ზემოქმედებდა ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები. საგვარეულოთა განუხრელი ზრდა და მათი ინტენსიური დიფერენციაცია სხვადასხვა პატრონიმულ შტოებად. საგვარეულოს შიგნით მის წევრებს შორის არსებობდა ნათესაური ურთიერთდამოკიდებულების უფლებრივ ნორმათა ტრადიციულ სტატუსს. ამდენად, ზოგიერთ სოფელში, მოსახლეობის მხრიდან მისდამი უარყოფითი დამოკიდებულებისა, ეგზოგამიის დარღვევის ცალკეულ ფაქტებს მაინც ჰქონდა ადგილი. განსაზღვრულ პირობებში, საზოგადოებაში ამ მოვლენას ჰქონდა მორალურ-ზნეობრივი და ეთიკური მოტივირება. რაჭაში ამ ტიპის გვარეულობებია მარსურაძეები, მეტრეველები და სხვ.

თ. ღრაგაძე მოცემულ დასახლებაში ასახელებს ჯაფარიძეთა გვარეულობის 9 ოჯახს, რომლებიც ავტორის მასალებით ადგილობრივი წარმომავლობის წვრილი ფეოდალები იყვნენ. ლობჟანიძის წინაპარი საეკლესიო მსახური იყო და გადმოცემის თანახმად, XV ს-ში დასახლებულა სოფ. აბარაში. დასახელებულ საგვარეულოთა შორის მირონით დამყარებულ ნათესაობას ჰქონდა ადგილი, რაც მკაცრად კრძა-

ლავე ურთიერთშორის თხოვა-გათხოვების ფაქტს ხელოვნური ნათესაობის აღნიშნული ფორმა ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

მონოგრაფიის უთუოდ დიდ ღირსებას წარმოადგენს სოფ. აჰარის გენ-გეგმა, სადაც ფიქსირებულია ოჯახებისა და საცხოვრებლითა განლაგების ძირითადი თავისებურებები. სპეციალური ნუმერაციის საფუძველზე მითითებულია გეგმაზე წარმოდგენილი სოციალური ორგანიზაციის ტრადიციული სახელწოდებები. აგრეთვე, გეგმაზე მოცემულია კომლთა რაოდენობა, დასახელებულია საზოგადოებრივი ნაგებობები და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. მასში გამოყოფილია სამი ძირითადი უბანი: შუა უბანი, ჩაღმა უბანი და დათუკაანთ უბანი. დათუკაანთ უბანი გამოირჩევა მონოგენურობით და ავტორის დაკვირვებით, მასში მოსახლეობს ერთიანი დათუკა ლობჟანიძის შთამომავლობა. სწორედ ასეთ უბნებში ადრე მდებარეობდა სანათესაო ტრადიციული თავყრილობის ადგილები (ხშირად კალოზე), სადაც ავტორის თქმით, ახლა განლაგებულია სამეზობლოები თუ საკოლმეურნეო წარმოების სხვადასხვა ობიექტი. ზაფხულობით, სადამოო თავყრილობის მიდამოებში ეწყობოდა სახალხო გართობა-თამაშობანი. ისინი ჩვეულებრივ მოხუცთა სამასლაათო ადგილებად იყო ქცეული.

იქვე სოფელში არსებობდა ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ერთობის ტრადიციული გაგება, რაც ხშირად განმტკიცებული იყო ნათესაურ ურთიერთობათა სისტემით, თუმცა რიგ საკითხებში კონფლიქტური სიტუაცია გარდაუვალი ხდებოდა, განსაკუთრებით სადავოდ გამხდარი საერთო საკუთრების სფეროში. თ. დრაგაძის მიერ გამოვლენილია ამ ფაქტებთან დაკავშირებული მასალები და მითითებულია, რომ დღეს საძოვრებისა და წყაროებისათვის წარმოქმნილი საკონფლიქტო ურთიერთობები გადაზრდილია კარგი რეპუტაციის მოსაპოვებლად გამართულ კონკურენციაში.

მონოგრაფიის ავტორის, აგრეთვე, მხედველობიდან არ გამორჩენია აღნიშნული ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ისეთი ლოკალური ნიშან-თვისებები, როგორიცაა: თავაზიანობა (აგრეთვე, შდრ. ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას რაჭველთა შენელებული მოძრაობისა და საუბრის თაობაზე — ს. ა., ნ. მ.), მზარეულობისადმი მიდრეკილება, გარე სამუშაოზე სიარული. როგორც ჩანს, სწორედ ამ ტიპის რეგიონალურმა მახასიათებლებმა განაპირობეს იმ მეგობრული სახუმარო სიუჟეტებისა და ანეკდოტების ჩამოყალიბება, რომლებიც გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რაჭველთა დასახელებული თვისებების გადმოსაცემად.

რაჭველი ტრადიციულად საკუთარ პიროვნებას განიხილავს უბანში, სოფელში, თემში და რაჭასთან თავის მიკუთვნებულობის დამადასტურებელ საგნებს საკუთარ ინახავს ოჯახში. თ. დრაგაძეს მოჰყავს ამ ფაქტის დამადასტურებელი საინტერესო მაგალითები რაჭველთა საოჯახო ყოფიდან და მიუთითებს, რომ რაჭველები ამაყობენ იმ ცივილიზაციით, რომელიც ძველ საქართველოს აკავშირებდა საბერძნეთისა და რომის ცნობილ კულტურებთან. აგრეთვე, ერთგვარი სიამაყის გრძნობას აპირობებს საქართველოში ქრისტიანული კულტურის ხანდაზმული ასაკი და სხვ. რაჭველებისათვის დამახასიათებელი ერთგვარი რეგიონალური ნიშნები თუ ეთნიკური კომპონენტები თვალსაჩინოდ აისახა კულტურის ტრადიციულ ფორმებში და ავტორიც ყურადღებას სწორედ წესჩვეულებათა ასეთ თავისებურებებზე ამახვილებს. მონოგრაფიაში ცალკეა გამოყოფილი ქცევის ფორმათა ძირითადი კომპლექსი, რომელიც რაჭაში განსაზღვრავდა საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს. ესაა, ზნეობრივი და ტრადიციული (სტუმართმოყვარეობა, ადათების დაცვა და სხვ.). ამ სახის სტერეოტიპები უმეტესად ფუნქციონირებდა ნათესაობის ფარგლებში, ხოლო ნათესაობის გაფართოებისაკენ სწრაფვა ზრდიდა მისი გამოყენების ფარგლებს. მიუხედავად იმისა, რომ ნათესაურ ურთიერთობათა სფეროში, რაჭველი მუდამ ცდილობს დაიცვას გარკვეული ბალანსი ურთიერთვალდებულებათა ნორმალური რეგულირების მიზნით.

სისხლით და შეძენილი ანუ როგორც მას ავტორი უწოდებს რიტუალური ნათესაობა, წარმოადგენს ეროვნულ-ტრადიციულ საფუძველზე პიროვნების ფორმირებისა და სოციალიზაციის ძირითად პირობას. ქართველური წარმოშობის ეთნოგრაფიულ ჯგუფებში და მათ შორის რაჭველებში კორწინება და ნათლობა მიმდინარეობდა კანონზომიერ ეთნოტერიტორიულ საზღვრებში. საზოგადოებაშიც პიროვნება ეროვნული ჩვეულებითა და ტრადიციულობით განისაზღვრებოდა. აქედან გამომდინარე, ავტორის თანახმად, იზღუდებოდა ამ ტიპის ფორმებით ურთიერთკავშირი ეთნიკურად სხვა წარმომავლობის ჯგუფებთან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველმა მთიელებმა კავკასიის სხვა ხალხებთან ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და კულტურულ-ისტორიული კავშირების საფუძველზე ტრადიციული ინსტიტუტების სფეროში გამოიმუშავეს ურთიერთობათა ისტორიულ-

ლად ჩამოყალიბებული მრავალფეროვანი ფორმები (ძმადგაფიცვა, დამეგობრება და სხვ.), მაგრამ ამ ფორმათა ზეგავლენის სფერო გაცილებით ძლიერი იყო თვით ქართველი ეთნოსის ფარგლებში, სადაც მიუხედავად მთლიანობისა, საერთო წარმომავლობისა და თვითშეგნების, ეთნოტერიტორიული ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილი იყო ცალკეული ლოკალური კულტურები, მათ შორის რაჭის რეგიონი. საერთოდ, ფეოდალურ საქართველოში რეგიონალიზმი კულტურულ-პოლიტიკური სეპარატიზმის პირობებში ასრულებდა არსებით როლს. თუმცა ეთნოსის ფარგლებში იგი ყოველთვის არ იყო ეთნოდიფერენცირებული პროცესის ხელშემწყობი ფენომენი და ხშირად შინაგანი ურთიერთობების საფუძველზე წარმოადგენდა ზოგადეთნიკური კულტურის ჩამოყალიბების წყაროს. ასეთი ურთიერთობები კი ხორციელდებოდა დამოყვრება-დანათესავების, ძმადგაფიცვისა თუ სხვა ტრადიციული წეს-ჩვეულებებით. ბუნებრივია, რომ ეთნოსის შიგნით ტრადიციულ-სოციალური კულტურათა გამოვლენების საფუძველზე ამ ტიპის ინტენსიური ურთიერთკავშირები განაპირობებდა ქართველი წარმოშობის ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის ხშირ მიმოსვლას, მეურნეობრივ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთკავშირსა და სხვ. სწორედ ამ ასპექტით ნათესაობის სისტემას განსაკუთრებული ეთნიკური ფუნქცია ჰქონდა და ამის გამო, ამ ფენომენის კვლევის პროცესში იგი ავლენს არა მარტო სოციალურ ურთიერთობათა ტრადიციული ფორმების განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, არამედ ერის სოციალური წყობის ეთნოსპეციფიკურ ნიშნებსაც. ნათესაობის სისტემა ტრადიციული კულტურის სხვა ფორმებთან ერთად ასრულებდა გარეშე ზეგავლენებისაგან ეთნოდამცველ ფუნქციას. აქედან გამომდინარე, გასაგებია თ. დრავაძის განსაკუთრებული ინტერესი რაჭველთა ნათესაური ურთიერთობებისა და სოციალური წეს-ჩვეულებებისადმი.

ავტორი რაჭველებში გამოყოფს ნათესაობის სამ ფორმას: სისხლით ნათესაობას, მოყვრობით ნათესაობასა და სულიერ ნათესაობას. აქვე, მოცემული ტერმინ ნათესავი-ს, მოყვარე-ს ეტიმოლოგიური ანალიზი მაგალითად, თ. დრავაძის დაკვირვებით ნათესავი ნაწარმოებია თეს ფუძისაგან. მისგანაა მიღებული ისეთი ცნებები, როგორიცაა თესლი, თესვა-ტერმინი მოყვარე ავტორის აზრით, ნაწარმოებია სიტყვა მოყვასი-დან ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მოყვარე-დ იწოდება ოჯახები, რომლებიც ერთმანეთში ამ ტიპის ურთიერთკავშირში არ იმყოფებიან. აქ ტერმინ მოყვარე-ს მნიშვნელობა გაფართოებული ჩანს. ნაშრომში აღნიშნული ცნებების გვერდით მიმოხილულია ნათესაობის სხვა კატეგორიებიც, მათ შორის ტერმინი **ახლობელი**, რომელიც თ. დრავაძის დაკვირვებით ყოველთვის არ მოიცავს ახლო ნათესავთა წრეს. ასეთ საზოგადოებაში ყველაზე ახლობლად თვლიან იმ პირებს, ვინც გარკვეულ[illegible] სისხლისა და ხორცის წრეს და ვინც ექვემდებარება ურთიერთდახმარებისა და ურთიერთვალდებულებათა სფეროს.

თ. დრავაძის მონოგრაფიაში ცალკე თავში დეტალურადაა დახასიათებული ნათესაობის სამივე ფორმა. სისხლით ნათესაობის სფეროში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნათესაური დასახლების ფორმასა და ეგზოგამიის საკითხებზე. ნაშრომში წარმოდგენილი საველე-ეთნოგრაფიული მასალებით, წინაპრიდან მომდინარე ნათესაური ჯგუფი, რომელიც შვიდ თაობას მოითვლის, ჩვეულებრივად სახლდება ერთ უბანსა და სოფლის ფარგლებში, რომელთა შორის ქორწინება სასტიკად იკრძალება და ქორწინების, დაკრძალვის თუ საკულტო რიტუალებისა და დღესასწაულების სფეროში დაცული იყო უფლება-მოვალეობათა ტრადიციული ნორმები. დასახლებაში გამოთხოვილი ქალები ოჯახთა წრეში ხდება ქმრის ნათესაობის ტრადიციათა ვამგრძელებელი და ეს გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ მათ ვალდებულებით უკეთ იცოდნენ ქმრის საგვარეულო გენეალოგია, ვიდრე თავისი. ქალები იკრძალება ქმრის გვერდით ოჯახთა საერთო სასაფლაოზე.

მონოგრაფიაში აგრეთვე განსაკუთრებით დაწვრილებით წარმოგვიდგენს ჩასიძების ინსტიტუტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს, ჩასიძების არსსა და შინაარსს. გამოკვლევაში მითითებულია, რომ იქაური სოფელი წარმოადგენს მამის ხაზის აგნატურ სამოსახლოს, სადაც არცთუ იშვიათად ვხვდებით ჩასიძების ფაქტებსაც. ჩვეულებრივ, ზედსიძეს სოფელი ხედებოდა როგორც ოჯახში შემოსულ პირს. მართალია, ზედსიძეობა არ იყო პრესტიჟული, მაგრამ მას ჰქონდა გარკვეული ეკონომიკური საფუძველი. ირკვევა, რომ რაჭაში სოფელსა და ზედსიძეს შორის ურთიერთობათა განმტკიცების მიზნით, ხშირად მიმართავდნენ ნათლობის ჩვეულებას, ნათლიად კი ზედსიძეს ირჩევდნენ. ზედსიძე არ ხდებოდა სიმამრის ქონების მემკვიდრე და არც ცოლის გვარზე გადადიოდა. მისი ჩამომავლები კი ქონებაზე სრული უფლების მატარებლები ხდებოდნენ. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ეთნოგრაფიული წყაროებით დადგენილია ზედსიძის სიმამრის გვარზე გადასვლისა თუ ძუძ დაწერის და შე-

სამაგიეროდ ამისა მისი შვილად და მემკვიდრედ მიღების ფაქტები. ამ რიგის მონაცემები გვაძლევს საფუძველს ზედსიძეობის ინსტიტუტი განვიხილოთ როგორც ხელოვნური ნათესაობის ერთ-ერთი სახეობა.

თ. დრაგაძის მონაცემებით, რაჭაში სისხლით ნათესაობის შორის განარჩევენ დედისა და მამის ხაზებს. სადაც უპირატესობა აგნატთა ჯგუფს განეკუთვნება, თუმცა არანაკლები სიახლოვით გამოირჩევა ურთიერთობები დედის ნათესაობასთან. აღნიშნული ურთიერთკავშირი გამოხატულია ურთიერთვალდებულებათა სისტემაში. ჩვეულებრივ, რაჭაში უმეტესად ცოლები მოჰყავთ სხვა სოფლებიდან, რის გამოც ნათესაობის პატრილინეალური და მატრილინეალური ხაზები მოიცავდა სოფლების ფართო ტერიტორიულ ფარგლებს. ნათესაური სიახლოვის ეს ფაქტორი ხელს უწყობდა დასახლებულ პუნქტთა კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას, ურთიერთპატივისცემას, სტუმართმოყვარეობის ტრადიციის განმტკიცებას, ურთიერთდახმარებას.

დედის ნათესაობასთან დამოკიდებულება ანუ დედის ნათესაობიდან ქალის მოყვანა მკაცრად იკრძალებოდა. ნაშრომში ჩამოთვლილია აკრძალვათა ძირითადი სფეროები, რომლებიც ავტორის აზრით, ქართული საეკლესიო ნორმებით იყო დადგენილი. მაგალითად, ქორწინების აკრძალვა შვიდ თაობაში: მოგვარეებს შორის (თუნდაც ისინი სხვადასხვა სოფელში ყოფილიყვნენ განსახლებულნი), რომელიც მოგვარეებით მეტ-ნაკლებად დაირღვა; განსაზღვრული დასახლების ფარგლებში. ასევე, არ ქორწინდებიან დედინაცვლისა და მამინაცვლის შვილებზე, არაქრისტიანებზე და სხვ. მონოგრაფიაში შესწავლილია ქორწინების ინსტიტუტიც კერძოდ, ქორწინების წინაპირობები, ეკონომიკური შეთანხმებათა თავისებურებები, მაჭანკლობისა და განქორწინების წესები თ. დრაგაძის დაკვირვებით, საქორწინო ასაკი საბჭოთა პერიოდში მეტ-ნაკლებად დამოკიდებული იყო გარეგან ფაქტორებზე. ავტორის თანახმად, როცა რაჭველი ახალგაზრდა გაივლის სავალდებულო სამხედრო სამსახურს და უბრუნდება მშობლიურ კერას, ოჯახი იწყებს საპატარძლოს ძებნას. სასიძოს ახლო ნათესავები მიდიან საპატარძლოს ოჯახში და ქალის ხელს თხოულობენ. ქალის მშობლები ამ დროს დიდ დაკვირვებულობასა და სიდინჯეს იჩენენ, უეცრად არ თანხმდებიან. ქალის ოჯახის ასეთი თავშეკავებულობა ბუნებრივია, რადგან სასიძოს ოჯახი მთხოვნელის როლში გამოდიოდა და შესაბამისად ამის ურთიერთობათა წამოწყების ოფიციალური ინიციატორი ხდებოდა. თ. დრაგაძის მასალებით, ამ დროს დიდი ანგარიში ეწევა თვით ახალგაზრდა წყვილის ურთიერთგანწყობასა და სიყვარულის ფაქტორს. ამ პროცესს მოსდევს ნიშნობა. ვაჟი საცოლეს ნიშნად ოქროს ბეჭედს უტოვებს. ნიშანდობლივია, რომ მზითვის თაობაზე მოლაპარაკება არ წარმოებდა და საპატარძლოს ოჯახს სასიძოს ოჯახში იგი თავისი ინიციატივით მიაქვს. საერთოდ, ქალიშვილის ოჯახი მეტად იყო დაინტერესებული მისი გათხოვებით. ოჯახში შინაბერის ყოლა სირცხვილად მიაჩნდათ.

რაჭველები ცდილობდნენ საცოლე შეერჩიათ თავისივე ეთნოგრაფიული ჯგუფის ფარგლებში. ბუნებრივია, სოციალური, გარეგნული მონაცემების გათვალისწინებით. ავტორი ჩამოთვლის და აანალიზებს საქორწინო ურთიერთობების ნიშანდობლივ თავისებურებებს. მაგალითად, ვაჟი და მისი ოჯახი საქორწინო წყვილის შერჩევის ინიციატორია; ქალი გადადის ქმრის ოჯახში და თან მიაქვს მზითევი; ქალიშვილი ვერსაც ამარებს ქალწულობას ის ხდება მისი ქმრის და სხვ. მონოგრაფიაში ყურადღება გამახვილებულია გასათხოვარი ქალიშვილის გაპარვის ან მისი მოტაცების მიზეზებზე, რომელთაც ახალგაზრდა წყვილი მშობლების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ან საქორწინო ხარჯების თავიდან აცილების მიზნით მიმართავდა. ცალკეულ ვითარებებში ვაჟი საცოლეს იტაცებდა იმ შემთხვევაშიც, თუ მას მისთვის სასურველი ქალიშვილის მშობლები უარს ეტყოდნენ სიძობაზე. საბოლოოდ შერიგება ხდებოდა, რადგან საწინააღმდეგო ვითარებაში ქალის რეპუტაცია შელახული რჩებოდა, მიუხედავად იმისა ჰქონდა თუ არა ადგილი სქესობრივ კავშირს. ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი ქორწინების ცერემონიალი. ავტორის აზრით დადგენილია, რომ საბჭოთა წყობის პერიოდში ეკლესიაში ჯვრისწერის ცერემონიალს რაჭველები აღარ მიმართავდნენ, თუმცა იღებენ, რომ ამ ბოლო ხანებში შეინიშნება დავიწყებული ტრადიციის აღდგენისა და მისდამი (წრაფვის) ტენდენცია. უმეტესად ახალგაზრდა წყვილთა ჯვარისწერა ხდება თბილისსა ან ქუთაისში, ორთოდოქსალურ ქრისტიანულ ეკლესიაში. ავტორი გამოყოფს თანამედროვე ქორწინებათა რიტუალის ნიშანდობლივ ორ თავისებურებას: 1. პატარძალი სიძის ოჯახში მეჯვარეებთან ერთად მოჰყავთ ყვავილებით გაწყობილი მანქანით. 2. ოჯახში მათი დაბრუნების შემდეგ სიმბოლურად იმავე მანქანით მეჯვარეებითურთ და ახლო ნათესავებით ავტომობილთა გამშვებული საყვირის თანხლებით მიემგზავრება ხელის მოსაწერად. ავტორის კომენტარით, ეს ხდება ძველი ტრადიციის ნაცვლად, როცა პატარძალს

მაყრიონი ბოროტი სულების დასაფრთხობად თოფების სროლით მიაცილებდა; 3. საქორწინო წყვილი მმაჩის ბიუროში რეგისტრაციაში ტარდება, ცვლიან ბეჭდებს, ხოლო შემდეგ მიემგზავრებიან სიძის ოჯახში, სადაც სტილიზებული რიტუალების თანხლებით იშლება სუფრა. აქვე, მონოგრაფიაში საინტერესოდაა აღწერილი სუფრის ეთიკეტი, დედამთილ-მამამთილისა და სტუმარ-ნათესავების ქცევის ნორმები, მეორე დილით პატარძლის წყაროზე გასვლის წესი და სხვ.; 4. პატარძალი დილით დგება და რეგულარულად შეუდგება ხოლმე საოჯახო საქმიანობას.

რაჭისადმი მიძღვნილ აღნიშნულ გამოკვლევაში ყურადღებას იქცევს განქორწინების მიზეზთა ანალიზი, რასაც ავტორის აზრით, ძირითადად უშვილობა აპირობებდა. უშვილოდ დარჩენა რაჭველებში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა მოსახლეობაში დიდ უბედურებად ითვლებოდა. თ. დრაგაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ მოცემული ფენომენისა და საერთოდ, რაჭელი ქორწინებისა და ნათესაობის არსი შეუძლებელია გავიგოთ საოჯახო სტრუქტურათა გაუთვალისწინებლად. ამიტომ, სავსებით კანონზომიერად ნაშრომში აღნიშნული საკითხები მჭიდრო ურთიერთკავშირშია განხილული. ამ მხრივაც სავსებით გასაგებია თ. დრაგაძის განსაკუთრებული ყურადღება ოჯახის ფენომენისადმი. ავტორი საქართველოში ოჯახისა და საცხოვრებლის აღსანიშნავად ავლენს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა **კომლი, სახლი, ოჯახი**, ახასიათებს მათი წარმოშობისა და განვითარების გზებს, გვაძლევს ტერმინ ოჯახის სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ ანალიზს.

თანამედროვე რაჭაში ქორწინების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ბევრი კომპონენტი, სადაც ძირეულ ფიგურებს **ნეფე-დედოფალი** წარმოადგენენ, რიტუალიზებულია და შეიცავს მრავალფეროვან ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს. ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობათა ტრადიციული ნორმების ფუნქციონირებას საერთოდ ადრე — ნიშნობისა და ქორწინების საწყისი საფეხურებიდან ჰქონდა ადგილი. თ. დრაგაძის მიხედვით, ცოლ-ქმარს შორის შრომა დანაწილებულია. რაჭველი მამაკაცი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით. იგი ოჯახის მოყვარულია, ცდილობს არ დატვირთოს ქალი და ოჯახი ეკონომიკურად თავად უზრუნველყოს. ავტორის მასალებით, რაჭველი ქალის სანაქებო თვისებად ითვლება შრომისმოყვარეობა, ხელ-საქმის საფუძვლიანი ცოდნა, კეთილშობილება, მომჭირნეობა და შვილებზე აღმზრდელობითი ზრუნვა. ქალისათვის გათხოვება აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა, რადგან ის ხდება სრულყოფილი პიროვნება. დედობა მას კეთილშობილ ადამიანად ხდის. რაჭაში ქალს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.

მონოგრაფიის განსაკუთრებით საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს ის განყოფილება, სადაც საუბარია სულიერი ანუ ხელოვნური ნათესაობის ფორმებზე. თ. დრაგაძე მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე აღწერს რძით ნათესაობისა თუ ძუძუსმტეობის, ძმადგაფიცვის, ძმობილ-დობილობის, ნათლობის წეს-ჩვეულებებს და აღნიშნავს, რომ ხელოვნურად დანათესავებულთა შორის არსებობს მკაფიოდ გამოხატული უფლება-მოვალეობათა განსაზღვრული სისტემა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თ. დრაგაძის ნაშრომში, მიუხედავად მისი სათაურის ვიწრო ხასიათისა, განხილულია ტრადიციული კულტურისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემატიკის საკმაოდ ფართო წრე. იგი არა მარტო კონკრეტული რეგიონის მონოგრაფიული კვლევის ცდაა, არამედ მრავალმხრივაა საინტერესო, განსაკუთრებით კულტუროლოგიურ-თეორიული ასპექტითა და ტრადიციის ეთნიკური როლისა თუ ფუნქციის გამოვლენისა და შესწავლის თვალსაზრისით. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და მათ შორის რაჭაში სოციონორმატიული კულტურა მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ყოველთვის წარმოადგენდა პოლიტიკურ-მმართველობითი, უფლებრივი, ზნეობრივი, რელიგიური, ესთეტიკური და სხვა კატეგორიების ერთიან სისტემას, რომელიც აწესრიგებდა საზოგადოების წევრთა ქცევის ნორმებს. საქართველოში იგი ეროვნულ ნიადაგზე ქმნიდა ტრადიციულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პირობებს და ეთნიკური განვითარების ყველაზე რთულ ეტაპებზე მისი ძირითადი ელემენტებით ახერხებდა დაპირისპირებოდა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემებს, კულტურისა და ეთიკის ქართული ეთნოსისათვის მიუღებელ ნორმებს. თანამედროვე პერიოდში სწორედ აღნიშნული ფენომენის როლის გარკვევისათვის აუცილებელ კონკრეტულ ეთნოგრაფიულ მასალას გვაწვდის თ. დრაგაძის მონოგრაფია და იგი ამ ასპექტითაც არის საყურადღებო გამოკვლევა და ეთნოგრაფიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი.

**სერგო არუთიუნოვი, ნუგზარ მგელაძე**

## საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება

1990 წლის 27 თებერვალს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება, რომელმაც განიხილა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში შემავალ დაწესებულებათა 1989 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის ანგარიში, განყოფილების წევრების 1989 წლის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის ანგარიშები და ორგანიზაციული საკითხი. კრების მუშაობას წარმართავდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკად. წევრ-კორ. რ. მეტრეველი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე საერთო კრებამ მოისმინა განყოფილებაში შემავალი დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები 1989 წელს ჩატარებული სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ. აღინიშნა, რომ 1989 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი გეგმით ასრულებდნენ 113 თემას. მათგან 2 თემა მუშავდებოდა საკავშირო და რესპუბლიკური სადირექტივო ორგანოების დავალებათა შესაბამისად, ხოლო 97 — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური კვლევის პროგრამათა მიხედვით; 14 თემა საინიციატივო საძიებო სამუშაოა. 1989 წელს დასრულდა 4 თემის დამუშავება.

საანგარიშო წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 10 და საკანდიდატო — 26 თანამშრომელმა. ინსტიტუტებში ირიცხებოდა 112 ასპირანტი, აქედან 63 დასწრებული, ხოლო 49 დაუსწრებელი სწავლებისა. გასულ წელს ასპირანტურის კურსი დაამთავრა 36-მა.

1989 წელს გამოქვეყნდა 105-მდე სამეცნიერო ნაშრომი — მონოგრაფია, წიგნი, კრებული.

27—28 დეკემბერს ჩატარდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის 900 წლისთავს.

საანგარიშო წელს განყოფილებას შეემატა რამდენიმე ახალი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს გამოეყო სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, თვით ინსტიტუტს კი ეწოდა ეკონომიკის ინსტიტუტი. ხალხთა მეგობრობის მუზეუმი გარდაიქმნა ეროვნებათშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრად, რომელიც შევიდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შემადგენლობაში. განყოფილების სისტემაში შეიქმნა აგრეთვე სოციოლოგიური კვლევის ცენტრი და დემოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ცენტრი. განყოფილების შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე რუსეთში ქართულ დასახლებათა ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კრებამ მოისმინა განყოფილების წევრების — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ა. აფაქიძის, ვ. ბერიძის, ა. გუნიას, ი. კაჭარავას, შ. ხიდაშელის და წევრ-კორესპონდენტების ლ. ალექსიძის, გ. გიორგაძის, პ. ზაქარაიას, გ. თევზაძის, მ. ლორთქიფანიძის, რ. მეტრეველის, დ. მუსხელიშვილის, შ. ნადირაშვილის, ა. სურგულაძის, ნ. ჭავჭავაძის, ლ. ჭილაშვილის, ა. ჯავახიშვილის, ო. ჯაფარიძის, ს. ჯორბენაძის — ანგარიშები 1989 წელს გაწეული სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

განხილულ საკითხებზე საერთო კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. კრებამ მოიწონა და დაამტკიცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში შემავალ დაწესებულებათა 1989 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის ანგარიში. ცნობად იქნა მიღებული განყოფილების წევრების 1989 წლის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ ანგარიშები.

საერთო კრებამ განიხილა სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის არჩევის საკითხი. კრებას მოხსენდა, რომ სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრმა

თავის დროზე დირექტორის თანამდებობაზე წამოაყენა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის თ. შავგულიძის კანდიდატურა. მან რეკომენდაცია მისცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს, რის შემდეგაც სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრმა თ. შავგულიძე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია დირექტორის თანამდებობაზე და განყოფილებას წარუდგინა დასამტკიცებლად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებამ ფარული კენჭისყრით თ. შავგულიძე აირჩია სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე. აკადემიის წესდების შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების დამტკიცება ეთხოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრების მუშაობას შეაჯამა აკად. წევრ. კორ. რ. მეტრეველმა.

საერთო კრების მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი მოსაზრება, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ყველა დაწესებულებამ, ყველა თანამშრომელმა, აქტიურად შეუწყოს ხელი რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის დამკვიდრებასა და დამოუკიდებელ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

**ლ. ლაზარაშვილი**

# თამარ ხაყომია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ ინსტიტუტის ერთ-ერთი პირველი თანამშრომელი (რომელმაც თავისი მეცნიერული მოღვაწეობა ჯერ კიდევ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის კედლებში დაიწყო), თამარ გერასიმეს ასული ხაყომია, სანდომიანი გარეგნობის, კეთილმოსურნე და გულისხმიერი ადამიანი.

ნათელი ცხოვრება განვლო ქალბატონმა თამარმა. წლების მანძილზე იგი უხმაუროდ და უპრეტენზიოდ ემსახურებოდა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას, არ უყვარდა მაღალი ტიტულები და წოდებანი. ახლა, როდესაც სამუდამოდ ვეთხოვებით ქალბატონ თამარს, ჩვენი ვალია გავიხსენოთ ეს კიდევ ერთი განუმეორებელი ცხოვრება და დაგვიანებით ვუთხრათ მადლობა ამ ღირსეულ ადამიანს, რაც სამწუხაროდ, სიცოცხლეში კარგად ვერ მოვახერხეთ.

თამარ გერასიმეს ასული ხაყომია დაიბადა ქ. ქუთაისში, 1908 წლის 10 მარტს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ისტორიული განყოფილების დამთავრების შემდეგ 1929 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, ჯერ სასწავლო ნაწილის, შემდეგ ფაკულტეტის, ხოლო 1931—33 წლებში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ტექნიკურ მდივნად. 1933—37 წწ. თბილისის სამხატვრო აკადემიის, 1937 წლის მარტიდან კი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საქმეთა მმართველად. 1939 წლის ნოემბრიდან თ. ხაყომია ამავე ინსტიტუტის ასისტენტი ხდება, ხოლო ასპირანტურის დამთავრების შემდეგ პენსიაზე გასვლამდე, 1975 წლის, იგი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელია.

თ. ხაყომიამ თავისი მეცნიერული ინტერესების სფერო თავიდანვე განსაზღვრა და აირჩია ერთ-ერთი შრომატევადი და ხშირად უმადური, მაგრამ ქართველი წყაროთმცოდნეობისათვის აუცილებელი უბანი, როგორიც პალეოგრაფიაა. დიდი ხნის მანძილზე იგი იყო ინსტიტუტის ერთადერთი თანამშრომელი, რომელიც სპეციალურად იკვლევდა პალეოგრაფიულ საკითხებს, სწავლობდა ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებს, ქართულ ხელნაწერ წიგნთა შექმნისა და გავრცელების ისტორიას, ქართულ ხელნაწერთა ჰეირნიშნებს, დათარიღების წესს ქართულ ხელნაწერთა მიხედვით, საწერი იარაღისა და სალებავების ისტორიას, სხვადასხვა დამწერლობათა თავისებურებებს, პალეოგრაფიულ ტერმინებს. 1954 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „XI ს-ის ნუსხური დამწერლობის გარდამავალი ხელი". დიდი წვლილი დასდო ქალბატონმა თამარმა „ქართლის ცხოვრების" შესწავლის საქმეს. რუდუნებით და დაუღალავად მუშაობდა მისი სიმფონიის შედგენაზე.

ქალბატონი თამარის ნაშრომებს დაკვირვებულობა და პროფესიონალიზმი ახასიათებს. ამაში მას ხელს უწყობდა საფუძვლიანი ფილოლოგიური მომზადება და ისტორიული განათლება, რაც ასე საჭიროა წყაროთმცოდნეთათვის. საკუთარი თავისადმი მაღალი მომთხოვნელობის გამო თ. ხაყომიას ნაშრომთა უმრავლესობა გამოუქვეყნებელი დარჩა. მისი ნაღვაწის მცირე ნაწილმა ცოტა ხნის წინ იხილა სინათლე, როდესაც გამოქვეყნდა „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონი (I—II, თბ., 1986). წარმოებაშია „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონის მესამე წიგნი, რომლის დიდი ნაწილი აგრეთვე ქალბატონ თამარის დამზადებულია. სხვა ნაშრომების გამოცემა ალბათ მომავლის საქმეა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ გამოვლენილი და დაზუსტებული ტერმინები „ზომად წერა", ანდერძ-მინაწერთა შენდობის ფორმულა „გვედრი", „პატიჟი" და სხვ. მან შექმნა ნაშრომები „მელქისედეკ ყანჩელის 1658 წლის საბუთი", XII—XIII სს. „სიგელ დაწერილთა ხელი". ამ ხანის დოკუმენტთა ტექსტებით, მათი პალეოგრაფიული მიმოხილვით და ანბანთა შედარებითი ტაბულით, „XIX ს. პერიოდიკიდან ამოკრეფილი ისტორიული დოკუმენტები" (1652—1906), XI—XIII სს. ქართულ ხელნაწერთა ჰეირნიშნები, სადაც ქაღალდის ქიმიური ანალიზის საფუძველზე გამო-

თქმულია ვარაუდი ქართულ ხელნაწერთა ქაღალდის შედგენილობისა და მისი აღმოსავლური წარმოშობის შესახებ მასზე დართული ჭვირნიშანთა ალბომით, „დაქარაგმების წესი ქართულ ხელნაწერთა მიხედვით" (V—XVIII სს.) „ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები IX—XI სს.", რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა გამოცემები და ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების სახით გაფანტული, საისტორიო ხასიათის მასალა; კრებულს დართული აქვს წინასიტყვაობა და ისტორიულ პირთა და დათარიღებასთან დაკავშირებელი შენიშვნები, გამოკვლევა „ათონის მთის ქართველთა კოლონიის ისტორიისათვის", დამყარებული ათონის მონასტრის აქტთა მონაცემებზე, სადაც მოცემულია აქტთა პალეოგრაფიული მიმოხილვა, დადგენილია ზოგიერთი შემწირველის ვინაობა, „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის".

ქართველი მეცნიერება ეთხოვება მაღალი ზნეობის პიროვნებას, რომლის სახითაც მისმა კოლეგებმა და ახლობლებმა დაკარგეს კარგი პროფესიონალი, ძმა და ყურადღებიანი მეგობარი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილება

# მამია დუმბაძის ხსოვნას

ქართველ ისტორიკოსთა რიგებს გამოაკლდა გამოჩენილი მკვლევარი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი მამია კიშვარდის ძე დუმბაძე.

მ. დუმბაძე დაიბადა 1915 წელს ს. ზენობანში (ჩოხატაურის რ.). 1929 წელს დაამთავრა ხიდისთავის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1938 წელს ჩაირიცხა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1941—1942 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1942 წელს მან მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1943 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და გადაყვანილ იქნა უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მომდევნო წლებში იგი შეთავსებით მუშაობდა როგორც საქართველოს ისტორიის ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1954 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1957 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1960 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1958—1989 წლებში დუმბაძე იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგე. 1974 წელს ეროვნული საისტორიო მეცნიერების წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის მ. დუმბაძეს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. 1971 წელს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რედკოლეგიის შექმნაში მონაწილეობისათვის მ. დუმბაძეს, ავტორთა ჯგუფთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა (იგი იყო „ნარკვევების" IV ტომის რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი). 1980 წელს იგი არჩეული იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1989 წლიდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მრჩევლად.

მ. დუმბაძე იყო სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

მ. დუმბაძემ მდიდარი და მრავალმხრივი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გვიანშუასაუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ძირითადი პრობლემების კვლევაში.

საყურადღებო შრომები მიუძღვნა მ. დუმბაძემ რეგიონალური ისტორიის შესწავლას. ამ თვალსაზრისით მეტად ფასეულია მისი მონოგრაფიული გამოკვლევა სამეგრელოს სამთავროს ისტორიის ბოლო პერიოდის შესახებ, ვრცელი ნარკვევი გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ნარკვევი სიღნაღის ისტორიის შესახებ და დოკუმენტების პუბლი-

კაცია ამავე თემაზე. შემდეგ გამოქვეყნებულია ვრცელი ნაშრომი ქართლის მთიანეთის (ახლანდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ისტორიული დემოგრაფიის საკითხებზე. პროფ. ზ. ანჩაბაძესთან ერთად მ. დუმბაძემ საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტადიების შესახებ XIX ს-ში.

1957 წელს გამოქვეყნდა მ. დუმბაძის მონოგრაფია „დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში". ამ ვრცელ ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ისტორია და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ამ მხარეთა რუსეთთან შეერთების პერიოდში, ნაჩვენებია ცარიზმის პოლიტიკის არსი. ქართული საისტორიო მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია XVIII ს. მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს ისტორიის ამსახველი რამდენიმე ნარკვევი, რომელიც შევიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" IV ტომში, რომლის მეცნიერი რედაქტორიც მ. დუმბაძე იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის პრინციპულობა და ობიექტურობა ამ პერიოდის რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა არსისა და ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრისას. მკვლევარმა თავის სანაქებო გაბედულება გამოიჩინა და სწორად შეაფასა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის არსი.

მ. დუმბაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიის შესწავლის საქმეში. გამოაქვეყნა მონოგრაფიები და ნარკვევები დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ. მისი რედაქტორობით გამოიცა ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მესამე ტომი.

მ. დუმბაძე დიდხანს სწავლობდა თბილისის ისტორიას. იგი ავტორია 1958 წელს გამოქვეყნებული „თბილისის ისტორიის" რამდენიმე თავისა. მისი მონაწილეობით და რედაქციით გამოსაცემად მომზადებულია „თბილისის ისტორიის" სამტომეულის პირველი ტომი.

დიდია მ. დუმბაძის დამსახურება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნის, ეროვნული ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. იგი თანაავტორია საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოსი (1958 და 1960 წწ.) და საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოსი (ტ. I, 1958 წ., რუსულ ენაზე — 1962 წ.). იგი მონაწილეობდა საქართველოს ისტორიის სასკოლო პროგრამის შედგენაში და საქართველოს სსრ ატლასის გამოცემაში.

მ. დუმბაძე ოცდაათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების (1957 წლამდე — ფეოდალური ხანის) საქართველოს ისტორიის განყოფილებას. ამ ხნის განმავლობაში განყოფილება ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკვანძო პრობლემების შესასწავლად, რაც ასახა განყოფილების თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში. განყოფილებაში მომზადდა და წარმატებით იქნა დაცული მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. განყოფილება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში. მ. დუმბაძის ინიციატივით დაიწყო განყოფილების თანამშრომელთა შრომების პერიოდული კრებულის „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების" გამოცემა. წელს გამოქვეყნდება ამ კრებულის მეექვსე წიგნი.

როგორც მაღალერუდირებული მეცნიერ-მკვლევარი მ. დუმბაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში. ასევე, მაღალ შეფასებას იმსახურებს მისი, როგორც მეცნიერების ორგანიზატორის მოღვაწეობა. თუ ამას დავუმატებთ, რომ პირად ურთიერთობებში იგი იყო უაღრესად კოლეგიალური, სათნო, გულისხმიერი და უანგარო ადამიანი, ცხადია, მ. დუმბაძემ ღირსეულად განვლო ცხოვრების ძნელი გზა და ნათელი კვალი დატოვა. მისი სახელი მარად დარჩება მადლიერი თანამემამულეების ხსოვნაში.

**ვალი ჩაჩანაშვილი**